



სოციალურ მეცნიერებათა სერია

# პოლიტიკის ანალიზი

მოგზაურებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის  
აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე

სალექციო კურსი  
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

ცაცა მაჩარაშვილი

თბილისი  
2006

## სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10

ელ. ფოსტა: **contact@ucss.ge**

ინტერნეტ გვერდი: **www.css.ge**



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

**ISBN: 99940 - 872 - 0 - 7**

## სარჩევი

შესავალი .....	4
პოლიტიკური მართვა და მისი განხორციელების მექანიზმი .....	6
პროფესიული დარგის გენეზისი და დისციპლინის ჩამოყალიბების ისტორია .....	7
პოლიტიკის ანალიზი: ძირითადი ცნებები .....	11
საჯარო პოლიტიკა და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი .....	19
პოლიტიკის ანალიზის, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ციკლური კონცეფცია.....	27
პოლიტიკური და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემების ურთიერთმიმართება .....	34
პოლიტიკის ანალიზი ფუნდამენტური და ემპირიული კვლევის ფონზე .....	43
პოლიტიკის ანალიზის დეფინიციები .....	46
პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიური თავისებურებანი .....	48
პოლიტიკის ანალიზის კლასიფიკაციის საფუძვლები .....	54
პოლიტიკის ანალიზი როგორც პროცესი.....	55
პოლიტიკის ანალიზის ინფორმაციულ-პროცესუალური მოდელი უ.დანის მიხედვით ...	57
პოლიტიკის ანალიზის პროცესი პეტონისა და სავიცკის მიხედვით .....	62
პრობლემის დაზუსტება, გასაზღვრა და დეტალიზირება .....	62
ანალიზის კრიტერიუმების დადგენა .....	66
ალტერნატიული პოლიტიკური კურსების იდენტიფიკაცია.....	70
ალტერნატიული პოლიტიკური კურსების შეფასება .....	72
ალტერნატიული პოლიტიკური კურსების შედარება .....	77
პოლიტიკური კურსის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება .....	82
რა ადგილი უჭირავს ანალიტიკოსს პოლიტიკურ-მმართველობით პროცესში.....	85
პოლიტიკის ანალიზი როგორც კომუნიკაცია .....	86
პოლიტიკის ანალიზი საქართველოში .....	88
THE RESUME .....	90
ბიბლიოგრაფია: .....	96
დანართი .....	97

## შესავალი

ზოგჯერ საზოგადოების, ასეულათასობით და მილიონობით ადამიანის კეთილდღეობა დამოკიდებულია გადაწყვეტილებებზე, რომლებიც სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების მიერ არის მიღებული. ამასთან, არცთუ იშვიათად ეს გადაწყვეტილებები ირაციონალურად, პოლიტიკური გარემოს შესწავლისა და ამა თუ იმ პრობლემის დაძლევისათვის საჭირო ანალიტიკური პროცედურების გამოყენების გარეშე მიიღება. სახელმწიფო პროგრამების არაეფექტურობა, სახელმწიფო მანქანისა და მისი შესაძლებლობების არამიზნობრივი გამოყენება, შეუსაბამობა მართვის მიზანს, ქმედებებსა და შედეგებს შორის — აი ის ძირითადი ნაკლოვანებები, რაც პოლიტიკური მართვის პროცესს ახასიათებს. საზოგადოება ხშირად უჩივის არაეფექტურ პროგრამებს, ფუჭად გაღებულ და დახარჯულ თანხებს, რომელიც მისთვის აქტუალური პრობლემების სიმწვავის შემცირებაზე ნაკლებად მოქმედებს და, როგორც წესი, ნაკლები შედეგიანობით გამოირჩევა, და თუკი რაიმე შედეგი მოაქვს, ეს ყოველ შემთხვევაში, თავად საზოგადოების კეთილდღეობაზე ნაკლებად აისახება. სახელმწიფო მანქანას, ზოგჯერ არ შეუძლია მის წინაშე არსებულ პრობლემათა გადაწყვეტა და გამოწვევებზე რეაგირება. ისეთი მთავრობის შექმნა კი, რომელიც გაცილებით უკეთ იმუშავებდა და რომლის შენახვაც უფრო იაფი დაჯდებოდა<sup>1</sup>, ხშირ შემთხვაში, სურვილის დონეზე რჩება და რეალურად ნაკლებად ხორციელდება. როგორ ავიცილოთ თავიდან პოლიტიკური რეალობის ეს ნაკლოვანებები? არსებობს თუ არა გამოსავალი? შეიძლება თუ არა მართვის პროცესში არსებული წინააღმდეგობების დაძლევა და ამ პროცესის ეფექტურობის ამაღლება? მეოცე საუკუნემ ამ კითხვას დადებითად უპასუხა და პოლიტიკურ-მმართველობითი „მანქანის“ გასამართავად და უკეთ ასამოქმედებლად მმართველობითი პროცესის რაციონალური უზრუნველყოფა შემოგვთავაზა. ეს ყოველივე მართვის პროცესში ანალიტიკური კომპონენტის დახერგვა-გაფართოებით მიიღწევა. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად ჩამოყალიბდა სპეციალური სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც პოლიტიკის ანალიზი (Policy Analysis), სიტყვა-სიტყვით კი პოლიტიკურ-მმართველობითი კურსის ანალიზი ეწოდება. პოლიტიკის ანალიზში მოღვაწე თეორიტიკოსთა და პრაქტიკოსთა უმრავლესობა შორსაა იმ აზრისგან, რომ პოლიტიკის ანალიზი ყველა პრობლემისგან განკურნების საშუალებად, ერთგვარ პანაცეად განიხილოს, თუმცა, ამავე დროს, პოლიტიკური პრაქტიკა ადასტურებს, რომ იგი საკმაოდ ეფექტური საშუალება ხდება არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის პროცესში.

პოლიტიკის ანალიზი პოლიტიკურ-მმართველობით მეცნიერების ერთ-ერთი კომპლექსური დისციპლინაა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მაგრამ უკვე მტკიცედ დამკვიდრდა სოციალურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. დღეს დასავლეთის და არა მარტო დასავლეთის, ნებისმიერი სამთავრობო თუ ადგილობრივი მართვის დაწესებულება, ასევე არასამთავრობო სექტორში არსებული ორგანიზაციები, წარმოუდგენელია საკუთარ მოღვაწეობას პოლიტიკის ანალიზის გარეშე ახორციელებდეს. გასული საუკუნის შუა წლებიდან დღემდე, პოლიტიკის ანალიზი გადაიქცა მართვის პროცესის რაციონალიზაციის უზურუნველყოფის ეფექტურ საშუალებად. მისი გამოყენება გაცილებით ადგილებს არსებულ გამოწვევებზე ამა თუ იმ ორგანიზაციის მხრიდან რეაგირების პროცესს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელს უწყობს მისი ეფექტურობის ამაღლებას. დღეისათვის, მართვის პროცესის განუწყვეტელი და სწრაფი განვითარების (შესაბამისად გართულების) პირობებში, განსაკუთრებით გაიზარდა პოლიტიკის ანალიზის მნიშვნელობა. უფრო მეტიც, მისი გამოყენება აუცილებლობადაც კი იქცა.

თანამედროვე საზოგადოება დიდი ხანია დარწმუნდა მეცნიერული მართვის საჭიროებაში. სკეპტიკოსები მეცნიერული მართვის პროცესის განხორციელების შესაძლებლობას ეჭვქვეშ აყენებენ, ხოლო პოლიტიკის ანალიზს პოლიტიკური რეალობის გაუმჯობესების საშუალებად ნაკლებად განიხილავენ. პოლიტიკური მართვის სუბიექტისთვის კი მეცნიერულად გაანალიზებული და გათვლილი პროცესების მესაჭედ ყოფნა უფრო მისაღები უნდა იყოს, ვიდრე საზოგადოების მიერ მისი არაეფექტურ მმართველად აღქმა. ამიტომ, პოლიტიკის ანალიზს ალტერნატივა არ გააჩნია. დღეისათვის პოლიტიკის ანალიზის არსებული მეცნიერული მეთოდების, ინსტრუმენტებისა და ხერხების მრავალფეროვნება ეფექტური მართვის განხორციელების სრულ შესაძლებლობას იძლევა. ასეთი შესაძლებლობის „ხელიდან გაშვებას“ კი გამართლება ძნელად თუ მოეძებნება. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკის ანალიზის განხორციელება ყოველთვის როდი ხერხდება. ფაქტია, რომ პოლიტიკის

<sup>1</sup> სწორედ ასეთი სახელწოდებით მუშაობდა ბილ კლინტონის აღმინისტრაციის დროს ალბერტ გორის ხელმძღვანელობით მოქმედი სპეციალური კომისია, რომლის მიზანიც ფედერალური ორგანოების მუშაობის კარდინალური რეფორმირება იყო.

ანალიზის „პროდუქტის“ მოხმარება ყოველთვის არ ხორციელდება. პოლიტიკის ანალიტიკოსთა რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება და შემდეგ ცხოვრებაში მათი გატარება მთლიანად პოლიტიკოსებზეა დამოკიდებული. ისინი კი, რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, საკუთარ მოღვაწეობას რაციონალურ რჩევას ყოველთვის როდი უქვემდებარებენ. სწორედ ამიტომ, ანალიტიკური პროდუქტია ხშირად გამოყენებელი რჩება. ასეთ პირობებში ანალიტიკოსს, რომელსაც მის მიერ შემუშავებულ ანალიტიკური დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიულ რეალიზაციაზე ხელი ძნელად მიუწვდება, მათი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, თავისი პირდაპირი მოვალეობების შესრულების გარდა, პოლიტიკოსების წინაშე ერთგვარი „პრომოუტერის“ როლის შესრულება უნდა, რათა გახადოს წარმოებული პროდუქტია მაქსიმალურად მოხმარებადი. მსგავსი ფუნქციის შესრულებას კი არა მარტო ცოდნა, არამედ შესაბამისი ალლოს ქონა, ერთგვარი ნიჭი და ინტუიცია ესაჭიროება. წარმატებულ ანალიტიკოსად დღეს მხოლოდ ის პიროვნება შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც „კარგი“ ანალიტიკური პროდუქტიის წარმოების გარდა, ზრუნავს მის მოხმარებაზეც, არნმუნებს პოლიტიკოსებს მათვის მოგების მომგანი რეკომენდაციებისა და ანალიტიკური დასკვნების ცხოვრებაში გატარების აუცილებლობაში.

სახელმძღვანელო, რომელიც მკითხველისათვის პოლიტიკის ანალიზის თეორიული საფუძვლების გაცნობას ისახავს მიზნად, შეძლებისდაგვარად ფარავს ყველა იმ ძირითად საკითხს, კონცეფციასა და თეორიულ მიდგომას, რომელიც პოლიტიკის ანალიზის დისკიპლინისთვის დღეს მეტად აქტუალურია. ეს ელემენტები დაჯგუფებულია ოთხი კატეგორიის მიხედვით: საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი; პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღება; და პერსპექტიული (prospective) და რეპროსპექტიული (retrospective) პოლიტიკის ანალიზი, რომელიც პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიღებამდე და მის შემდეგ გამოყენებულ ანალიტიკურ პროცედურებს მოიცავს. სწორედ ამ კატეგორიების შესაბამისადაა ცალკე თავებად დაყოფილი წარმოდგენილი სახელმძღვანელონც. ის ეფუძნება პოლიტიკის ანალიზის ინფორმაციულ-პროცესუალურ მოდელს, რომელიც ხუთი ძირითადი ანალიტიკური პროცედურის - პრობლემის სტრუქტურირების, პროგნოზირების, რეკომენდირების, მონიტორინგისა და შეფასების საშუალებით ხორციელდება.

სახელმძღვანელოს დახმარებით სტუდენტები გაეცნობიან ანალიზის წარმოებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებას, პრობლემურ-პოლიტიკური სიტუაციის გადაჭრის, ალტერნატივების შეფასების კრიტერიუმებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სპეციფიკას. სტუდენტებს ასევე საშუალება მიეცემათ თვალი გაადევნონ კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესს და აღმოაჩნონ ის დაბრკოლებები, რაც დაგეგმილი პოლიტიკური კურსის განხორციელებას უშლის ხელს.

სახელმძღვანელოს მიზანია, ერთი მხრივ, უზრუნველყოს სტუდენტები საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ძირითადი თეორიული ბაზისით, მეორე მხრივ კი, გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები პოლიტიკურ პროცესზე პროფესიული დაკვირვებისა და ანალიზის სანარმოებლად. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თემატიკა ფარავს პოლიტიკის ანალიზის როგორც სუბსტანციურ, ისე მეთოდოლოგიურ მხარეებს. სახელმძღვანელოს დანიშნულებაა სტუდენტებს გააცნოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის სპეციფიკა და აღჭურვოს ისინი აუცილებელი საბაზისო ცოდნით პოლიტიკის სფეროში არსებული „შიდა დინებების“ გასაშიფრად. სახელმძღვანელო ეხმარება სტუდენტებს აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვენების გამოყენებაში, რომელიც საფუძველს აძლევს მათ თავად აღმოაჩნიონ პრობლემური საკითხები, შეარჩიონ პრობლემების გადასაწყვეტად საჭირო შესაფერისი მეთოდები და ტექნოლოგიები, შეაფასონ დაგეგმილი პოლიტიკური კურსის განხორციელების ალბათობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო მაქსიმალურად ესადაგება სასწავლო პროცესის მიზნებსა და ამოცანებს. სახელმძღვანელოს სტრუქტურა სტუდენტებთან მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა: პირველ რიგში, სახელმძღვანელოში ფართოდაა გამოყენებული სხვადასხვა სქემატური გამოსახულებები, ნაჩვენებია იმ გარემოს ლოგიკური სტრუქტურა, სადაც პოლიტიკის ანალიზი გამოიყენება; მეორე — სახელმძღვანელოში უხვადაა წარმოდგენილი პოლიტიკის ანალიზის კლასიკოსებად აღიარებული ავტორების ციტატები და მაგალითები, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, პოლიტიკის ანალიზის როგორც ინტელექტუალური მოღვაწეობის კომპლექსურ ბუნებაზე ყურადღების გამახვილება, მეორე მხრივ კი — სტუდენტებისთვის ანალიზის ცალკეული მეთოდების ათვისების პროცესის გაადვილება; სახელმძღვანელო შეიცავს რამდენიმე დანართს, რომელიც სტუდენტებში პოლიტიკის ანალიზის შედეგების სხვადასხვა უანრის ანალიტიკური დოკუმენტების — ანალიტიკური მოხსენების, მემორანდუმის, პრეზენტაციებისა და ა.შ. ფორმატში გადატანისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზეა გათვლილი. ზოგადად, სახელმძღვანელოში უხვადაა წარმოდ

გენილი დეტალური სქემები, ცხრილები, გრაფიკული მოდელები, რომელებიც მასალის ათვისების პროცესს გაცილებით აიღებს.

სახელმძღვანელო, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი სტუდენტებისათვის პოლიტიკის ანალიზის ყველა დეტალში გასარკვევად, თუმცა მას შეუძლია საკმარისი დახმარება გაუწიოს დამწეულ ანალიტიკოსს შემდგომ პროფესიულ ნინსვლაში.

სალექციო კურსის შედგენა რიგი რთული ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობდა. ერთი მხრივ, აუცილებელი იყო პოლიტიკის ანალიზის არსის გადმოცემა და მისი განხორციელების მექანიზმის ნარმოდგენა, მეორე მხრივ კი, იმ გარემოს დახასიათება, რომელშიც პოლიტიკის ანალიზის შედეგები ხორციელდება. ეს უკანასკნელი საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების გამოსაკვეთად, რომელიც პოლიტიკის ანალიზის გამოყენების შესაძლებლობაზე მოქმედებს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ პოლიტიკის ანალიზი ურთულესი, მრავალგანშტოებიანი დისკიპლინაა, რომელშიც სოციალური, ეკონომიკური და სხვა მეცნიერებათა მიღწევები აკუმულირდება. ამასთან, პოლიტიკის ანალიზი მიეკუთვნება იმ დისკიპლინათა რიცხვს, რომელიც განუწყვეტლივ და სწრაფად ვითარდება.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში პროცესების მართვისათვის შექმნილია სპეციალური ინსტიტუტები, სადაც თითოეული საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებს ალტერნატიული გადაწყვეტილებების გათვლისა და შერჩევის ხანგრძლივი პროცესი. ეს მაგალითი უნდა გახდეს ჩვენთვისაც, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ახლა იწყებს მოძრაობას. პოლიტიკის ანალიზის ჩვენს მიერ მომზადებული კურსი, ვფიქრობთ, ამ მიზნისკენ მოძრაობას შეუწყობს ხელს და პროფესიონალ ანალიტიკოსთა ჩამოყალიბებაში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს. სახელმძღვანელო ასევე გამოადგება ყველა იმ პირს, რომლის საქმიანობაც საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სფეროს უკავშირდება.

## პოლიტიკური მართვა და მისი განხორციელების მექანიზმი

პოლიტიკა და მართვა, თავისი არსით, ძალზედ ახლოს მდგომი ცნებებია. როგორც ვებერი აღნიშნავს, პოლიტიკა „თავისთავად მართული“ მოღვაწეობის ყველა ნაირსახეობას მოიცავს. „ლაპარაკობენ ბანკების სავალუტო პოლიტიკაზე, საიმპერიო ბანკების დისკონტურ პოლიტიკაზე, პროფესიონელების პოლიტიკაზე, გაერთიანებების ხელმძღვანელობის პოლიტიკაზე ამ გაერთიანების მართვის საქმეში და ბოლოს – ჭკვიანი ქალის პოლიტიკაზეც კი, რომელიც ცდილობს მართოს თავისი ქმარი“<sup>2</sup>. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მართვა უფრო ხელოვნებაა, ვიდრე ადმინისტრაცია, თავისი ზუსტად დადგენილი წესებით. პოლიტიკური მართვა ძალზედ რთული საქმეა, რადგან თავად პოლიტიკური ცხოვრება იმდენად სავსეა მოულოდნელობებით, თითეული საკითხი იმდენად განუმეორებელი და ინდივიდუალურია, რომ ეჭვქვეშ დგება პოლიტიკური მართვის მეცნიერულობა. ამ თვალსაზრისის მომხრეები აღნიშნავენ, რომ მართვა იყო და რჩება ხელოვნებად, რომელიც ძირითადად ეყრდნობა პირად გამოცდილებასა და ინტუიციას და ვერასოდეს გახდება მეცნიერება. მათ საპირისპიროდ, მეცნიერთა მეორე ნაწილი მართვის მეცნიერულობას ამართლებს იმით, რომ პოლიტიკური პროცესის შემდგომი განვითარების საქმეში მას დიდი წვლილი შეუძლია შეიტანოს, მიანიჭოს პოლიტიკურ პროცესს მეტი სიცხადე, გამოავლინოს ის ლატენტური ფაქტორები, რაც, ერთი შეხედვით, შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს. სწორედ ამ მიზნით, XX საუკუნის 60-80-იან წლებში შემუშავდა მართვის მეცნიერული თეორია. მის საფუძველზე შექმნილი პოლიტიკური მართვის ზოგადი თეორიიდან გამომდინარეობს შემდეგი ძირითადი დებულებები: საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობისა და რეგულირების აუცილებლობა განაპირობებს მართვის საჭიროებას. მართვა გულისხმობს მმართველსა და მართულს, ე.ი. მართვის სუბიექტსა და ობიექტს. ესაა მმართველ-მართულის მთლიანობა, სადაც პირველის ფუნქცია მეორეზე ზემოქმედებაა, ხოლო ზემოქმედების საფუძველი - სახელისუფლების ურთიერთობების ასიმეტრიული ხასიათი, ზემოქმედების მიზანი კი – მართვა. ამავე დროს, აუცილებელია, რომ მართვის ობიექტი ექვემდებარებოდეს მართვის სუბიექტს, თუმცა, მართვის ობიექტსაც უნდა ახასიათებდეს თვითმართვადობა. მართვა მართვის სუბიექტსა და მართვის ობიექტს შორის წინააღმდეგობის მოხსნის საშუალებაა. პოლიტიკური მართვა უფრო ხელმძღვანელობაა, ვიდრე ადმინისტრაციული მართვა. პოლიტიკური მართვა გულისხმობს ზოგად პროგრამული მიმართულებების შემუშავებას,

<sup>2</sup> ვებერი მ., პოლიტიკა როგორც მონოდება და ხელობა, თბილისი, გონი, 1994. გვ. 11.

გადაწყვეტილებათა მიღებასა და მათი რეალიზაციის ხელმძღვანელობას. პოლიტიკური მართვა გულისხმობს საერთო მიზნის დასახვას და ამ მიზნის განხორციელების ძირითადი საშუალებების განსაზღვრას.

მართვის ცნობილი სპეციალისტი ჰენრი ფაიოლი გამოყოფს **მართვის 5 ფუნქციას:** დაგეგმვა, ორგანიზება, განკარგვა, კოორდინაცია და კონტროლი. **პოლიტიკურ სფეროში მართვის შემდეგი ფუნქციები გამოყოფა:** 1. დაგეგმვა (პროგრამა), 2. ანალიზი, 3. პროგნოზირება (მას ჭადრაკის თამაშს ადარებენ ხოლმე და გამოყოფენ პროგნოზირების შემდეგ მეთოდებს: შედარება, ჰერმენევტიკა, ექსპერტიზა, სისტემური ანალიზი, სცენარული და იმიტაციური თამაში, პოლიომეტრიკა), 4. გადაწყვეტილების მიღება (გადაწყვეტილება მართვის პროცესის შემაჯამებელი მხარეა. ზოგადი არსით, გადაწყვეტილება არის ალტერნატივების არჩევა<sup>3</sup>. ცნობილია ალტერნატიული ვარიანტების შენონას სისტემებისა და შედარების სხვადასხვა მეთოდები – არჩევანისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრიტერიუმებს, რომელიც არჩევის პროცესში გამოიყენება), 5. კონტროლი (გადაწყვეტილების შემდეგ შექმნილი სიტუაციის ცოდნა, ერთგვარი უკუინფორმაცია)<sup>4</sup>.

მმართველი ფლობს საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების განხორციელების საშუალებებსა და მექანიზმებს, რომლებიც პრაქტიკაში შემდეგი მეთოდებით ხორციელდება: 1. იძულების მეთოდი, 2. მონაწილეობის მეთოდი (ობიექტური მართვა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში მართვის ობიექტი არასრული სახით გვევლინება მართვის სუბიექტად. 3. გარეგნული ეფექტურობის მეთოდი, 4. საინფორმაციო უპირატესობის მეთოდი. მართვის ყოველი მეთოდი განაპირობებს მართვის ობიექტის მართვის სუბიექტზე ზეგავლენას.

პოლიტიკური მართვის მეთოდების გარდა, არსებობს მართვის პრინციპები, რომელიც უფრო ლოგიკურსა და სიტუაციურ ხასიათს ატარებს. **მართვის ძირითადი პრინციპებია:** 1. ზომიერების პრინციპი (აქ იგულისხმება მართვის ობიექტზე ზემოქმედების ხარისხისა და მასშტაბების ზუსტი განსაზღვრა), 2. ძირითადი რეოლის პრინციპი (იგი გულისხმობს ყველაზე საკვანძო, პრობლემური საკითხის პოვნას, რომელიც ზღუდავს პოლიტიკური ორგანიზმის, როგორც „მთლიანი“ განვითარებას), 3. მემკვიდრეობის პრინციპი (აუცილებელია არსებული ვითარების ისტორიული საწყისის გათვალისწინება), 4. კონიუნქტურის პრინციპი (კონკრეტული სიტუაცია, თავად ხელისუფლების ლოგიკაც სიტუაციურია. ითვლება, რომ მმართველი, რომელიც ერთი სიტუაციისთვის მისაღებ ცოდნას ფლობს, მმართველია მხოლოდ „ერთი საათით“. კონიუნქტურის პრინციპში ყველაზე ნათლად ვლინდება მმართველის უნარი, რამდენად შეუძლია გააკონტროლოს სიტუაცია და რამდენად ღიაა ცვლილებებისადმი. კონიუნქტურის პრინციპი „მელა-ლომის“ პოლიტიკაა. გამოიყენება ყველა ტაქტიკური სვლა: კომპრომისი, გარიგება, შეთანხმება).

პოლიტიკური მართვის ფორმებში იგულისხმება საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის სახე. საზოგადოებრივი მოწყობის პოლიტიკური ფორმებიდან გამოიყოფა 3 ძირითადი: დემოკრატიული, ავტორიტარული და ტოტალიტარული<sup>5</sup>.

მაშასადამე, მართვის ძირითადი ფუნქციები – დაგეგმვა, ანალიზი, პროგნოზირება, გადაწყვეტილების მიღება და კონტროლი, რომლებიც მმართველობით მექანიზმში, როგორც წესი, ზემოთ ჩამოთვლილი თანამიმდევროვნობით ნაკლებად ხორციელდება, ისახავს და ემსახურება ერთ მიზანს – პოლიტიკური პროცესის ოპტიმიზაციას.

## პროცესიული დარგის გენეზისი და დისციპლინის ჩამოყალიბების ისტორია

პოლიტიკის ანალიზი, როგორც პროფესიონალური დარგი და დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა არსებობის დაახლოებით ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. მხოლოდი ანალიტიკისთვის 2004 წელი ორი მნიშვნელოვანი მოვლენით იყო აღსანიშნავი: გავიდა ზუსტად 55 წელი მას შემდეგ, რაც 1948 წელს შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა მსოფლიოში უდიდესი ანალიტიკური სამსახური „რენდ კორპორეიშენი“ და 35 წელი – იმ მომენტიდან, რაც ავტომატიზაციის კალიფორნიის უნივერსიტეტში – ბერკლიში ჩაიკითხა კურსი - პოლიტიკის ანალიზში.

პოლიტიკის ანალიზის დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის სახით ჩამოყალიბება

<sup>3</sup> ერთგვარი „პიბრიდული“ ხასიათის გადაწყვეტილება.

<sup>4</sup> ჯალიაშვილი ჯიმი. პოლიტიკური პროგნოზირება. თბილისი, 1995. გვ. 15.

<sup>5</sup> მაცაბერიძე მ. საზოგადოების სტაბილურობა და მისი მიღწევის გზები. პოლიტოლოგის საკითხები. თბილისი. 1994 წ. გვ. 17

გასული საუკუნის შუა წლებით თარიღდება. თუმცა, პოლიტიკის ანალიზს, როგორც ასეთს, უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი საფუძვლები ჯერ კიდევ პროტოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ეპოქაში ისახება, როცა იწყება მართვის განსაკუთრებული ფუნქციებისა და სპეციალიზირებული ადმინისტრაციული აპარატის ფორმირება.<sup>6</sup> თავდაპირველად, ასეთი ცოდნა ძირითადად პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გროვდებოდა და თაობიდან თაობას სხვადასხვა ტრადიციებისა და ზეპირი გამოცდილების საშუალებით გადაეცემოდა. სოციალური ორგანიზაციის გართულებასთან და სახელმწიფო მართვის კომპლექსურობის ზრდასთან ერთად, ჩნდება ქურუმებისა და მრჩევლების, როგორც განსაკუთრებული პოლიტიკურ-მმართველობითი ცოდნის მფლობელთა და მატარებელთა კასტა, რომელთა მოღვაწეობა, როგორც წესი, საკმაოდ ფარული და გასაიდუმლოებული იყო. პოლიტიკური აზრის ადრეულ ნიმუშებში ხდება სახელმწიფო მართვის პრაქტიკული საკითხებით დაინტერესება, მართვის იდეალური რეცეპტებისა და რჩევების ჩამოყალიბება. ასეთ ადრეულ თხზულებათა შორის შეიძლება დასახელდეს ინდოელი მეფის ჩანდრაგუტპის მრჩევლის, კაუტილიის ბრაჟმანის ნაშრომი „არხაშასტრა“ და ჩინელი ფილოსოფოსისა და სახელმწიფო მოღვაწის შან იანის (IV-III საუკუნეები ჩვ.წ.აღ-მდე) თხზულება „შან ცზიუნ შუ“ (შანის ოლქის მმართველის წიგნი). ამ კუთხით განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ძველი საპერძენეთის პოლიტიკური აზრის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიც პლატონი და არისტოტელეა. პირველი მათგანი, მართალია არცთუ დიდი წარმატებით, მაგრამ მაინც კონსულტირებას უწევდა სირაკუზის მმართველებს, მეორე კი ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი და დამრიგებელი იყო.

შუა საუკუნეებში ფეოდალურ სახელმწიფოების მმართველთა სასახლეებში მრჩევლების მოვალეობას ძირითადად სასულიერო პირები ასრულებდნენ, მაგრამ აღმოჩენების ხანიდან იწყება მათი საერო პირებით ჩანაცვლების პროცესი. პოლიტიკური ცოდნის პრაგმატული ხასიათის ზრდის საუკეთესო მაგალითს იძლევა XVI საუკუნის იტალიელი მოღვაწის ნიკოლო მაკიაველის ნაშრომები, რომლებშიც ავტორი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და ქმედებების გასამართლებლად უარს ამბობს თეოლოგიურ-მორალისტურ სქემაზე და პოლიტიკურ მოღვაწეობას მთლიანად რაციონალურ-პრაგმატული მოდელის საფუძველზე აგებს. თუმცა, ამ გაგებით გარღვევა უკვე სამრეწველო რევოლუციის პერიოდში განხორციელდა. როგორც პოლიტიკის ანალიზის ისტორიის შესწავლით დაკავებული ზოგიერთი სპეციალისტი, მათ შორის უ. დანი შენიშნავს, ეს სოციალური ცოდნის დაგროვება-განვითარებაზე მეტად განპირობებული იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანდათანობითი გართულებითა და ეპოქის ახალი გამოწვევებით - ინდუსტრიალიზაციასთან, ურბანიზაციასთან, მოსახლეობის მასობრივ მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობის შეგნებით<sup>7</sup>. ამ პრობლემების გადაწყვეტა ხელისუფალთაგან მოითხოვდა მეცნიერულად შემონმებულ, სანდო ეკონომიკურ და სოცილურ ინფორმაციაზე დამყარებულ გადაწყვეტილებათა შემუშავებას, რამაც ბიძგი მისცა ემპირიული და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების შემუშავებას. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ზოგიერთ ქვეყანაში დაიწყო მოსახლეობის აღნერა (მოსახლეობის პირველი აღნერები აშშ-ში — 1790 წელს, ინგლისში კი — 1801 წელს განხორციელდა). სტატისტიკოსებს იწვევენ სახელმწიფო მრჩევლებად ამა თუ იმ სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე. XIX საუკუნის დასასრულს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ პოლიტიკური არგუმენტაცია ემპირიული მონაცემებით უნდა იყოს გამყარებული, სულ უფრო დომინირებული ხდება.

XX საუკუნეში პოლიტიკის ანალიზის განვითარება ახალ ფაზაში შედის, იწყება მისი თანდათანობითი პროფესიონალიზაციის, საუკუნის მეორე ნახევრიდან კი უკვე ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, საექსპერტო გარემოსა და შესაბამისი სამეცნიერო საზოგადოებრიობის ჩამოყალიბება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრაქტიკოს-ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი უნივერსიტეტის წრეებშიც შედიოდა. პოლიტიკის თეორიასა და სახელმწიფო მართვის პრაქტიკას შორის თანხვედრას ყველაზე უფრო კარგად გამოხატავს შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მაგალითი, რომელმაც საკუთარი კარიერა პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა და სახელმწიფო მართვის პროფესიონალიზაციის დაიწყო. სამეცნიერო წრეების იმ წარმომადგენლებს შორის, რომელებიც აქტიურ მოაწილეობას ღებულობდნენ სახელმწიფო მოღვაწეობასა და მართვის პროცესში, შეიძლება დასახელდეს რ. გილფერდინგი (გერმანია), უ. შუმპეტერი და ო.ბაუერი (ავსტრია) ბ.ჩიჩერინი და პ.სოროკინი (რუსეთი)<sup>8</sup>.

მთელი XX საუკუნის განმავლობაში პოლიტიკის ანალიზში „საკანონმდებლო მოდას“

<sup>6</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3.

<sup>7</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ.36

<sup>8</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3.

ძირითადად განსაზღვრავდა შეერთებული შტატები, სადაც ანალიტიკურ პროდუქციაზე მოთხოვნა ორგანულად ემთხვეოდა საუნივერსიტეტო და თეოროული წრეებისგან შემოთავაზებულ წინადადებებს. ჯერ კიდევ რუზველტის „ახალი კურსის“ წლების პერიოდში ქვეყანაში გაჩნდა რამდენიმე სახელმწიფო სააგენტო, რომელიც ემსახურებოდა სახელმწიფო პოლიტიკის (პალკეული მიმართულებების ინტელექტუალური დასაბუთების უზრუნველყოფას<sup>9</sup>). მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე იზრდება ინტერესი და ჩნდება მოთხოვნილება ანალიტიკურ პროდუქციაზე (ე.წ. ოპერაციების კვლევა და ქსელური გეგმა-გრაფიკები) ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამხედრო დაგეგმარება და სახელმწიფო მართვა, ასევე სამხედრო-პოლიტიკური პროპაგანდა და საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირება. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამ სფეროებში აშშ-ში დაკავებული იყვნენ ცხობილი პოლიტოლოგები — გაბრიელ ალმონდი და ჰერბერტ ლასუელი. კიდევ უფრო ფართო გაქანება პოვა პოლიტიკის ანალიზმა უკვე ომისშემდგომ პერიოდში, რაც მეტნილად სსრკ-სთან ბირთვული წინააღმდეგობით იყო განპირობებული. აშშ-ში დაიწყო სახელმწიფო ანალიტიკური ცენტრების - „ტვინის ტრესტებისა“ (brain trusts) და „აზრის ფაბრიკების“ (think tanks) ჩამოყალიბება. 1948 წელს დაფუძნდა რენდ კორპორეიშენი (Rend Corporation), რომელმაც სამხედრო-საპარო ძალების სამინისტროსგან მაშინვე მიიღო დაკვეთა რიგი თავდაცვითი პროექტების შემუშავებაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ სწორედ Rend Corporation-ში შემუშავდა მსოფლიოში პირველი სახელმძღვანელოები პოლიტიკის ანალიზში. ცოტა მოგვიანებით გაჩნდა ფონდი „მემკვიდრეობა“ (Heritige Foundation), ურბანისტეტის ინსტიტუტი (Urban Institute), კატოს ინსტიტუტი (Cato Institute) და სხვა კვლევითი და სამეცნიერო დაწესებულებები. შედეგად, 1960-იანი წლების ბოლოსთვის შეერთებულ შტატებში უკვე ფორმირებული იყო პოლიტიკის ანალიზის მთელი ინდუსტრია, უმეტესწილად არასახელმწიფო სექტორში არსებული, რომელმაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა პოლიტიკურ-ანალიტიკური მეთოდოლოგიისა და ტექნიკების, სამეცნიერო ინსტრუმენტარიის შემუშავებაში. ამ თეზისის ილუსტრირებისთვის საკმარისია თუნდაც იმ ფაქტის მოყვანა, რომ Rend Corporation-ის ბაზაზე ჩამოყალიბდა ისეთი მეთოდიკები, როგორიცაა სისტემა „პროგრამირება-დაგეგმარება-ბიუჯეტირება“ (PPBS — Programming — Planning — Budgeting System), დელფოსის ჯუფური და ინტერაქციული საექსპერტო შეფასების სისტემა, ასევე ანალიტიკური მეთოდიკების მთელი კომპლექტი ხარჯ-სარგებლისა (cost-benefit analysis) და ხარჯ-ეფექტურისა (cost-effectiveness analysis) ანალიზის ჩათვლით. ამ მოძრაობამ თავისებური სახელი — „ანალიტცენტრისტული მოძრაობაც“ (analycentric movement) კი შეიძინა. ანალიტცენტრისტული მოძრაობის სუსტ მხარებად მისი აშკარად გამოხატული ტექნოკრატიზმი, მათემატიკური მოდელებით „ზედმეტი გატაცება“ მიიჩნევა, რაც პოზიტივისტული სკოლის გავლენით აიხსნება.

სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლების გარდა, ანალიტიკურ ცენტრებში მოლვანეობდა არაერთი მათემატიკოსი, ინჟინერი და სხვა დარგის წარმომადგენელი, რომლებმაც პოლიტიკის ანალიზში შემოიტანეს კვლევის არა მარტო მკაცრი ფორმალიზებული მეთოდები და ტექნიკები, არამედ ამ დარგებისთვის დამახასიათებელი სამეცნიერო აზროვნების სტილიც. ცნება ანალიზი ტექნოკრატების მიერ გაიაზრებოდა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, რაც საკვლევი ობიექტის შემადგენელ ელემენტებად დაშლა-დეკომპოზიციაში მდგომარეობდა. შედეგად, პოლიტიკის ანალიზი აქსიოლოგიური შეფასებების მიმართ სრულიად გულგრილი აღმოჩნდა. ანალიტიკურ მუშაობაში იგნორირებული იყო ლირებულებითი და მორალურ კრიტიკიუმები, ისევე როგორც სოციალ-პოლიტიკური გარემოს გავლენა მმართველობით პროცესის ანალიზის დროს. ამ წაკლოვანებების დაძლევა მხოლოდ შემდგომ პერიოდში, ძირითადად ბიპევიორიზმის გავლენით, მოხერხდა. დღეს პოლიტიკის ანალიზი აქსიოლოგიური შეფასებების გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია.

ოფიციალურად, შეერთებულ შტატებში პოლიტიკის ანალიზის ინსტიტუციონალურ დონეზე გაფორმება 1951 წლიდან იწყება, როცა გამოვიდა საავტორო კოლექტიური ნაშრომი ჰ. ლასუელისა და დ. ლერნერის რედაქტორობით. ამით ფაქტობრივად, სათავე დაედო ე.წ. პოლიტიკურ-მმართველობით მოძრაობას (policy movement). ნაშრომის შესავალ სტატიაში აღნიშნულ მოძრაობას დაეკისრა ისეთი ფუნქციების შესრულება, როგორიცაა, ერთი მხრივ, საჯარო გადაწყვეტილებათა ეფექტურობის ამაღლებისათვის ხელის შეწყობა, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო მართვის პრაქტიკაში დემოკრატიული პრინციპებისა და პუმანისტური ფასეულობების დანერგვა-განვითარება. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა პოლიტიკურ-

<sup>9</sup> რესურსების დაგეგმვის ნაციონალური საბჭო, ფედერალური საბინაო კომისია, საზოგადოებრივი სამსახურის ადმინისტრაცია

მმართველობით პროცესის დემოკრატიული თეორიასთან შესაბამისობაში მოყვანა<sup>10</sup>. 1960-70-ან წლებში კი ხდება პოლიტიკის ანალიზის, როგორც საუნივერსიტეტო სასწავლო დისციპლინის, ინსტიტუციონალიზაცია. 60-იან წლების ბოლოს ჯერ კალიფორნიის (ბერკლის), შემდეგ კი სხვა წამყვან ამერიკულ უნივერსიტეტებში იქმნება სპეციალიზირებული კურსები და პროგრამები პოლიტიკის ანალიზში, იწყება მაგისტრანტებისა და დოქტორების მომზადება ამავე სპეციალობით. ამავე დროს, თანდათანობით ფეხს იყიდებს მეორე არანაკლები მნიშვნელობის მქონე პროცესი - პოლიტიკის ანალიზის განსაკუთრებულ პროფესიულ სფეროდ გადაქცევა სახელმწიფო ფედერალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ ორგანოებში იწყება ანალიტიკური ქვედანაყოფების გაფართოება, სახელმწიფო ორგანოების საშტატო განრიგში ჩნდება სტანდარტული ერთეული - ანალიტიკოსი (analyst)<sup>11</sup>. შეერთებულ შტატებში ეს პროცესი 1970-80-იან წლებს ემთხვევა. ამავე პერიოდში იქმნება რიგი ახალი უურნალები, რომლებიც პოლიტიკურ-მმართველობით პრობლემატიკასა და მმართველობით-პოლიტიკური კურსის ანალიზის საკითხებზეა ორიენტირებული. ესენია: 'Policy Sciences~, 'Policy Studies Journal~, 'Policy Studies Review~, 'Journal of Policy Analysis and Management~ და სხვები. დღეს შეერთებულ შტატებში ამ პროფესიის დაახლოებით 400-მდე უურნალი გამოიცემა. 60-70-იან წლებს ემთხვევა ასევე ამ დარგში ახალი პროფესიული ასოციაციების შექმნაც. მაგალითად, „პოლიტიკურ-მმართველობითი კვლევების ასოციაცია“ (Policy Studies Organization), რომელიც ძირითადად პოლიტოლოგებს აერთიანებს და „პოლიტიკის ანალიზისა და მენეჯმენტის დისციპლინათშორისი ასოციაცია“ (Association of Public Policy Analysis and Management), რომელშიც ამჟამად დაახლოებით ორი ათასი პრაქტიკოსი ანალიტიკოსია განვივრიანებული.

ევროპაში პოლიტიკის ანალიზის ინსტიტუციონალიზაცია გაცილებით უფრო მშვიდად მიმდინარეობდა. არაერთგვაროვანი იყო მისი დამკვიდრების ტემპი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. გერმანელი პოლიტოლოგის ჰ.ვოლმანის აზრით, პოლიტიკის ანალიზის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, გავრცელებისა და დამკვიდრების ტემპი დამოკიდებული აღმოჩნდა 4 ფაქტორზე: ანალიტიკურ პროდუქტიაზე მოთხოვნილების არსებობაზე, სახელმწიფო მართვის ისტორიულად დამკვიდრებულ ორგანიზაციულ მოდელებსა და რეგლამენტებზე, სამეცნიერო საზოგადოებრიობის პროფესიონალიზმა და მათ მზადყოფნაზე ჩართულიყვნენ ანალიტიკურ საქმიანობაში. ამ მხრივ, სამაგალითოა ინგლისის გამოცდილება, სადაც პოლიტიკის ანალიზის გამოყენება ხელისუფლებაში მარგარეტ ტეტჩერის მოსვლისთანავე დაიწყო. აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვარება და ექსპერტიზა, ხოლო 1983 წელს მოხდა პოლიტიკური შეფასების (ცენტრალური სამსახურის ლიკვიდაციაც, რომელიც თავის დანიშნულებას ვერ ამართლებდა.

ზოგადად, პოლიტიკის ანალიზის სამეცნიერო დისციპლინის სახით ჩამოყალიბება ევროპაში გასული საუკუნის 80-იან წლებს ემთხვევა. ამავე პერიოდში, თუნდაც უკვე დასახელებული დიდი ბრიტანეთის მთელ რიგ უნივერსიტეტებში (ბირმინგემი, ბრისტოლი, სტრატჩელაიდი, ლონდონი და სხვები), ჩნდება საუნივერსიტეტო კურსები პოლიტიკის ანალიზში, იქმნება სპეციალური პროგრამები სახელმწიფო მართვაში. აკადემიური მეცნიერების და პრაქტიკული პოლიტიკის ინტეგრაციისა და პოლიტიკის ანალიზის მუნიციპალურ მენეჯმენტში გამოყენების დიდი გამოცდილება დაგროვდა იორკის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). სახელმწიფო მართვის სამაგისტრო პროგრამის დანერგვასთან ერთად, აქ შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის კონსორციუმი, რომელშიც მუნიციპალური მართვის საუნივერსიტეტო ცენტრიც გაერთიანდა. ეს უკანასკნელი აქტიურ საექსპერტო-ანალიტიკურ მუშაობას ეწევა ადგილობრივი მართვის სისტემის უფექტური ფუნქციონირებისათვის. თუმცა, ზოგადად, შეერთებული შტატებისგან ჩამორჩენა ამ სფეროში ევროპის კონტინენტზე ბოლომე მაინც ვერ იქნა დაძლეული. დღემდე ამ დისციპლინის განვითარების კუთხით ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება. პოლიტიკის ანალიზი, როგორც დისციპლინა, გასული საუკუნის შუა წლებში გაჩნდა, სოციალური დაკვეთის ფორმირებასთან დაკავშირდით. პოლიტიკური სისტემის განვითარებამ და გართულებამ სხვადასხვა დონეზე (ფედერალურიდან მუნიციპალურამდე) ჩამოაყალიბა მოთხოვნა ანალიტიკაზე, შექმნა დაკვეთა ანალიტიკოსზე. უფრო მეტიც, პოლიტიკური სისტემის ამ დაკვეთამ გამოკვეთა კიდეც პოლიტიკის ანალიზის და საერთოდ ანალიტიკური მოღვაწეობის ძირითადი კონტურებიც.

ზოგიერთი რუსი მეცნიერი საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკის ანალიზის განვითარებაში

<sup>10</sup> Шафрітц Дж., Хайд А. (ред.).2003. Классики теории государственного управления: Американская школа. М. 436

<sup>11</sup> Дрор Й. 2003. Политический аналитик: Новая профессия на службе у государства. — Шафрітц Дж., Хайд А. (ред.). Классики теории государственного управления: Американская школа. М. 367

არსებული შეფერხებების ასახსნელად ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ პოლიტიკის ანალიზი, რომელიც სახელმწიფო პროგრამების თანხლები და შემფასებელი მოღვაწეობაა, აქტიურად განვითარდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1960-იან წლებში დასავლეთის ქვეყნების მთავრობებმა, უპირველეს ყოვლისა კი შეერთებულმა შტატებმა, დაინერების მიზნობრივი პროგრამების განხორციელება სიღარიბის ნინააღმდევ. თუმცა, მეცნიერებამ მისი საჭიროება გაცილებით ადრე გააცნობიერა. სხვა სიტყვებით, დისციპლინის განვითარებას რეალური ბიძგი მისცა ხელისუფლებამ. ცხადია, რომ არა სამეცნიერო საზოგადოების მობილიზაცია და მანამდე არსებული ცოდნის უტილიზაცია, ხელისუფლების მოთხოვნილება ანალიტიკაზე ვერ დაკამაყოფილდებოდა. ამის გამო, რუსი მეცნიერები თავს იმშვიდებენ დასავლური გამოცდილებით და მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებას პოლიტიკის მეცნიერული უზრუნველყოფის სურვილი აუცილებლად გაუჩნდება. მანამდე კი საჭიროა თავად მეცნიერებმა შეამზადონ საჭირო ნიადაგი ხარისხიანი ანალიტიკის შესაქმნელად, რადგან აღიარებული თვალსაზრისის თანახმად, როცა ხელისუფლებას რჩევის მოთხოვნილება გაუჩნდება, ანალიტიკოსები ასეთ მოთხოვნას მომზადებული უნდა დახვდნენ. შესაბამისად, პირველი ნაბიჯის გადადგმა მაინც ანალიტიკოსებზე დამოკიდებული. რუსი მეცნიერების შენიშვნით, დღევანდელი რუსეთი გასული საუკუნის 60-იანი წლების დასავლეთის ქვეყნებს ჩამოჰვავს. ეს ის პერიოდია, როცა ანალიტიკოსების ნებისმიერი სახის შეთავაზება ხელისუფლებისათვის შესაძლებელია ყველაზე მოთხოვნადი აღმოჩნდეს. ანალოგიური შესაძლებელია გავიმეოროთ საქართველოსთან მიმართებაშიც. ამიტომ, პოლიტიკის ანალიზის განვითარებაზე ზრუნვა პირველი რიცის ამოცანაა.

## პოლიტიკის ანალიზი: ძირითადი ცნობები

**ისტორიული კონტექსტი –** ტერმინი policy ისეთივე ეტიმოლოგიური საწყისები აქვს, როგორც police და politics. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრ თანამედროვე ენაში, მათ შორის რუსულსა და გერმანულში, ტერმინებს policy და politics ერთი შესატყვისი გააჩნიათ და გამოიხატება ერთი სიტყვით, გერმანულში – Politik, ხოლო რუსულში – სიტყვით პოლიტიკა.

ეტიმოლოგიურად, ტერმინი policy მომდინარეობს ბერძნული, სანსკრიტული და ლათინური ენებიდან. ბერძნული და სანსკრიტული ფუძე – პოლისი (ქალაქ-სახელმწიფო) და პუर (ქალაქი) ლათინურ ენაში ტრანსფორმირდა პოლიტეად (სახელმწიფო), ხოლო უფრო მოგვიანებით, შუა საუკუნეების ინგლისურ ენაში გადავიდა პოლისის სახით (policie), და მასში იგულისხმებოდა საჯარო ურთიერთობები და სახელმწიფო მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები: სახელმწიფო, რეგულირება, პოლიტიკური კურსი და ა.შ. სწორედ ამ ფაქტორებით შეიძლება აიხსნას ის ორაზროვნება და ერთგვარი გაურკვევლობა, რაც პოლიტიკურ მეცნიერებას, სახელმწიფო მართვასა და პოლიტიკურ-მართველობითი მეცნიერებების დისციპლინათა შორის ზუსტი საზღვრების დადგენასა და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს უკავშირდება. თითოეული ამ დისციპლინათაგანი მქიდროდაა დაკავშირებული როგორც ერთ, ისე მეორე ცნებასთან, რომელიც სხვადასხვა ენაში, ხშირ შემთხვევაში, ერთი სიტყვით - პოლიტიკით აღინიშნება.

ფრანგი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი, სოციოლოგი და პუბლიცისტი რაიმონ არონი თავის ნაშრომში „დემოკრატია და ტოტალიტარიზმი“ ეხება ტერმინ „პოლიტიკის“ ფრანგულ ენაზე გადმოთარგმნისას წარმოქმნილ პრობლემებს. არონი აღნიშნავს: „ტერმინ „პოლიტიკაში“ დებენ ბევრ აზრს. საუბრობენ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რიშელიეს პოლიტიკაზე, პოლიტიკაზე ღვინის თუ ლერნმის წარმოების დარგში. ამ ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობებს შორის საერთოს გამონახვის მცდელობის მიზნით, ყველაზე კარგია ენდო საკუთარ ინტუიციას ამ ტერნიმის გაგებისას“<sup>12</sup>.

არონი ყურადღებას ამახვილებს ფრანგულ ენაზე ერთი სიტყვით - „პოლიტიკით“ გადმოთარგმნილი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ცნებების policy და politics შორის არსებულ სამ ძირითად სხვაობაზე. არონის შენიშვნით, თითოეულ ამ ცნებას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და მართლაც, თუკი ინგლისელები ხმარობენ policy და politics სხვადასხვა მნიშვნელობით, ფრანგულ ენაზე ეს ორივე სიტყვა „პოლიტიკად“ იხმარება. რაიმონ არონის მიხედვით, სხვაობა ამ ტერმინებს შორის შემდეგია: Policy ესაა კონცეფცია, მომავალ

<sup>12</sup> Арон Р. Демократия и тоталитаризм.- М., 1993. Перевод с французского Г.И.Семенова

მოქმედებათა პროგრამა, ზოგჯერ კი თავად ცალკეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფისა და მთავრობის მოქმედებები. მაგალითად, პოლიტიკა ალკოპოლის სფეროში - ესაა მოქმედებათა მთელი პროგრამა, რომელიც უშუალოდ ამ მოცემული პრობლემასთან მიმართებაში გამოიყენება და გულისხმობს, აგრეთვე წარმოებული პროდუქციის გადაჭარბების ან პირიქით, შეუსრულებლობის, არსებული რესურსების ნაკლებობის პრობლემას. რიშელიეს პოლიტიკაზე საუბრისას, მხედველობაში აქვთ მისი შეხედულებები ქვეყნის ინტერესებზე, ამ პიროვნების მიზნები, რომლის მისაღწევადაც ის იღწვოდა, ასევე ის მეთოდები, რომლითაც ის ხელმძღვენელობდა. შესაბამისად, ერთი მნიშვნელობით, პოლიტიკა (ინგლისური Policy), - ესაა პროგრამა, მოქმედებათა მეთოდი ანდა თავად მოქმედებები, რომლებიც განხორციელებულია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ იმ პრობლემის, ან პრობლემათა ერთობლიობის დასაძლევად, რომელიც საზოგადოების გარკვეული სოციალური ერთობის წინაშე დგას. მეორე მნიშვნელობით, სიტყვა „პოლიტიკა“ (ინგლისური politics) ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროს, სადაც ერთმანეთს კონკურიანციას უწევენ ან უკუქმედებენ, ეწინააღმდეგებიან სხვადასხვა პოლიტიკური (policy-ის მნიშვნელობით) მიმართულებები, პოლიტიკური კურსები. ამ მეორე მნიშვნელობით არონის მიერ ცნება პოლიტიკა აღიქმება როგორც პოლიტიკური შეჯახებებისა და ბრძოლის ერთგვარი არენა, სფერო, რომლის შიგნითაც იბრძვიან სხვადასხვა ინდივიდები და ჯგუფები, რომელთაც აქვთ საკუთარი კერძო პოლიტიკური კურსი ე.ი. საკუთარი მიზნები, საკუთარი ინტერესები, და უფრო მეტიც, საკუთარი მსოფლიმებედველობა. მაშასადამე, არონის განმარტებით, პოლიტიკა მეორე მნიშვნელობით, ესაა სხვადასხვა მიზნებს, ინტერესებისა და მსოფლიხედველობას შორის მიმდინარე ბრძოლის ასპარეზი.

აქვე, ამ ტერმინებს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, არონი ყურადღებას ამახვილებს ფიქსირებულ კავშირზეც მათ შორის და აცხადებს, რომ განსხვავების მიუხედავად, ეს ცნებები ურთიერთდამოკიდებულია. არონი ასევე აღნიშნავს, რომ ერთი პოლიტიკური კურსი, რომელიც განისაზღვრება როგორც მოქმედებათა პროგრამა, ყოველთვის შეიძლება სხვა პოლიტიკურ კურსებთან მოვიდეს წინააღმდეგობაში და შეჯახოს მას. მოქმედებათა პროგრამები ყოველთვის როდია შეთანხმებული ერთმანეთთან, აცხადებს ფრანგი მეცნიერი და დასძენს, რომ ამ გაგებით, პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, საკმაოდ „გადატვირთულია“ როგორც კონფლიქტებით, ისე კომპრომისებით. თუკი პოლიტიკური კურსები, ე.ი. მიზნები, რომლის მიღწევისკენაც სხვადასხვა პირები და ჯგუფები მიიღწევიან, სრულიად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ამას მიყყავართ უკომპრომისო ბრძოლამდე, ისე, რომ საზოგადოება არსებობას შეწყვეტს. ამავე დროს, პოლიტიკური ერთობა ათანხმებს გეგმებს, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ ნაწილობრივ ეწინააღმდეგება და ნაწილობრივ თავსებადია. მმართველებს აქვთ მოქმედების პროგრამები, რომელიც მართულების მხრიდან მხარდაჭერის გარემო შეუძლებელია ცხოვრებაში განხორციელდეს. ქვეშევრდომები, იშვიათად თუ ხდება ისე, რომ ერთხმად ეთანხმებოდნენ, და ინონბედნენ მმართველთა წინადადებებს, ანუ მათ ხედვას ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების თაობაზე, რომლებსაც უნდა ემორჩილებოდნენ. ბევრი კეთილმოსურნე ადამიანი ფიქრობს, თითქოს პოლიტიკა, როგორც მოქმედებათა პროგრამა კეთილშობილურია, ხოლო პოლიტიკა, როგორც პროგრამათა შორის ბრძოლის ასპარეზი, სხვადასხვა პირებისა და ჯგუფების პროგრამების შეჯახების ასპარეზი — ზნედაცემული. თუმცა არონი აქვე იმასაც აცხადებს, რომ წარმოდგენა უკონფლიქტი პოლიტიკაზე, როგორ მმართველების მოქმედებათა პროგრამაზე, მცდარია, რადგან თითოეული პოლიტიკური კურსი და მიზანი, რომლის პრაქტიკულ განხორციელებასაც მმართველი ამ პოლიტიკური კურსის საშუალებით გეგმავს, პირველ რიგში მის პირად, კერძო ინტერესებზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე საზოგადობრივზე. შესაბამისად, პოლიტიკური კურსი თავისი არსით, წინააღმდეგობრივ ბუნებას სულაც არაა მოკლებული.

არონის დაკვირვებით, პოლიტიკას როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროსა და პოლიტიკას, როგორც მოქმედებათა პროგრამას შორის, არსებობს სამი სახის განსხვავება, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: პოლიტიკა როგორც მოქმედებათა პროგრამა და პოლიტიკა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო ურთიერთდაკავშირებულია, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება – ეს ის სფეროა, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება მოქმედებათა პროგრამები; პოლიტიკა-დღევანდელობა-რეალობა და პოლიტიკა-აღქმა-გაგება-შემეცნება ასევე ურთიერთდამოკიდებულია, რადგან შემეცნება დღევანდელობის შემადგენელი ნაწილია; და ბოლოს, პოლიტიკას, როგორც კერძო სისტემას მივყავართ პოლიტიკამდე, რომელიც მთელს საზოგადოებას მოიცავს, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კერძო სისტემა ახდენს გარკვეულ გავლენას მთელს საზოგადოებაზე.

ნაშრომის ამავე თავში რაიმონ არონი ყურადღების მიღმა არ ტოვებს პოლიტიკის მესამე მნიშვნელობას – polity, რომელიც ეტიმოლოგიურად ბერძნული “politeia”-დან მომდინარეობს და

მისი დახმარებით უფრო მეტი სიცხადე შეაქვს პოლიტიკის ზემოთ აღნიშნულ ორ ცნებას შორის არსებულ განსხვავებებში. თავისი არსით polity ესაა ის, რასაც ბერძნები რეჟიმს, „პოლის“ უწოდებდნენ. ფართო მნიშვნელობით, ესაა განსაკუთარებული სისტემა, რომელიც გასაზღვრავს მმართველობისა და ხელისუფლების რეალიზაციის საშუალებებს, თუმცა ამავდროულად ეს თითოეულ საზოგადოებაში ადამიანთა შორის ურთიერობის საშუალებების განმსაზღვრელიცაა. არონის შენიშვნით, პოლიტიკის მესამე მნიშვნელობის დაზუსტების შემდეგ, განსხვავება პოლიტიკას როგორც მოქმედებათა პროგრამასა და პოლიტიკას, როგორც საზოგადოებრივი ბრძოლის არენას შორის ცხადი ხდება. პოლიტიკა თავისი პირველი მნიშვნელობით, შესაძლებელია გამოვლინდეს სხვადასხვა სახით და გზით: პოლიტიკა იმ პიროვნებებისა და ჯგუფების, ვინც საკუთარ ხელში მოაქცია ძალაუფლება და ახორციელებს მას; პოლიტიკა მათი, ვინც ჯერ არ ფლობს ხელისუფლებას და სურვილი აქვს მას დაეპატრონოს; იმ ადამიანთა და ჯგუფების პოლიტიკა, რომლებიც თავიანთ კერძო მიზნებს მისდევენ და იხრებიან საკუთარი შეთოდებისა და საშუალებების გამოყენებისკენ და ბოლოს, თავად ამ რეჟიმის შეცვლისკენ მიმართულ პირთა და ჯგუფთა პოლიტიკა, რომელებიც ამ რეჟიმის შეცვლისთვის იღწვიან. ეს ყველაფერი არსებითად არის ვინწრო თუ გლობალურ მოქმედებათა პროგრამები. არონის შენიშვნით, პოლიტიკა განსაზღვრავს სოციალური ერთობის არა მარტო რომელიმე ნაწილს, არამედ მთელი საზოგადოების სახესაც. შესაბამისად, არონი აღიარებს პოლიტიკის პრიმატს საზოგადოების განვითარებაში.

პოლიტიკა (POLICY), ვებსტერის ენციკლოპედიის მიხედვით, განმარტებულია, ერთი მხრივ, როგორც კეთილგონიერება ან სიბრძნე საჭირო ამა თუ იმ საქმეთა სამართავად, მეორე მხრივ კი, პროცედურა, რომელიც უპირატესად მატერიალურ ინტერესებს ეფუძნება. ამავე დროს, პოლიტიკა განიმარტება როგორც განსაზღვრულ მოქმედებათა კურსი ან მეთოდი, შერჩეული მრავალ ალტერნატივათა შორის, რომელიც მოცემულ პირობებში ყველაზე საუკეთესოდ წარმართავს და განსაზღვრავს მიმდინარე და მომავლის გადაწყვეტილებებს. ვებსტერის ენციკლოპედიაშივე პოლიტიკა განმარტებულია როგორც ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც მოიცავს ზოგად მიზნებსა და უპირატესად სახელმწიფო ორგანოთა და მათ წარმომადგენერალთა მიერ მისაღებ პროცედურებს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამეცნიერო თუ სხვა სახის ლიტერატურაში, მკვეთრი ზღვარი ივლება ისეთ ტერმინებს შორის როგორიცაა გეგმა, პროგრამა და პოლიტიკა (პოლიტიკური კურსი). განსხვავებულია თითოეული ამ ტერმინის ინტერპრეტაციაც: სხვადასხვა წყაროში განსხვავებული განმარტებები გვხვდება, თუმცა თითოეული მათგანის ზოგადი მახასიათებლების გამოყოფა სავსებით შესაძლებელია. გვემა, როგორც ამას კარლ პეტონი და დევიდ სავიცკი განმარტავენ, ხშირ შემთხვევაში გაგებულია, როგორც სასურველ დასასრულამდე მისაღწევად გამოყენებულ მოქმედებათა ზოგადი სქემა ან პროცედურათა ერთობლიობა, მაშინ როცა პოლიტიკა წარმოიდგინება როგორც უპირატესად სახელმწიფო ორგანოთა და ინსტიტუტთა მიერ გატარებულ მოქმედებათა დადგენილი კურსი. რაც შეეხება პროგრამას, მასში იგულისხმება სპეციფიკურ, კონკრეტულ ნაბიჯთა ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის რეალიზაციის მიზნითა და დასახულ მიზანთა მისაღწევად ხორცილდება<sup>13</sup>. ამგვარად, გეგმა შედგება კურსებისა და პროგრამებისგან და ამ სამ ცნებას შორის ყველაზე ფართო ხასიათს ატარებს. სწორედ ამიტომაა, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგიული კურსების გამოსახვა ხდება გეგმების სახით (იქნება ეს ხუთწლიანი, თუ რეანილიანი). აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გეგმას, პოლიტიკურ კურსსა და პროგრამებს შორის არსებულ ამ განსხვავებას ზოგიერთი ავტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს და მათ სინონიმებად იყენებს.

პოლიტიკის ანალიზი შესაძლებელია გაგებულ იქნეს როგორც საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესისა და მისთვის საჭირო ცოდნის წარმოების უზრუნველყოფის მექანიზმი. ამ ფართო გაგებით, პოლიტიკის ანალიზი ისეთივე ძველია, როგორც თავად ცივილიზაცია და მოიცავს კვლევის სხვადასხვაგვარ ფორმებს მისტიციზმითა და ოკულტიზმით დაწყებული, თანამედროვე მეცნიერებით დამთავრებული. პოლიტიკის ანალიზის ასეთი ფართო ფორმულირების უპირატესობა ისაა, რომ ის წარსულში და ამჟამად, პოლიტიკურად რელევანტური ცოდნის წარმოების პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვანაირ მნიშვნელობათა კვლევის საფუძველს იძლევა.

**პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებებს<sup>14</sup> (POLICY SCIENCES) – ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც პოლიტიკის პროფესიონალურ ან ინფორმაციულ-ანალიტიკურ**

<sup>13</sup> Patton Carl, Sawicki David S., Basic Methods of Policy Analysis and Planning, 2/E, გვ.14

<sup>14</sup> 26 основных понятий политического анализа, Полис, 1993, №1, The Dictionary of Political Analysis. Jack C Piano, Robert E.Riggs, Helenah S.Robin. ABC - Clio, Santa Barbara (Calif., USA) - Oxford (Great Britain)

**უზრუნველყოფას<sup>15</sup>.** პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებები კვლევის დისციპლინათ-შორისი დარგია, რომელიც შემეცნების მეცნიერული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით ცდილობს გაუმჯობესოს საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი (public policy making), ასევე ხელი შეუწყოს საჯარო პრობლემების (public problems) გადაწყვეტას. პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებები<sup>16</sup> ამ გაგებით (განსხვავებით „წმინდა მეცნიერებისაგან“), მოიცავს შესაბამისი დისციპლინების „გამოყენებით“ ასპექტებს. საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემათა ფართო სპექტრის გათვალისწინებით, პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებების სფეროში შესაძლებელია ჩართული აღმოჩნდეს მრავალი დისციპლინის წარმომადგენლები. დისციპლინები, რომლის ინტერესებიც ყველაზე უმუალო კავშირშია პოლიტიკურ-მმართველობით მეცნიერებებისათვის დამახასიათებელ მიდგომას-თან შემდეგია: პოლიტიკური მეცნიერება, სოციოლოგია, სამართალი, მენეჯმენტი, ისტორია, საჯარო ადმინისტრირება, რომელიც ხშირად ითარგმნება, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა (public administration) და ა.შ..

პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებების მიერ გამოიყენება სხვა სამეცნიერო დარგებისგან ნასესხები ხერხები, რომელიც თავისი არსით რამდენიმე დისციპლინის გადაკვეთაზე იმყოფება: სისტემური ანალიზი, ოპერაციების კვლევა, კიბერნეტიკა, თამაშის თეორია და სისტემების საერთო თეორია. პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებების წარმომადგენელთა განსაკუთრებული ინტერესის საგანია გადაწყვეტილების მიღების პროცესი სახელმწიფო პოლიტიკაში. ისინი თავიანთ კვლევას აძლევენ ისეთ მიმართულებას, რომ პრობლემის მიზნების ახსნიდან, ალტერნატივების შეფასებიდან, ტენდენციების ამოცნობისა და სიტუაციის ანალიზიდან მკვლევარი გავიდეს ამ პრობლემის გადაწყვეტის პოლიტიკის შემუშავებაზე. პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერება არ განიხილავს და არ ბჭობს ფუნდამენტურ ღირებულებებზე. მისი ინტერესის საგანს უფრო მეტად წარმოადგენს ფაქტობრივი ხასიათის პროპოზიციები, რომლებიც ემპირიულ შესწავლას ექვემდებარება. და მაინც, პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერების წარმომადგენლები თავისებურად მონაწილეობენ მიზნების არჩევაში, მსჯელობენ რა პრობლემის გადაწყვეტის საშულებების სარგებლიანობაზე, იმაზე, თუ როგორია არჩევის ვარიანტთა შესაძლო სპექტრი, ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა სავარაუდო შედეგები.

**რეალური მნიშვნელობა.** პოლიტიკურ სისტემათა უმრავლესობაში, როგორც ისტორიულად არსებულ, ისე თანამედროვეში, გარკვეული ადგილი ეკავათ ექსპერტებს, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ თავისი გამოცდილება და ცოდნა გადაეცათ მათვის, ვინც სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავებდა. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის სახით მისი ჩამოყალიბება მხოლოდ XX საუკუნეში მოხდა. ამ დისციპლინის კონტურები მხოლოდ იყვეთებოდა, როცა ჰ. ლასუელმა 1951 წელს შემოიღო ტერმინი „პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებები“. ამის შემდეგ ლვანლი, რომელიც ცალკეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს პოლიტიკის სამეცნიერო უზრუნველყოფაში შეჰქონდათ, სულ უფრო მეტად ივსებოდა დისციპლინათმორისი თანამშრომლობით. ამის ცხადად დანახვა შესაძლებელია ისეთ დარგში როგორიცაა სისტემის ანალიზი, სადაც შემუშავდა სისტემა „დაგეგმარება-დაპროგრამება-დაფინანსება“. პოლიტიკის მეცნიერული უზრუნველყოფის მომხრები იმედს იტოვებენ, რომ დისციპლინებს შორის საზღვრები შემდგომში კიდევ უფრო ფორმალურ ხასიათს მიიღებს, რაც პოლიტიკური პროცესის შესახებ სამეცნიერო ცოდნის გაცილებით ინტეგრირებული გამოყენების საფუძველს შექმნის. ზოგიერთი კი მის საფუძველზე მომავალში პოლიტიკური მეცნიერების „სუპერდისციპლინის“ სახით ჩამოყალიბებასაც არ გამორიცხავს.

პოლიტიკურ-მმართველობითი დისციპლინები (policy studies) პრაქტიკული თვალსაზრისით უნდა იქნეს გამოყენებული და მიმართულია საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების ყველაზე ეფექტური ალტერნატიული გადაწყვეტილების ძიებაზე, მმართველობითი სისტემის დიზაინისა და ოპერატიულობის გაუმჯობესებისაკენ. კრიტერიუმად აქ გამოდის სოციალური მოგება. ანალიზი გამიზნულია მის პრაქტიკულ გამოყენებაზე, ხოლო მიზანია ეფექტური საჯარო პოლიტიკის უზრუნველყოფა. ამავე დისციპლინების მოთხოვნათა

<sup>15</sup> იმისათვის, რომ პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებები (policy sciences) არ ავტორით ჩვენში ფართოდ დამკვიდრებულ ცნება პოლიტიკურ მეცნიერებასთან (political science) გამართლებული იქნებოდა დასაწყისისთვის მკითხველისთვის შემოგვეთავაზებინა თარგმანის შემდეგი ვარიანტი: **პოლიტიკის მეცნიერული უზრუნველყოფა**, კერძოდ, აქ ლაპარაკია გამოყენებით პოლიტოლოგიაზე. ეს ტერმინი დიდი ხანია, რაც დამკვიდრდა რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. მომავალში policy sciences-ის აღსანიშნავად სწორედ მსაზღვრელს – „პოლიტიკურ-მმართველობითი“ გამოვიყენებთ.

<sup>16</sup> ან მეცნიერება: იხმარება როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში.

თანახმად, მკვლევრები უნდა იყვნენ ნეიტრალურები კვლევის პროცესში და ეხმარებოდნენ მთავრობას ამა თუ იმ მიზნების მიღწევაში. პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერება მიუკერძოებელი უნდა იყოს. პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებების ფუნქციაა პრევენცია, მართვის ეფექტურობის ამაღლება, მიზნის მაქსიმალური მიღწევა მინიმალური დანახარჯებით, ღირებულებითი ორიენტირისგან თავის არიდება. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებები მორალურობის საზღვრებს მიღმა იმყოფება. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებაში გავრცელებული და დამკვიდრებული ეთიკური და პოლიტიკური ნორმების დაცვა-გათვალისწინება აუცილებელია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მრავალ მეცნიერს ეჭვი ეპარება მართვის დემოკრატიულ მეთოდებში და ადმინისტრაციის ერთობის შენარჩუნებასა და ჰარმონიულ თანამშრომლობას ილუზიად უფრო აღიქვამს, ვიდრე რეალობად. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ-მმართველობით მეცნიერებებს აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დანიშნულება.

პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებებისთვის რიტორიკულია კითხვები: სახელმწიფო მართვა უნდა ხორციელდებოდეს არაპროფესიონალების ხელით თუ ამისათვის სპეციალურად მომზადებული ადამიანების მიერ; რომელი უფრო გადამწყვეტია — წარმოსახვა და ინტუიცია თუ მეცნიერება და ცოდნა პოლიტიკურ-მამრთველობით დისციპლინათა საბოლოო მიზნის – მართვის პროცესის ეფექტურობის უზურუნველყოფაში, და ბოლოს, მართვა ხელობა, შესაბამისად, რუტინული პროფესია უფროა თუ ხელოვნებაა, ინტუიციაზე, პირად გამოცდილებაზე დამყარებული მოღვაწეობა?

გადაწყვეტილების მიმღები პირები მუშაობის პროცესში აწყდებიან არასტანდარტულ და არაპროგნოზირებად პოლიტიკურ სიტუაციებს, რომლის გადაწყვეტის შაბლონიც არ არსებობს. ამავე დროს პოლიტიკური ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიმღები პირები ხვდებიან ისეთ პრობლემებს, როგორიცაა დროის შეზღუდულობა-დეფიციტი, არასაკმარისი ინფორმაცია, რესურსების სიმწირე. ამ გაგებით, პოლიტიკურ სიტუაციებთან გამკლავების პროცესში მართლაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ინტუიცია და ხელოვნება, საკუთარი წარმოსახვის უნარი და არტისტიზმი. გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმაციულ-ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ანალიტიკური სამსახურები, განყოფილებები, ანალიტიკოსები, ტექნიკოსები და ა.შ.

პოლიტიკურ-მმართველობით მეცნიერებებში იგულისხმება პოლიტიკური პროცესების ევრისტიკულ შემეცნებაზე ორიენტირებულ აკადემიურ დისციპლინათა ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება საზოგადოების და თავად ადამიანების კვლავწარმოებისა და განვითარების პროცესი, კერძოდ კი, გადაწყვეტილების მიღების სისტემის ფუნქციონირება. ე. დროინ გამოყოფს დარგობრივ მმართველობით ცოდნას (policy-issue knowledge) ანუ მართვის ცალკეულ სფეროებზე ზემოქმედებას და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ცოდნას (policy-making knowledge), რომელსაც საქმე აქვს საჯარო პოლიტიკის განხორციელების საერთო მექანიზმებთან. ცოდნის ეს დარგი აკონტროლებს მის შემადგენელ ნაწილებს და მათ შორის კოორდინაციას უზრუნველყოფს.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების თეორია – ესაა პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერება, რომელიც მულტიდისციპლინარულ საფუძველზე სწავლობს საჯარო პოლიტიკის კანონზომიერებებსა და მექანიზმებს. პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების თეორია დაკავშირებულია, აგრეთვე განსაზღვრულ პრობლემურ სიტუაციებში სახელმწიფო მართვის პროცესის შემუშავებისა, მიღებისა და განხორციელების ეფექტურობის ინტელექტუალურ უზურუნველყოფასთან. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების თეორიას აქვს როგორც ფუნდამენტური, აკადემიური, ისე გამოყენებითი ასპექტები, მოიცავს კვლევას, ორიენტირებულს, ერთი მხრივ, პოლიტიკის არსის ანალიზზე (Analysis of), მეორე მხრივ კი, კვლევას პრაქტიკული რეალიზაციისთვის – ანალიზს პოლიტიკისთვის (Analysis for). პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების თეორია ერთგვარი შემაერთებელი რგოლია ფუნდამენტურსა და გამოყენებით ცოდნას შორის. ის მოქცეულია, ერთი მხრივ, პოლიტიკური თეორიისა (გადაწყვეტილების მიღება ხელისუფლებისა და მართვის მექანიზმები) და შედარებითი პოლიტიკის (შედარებითი კვლევები საჯარო პოლიტიკასა და სახელმწიფო მართვაში) ზღვარზე, მეორე მხრივ კი, შედარებით პოლიტიკასა (პოლიტიკის ანალიზი, ტექნოლოგიების შემუშავება) და პოლიტიკურ მენეჯმენტს, მმართველობით ზემოქმედებას შორის.

**საჭიროა თუ არა პოლიტიკის ანალიზის განსაკუთრებული მეტადისციპლინის სახით ნარმდებენა-განხილვა?** ამ თეორიულ-მეთოდოლოგიურ კითხვაზე პასუხი სამეცნიერო ნეუებში არაერთგვაროვანია. მრავალი მეცნიერი დღეს ხაზს უსვამს ანალიტიკოსთა კვალიფიციური მომზადების მნიშვნელობას, მათი რეალური პროფესიონალური კულტურის

ჩამოყალიბებას. ზოგიერთი ავტორის აზრით კი, პოლიტიკური საზოგადოებრიობის ამოცანა, პირველ რიგში, სწორედ ისაა, რომ შეიქმნას საზღვრები, რომელიც ანალიტიკოსს პოლიტიკის ანალიზისას სტანდარტული, ვერიფიცირებული და ეფექტური ცოდნის ნარმოების საშუალებას მისცემდა. ეს საკითხი მხოლოდ აკადემიური მნიშვნელობის არაა: მისი გადაჭრა საზოგადოებას მართვის ისეთი სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას მისცემდა, რომლის დახმარებითაც ადგილი იქნებოდა სხვადასხვა სოციალური ინტერესების გათანაბრება. მეცნიერება მოცემული ჯგუფის აზრით, პოლიტიკური ანალიტიკა უნდა იყოს როგორც ხელისუფლების, ისე სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორი.

**პოლიტიკური სისტემა (POLITICAL SYSTEM)** ადამიანთა ურთიერთობების მყარი ფორმაა, რომლის საშუალებითაც საზოგადოება იღებს და ცხოვრებაში ატარებს ავტორიტეტულ-სახელისუფლებო გადაწყვეტილებებს. პოლიტიკური სისტემა საზოგადოების სხვა სისტემებისგან განსხვავდება ოთხი მახასიათებლით:

- ის არის უნივერსალური და თავისი ზემოქმედებით მოიცავს მთელ საზოგადოებას. შესაბამისად, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საზოგადოების ყველა წევრზე ვრცელდება;
- ის ფიზიკური იძულების კონტროლის მექანიზმებს ფლობს და საჭიროების შემთხვევაში იყენებს კიდეც მათ;
- მისი უფლებაა გამოიტანოს გადაწყვეტილებები, მიანიჭოს მათ ლეგიტიმური ხასიათი;
- მისი გადაწყვეტილებები ავტორიტეტულ-სახელისუფლებოა, არის შესრულებადი, ანუ იგულისხმება, რომ მათ დაემორჩილებიან.

ასეთივე მახასიათებლები გააჩნია სახელმწიფოსაც, ამიტომ ტერმინი „პოლიტიკური სისტემა“ ხშირად ასოცირდება სახელმწიფოს მართვასა და მასში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. ზოგიერთი ავტორი პოლიტიკურ სისტემას ანიჭებს გაცილებით ფართო მნიშვნელობას, რომელშიც გულისხმობს თითქმის ყველა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელსაც აქვს რაიმე სახის კავშირი ავტორიტეტულ-სახელისუფლებო გადაწყვეტილებთან და რომელზედაც ვრცელდება მისი ზეგავლენა. ამ გაგებით, პოლიტიკური სისტემა განიხილება შიდაჯგუფური სისტემის სახით, რომელიც ახორციელებს სუბსოციალურ გარემოში, ისეთში როგორიცაა ოჯახი, ეკლესია, პროფესიული მომსახური (ანუ საზოგადოების შემადგენელ სეგმენტებში), გადაწყვეტილების მიღებას. არც თუ ისე ხშირად, პოლიტიკური სისტემა განიხილება საერთაშორისო დონეზე, რომელშიც იგულისხმება ავტორიტეტულ-სახელისუფლებო უფლებამოსილება და სხვა სახის სახელმწიფოთაშორისი გავლენითი ურთიერთობები, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას წარმოადგენს სხვადასხვა გეოგრაფიული (მაგ., დასავლეთ ევროპა), ორგანიზაციული (გაერო), ანდა წაციონალური (ჩინეთი) ქვესისტემებით.

**რეალური მნიშვნელობა.** ტერმინმა „პოლიტიკური სისტემა“, რამდენიმე მიზეზით, შეავიზროვა ცნება „სახელმწიფო“ და შეავსო ცნება „მმართველობის“ მნიშვნელობა. ის თავისუფალია სამართლებრივი თანამდევი მნიშვნელობებისგან, რომელიც სახელმწიფოსთან ასოცირდება და უფრო მეტად ემორჩილება დაკვირვებად ქცევის კატეგორიებში განსაზღვრას. ტერმინის კონცეპტუალური სიფართოვე მას ხდის ფრიად მოსახერხებელს არაფორმალური სტრუქტურების კვლევის პროცესში, ეს მაშინ, როცა ხშირად ტერმინის „მმართველობა“ გაიგივება, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალურ ინსტიტუტებთან ხდება. თავისი სიფართოვითა და მოქნილობით, ცნება „მმართველობა“ სავსებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთ პრიმიტიულ საზოგადოებებთან მიმართებაში, სადაც პოლიტიკური მოღვაწეობა ხორციელდება უფრო ოჯახური, ტომობრივი და სხვა არასპეციფიკური ჯგუფების მეშვეობით, ვიდრე სპეციალიზირებული მმართველობითი ინსტიტუტებით. პოლიტიკურ სისტემაზე წარმოდგენებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ესაა ყველაზე პროდუქტული თეორიული მიდგომა, რადგანაც მასში აქცენტი კეთდება პოლიტიკური პროცესის სხვადასხვა წანილებს შორის არსებულ კავშირსა და ურთიერთზემოქმედებაზე, ისევე როგორც თავად ამ საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან დამოკიდებულებაზე. მისი დახმარებით ასევე იოლდება სისტემების საერთო თეორიიდან მეთოდების სესხება და სხვა დისციპლინებთან მიმართებაში მისი გამოყენება.

**პოლიტიკური აქტორი (POLITICAL ACTOR).** ჩვენში ეს ტერმინი რუსული ენის გავლენით შემოვიდა. იქ კი მის დამკვიდრებაზე იზრუნეს ბ. კოვალმა და მ. ილინმა<sup>17</sup>. პოლიტიკური აქტორი ესაა პირი ან საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ამ პოლიტიკურ სისტემაში გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესზე. პოლიტიკური

<sup>17</sup> Коваль Б.И., Ильин М.В. Власть versus политика. - "Полис", 1991, №5, гვ. 152

მოქმედების სუბიექტი (პოლიტიკური აქტორი), ისევე როგორც თეატრში, „თამაშობს როლს“. თუმცა, თუ თეატრში მოქმედების განმახორციელებლების როლში გამოდიან ადამიანები, პოლიტიკის ანალიზში ასეთი როლის შესრულება ხშირად ეკისრებათ კორპორაციულ სუბიექტებს, როგორიცაა მაგალითად, სახელმწიფო. მოქმედი პირების პოლიტიკური ქცევის აღწერა, ანალიზი, ახსნა და პროგნოზირება შესაძლებელია პოლიტიკური სისტემის ყველა დონეზე: ადგილობრივ, სახელმწიფოებრივ, ნაციონალურსა და საერთაშორისო დონეზე, ასევე თავად მოქმედი პირების სხვადასხვა ტიპებთან მიმართებაში – ასე მაგალითად, რომელიმე უმაღლეს თანამდებობრივ პირთან მიმართებაში, რომლის კომპეტენციაშიც შედის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ანდა ნაციონალურ პარლამენტთან ანდა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებაში.

**რეალური მნიშვნელობა** – ყველაზე ხშირად ცნებით „აქტორი“ გამოიხატება ის როლი, რასაც სახელმწიფო და ცალკეული პირი ასრულებს საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში. საერთაშორისო პოლიტიკის, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესის კვლევის შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკვანძო ფიგურებისა და ელიტური ჯგუფების ქცევის (ბიპევიორალურ) კვლევას. მათ, ვისაც მიუღებლად მიაჩნია ინდივიდუალურ „აქტორებზე“ საუბარი, ხაზს უსვამეს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს მოქმედების ყალიბდება ფიზიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური გარემოს გავლენით, რომელშიც გადაწყვეტილებები სახელმწიფოს მიერ მიიღება და არა ინდივიდუალურ აქტორთა კონკრეტული მოქმედებით. სხვა მიდგომების შემთხვევაში, ყურადღების ცენტრში ექცევა ისეთი აქტორი, როგორიცაა სახელმწიფო. ეს უკანასკნელი საერთაშორისო სისტემის ფარგლებში განიხილება როგორც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთმოქმედი სუბიექტი.

**პოლიტიკა – (POLITICS)** ადამიანთა მოღვაწეობა, დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილებების მიღებასა და გატარებასთან, რომელიც აღჭურვილია რწმუნებულებით იმ საზოგადოების მხრიდან, რომლისთვისაც ის მიიღება. ამ ცნების გამოყენების სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება დაყვანილ იქნეს ერთ ფორმულირებაზე: ტერმინით „პოლიტიკა“ განისაზღვრება მოღვაწეობა და პროცესი, მაშინ, როდესაც „პოლიტიკური სისტემის“ ქვეშ იგულისხმება სტრუქტურისა და ტიპური (patterned) ურთიერთობების არსებობა. პრაქტიკული მნიშვნელობით, პოლიტიკამ შეიძინა „შესაძლებლობის ხელოვნების“, „მართვის ხელოვნების“ სახელწოდება. იგი განისაზღვრება როგორც მეურვეობა იმაზე, თუ „ვის რა, როდის და როგორ მიეცეს“ (ჰ. ლასუელი). მას ხშირად აიგივებენ გავლენის მოხდენასთან, ხელისუფლებისთვის ბრძოლასა და საზოგადოების შიგნით მოგებისა და „სიკეთების“ განაწილებისათვის ცალკეულ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის მიმდინარე კონკურენციასთან. პოლიტიკაზე როცა საუბრობენ, ასევე მხედველობაში აქვთ, რომ ის მოიცავს სოციალური ხელმძღვანელობის პროცესს, კოლექტიური მიზნების წამოყენებასა და მიღწევასთან ერთად. თავის სხვადასხვა სახით: გადაწყვეტილების მიღებისათვის მოღვაწეობის სახით, სიკეთებისა და კეთილდღეობების განაწილების სახით, მიზნების წამოყენების, სოციალური ხელმძღვანელობის კუთხით, ხელისუფლებისათვის ბრძოლის, ინტერესების კონკურენციის განხორციელებით და გავლენის მოპოვებით, პოლიტიკას შეიძლება მივადევნოთ თვალი და აღმოვაჩინოთ ყველა საზოგადოებრივ ჯგუფში. თუმცა, პოლიტიკურ დისკურსში ცნებას „პოლიტიკა“, უმეტეს წილად, აიგივებენ უფრო საჯარო მოქმედებათა სფეროსთან და საჯარო პოლიტიკის გამანაზილებელ ღონისძიებებთან (policies and allocations), ვიდრე კერძო ორგანიზაციების შიდა პროცესებთან.

**რეალური მნიშვნელობა** – პოლიტიკა საზოგადოებრივი თანაცხოვრების მუდმივი ასპექტია. ის წარმოიშვა მოთხოვნილებებიდან, რომელსაც ადამიანები ერთმანეთს უყენებდნენ და აქედან გამომდინარე, ძალისხმევიდან იმ წინაღმდეგობათა გადასაწყვეტად, როცა მოთხოვნილები აღმოჩნდა კონფლიქტური. ესაა სახელისუფლებო გადასაწილება დეფიციტური სიკეთებისა და საერთო მიზნების მისაღწევად საზოგადოების ხელმძღვანელობის გზით. როგორც აღნერითი ტერმინი, „პოლიტიკა“ კვლავ რჩება საკმაოდ მოსახრებელ მსაზღვრელად ადამიანთა იმ სხვადასხვა სახის მოღვაწეობის აღსაწერად, რომელსაც პოლიტიკის მკვლევარი იკვლევს. თუმცა, ამ ტერმინის ანალიზის ინსტრუმენტად გამოყენების სარგებლიანობა შეზღუდულია თავად ტერმინის კონცეპტუალური შინაარსის, შემადგენლობის ფართო მნიშვნელობისა და ამორფულობის გამო.

### ფორმულირება - გამოყენებითი პოლიტოლოგია

ფორმულირება „გამოყენებითი პოლიტოლოგია“ რუსეთში გაჩნდა და ფართო გავრცელება პოვა მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში. თუმცა, კითხვა, რამდენად მართებულია ტერმინის გადმოღება, რომელსაც დასავლეთის პოლიტიკური მეცნიერების ლექსიკში ზუსტი ანალოგი,

ისეთი, რომელიც სრული სახით შესაბამისობაში მოვიდოდა მასთან, არ მოეძებნება, ჩვენში ფართო მსჯელობის საგანია. ამ თემაზე დისკუსიები სამეცნიერო წრეებში დღემდე გრძელდება. „გამოყენებითი პოლიტოლოგია“ პოლიტიკის ანალიზის რუსი მკვლევრის, ა.დეგტიაროვის დახასიათებით, სოციალურ-ინჟინერული და პოლიტიკური სუბდისციპლინაა, რომელიც ორიენტირებულია პოლიტიკური სფეროს განვითარების მექანიზმებისა და ტენდენციების გამოყენებასა და მათ საფუძველზე შესაბამისი პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებაზე: 1) პრობლემურ-პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის, დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების საწარმოებლად 2) ტიპური პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და პროცედურების ვარიანტთა კონსტრუირებისა და სელექციისთვის, 3) პოლიტიკურ პროცესზე ზემოქმედებისკენ მიმართული ალგორითმებისა და ტექნოლოგიების კონსტრუირებისთვის<sup>18</sup>.

პოლიტიკის ანალიზის რუსული ინტერპრეტაციის – გამოყენებითი პოლიტიკური ანალიზის – ფორმულირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აღნიშნული დისციპლინის ფუნქციურმა დანიშნულებამ – მისმა პრაქტიკულ-გამოყენებითმა ხასიათმა. მსაზღვრელ „გამოყენებითზე“ ხაზგასმაც სწორედ ამ გარემოებით აიხსნება. პოლიტიკის ანალიზის გამოყენებით ხასიათზე აქცენტირებას ანგლოსაქსონური სკოლაც ახდენს, თუმცა ინგლისური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, დისციპლინის სახელწიდებაში ამ მახასიათებელზე დამატებითი ყურადღების გამახვილება საჭიროდ არ მიიჩნევა<sup>19</sup>.

ტერმინ – „გამოყენებითი პოლიტოლოგიის“ ქვეშ რუსი მკვლევრები აერთიანებენ პრაქტიკული საჭიროებისათვის განკუთვნილი პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგებს და არა მხოლოდ პოლიტიკის ანალიზს, რომლებიც დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებების — policy sciences სახელწიდებითაა ცნობილი. ანგლოსაქსონური და კონტინენტური ევროპა მასში პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის რაციონალურ უზრუნველყოფაზე „მომსახურე“ შემდეგ პოლიტიკურ დისციპლინებს აერთიანებს: პოლიტიკის ანალიზი (policy analysis), პოლიტიკური პროექტირება და გადაწყვეტილების მიღება (policy making) და საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკური მართვა (public policy, political management).

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, რუს მეცნიერებს პოლიტიკის ანალიზის საკვლევო ბიექტზე მსჯელობისას ახასიათებთ პოლიტიკის ანალიზის მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკამდე დაყვანისა და პოლიტიკის ანალიზის კვლევის არეალის შეკვეცის, მის მხოლოდ პოლიტიკურ თემატიკამდე დაყვანის ერთგვარი ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ანალიზის საკითხების მკვლევრები აღიარებენ წმინდა პოლიტიკური ფაქტორების გადამწყვეტ მნიშვნელობას სახელმწიფო თუ მუნიციპალური ორგანოების მხრიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სპექტრის საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას<sup>20</sup>, პოლიტიკის ანალიზის საკვლევი ობიექტის მხოლოდ პოლიტიკური საკითხებით შემოსაზღვრანაკლებად მართებულია. საჯარო პოლიტიკის ზედმეტად ფართო ხასიათი<sup>21</sup> მათვის მიუღებელია. არაპოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებებს რუსი მკვლევრები ადმინისტრაციულს უფრო აკუთვნებენ, ვიდრე პოლიტიკურს. ამ შემთხვევაში რუს მკვლევრებს ცნებები ერევათ. მკვლევართა იგივე კატეგორიას არც პოლიტიკის ანალიზის დასავლელი სპეციალისტების მიერ ზედმეტად ვიწრო ინტერპრეტაცია აკმაყოფილებთ. რუს მკვლევრებს პოლიტიკის ანალიზის საკვლევი ინტერესი დაყავთ მხოლოდ სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მოღვაწეობამდე და უგულებელყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არაფორმალური აქტორების გავლენას, რაც გაუმართლებელია. რეალურად, რუსი მკვლევრები, საჯარო პოლიტიკაზე საუბრისას, პოლიტიკას განსაზღვრავენ როგორც შეჯახებათა სფეროს (Politics) და არა როგორც მომავალ მოქმედებათა კურსს (Policy), ამიტომ სურთ ყველაფერი, რაც

<sup>18</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3.

<sup>19</sup> როგორც უკვე ითქვა, ინგლისურ ენაში ქართული, ისევე როგორც ფრანგული და სლავური ენებისგან განსხვავებით, ცნება პოლიტიკას რამდენიმე შესატყვისი გააჩნია: politics, polity, policy. ამასთან, თითოეულ მათგანს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. თუკი ტერმინი polity-ს ქვეშ იგულისხმება პოლიტიკური გაერთიანება, საზოგადოება, ერთობა, ტერმინი politics-i გამოხატავს ერთგვარ პოლიტიკურ არენას, რომელზედაც იშლება პოლიტიკური დაპირისპირები, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის შეჯახებები, გავლენის სფეროების მოსაპოვებლად მიმდინარე ბრძოლა. არჩევნები ამ გაგებით სწორედ politics-i-ს კატეგორიაში თავსდება. რაც შექმნება ტერმინს – policy, საკმაოდ მრავალრიცხოვან განმარტებათა არსებობის მიუხედავად, უმრავლეს შემთხვევაში, ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში განხორციელებული კონკრეტული კურსი, მიმართულება, ერთგვარი სტრატეგია ნინასნარ განერილ კონკრეტულ ღონისძიებთან ერთად.

<sup>20</sup> Patton Carl, Sawicki David S., Basic Methods of Policy Analysis and Planning, 2/E, გვ. 37

<sup>21</sup> დასავლელი მკვლევრები მასში გულისხმობენ ყველა გადაწყვეტილებას, მიღებულს ხელისუფლების ნებისმიერი, — სახელწიფო თუ ადგილობრივი — ორგანოების მიერ.

დაკავშირებულია საჯარო პოლიტიკასთან ახსნან და დაუქვემდებარონ პოლიტიკურ ფენომენს. მსგავსი გაურკვევლობები აიხსნება იმ გარემოებით, რომ ინგლისურ ენაში პოლიტიკის გამომსახულები მრავალ ცნებას შორის არსებული სხვაობის ასახვას ქართული ენა, ისევე როგორც რუსული, არ იძლევა. ამიტომ შევთანხმდეთ, რომ პოლიტიკის ანალიზში იგულისხმება პოლიტიკურ-მმართველობითი კურსის ანალიზი.

ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან „პოლიტიკურ ანალიზსა“ და „პოლიტიკის ანალიზს“. ბევრისათვის ჯერ კიდევ გაუგებარი რჩება, თუ რა იგულისხმება „პოლიტიკის ანალიზის“ ქვეშ. პრობლემის საფუძველი ისაა, რომ როგორც პრაქტიკულ, ისე აკადემიურ წრეებში, ტერმინ „პოლიტიკის ანალიზის“ ქვეშ გულისხმობენ სულ სხვადასხვა, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავ ცნებებსაც კი, რომელთა უმრავლესობა „Politics“-ის კატეგორიებს უფრო შეესაბამება. პრაქტიკულ პოლიტიკაში, ცნება „პოლიტიკის ანალიზი“ გამოიყენება ოთხი მნიშვნელობით: 1. საშინაო და საგარეო პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა; 2. „სიტუაციური ანალიზი“, ანუ საერთაშორისო, რეგიონალურ, საგარეო არენაზე ძალთა განლაგებისა და გადაჯგუფების ანალიზი, ე.ნ. პოზიციონირების პრობლემები და ა.შ.; 3. სახელმწიფო გადაწყვეტილებების საექსპერტო თანხლება-უზრუნველყოფა (პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებში დარგობრივი, მიზნობრივი და კომპლექსური პროგრამების შემუშავება, ასევე სტრატეგიული დაგეგმვა) და ბოლოს, 4. პოლიტიკური უურნალისტიკა. ამ ბოლო მნიშვნელობით, ანალიტიკას, ხშირ შემთხვევაში, ერთგვარი შუალედური პოზიციები უკავია რეკლამასა და პროპაგანდას შორის.

სამეცნიერო სფეროშიც, ასეთივე ერთგვარი უცნაური სიტუაცია ჩამოყალიბდა. ხშირად, „პოლიტიკის ანალიზში“ პრაქტიკულ-გამოყენებითი ანალიტიკური მუშაობის გარდა, (რომელიც კონკრეტული დამკვეთისთვის რომელიმე საზოგადოებივი პრობლემის შეფასებისა და გადაწყვეტისთვის საჭირო პრაქტიკულ-გამოყენებითი სამუშაოს შესრულებას გულისხმობს), გულისხმობენ ფუნდამენტურ კვლევას, ასევე პირველადი მონაცემების შეკრებას, სისტემაში მოყვანას, დამუშავებასა და ამ კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. ასეთი სიტუაცია, ა.დეგტიაროვის აზრით, არის დისციპლინის დიფერენციაციის დაბალი ხარისხს და ჯერ კიდევ დაუძლეველი „პირველყოფილი“ სინკრეტიზმის შედეგი<sup>22</sup>. ეს კი ჩვენში, ისევე როგორც რუსეთში, ამ დარგის განვითარების არცთუ ისე დიდი ხნის ისტორიით შეიძლება აიხსნას.

## საჯარო პოლიტიკა და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი

პოლიტიკის ანალიზი, ზოგადი გავებით, საჯარო პოლიტიკის პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაა. სწორედ ამიტომ პოლიტიკის ანალიზზე საუბრისას, აუცილებელი ხდება საჯარო პოლიტიკისა და საჯარო პოლიტიკის პრობლემათა მიმოხილვა, რასაც მოცემული თავი ემსახურება.

### რას წარმოადგენს საჯარო პოლიტიკას (public policy)

საჯარო პოლიტიკის საკმაოდ მრავალრიცხოვანი დეფინიციები არსებობს. ფართო განსაზღვრებით, საჯარო პოლიტიკა არის სამთავრობო ჯგუფის დამოკიდებულება გარემოცებისადმი. მსგავსი განსაზღვრება ნაკლებად იმსახურებს ნდობას, რადგან იმდენად ფართოა, რომ საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს. ზოგიერთი დასავლელი მეცნიერი საჯარო პოლიტიკას განმარტავს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ამ თუ იმ სფეროში მთავრობის მიერ არჩეულ ან უარყოფილ ნებისმიერ კურსს. თუმცა, ამ დეფინიციაში სულაც არ კონკრეტდება, თუ რას გადაწყვეტს და რას უარყოფს მთავრობა. ამდენად, ტერმინის განსამარტავად არც ამ დეფინიციაზე დაყრდნობა გამოგვადგება. თუკი საჯარო პოლიტიკაში ზოგიერთი დასავლელი მეცნიერი გულისხმობს ყველაფერს იმას, რის განხორციელებას ან არ განხორციელებასაც მთავრობა გადაწყვეტს, პროფესორი რიჩარდ როუზი კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მეტად საჯარო პოლიტიკაში გულისხმობს მომავლისკენ მიმართულ, ერთმანეთთან მეტ-ნაკლები კავშირის მქონე ღონისძიებათა გრძელვადიან სერიას. როუზის პოზიციას, რომლის თანახმადაც საჯარო პოლიტიკა ესაა მოქმედებათა ერთობლიობა და არა რაიმე საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში, ბევრი მკვლევარი იზიარებს. კარლ ფრიდრიხი გვთავაზობს შემდეგ

<sup>22</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3.

დეფინიციას – საჯარო პოლიტიკა ესაა ცალკეული ინდივიდების, ჯგუფების ან მთავრობის მიზანმიმართული მოქმედება, რომელიც შესაბამის პირობებში დასახული მიზნის მისაღწევად ხორციელდება. სწორედ ამ შესაბამისი გარემო-პირობებიდან ხდება, ერთი მხრივ, დასახული მიზნის განსახორციელებლად საჭირო რესურსებისა და შესაძლებლობების, მეორე მხრივ კი – მიზნის განხორციელების გზაზე არსებული წინააღმდეგობებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების განსაზღვრა. საჯარო პოლიტიკა კი განიხილება როგორც გარკვეულ მოქმედებათა ერთობლიობა, მიმართული სასურველი რეზულტატების უზრუნველსაყოფად.

მაშასადამე, ფრიდრიხის განსაზღვრებაში დეფინიცია შეივსო და განისაზღვრა როგორც არა უბრალოდ მოქმედებათა, არამედ უკვე მიზანმიმართულ მოქმედებათა ერთობლიობად. საჯარო პოლიტიკა ფრიდრიხის მიერ რედაქტირებულ ვარიანტში უკვე ასე უდერს: ესაა მიზანმიმართულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლითაც ხელმძღვანელობენ პოლიტიკური აქტორები ანდა აქტორთა ჯგუფები პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. თუმცა, ზოგიერთი ავტორი მთლიანად არც ფრიდრიხის განსაზღვრებას იწონებს. მათ შორისაა ჯეიმს ანდერსონი. იგი ფრიდრიხის უწუნებს იმას, რომ მის განსაზღვრებაში ნათლად არაა გამოკვეთილი, თუ რა არის უკვე გადაწყვეტილი განსახორციელებლად და რა იგეგმება მომავალში დასახული მიზნის მისაღწევად<sup>23</sup>. ანდერსონი ფრიდრიხის განსაზღვრებაში ასეთ სხვაობას ვერ პოულობს და გვთავაზობს საკუთარ დეფინიციას, რომელიც, მისი აზრით, სწორედ ფრიდრიხის დეფინიციის აღნიშნული ნაკლის გამოსწორებას ისახავს მიზნად. ანდერსონის განმარტებით, საჯარო პოლიტიკა ესაა მოქმედებათა მიზანმიმართული კურსი, გატარებული ცალკეულ აქტორთა ან აქტორთა ჯგუფის მიერ, რომელიც რომელიმე პრობლემის გადაჭრასა და პრობლემატური საკითხის გადაწყვეტას ემსახურება. ეს დეფინიცია, ანდერსონისვე შენიშვნით, უსვამს ხაზს არა იმას, თუ რა იგეგმება ან ივარაუდება მომავალში ამ პრობლემის გადასაწყვეტად, არამედ იმას, თუ რა გაკეთდა ამ პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც სისრულეში უკვე პოლიტიკოსებმა უნდა მოიყვანონ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ანდერსონი ერთმანეთისგან ანსხვავებს პოლიტიკურ კურსსა და გადაწყვეტილების მიღებას, ამ უკანასკნელს განიხილავს როგორც ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს შორის არჩევანის კეთების პროცესს. საჯარო პოლიტიკის ასეთი მრავალფეროვანი ინტერპრეტაციების არსებობის მიუხედავად, იმაში რომ საჯარო პოლიტიკის განხორციელების ექსკლუზიური უფლებით მხოლოდ ხელისუფლება სარგებლობს, მკვლევრები ერთსულოვანი არიან.

საჯარო პოლიტიკა დაკავშირებულია სამთავრობო გადაწყვეტილებებთან როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე და ხორციელდება სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურების მიერ. თუმცა, ეს აღნიშნულ პროცესში არასამთავრობო სტრუქტურების ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობას სულაც არ გამორიცხავს. დევიდ ისტონი ამ კატეგორიის აქტორებს, ერთი შეხედვით აუტსაიდერებს, პოლიტიკურ სისტემაში „ავტორიტეტების“ სახელით მოიხსენიებდა. საჯარო პოლიტიკა მიმართულია სასურველი შედეგების მიღწევისკენ და ამ გაგებით საჯარო პოლიტიკის განმახორციელებელი გამოდიან ერთგვარი დიზაინერების, ჰიპოთეზურად პროექტირებული მომავლის რეალიზატორების როლში. თუმცა, წინასწარ დასახული მიზნების რეალური განხორციელება ყოველთვის როდი ხერხდება. ამასთან გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც. კერძოდ, საჯარო პოლიტიკა თავის არსში არა მარტო გადაწყვეტილების მიღებას, არამედ ამ გადაწყვეტილების რეალიზაციის პროცესში არსებული წინააღმდეგობების დაძლევასაც გულისხმობას. რა და როგორ – აი ის ძირითადი კითხები, რაზედაც საჯარო პოლიტიკის სუბიექტებს უწევთ პასუხის გაცემა არსებულ გამოწვევებზე საპასუხო კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის პროცესში. ამ გაგებით, საჯარო პოლიტიკა ადვილად შეიძლება შევადაროთ ტონინბის გამოწვევა-პასუხის თეორიას.

მაგალითად, ლ.პალი საჯარო პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც მოქმედების ან უმოქმედობის კურსს, არჩეულს სახელისუფლებო ორგანოების მიერ და მიმართულ პრობლემათა ან პრობლემათა ჯგუფის გადასაწყვეტად<sup>24</sup>. ჯ.მანკეიმი და რ.რიჩი საჯარო პოლიტიკას განსაზღვრავენ როგორც მთავრობის თანამშრომელთა რეგულარულ მოქმედებას ან უმოქმედობას, განხორციელებულს კონკრეტული სქემების მიხედვით<sup>25</sup>. გამომცემლობა ბრუკინგსის პოლიტიკური ლექსიკონის მიხედვით, საჯარო პოლიტიკა წარმოადგენს არსებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას, რომელსაც ანარმოებენ არჩეული ან დანიშნული სახელმწიფო მოხელეები<sup>26</sup>.

<sup>23</sup> Anderson, James E. , 2003. Public Policymaking, 5<sup>th</sup> ed. Houghton Mifflin. გვ. 18

<sup>24</sup> Pal L. 1992. *Public Policy Analysis: An Introduction*. Scarborough. გვ. 49

<sup>25</sup> Manheim G., Rich R. 1991. *Empirical Political Analysis: Research Methods in Political Science*. New York. გვ. 129

<sup>26</sup> Дегтярев А.А.1998. *Основы политической теории*. М. გვ. 39

როგორც ამ არაერთი განმარტებიდან ჩანს, საჯარო პოლიტიკა, ხშირ შემთხვევაში, უკავშირდება სახელმწიფო-სახელისუფლებო სტრუქტურის მიერ განხორციელებულ ქმედებებს. გასაკვირი არაა, რომ ჩარლზ ლინდბლომი policy-ის სუბიექტებად მხოლოდ ხელი-სუფლების სამი შტოს წარმომადგენლებს მიიჩნევდა. თუმცა, საჯარო პოლიტიკის მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკასთან, ანუ სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში გატარებულ პოლიტიკურ კურსთან გაიგივება არამართებულია. შესაბამისად, პოლიტიკის ანალიზის ცნების მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკამდე დაყვანა მუნიციპალური ორგანოების მუშაობის სრულ იგნორირებასა და მათ მიერ ადგილზე წარმოებული პოლიტიკურ-მმართველობითი კურსის ფარგლებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა იგნორირებას განაპირობებს.

საჯარო პოლიტიკა იბადება იქ, სადაც არსებობს მოთხოვნა არსებულ პრობლემათა მოგვარების აუცილებლობაზე, ანუ გახმოვანებულ ხასიათს იღებს ზოგიერთი პრობლემათა შორის, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. თუმცა, მხოლოდ ცალკეული მათგანი თუ ხვდება სამთავრობო ყურადღების და შემდეგ რეაგირების საგანი. ასე რომ, საჯარო პოლიტიკის განხორციელება, თავისი არსით, შერჩევით ხასიათს ატარებს. საჯარო პოლიტიკა იწყება მაშინ, როცა მეგაპრობლემატიკიდან ხდება რამდენიმე ყველაზე აქტუალური პრობლემის გამოყოფა და მათ გადაწყვეტაზე მუშაობა. შერჩევის პროცესში ის კრიტერიუმი, რომ პრობლემა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს და ხელისუფლების მხრიდან გადაუდებელი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, ყოველთვის როდის განმსაზღვრელი. თუ რომელი პრობლემა იქნება შერჩეული პოლიტიკოსების მხრიდან რეაგირების საგნად, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათ შორის განმსაზღვრელია ის კრიტერიუმები, რომლითაც პოლიტიკოსები ხელმძღვანელობენ მართვის პროცესში. პრობლემების შერჩევა ასევე დამოკიდებულია პრობლემის სიმწვავეზე და იმაზე, თუ ვის მიერ და რამდენად კატეგორიული ფორმითაა პრობლემა ინიციირებული. განმსაზღვრელია ისიც, თუ ვინ ახმოვანებს ამა თუ იმ პრობლემას და რა ძალითა და საშუალებებით ცდილობს იგი პოლიტიკოსების მხრიდან ყურადღების მიქცევას. პრობლემათა გამმხმოვანებლის როლში შეიძლება გამოვიდეს რომელიმე კონკრეტული მოქალაქე, გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლობა, ოფიციალური პირები. მათ მიერ გახმოვანებული მოთხოვნები წარმომადგენს სამთავრობო სტრუქტურებიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს, რომელიც მიმართული იქნებოდა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისა ან მისი სიმწვავის შემცირებისკენ.

გასათვალისწინებელია, რომ საჯარო პოლიტიკაში იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ ის აქტები, რომელიც ხორციელდება და არა ის ინიციატივები, რაზეც მიმდინარეობს მსჯელობა, ანდა რომლის განხორციელებაც იგეგმება. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან Policy output (პოლიტიკის შედეგი/რეზულტატი) და Policy outcome (პოლიტიკის შედეგი/რეზულტატი). ორივე მათგანი ერთნაირად ითარგმნება. თუმცა, თუკი პირველში ამა თუ იმ სოციალურ სფეროში გატარებული კურსის პირდაპირი შედეგები იგულისხმება (ხშირ შემთხვევაში მისი გამოხატვა ციფრებითა და პროცენტული მაჩვენებლებით ხდება), მეორე — გატარებული პოლიტიკის ირიბ შედეგებზე მიუთითებს, ანუ ასახავს თუ რა გავლენა იქონია მიღებულმა შედეგებმა უკვე სხვა სფეროებსა და სხვა პრობლემატიკის მოხსნა-შემცირებაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველში იგულისხმება პოლიტიკის რეზულტატი, მეორეში კი ამ მიღებული რეზულტატის ზეგავლენა. ასე მაგალითად, საგადასახადო ადმინისტრირების პოლიტიკის გამკაცრება, რეზულტატის სახით, იძლევა გადასახადების ამოღებას, ირიბი შედეგების სახით კი დადგებითად მოქმედებს ბიუჯეტის შევსებასა და თუნდაც იმავე სოციალურ დახმარებათა პროგრამების დროულ დაფინანსებასა და მთლიანად, სოციალური სისტემის გაუმჯობესებაზე.

საჯარო პოლიტიკა შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური მისი მიხედვით, თანხმდება თუ არა მთავრობა პრობლემათა დაუყოვნებლივ მოგვარებაზე მუშაობის დაწყების მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ საჯარო პოლიტიკა, თავისი ნეგატიური გაგებით, შეიძლება იყოს ორი ტიპის: უარყოფითი, როცა ხელისუფლება შემოთავაზებული პრობლემის მოგვარებაზე საერთოდ უარს აცხადებს და იგნორირებითი, როცა ხელისუფლება ყურადღებას უთმობს სხვა პრობლემატიკას. უკანასკნელ შემთხვევაში, პრობლემატური საკითხის დღის წესრიგში თავიდან დაყენების, შესაბამისად, მისი მოგვარების ალბათობა ჯერ კიდევ რჩება.

საჯარო პოლიტიკა, დადებითი გაგებით, მთლიანად ეფუძნება კანონს<sup>27</sup>. ასე მაგალითად, გადასახადების გადახდა, ისევე როგორც საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება, აუცილებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევევაში, ურჩითათვის წესდება სანქციები და ხდება

<sup>27</sup> იმ შემთხვევაში თუ მსგავსი პოლიტიკური კურსის გასატარებლად შესაბამისი კანონმდებლობა არ არსებობს, ხდება ახალი საკანონდებლო ინიციატივების შემუშავება და დამტკიცება.

შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება. საჯარო მართვა, თავისი ხასიათით, ავტო-რიტეტულია ანუ მთელ საზოგადოებას მოიცავს. თუმცა, ეს ფაქტორი შესაძლებელია სულაც არ იყოს გადამწყვეტი ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის წარმატებით გახსნორციელების საქმეში. მაგალითად, ალკოჰოლურ სასმელზე აკრძალვის დაწესება – ე.ნ. „მშრალი კანონი“ შეერთებულ შტატებში. ამ შემთხვევაში, ძლიერი მექანიზმების არსებობის მიუხედავადაც კი, ეფექტურ შედეგებს მაინც ვერ მიაღწიეს. საჯარო მმართველობა სარგებლობს კანონიერი ძალადობის უფლებით, რასაც მოკლებულია არასახელმწიფო სექტორი. კანონიერი იძულების მონოპოლიის უფლებით მხოლოდ სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები არიან აღჭურვილნი.

**საჯარო პოლიტიკის კატეგორიები** – შეერთებული შტატების მაგალითზე არსებობს საერთოსახელმწიფოებრივი, სახელმწიფოებრივი და ლოკალური (ფედერალური) საჯარო პოლიტიკა. ტრადიციულ სახელმწიფო პოლიტიკას, ანუ პოლიტიკურ კურსებს მიეკუთვნება: საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური სტაბილურობა, გარემოს დაცვითი საქმიანობა, სამედიცინო დახმარება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სამართალდაცვითი საქმიანობა, საყოველთაო კეთილდღეობა, განათლება, ტრანსპორტი. ასხვავებენ საშინაო და საგარეო საჯარო პოლიტიკას. საჯარო პოლიტიკის ტიპოლოგია ქვემოთ მოცემული კატეგორიების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების მიხედვით - საყოველთაო კეთილდღეობის პოლიტიკა, პოლიტიკა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებში.

დღოის მიხედვით – მეორე მსოფლიო ომის შემდეგომი, ეიზენჰაუერის კურსი და ა.შ.

ინსტიტუციონალური მიდგომის მიხედვით: საკანონმდებლო, სასამართლო, დარგობრივი.

პროცესუალური ასპექტის მიხედვით - მიმდინარე და პროცედურული.

საზოგადოებრივი დოვლათის და კეთილდღეობათა განაწილების კუთხით გამოყოფენ - გამანანილებელ, გადამანანილებელ, მარეგულირებელ და თვითრეგულირებად პოლიტიკებს.

**გამანანილებელ** (distributive) პოლიტიკაში იგულისხმება – მომსახურეობისა და შემოსავლების თანაბარი განაწილება მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტებს შორის. მაგალითად, უფასო სასკოლო განათლების უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება, რომელიც პირველ რიგში სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის კატეგორიისთვის არის გათვალისწინებული. გამანანილებელი პოლიტიკა, თავისი არსით, ყველაზე ეთიკურია, რადგან მისი განხორციელების შემთხვევაში საზოგადოების ყველა სეგმენტი მოგებული რჩება, გადასახადებიდან შემოსული თანხები კი ძირითადად სოციალურ პროგრამების უზრუნველყოფას ხმარდება. აღნიშნული პოლიტიკა დამახასიათებელია სოციალ-დემოკრატიული მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის (დანია, ჰოლანდია, შვედეთი და ა.შ.).

**მარეგულირებელი** (regulatory) პოლიტიკა მოიცავს რაღაც შეზღუდვების დაწესებას საზოგადოების გარკვეულ სეგმენტებზე. ეს ზღუდავს ამ კატეგორიის ადმიანებისა და სოციალური ჯგუფების მოქმედების თავისუფლებას. სწორედ ესაა გამანანილებელ პოლიტიკისგან მისი სხვაობაც, რადგან ეს უკანასკნელი თავისუფლებათა ზრდისკენ არის მიმართული. მაგალითად, მარეგულირებელი პოლიტიკა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ხორციელდება იარაღის ტარებაზე კონტროლის დაწესების გზით. მარეგულირებელი პოლიტიკის განხორციელების მექანიზმის სახით აქ მაკონტროლებელი ინსტიტუტები გამოდიან. სალიცენზიონისტი სისტემაც სწორედ ამ მექანიზმის შემადგენელი ნაწილია. მარეგულირებელი პოლიტიკის განხორციელებას ყოველთვის თან ახლავს საზოგადოების „მოგებულ“ და „წაგებულ“ ნაწილად დაყოფის მტკიცნეული პროცესი. ამ პოლიტიკის განხორციელების საფუძვლად, ჩვეულებრივ, სამართლებრივი და საზოგადოებრივი ინტერესი ცხადდება.

**თვითრეგულირებადი** (self-regulatory) – თვითრეგულირებად პოლიტიკას, მარეგულირებელ პოლიტიკასთან ბევრი საერთო აქცეს. ისიც, მარეგულირებელი პოლიტიკის მსგავსად, შეზღუდვასა და კონტროლისკენა მიმართული. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ თვითრეგულირებადი პოლიტიკა საკუთარი წევრებისა და გარემოცვის ინტერესების დაცვის მიზნით ტარდება.

**გადამანანილებელი** (redistributive) – გადამანანილებელი პოლიტიკა გულისხმობს მთავრობის მხრიდან ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისთვის მხარდაჭერის გადახედვას. მსგავსი პოლიტიკა, როგორც წესი, მკვეთრი სოციალური ცვლილებების განხორციელების შემდეგ მიიღება. მაგალითად, რევოლუციების შედეგად სოციალური და ქონებრივი კაპიტალის ხელახალი გადამანანილება ჩვეული მომენტია. მას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის პრინციპი. გადამანანილებელი პოლიტიკის კარგი ილუსტრაცია სიღარიბის ნინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც მიმართულია არსებული სოციალური მდგომარეობის გამოსწორებისა და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის შემცირებისკენ.

გამოიყოფა ასევე მატერიალური და სიმბოლური პოლიტიკა, ასევე პოლიტიკა, რომელიც მიმართულია კოლექტიური ან კერძო კეთილდღეობების დაცვის უზრუნველყოფისკენ.

**ჩარლზ ლინდბლომის** აზრით, სახელმწიფო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი კითხვა პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ბუნებას უკავშირდება. ცენტრალური კითხვა კი ეხება ხელისუფლების საკითხს, კერძოდ კი, იმის გარკვევას, ვინ და რამდენად რჩება მოგებული ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგებად. კითხვა, რომელსაც ლასუელი გადამწყვეტს უწოდებს, ასე უდერს – ვინ, რას, როდის და როგორ იღებს? (Who gets, what, when and how?)

### საჯარო პოლიტიკის პროცესები (პ.ანდერსონ)<sup>28</sup>

პოლიტიკური კურსის ფორმულირების შესახებ არსებულ მეცნიერებათა უმრავლესობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივ/საჯარო პრობლემათა არსა და მათ განსაზღვრებას. საზოგადოებრივი პრობლემები არცთუ ისე იშვიათად განიხილება როგორც „მოცემულობა“, რომელზედაც იგება გადასაწყვეტი პრობლემის სილრმისეული შეცნობისაკენ მიმართული ანალიზი, ყოველგვარი წინასწარი მუშაობის ჩატარების გარეშე. არადა, იმ პრობლემათა მახასიათებლებისა და განზომილების დადგენის გარეშე, რომელიც სამთავრობო მოქმედებებს აპირობებს და ერთგვარ სტიმულირებას ახდენს, ნაკლებად შეიძლება პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერება (POLICY SCIENCE) სრულყოფილად ჩაითვალოს. საჭიროა იმის ცოდნა, თუ რატომ ხდება მთავრობის მხრიდან ზოგიერთ პრობლემაზე რეაგირება და გარკვეული ღონისძიებების განხორციელება მათ გადასაწყვეტად, ზოგიერთის კი უგულებელყოფა. ანდერსონის აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, პრობლემა საშინაო იქნება, თუ საგარეო, შეზღუდული თუ ფართო მნიშვნელობის მატარებელი. პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის სწორედ ნარმართვის მიზნით, პრობლემათა არსის ცოდნა, მისი მასტერადების განსაზღვრა, გადამწყვეტია. ნებისმიერი სახის პოლიტიკური კურსის შეფასება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ამ კონკრეტული პრობლემის არსისა და საზღვრების შესახებ ინფორმაციის ცოდნას და არა პოლიტიკური კურსის ალტერნატივების შეფასებას. ხშირ შემთხვევაში კი პოლიტიკური ცხოვრების რეალობა სწორედ საპირისპირო სურათს გვიჩვენებს.

პოლიტიკის პრობლემას (policy problems) ანდერსონი განსაზღვრავს როგორც პირობას ან სიტუაციას, რომელიც ნარმობობს მოთხოვნებას და უკმაყოფილებას ადამიანებს შორის და რომლის გამოსწორებისა და შემსუბუქებისკენაც საზოგადოება მიიღოთვის. ისეთი საკითხები, როგორიცაა ჰაერის დაბინძურება, მავნე საქონელი, აბორტის პრაქტიკა, ციხეებში გადატვირთული საკნები და თუნდაც, გლობალური დათბობა, სულ ადვილად შეიძლება იქცეს პრობლემად, თუკი ისინი იწვევენ ისეთ უკმაყოფილებასა და წუხილს, რომელიც მოსახლეობას აიძულებს ეძიონ მათი გადაწყვეტის საშუალებანი. ამისათვის ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შემუშავებული გარკვეული კრიტერიუმები და სტანდარტები, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის გარემოება და სიტუაცია მათ მიერ შეფასდებოდა როგორც ყოვლად მიუღებელი და მიჩნეული იქნებოდა სახელმწიფო მზრუნველობისა და მისი მხრიდან დაუყოვნებლივი რეაგირების საგნად, ანუ ჩაითვლებოდა ადეკვატურად მთავრობისადმი მათი გადაწყვეტის მოთხოვნით მისამართავად. თუკი ადამიანები რომელიმე სიტუაციას ან გარემოებას განიხილავენ როგორც ნორმალურს, გარდაუვალსა და პირადი ჰასუხისმგებლობის საგანს, მაშინ, ანდერსონის აზრით, გარემოება ნაკლებად ალიქმება პრობლემად და საზოგადოების მხრიდან მისი გადაწყვეტის მოთხოვნის ნამოყენებაც ნაკლებად ხორციელდება. მსგავსი განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ თუკი ადამიანთა რომელიმე ჯგუფი განიცდის ეკონომიკურ ზენოლას, მაგრამ ასეთი შევიწროება აღიქმება როგორც გარდაუვალი, ანდა ლეგიტიმური და ეს ჯგუფი არ მიმართავს გარკვეულ ღონისძიებებს სიტუაციის გამოსწორების მიზნით, პრობლემაც არ წარმოიშობა. რაიმე გარემოება არ გადაიქცევა საზოგადოებრივ პრობლემად მანამ, სანამ არ იქნება განსაზღვრული და მიჩნეული ასეთად, არ იქნება გახმოვანებული ვინმეს მიერ და არ იქნება მიტანილი მთავრობამდე. ხშირ შემთხვევაში, საჯარო პოლიტიკურ პრობლემათა გამმხმოვანებლის როლში სწორედ მთავრობა გამოდის.

იმისათვის, რომ ესა თუ ის გარემოება ან სიტუაცია ტრანსფორმირდეს პრობლემად, იგი მიჩნეული უნდა იყოს სამთავრობო გადაწყვეტისა და რეაგირებისათვის შესაფერისად და ამავე დროს ისეთად, რომლის გადაწყვეტის რესურსებსა და საშუალებებსაც მთავრობა ფლობს. ისინი, ვინც აპროტესტებენ მთავრობის ქმედებებს სიგარეტის მოწვევის აკრძალვის თაობაზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, თავიანთი პოზიციის გასამყარებლად იშველიებენ შემდეგ არგუმენტებს: თამბაქოს მონევა არაა მავნებელი, კვამლი არ მოქმედებს გარშემო-

<sup>28</sup> Anderson, James E., 2003. Public Policymaking, 5<sup>th</sup> ed. Houghton Mifflin.

მყოფებზე, მოწევა ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა და არ უნდა რეგულირდებოდეს მთავრობის მიერ. ასეთი სახის არგუმენტაციის მოყვანა ხელს უშლის პრობლემის დაყენებას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის აკრძალვის დაწესებისთვის, რადგან პრობლემის, როგორც ასეთის, იგნორირებას ეყრდნობა. ამ არგუმენტაციის მიხედვით, თამბაქოს მოწევა საზოგადოებრივი თავშეყრილობის ადგილებში აღიქმება როგორც ნორმალური მოვლენა.

მინისტვრებს, ქარიშხალსა და სხვა ბუნებრივ კატაკლიზმებს არ მივიჩნევთ ისეთ საზოგადოებრივ პრობლემებად, რომლის გადაწყვეტაც მთავრობის უშუალო კომპეტენციის საგანია, რადგან ისინი აღიქმება გარდაუვალ მოვლენებად, რომლის თავიდან აცილებაც ხელისუფლებას და მთავრობას არ შეუძლია. ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება კი, ნამდვილად ნარმოადგენს საზოგადოებრივ პრობლემას. სხვადასხვა დახმარების პროგრამები, საამშენებლო პროექტები და სტიქიურ უბედურებათა წინასწარ გათვლის სისტემების გამოგონება ხელს უწყობს ერთგვარი პრევენციული ღონისძიებების გატარებას მოსალოდნელ უბედურებათა მასშტაბებისა და ზარალის შესამცირებლად. ანდერსონის აზრით, დღეისათვის საკმაოდ მცირეა იმ გარემოებათა რაოდენობა, რომელიც ჯეჯერობით არ ტრანსფორმირებულა ისეთ საზოგადოებრივ პრობლემებად, რომელთა გადაწყვეტაც მთავრობას დაეკისრებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის მთვარეზე გაგზავნა პოლიტიკოსებისთვის პრობლემად მხოლოდ მას შემდეგ გადაიქცა, რაც ეს ტექნიკურად შესაძლებელი გახდა გასული საუკუნის 50-იან წლებში.

ესა თუ ის გარემოება შეიძლება განისაზღვროს როგორც პრობლემა და დაისვას მისი გამოსწორების აუცილებლობის საკითხი არა უშუალოდ იმ პიროვნების, ან ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის მიერ, რომელსაც ეს პრობლემა ეხება, არამედ თავად ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში, სილარიბე განისაზღვრა როგორც უმწვავისი საზოგადოებრივი პრობლემა და ჯონსონის ადმინისტრაციამ ბრძოლა გამოუცხადა სილარიბეს. ასეთი პოლიტიკური კურსის ინიციატორი გახლდათ ხელისუფლება და არა თავად შეერთებული შტატების სილარიბის ზღვრას მიღმა მცხოვრები მოსახლეობა. ხშირად, ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები თავადვე ახორციელებენ ისეთი საზოგადოებრივი პრობლემატიკის ძიებასა და ზოგიერთი ნაკლებარტიკულირებული პრობლემის წინ წამოწევას, რომლის გადაწყვეტა ან სიმწვავის შემცირებაც შესაძლებელია. კანონმდებლების მხრიდან ასეთი „მზრუნველობა“ გამოწვეულია მოსახლეობაში თავიანთი რეპუტაციის შენარჩუნებითა და ხელახალი არჩევის სურვილით. თუმცა, აქ არის ერთი საფრთხეც: რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სხვები სხვაგვარად განასაზღვრავენ პრობლემას იმათთან განსხვავებით, ვისაც ეს პრობლემა უშუალოდ ეხება. ეს გამოწვეულია ამ ინდივიდებისა და ჯგუფების ინტერესებსა და ღირებულებებს შორის არსებული სხვაობით.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პრობლემა მუდმივია და ძნელად ემორჩილება გადაწყვეტას, ის, თუ როგორ მოხდება ამა თუ იმ პრობლემის განსაზღვრა, დამოკიდებულია სწორედ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე. ანდერსონს აღნიშნული პოზიციისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად მოჰყავს ალკოჰოლის მოხმარების ილუსტრაცია. მისი განცხადებით, თუკი მეცხრამეტე საუკუნეში ალკოჰოლის მოხმარება მიჩნეული იყო კერძო პრობლემად და აღიქმებოდა, როგორც სასჯელი, რომელსაც ცალკეული პიროვნება საკუთარ თავის ვნების საზღაურად იღებდა, მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან ალკოჰოლიზმი განიხილებოდა უკვე როგორც სოციალური პრობლემა, რომელიც წარმოადგენდა პიროვნების ერთგვარ პასუხს საზოგადოების მხრიდან განხორციელებულ ამა თუ იმ ზენოლაზე. სწორედ ამ პერიოდიდან ყალიბდება სოციალურ დახმარებათა სისტემა და სხვადასხვა მომსახურეობათა ქსელიც. უფრო მოგვიანებით, ალკოჰოლის მოხმარება განისაზღვრა როგორც დაავადება, რომელიც საჭიროებდა აუცილებელ მკურნალობას და საზოგადოებას აყენებდა რიგი სოციალური პროგრამების შემუშავების, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნის აუცილებლობის წინაშე. ალკოჰოლიზმის ასეთი სამედიცინო გაგება საკმაოდ ამცირებს პიროვნების პასუხისმგებლობას და მოქმედებს საზოგადოებაში ერთგვარი იარღყების დამკვიდრებაზე. თუმცა, ანდერსონის აღნიშვნით, საჯარო პოლიტიკაზე ალკოჰოლიზმის ასეთი სამედიცინო გაგებას ნაკლები გავლენა აქვს, რადგან უმეტეს შემთხვევაში ეს პრობლემა რევულირდება ადმინისტრაციული კანონმდებლობითა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ, განსაკუთრებით კი იმ შეთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ავტომობილის მართვის დროს ალკოჰოლის გამოყენებას.

ანდერსონი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გარემოებები, რომელიც წარსულში აღიქმებოდა როგორც ნორმალური, შესაძლებელია დროთა განმავლობაში, სოციალურ ცვლილებათა გავლენით, უკვე ნაკლებად აღიქმებოდეს ასეთებად და ჩაითვალოს პრობლემებად.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ოჯახური ძალადობის სხვადასხვა ფორმა, იქნებოდა ეს მეუღლის ცემა, ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობა და ა.შ. აღიქმებოდა ჩვეულებრივ მოვლენად და კერძო საკითხებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთ ძალადობას მსხვერპლი მოჰყებოდა. დღეს ოჯახური ძალადობის მიმართ დამოკიდებულება სულ სხვაგვარია. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების, ქალთა მოძრაობის, საკითხისადმი მასმედიაში არსებული ინტერესისა და სხვა ფაქტორთა გავლენით, დღეს ოჯახური ძალადობა უკვე აღარ აღიქმება ჩვეულებრივ მოვლენად. იგი რეგულირდება საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა სხვადასხვა აქტებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოჯახურ ძალადობასთან მიმართებაში ჯერ კიდევ რჩება გაურკვეველი საკითხები.

პრობლემების განსაზღვრა – ეს ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური პროცესია, რომელიც ზემოქმედებას ახდენს და გვეხმარება პრობლემათა შესაბამისი გადაწყვეტის გზების ძიებაში. ინვალიდებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის უფლების მინიჭება ეს გადაადგილების პრობლემა უფრო, თუ სამოქალაქო უფლებათა პრობლემა? თუკი პრობლემა განისაზღვრება როგორც გადაადგილების პრობლემა, მაშინ, ინვალიდებს გადაადგილების ადეკვატური საშუალებები უნდა შესთავაზონ, რაც გულისხმობს იმას, რომ ტრანსპორტის ნებისმიერ საშუალებაზე უნდა დამონტაჟდეს სპეციალური მოწყობილობები ან დამატებითი საშუალებები ავტობუსებში ინვალიდების სავარძლების უპრობლემოდ ასატანად, სპეციალური ამწევების განთავსებას მეტროს სადგურებში და სხვა ანალოგიური სახის ძვირადლირებული მოდიფიკაციების განხორციელებას ტრანსპორტით მომსახურეობის სფეროში. პრობლემის გადაწყვეტის ორ ალტერნატიულ ვარიანტს შორის ძიების პროცესში რეიგანის ადმინისტრაციამ გასული საუკუნის 80-იან წლებში არჩევანი ამ უკანასკნელზე შეაჩერა და ინვალიდების ინტერესების შესაბამისად ტრანსპორტირების მოდიფიკირება განახორციელა.

პრობლემის განსაზღვრის მეორე ასპექტი უკავშირდება პრობლემის მიზეზებს. გარემოება შესაძლებელია განისაზღვროს როგორც პრობლემა, მაგრამ დგება კითხვა - რა ინვევს ამ გარემოების წარმოშობას? კაუზალური კავშირის დადგენა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაგალითად, ინფლაცია, რომლის დაცემაც იზომება მომხმარებელთა კალათის ინდექსით, წარმოადგენს საზოგადოებრივ პრობლემას. მაგრამ რა შეიძლება მივიჩნიოთ ინფლაციის გამომწვევ მიზეზად? შესაძლებელია თუ არა ასეთად ჩაითვალოს ბრუნვაში დიდი რაოდენობით ფულის არსებობა, საქონელსა და მომსახურეობაზე მზარდი მოთხოვნილება, ინფლაციური ფისკოლოგია, როცა მოსახლეობა ფასების კიდევ უფრო დაცემის მუდმივ მოლოდინშია. ამასთან, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვოთ პრობლემის მიზეზები და მისი მახასიათებლები, იგივე სიმპტომები და ჩვენი უურადლება უფრო მეტად მიზეზებს მივაპყროთ. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი პრობლემის მიზეზების დიაგნოსტიკა და შეფასება არცთუ იოლი საქმეა. პრობლემის იდენტიფიკაცია და მათზე შეთანხმების მიღწევა უმაღლესი რანგის მოხელეებისთვის საკმაოდ რთული ამოცანა შეიძლება იყოს. ასეთ პირობებში პრობლემის განსაზღვრა თავად გადაიქცევა პრობლემად.

ზოგიერთი საზოგადოებრივი პრობლემის ხასიათისა და მასშტაბების დადგენა ძნელდება იმის გამო, რომ ისინი გაფანტულია, ანდა მათი „ზედაპირზე“ დანახვა ძნელია. გამომდინარე იქიდან, რომ ამა თუ იმ პრობლემის ზუსტი გაზომვა რთულია, ხელისუფლების წარმომადგენლებს უფრით პრობლემის მასშტაბების დადგენა, უფრო მეტიც, ეფექტური გადაწყვეტის საშუალებების მოძიება და არც თუ ისე იშვიათად იმის განსაზღვრაც კი, თუ რამდენად მოითხოვს ესა თუ ის პრობლემა მთავრობის მხრიდან უურადლებასა და რეაგირებას. 80-იანი წლების შეერთებულ შტატებში საკმაოდ მწვავე პრობლემა იყო უსახლკარო ადამიანები, რომლებიც ცხოვრებისთვის შეუფერებელ ადგილებში ათენებდნენ ღამეს. მათი რაოდენობის ზუსტი დადგენა შეუძლებელი გახდა. ხელისუფლებისთვის მხოლოდ ცნობილი იყო ის, რომ ასეთ ადამიანთა რაოდენობა 250 ათასიდან 3 მილიონამდე მერყეობდა, აქედან 10-დან 47 პროცენტამდე, როგორც ფიქრობდნენ, ფისიკურად დაავადებული იყო. ციფრებს შორის არსებული ასეთი სხვაობა და არსებული არაზუსტი მონაცემები უმთავრეს ხელისშემსლელ ფაქტორს წარმოადგენდა პრობლემის განსაზღვრასა და დიაგნოსტიკაში. სიტუაცია შედარებით გამოსწორდა უსახლკაროთა დახმარების 1987 წელს მიღებული აქტის შემდეგ, როცა ფედერალურ დონეზე დაიწყო ზუსტი მონაცემების შეკრება და უკვე მათ საფუძველზე სოციალურ მომსახურეობათა ამოქმედება. იმ პრობლემათა რიცხვს, რომელიც ზუსტ გაზომვას ნაკლებად ექვემდებარება, მიეკუთვნება, აგრეთვე, არალეგალური მიგრაცია, ოჯახური ძალადობა და ა.შ.

ანდერსონის დაინტერესების საგანია არა უბრალოდ პრობლემები, არამედ საზოგადოებრივი პრობლემები, რასაც ავტორი მიყავს კითხვამდე: „რა მახასიათებლები მოქმედებს იმაზე, რომ პრობლემა იქცეს საზოგადოებრივ პრობლემად?“. ადამიანთა უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომლის თანახმად, თუკი რომელიმე მოქალაქეს მანქანის გასამართად საკმარისი

რაოდენობის ბენზინი არ აქვს, ეს მისი პირადი პრობლემაა, მაგრამ ბენზინის მარაგის უკმარისობა რომელიმე რეგიონში უკვე საზოგადოებრივი პრობლემაა და აღიქმება სწორედ ასეთად.

რა განასხვავებს კერძო პრობლემას საზოგადოებრივსგან? როგორც წესი, საზოგადოებრივია პრობლემა, თუკი ის ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობაზე ვრცელდება და ფართო გავლენას ახდენს იმათზეც კი, ვისაც ეს პრობლემა უშუალოდ არ ეხება. ის პრობლემები კი, რომელთა გავრცელებაც შეზღუდულია და მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა საზრუნავი და წუხილის საგანია, შესაძლებელია განისაზღვროს როგორც კერძო. ქვემოთ მოყვანილი ილუსტაცია უფრო მეტ სიცხადეს შესძენს ამ ერთი შეხედვით ბუნდოვან განსაზღვრებას. წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე ია ვარდიაშვილი უბედურია არსებული საგადასახადო წერების პირობებში. მოქმედებს რა დამოუკიდებლად, ია ვარდიაშვილს ერთადერთი რაც შეუძლია — ეძებოს კეთილგანწყობა გადასახადების ამკრეფის მხრიდან და ამ გზით ეცადოს მის წინაშე არსებული პრობლემის გადაწყვეტას თუ არა, გარკვეულ შემცირებას მაინც. ამავე დროს, მას აქვს ერთგვარი შანსი ფული ჩადოს რომელიმე გადასახადებისგან გამათავისუფლებელ მუნიციპალურ ვალდებულებებში ან სხვა გზა გამონახოს საგადასახადო ვალდებულებათა შესამცირებლად. დასახელებული პიროვნება მართლაც რომ რეალური პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ ეს უკიდურესად კერძო, პირადად მისი გადასაწყვეტი პრობლემაა. თუმცა არსებობს ია ვარდიაშვილის პრობლემის გადაწყვეტის სხვა ალტერნატივაც — მას შეუძლია თავისი კერძო პრობლემის საჯაროდ გამოტანა და იმ ადამიანთა მხარდაჭერის მოპოვება, რომლებიც იზიარებენ, ან უბრალოდ თანაუგრძნობენ მას. ისინი ერთობლივი ძალებით განახორციელებენ გარკვეულ პოლიტიკურ მოქმედებებს: შესაძლებელია საკანონმდებლო ორგანოში წარადგინონ კანონპროექტი და წამოიწყონ კამპანია მის წინ წასაწევად, რაც ცხადია აუცილებლად დააინტერესებს ოპოზიციურ ძალებს. პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ამ საქმეში მრავალი ადამიანის ჩართვა ხდება. ია ვარდიაშვილის პრობლემა უკვე აღარაა მხოლოდ მისი პირადი პრობლემა და აღიქმება როგორც საერთო პრობლემა. საზოგადოებრივი პრობლემა თავისი მახასიათებლებით უკვე სახეზეა.

იმ პრობლემათა დიდი ნაწილი, რომელთა გადაწყვეტაზეც მთავრობა მუშაობს, კერძო პრობლემებია. პოლიტიკური ცხოვრების მიკროდონე ძირითადად სწორედ კერძო პრობლემებზე ახდენს ფოკუსირებას. კონგრესის მიერ მიღებულ კერძო კანონთა უმრავლესობა სწორედ მოქალაქეთა წინაშე არსებული კერძო პობლემების, მაგალითად, იმიგრაციასთან დაკავშირებული სირთულეების გადაწყვეტას ისახავს მიზანად. კონგრესმენთა უმეტესობის დროის დიდი ნაწილი სწორედ მათი ამომრჩევლების კერძო პრობლემების გადაწყვეტასა და მათთვის ადმინისტრაციულ უწყებებთან ურთიერთობის გაადვილებაზე ზრუნვას ხმარდება. ასეთი მოღვაწეობა კი საბოლოოდ, მთავრობას პრობლემის „გაპუმანურებასა“ და კერძო მოქალაქეთა პრობლემების მიმართ მეტი გულისხმიერების გამოჩენაში ეხმარება.

ანდერსონი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გარემოებებისა და სიტუაციის პრობლემად განხილვა დამოკიდებულია არა იმდენად მისი ობიექტურ საზღვრებსა და მახასიათებლებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ აღიქმება ის. მდიდარი ადამიანი, რომელსაც არასოდეს განუცდია კარგი სამსახურის უქონლობა, უმუშევრობის ზრდის ტენდენციას გაცილებით იოლად უყურებს და სულაც არ აღიქვამს დიდი საშიშროების შემცველ მოვლენად, მაშინ როცა უბრალო მოსამსახურე, რომლიც უმუშევრობის მუდმივი საფრთხის წინაშე იმყოფება, ასეთ ტენდენციას რეალური მუქარად განიხილავს. აღქმაზე თანაბარ გავლენას ახდენს ღირებულებები, თავად არსებული სიტუაცია, რომლის შეფასებაც ხდება და წარსული გამოცდილება. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ამა თუ იმ სიტუაციის შეფასებისა და პრობლემის განსაზღვრის ერთადერთი უნივერსალური წესი, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა, უმეტესწილად, დროდან დრომდე ამა თუ იმ პრობლემას ან პრობლემათა ერთობლიობას მეტ უპირატესობას ანიჭებს და მის გადაწყვეტის ერთიან ხედვას აფიქსირებს. პრობლემის განსაზღვრა, როგორც ასეთი, წარმოადგენს კონკურენციულ პროცესს პრობლემის განსაზღვრის ალტერნატიულ ვარიანტებს შორის, რომლის გასატანად და მისაღებად იღწვიან თითოეული ალტერნატიული ხედვის მატარებელი ინდივიდები თუ სოციალური ჯგუფები.

ანდერსონის აზრით, კითხვაზე — არსებობდა თუ არა გასული საუკუნის 70-იან წლების შეერთებულ შტატებში „ენერგეტიკული კრიზისი“ ნავთობისა და ბუნებრივი აირის უქმარისობის სახით და წარმოადგენდა თუ არა იგი საზოგადოებრივ პრობლემას, რომელიც მთავრობის მხრიდან ზემოქმედებას საჭიროებდა — პასუხი დამოკიდებულია არა იმდენად პრობლემის განმაპირობებელი ობიექტური მიზეზების არსებობით, რამდენადაც იმ გარემოებით, იყო თუ არა იგი განსაზღვრული როგორც პრობლემა და აღიქმებოდა თუ არა ასეთად. ამავე დროს ის, თუ როგორ განისაზღვრება პრობლემა, ბევრად მოქმედებს პრობლემის გადაწყვეტის საშუალებების ძიებაზეც. ნიქსონის, ფორდისა და კარტერის ადმინისტრაცია, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ პრობლემა მართლაც ნავთობისა და ბუნებრივი აირის

უკმარისობაში მდგომარეობდა, ახორციელებდნენ მოქმედებებს, რომელიც ნავთობის ფასების გაკონტროლებისა და ენერგიის ახალი წყაროების განვითარებისკენ იყო მიმართული და ამ სფეროში სახელმწიფო რეგულირებას აწესებდა. რეიგანის ადმინისტრაციამ, ამის საპირისპიროდ, უარყო ენერგეტიკული კრიზისის პრობლემის, როგორც ასეთის არსებობა და წინა ხელისუფლების დროინდელი პროგრამების დემონტაჟი განახორციელა. ამის გამო რეიგანის ადმინისტრაციას ბევრი აკრიტიკებდა და მას სიბეჭები ადანაშაულებდა.

ამ მიმოხილვას ბუნებრივად მივყავართ კითხვამდე — რატომ ხდება რომ ზოგიერთი პრობლემა აღიქმება როგორც საზოგადოებრივი, რომელიც მთავრობის მხრიდან რეაგირებას საჭიროებს და ზოგიერთი არა? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

## პოლიტიკის ანალიზის, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ციკლური პოცეცია

ციკლურია არა მხოლოდ პოლიტიკის ანალიზის პროცესის მიმართ დამოკიდებულება, არამედ, იმ გარემოს მიმართაც, რომელშიც თავად პოლიტიკის ანალიზი გამოიყენება – კერძოდ, დამოკიდებულება საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ანალიზით დაკავებული თითოეული პიროვნება, იქნება ეს აკადემიური დონის მკვლევარი თუ პრაქტიკოსი ანალიტიკოსი, რომლებიც საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით, გადაწყვეტილების მიღებისა და ანალიზის პროცესს სხვადასხვა ფაზებისა და სტადიების სახით წარმოიდგენენ, ციკლური მოდელის ჭრილში ხედვა მაინც შენარჩუნებულია. ამასთან, სამივე პროცესი მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ერთმანეთის პარალელურად მოძრავი წრეების სახითაც კი არის ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლელ მკვლევართა უმრავლესობა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით და გადაწყვეტილების მიღების პროცესს ერთმანეთთან აიგივებს, რაც მმართველობით პროცესში გადაწყვეტილების მიღების საკვანძო მნიშვნელობით არის განპირობებული<sup>29</sup>.


## საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის მოდელები

საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის მოდელები გადაწყვეტილების მიღების პროცესს წარმოადგენს თანამიმდევრული სტადიებისა და ფაზების დინამიური პროცესის სახით. მათ პროცესუალური (policy process), სტადიური (stagist), წრიული (circular), ციკლური (policy cycle) და ზოგჯერ ცხოვრებისეული ციკლის (policy life cycle) სახელითაც კი მოიხსენიებენ. XX საუკუნის 70-იან 80-იან წლებში პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა აღქმაში ასეთი მოდელები მიიჩნეოდა საბაზისო მოდელებად, რომლებიც დღემდე პოპულარობას ინარჩუნებენ.

დღესაც კი მათ არაერთი მიმდევარი და მხურვალე მხარდამჭერი ჰყავთ. ამ მოდელის საფუძველზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღება აღიქმება ერთიანი პროცესის სახით, რომელიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირსა და თანხმობაში მყოფი ცალკეული სტადიებისგან შედგება და სოციალურ-პოლიტიკურ სივრცესა და დროში ვითარდება. ეს პროცესი ატარებს ციკლურ-წრიულ ხასიათს - თითოეული მისი შემადგენელი ელემენტი უზრუნველყოფს უკუგებას და ქმნის პირობებს შემდგომი ფაზის განვითარებისთვის.

<sup>29</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 48

## სქემა №1. საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, საჯარო პოლიტიკურ-მართველობითსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს შორის ურთიერთმიმართება



პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ციკლური კონცეფციის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა მოახდინა, ერთი მხრივ, პოლიტიკური პროცესის სისტემურ-ფუნქციურმა მიღვიმამ, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა დ. ისტორიისა და გ. ალმონდის მიერ 1950-60-იან წლებში ჩამოყალიბებულ თეორიაში, მეორე მხრივ კი, დიუისა და ჰ. საიმონის მიერ წამოყენებულმა რაციონალური ევრისტიკის იდეებმა და ჰ. ლასუელის ბიპევიორისტულმა კონცეფციამ. როგორც ცნობილია, სწორედ ისტორიაში შეიტანა ძირითადი წვლილი პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის მოდელირებისას ისეთი კატეგორიების დამკვიდრებაში, როგორიცაა „შესვლა-გამოსვლა“ და უკუკავშირი. სწორედ პოლიტიკური სისტემის თეორიამ შექმნა და შეამზადა მყარი ნიადაგი გადაწყვეტილების მიღების დინამიურ-სტადიური მოდელისა და ამ მოდელის პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის საკვანძო ფაზებთან დასაკავშირებლად. დიუისა და საიმონის ნაშრომებში გამოიყოფა პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის სამფაზიანი მოდელები (დიუი - პრობლემის განსაზღვრა, ალტერნატივების ფორმულირება, საუკეთესო ალტერნატივის არჩევა; საიმონი - დაზვერვა, პროექტირება (დიზაინი), არჩევა). ლასუელი კი ამ პროცესის ექვსფაზიან მოდელზე მსჯელობდა, რომელშიც დაზვერვა, ნინ წანევა, განერა-ზინასწარ განსაზღვრა, მიმართვა-დამატება-დართვა, დაწმუნება და შეფასება ერთმანეთის თანამიმდევრულად ვთარდებოდა.

შედეგად, XX საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში თანდათანობით სულ უფრო მყარ პოზიციებს იმკვიდრებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესუალური კონცეფცია, რომელიც დღეს დასავლეთის სამეცნიერო წრეებში ყველაზე მეტად აღიარებულია.

თანამედროვე პირობებში საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის საფუძველია, ერთი მხრივ, მაკროპოლიტიკური პროცესის თეორია, მეორე მხრივ კი, ფუნქციონალურ-ფაზური მუშაობისა და მმართველობით პროცესში მონაწილე პოლიტიკურსებისა და ანალიტიკოსების მიერ „პრობლემის გადაწყვეტის“ ევრისტიკული მოდელები. გასათვალისწინებელია, რომ ამავე კონცეფციაში მოხდა როგორც სისტემურ-ფუნქციური (შესვლა, გამოსვლა, რეზულტატი და სხვა), ისე კოგნიტურ-შემეცნებითი (პრობლემის განსაზღვრა, ალტერნატივების შემუშავება, შედეგების შეფასება) მიღვომებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სამეცნიერო-ლექსიკური აპარატის გაერთიანება და დანერგვა. პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის მოდელები ემყარება ადამიანის მოღვაწეობის რაციონალური მოწესრიგებისა და ევრისტიკული შემეცნების პრინციპს, რომელიც სხვადასხვა ლოგიკური პროცედურებისა და ოპერაციების დახმარებით ხორციელდება.

დღესათვის შემუშავებულია საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის საკმაოდ დიდი რაოდენობის სახეობები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ფაზების რაოდენობით, ისე სტადიებს შორის არსებული კავშირებითა და ამ კავშირების ხასიათით. პოლიტიკურ-მმართველობითი ფაზების რაოდენობა ხუთიდან (ანდერსონი) 18-მდე (დრორი) მერყეობს, თუმცა, აქ მხოლოდ დეტალიზების ხარისხზეა საუბარი და არა მათ შორის არსებულ

შინაარსობრივი ხასიათის განსხვავებაზე. საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ეტაპებზე მსჯელობისას, ზოგიერთი ავტორი უფრო კონკრეტულ და დეტალურ სქემას წარმოადგენს, ზოგი კი მხოლოდ ზოგადი ხასიათის სტადიური სურათის წარმოდგენით კმაყოფილდება<sup>30</sup>.

ასეთი ტიპის ერთი-ერთი პირველი მოდელი შემოგვთავაზა ინგლისელმა მეცნიერმა ვ. ჯენკინსმა 1978 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „პოლიტიკის ანალიზი: პოლიტიკური და ორგანიზაციული პერსპექტივები“<sup>31</sup>, სადაც გამოიყოფა პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის შვიდი ფაზა: გადაწყვეტილების ინიციაცია, ინფორმაციის ანალიზი, დასკვნა, გადაწყვეტილება, მისი განხორციელება, შედეგების შეფასება და ციკლის დასრულება. მოგვიანებით შექმნილ მოდელში, რომელიც ინგლისელმა მეცნიერებმა პ. ჰოგვუდმა და ლ. განმა წიგნში „პოლიტიკის ანალიზი რეალური სამყაროსთვის“ 1984 წელს შემოგვთავაზეს, გამოიყოფა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის 9 ფაზა: გადაწყვეტილების მიღება, მიიღონ თუ არა გადაწყვეტილება; გადაწყვეტილება, თუ როგორ მიიღონ გადაწყვეტილება; საკითხის განსაზღვრა; პროგნოზირება; მიზნებისა და პრიორიტეტების ფორმულირება; ალტერნატივების ანალიზი; პოლიტიკის განხორციელება: მისი მონიტორინგი და კონტროლი; შეფასება და მიმოხილვა; შედეგების დამტკიცება და ციკლის დასრულება<sup>32</sup>.

ციკლური მოდელის თანამედროვე ვარიაციებში საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ფაზების რაოდენობა, როგორც წესი, არ აღმატება ხუთ-ექვსს. მაგალითად, შეიძლება მივუთითოთ მოდელზე, რომელიც ამერიკელმა პოლიტოლოგებმა ჯონ ანდერსონმა და უილიამ დანმა ჯერ კიდევ 1970-80-იან წლებში შეიმუშავეს და დღემდე ინარჩუნებს საბაზისო მოდელის სტატუსს. მათი მოდელის მიხედვით, მმართველობითი პროცესი 5 ფაზისგან შედგება:

- დღის წესრიგის განსაზღვრა და პრიორიტეტულ პრობლემათა გამოყოფა (დღის წესრიგის განსაზღვრა);
- პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატივული ვარიანტების შემუშავება, რომელიც წარმოაჩენს შესაძლო ქმედებათა და ღონისძიებათა პროექტებს (პოლიტიკის ფორმულირება);
- არჩევა და გადაწყვეტილების ოპტიმალური ვარიანტის ოფიციალური დამტკიცება-ლეგიტიმაცია (პოლიტიკური კურსის დამტკიცება);
- პოლიტიკურ პრაქტიკაში გადაწყვეტილების რეალიზაცია (პოლიტიკის განხორციელება-იმპლიმენტაცია);
- მიღებული რეზულტატების მთავრობის მიერ შეფასება (პოლიტიკის შეფასება).


გარდა ამისა, დანის 2004 წელს გამოცემული წიგნის „შესავალი საჯარო პოლიტიკის ანალიზში“ მესამე რედაქტირებულ ვარიანტში ავტორი საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით პროცესს ავსებს დამატებითი სამი ფაზით, რომლებიც დანარჩენ ფაზებთან ერთად ერთგვარ პარალელურ რეჟიმში ხორციელდება. ეს დამატებითი ფაზებია - **ადაპტირება**, რომელიც მმარველობითი პროცესის ნებისმიერ ფაზას ახლავს თან და შეფასების შემდგომი ფაზები - **გადაცემა-მემკვიდრეობა** და **პროცესის დასრულება**. გადაცემა-მემკვიდრეობის დროს ხდება პრობლემის მოხსნა და მმართველობითი პროცესის უკვე სხვა პრობლემატიკაზე გადართვა-გადასვლა. პროცესის დასრულებაში კი იგულისხმება პოლიტიკური კურსის შეფასების საფუძველზე, მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. გასათვალისწინებელია, რომ შეწყვეტა ხდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასების არსებობის შემთხვევაში. თუმცა, ამ უკანასკნელი ვარიანტის დროს ხდება ამავე პრობლემატიკის დაძლევის მიზნით პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის თავიდან ამოქმედება. რაც შეხეხება ადაპტირებას, ის შეიძლება განვიხილოთ უკუგების სახითაც, რომელიც სისტემურ-ფუნქციურმა მოდელმა დაამკვიდრა. გთავაზობთ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის განხორციელების დანის მიერ შემუშავებულ სქემას.

<sup>30</sup> საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით პროცესზე მსჯელობას ბევრი მეცნიერი იწყებს შიდაპოლიტიკური დღის წესრიგიდან და არა სისტემური დღის წესრიგიდან როგორც დანისა და ჰეივუდის მიერ შემოთავაზებულ სქემებში; ამავე დროს, ყველაზე დეტალურად აღნერენ ფორმულირების ეტაპს. ეს შეიძლება აიხსნას, ერთი მხრივ, ამ ეტაპის სირთულით, მეორე მხრივ, იმ გარემოებით, რომ ვიღლდავსკის ცონბილი ნამრომის გამოქვეყნებამდე “როგორ ახერხებს მთავრობა ორეგონში მართვას?” განხორციელების ეტაპს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ და მთელი ყურადღება გადაპქონდათ განხორციელების წინარე - ფორმულირების ატაპზე და მიჩნდევდნენ, რომ განხორციელების ეტაპი თავისთვად ავტომატურ რეჟიმში ამოქმედდებოდა. ასეთი მცდარი შეხედულების დიდი ხნის განმავლობაში არსებობას ადასტურებს ეს სქემაც, სადაც განხორციელებისა და მით უმეტეს, შეფასების ეტაპს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

<sup>31</sup> Jenkins W. 1978. *Policy Analysis*. Oxford.

<sup>32</sup> Hogwood B., Gunn L. 1984. *Policy Analysis for the Real World*. Oxford.

სქემა №2. საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი



წყარო: William N. Dunn, *Public Policy Analysis: An Introduction*, 3rd ed., Prentice Hall, 2004.გვ. 46

საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ციკლური მოდელის პოპულარობა 1970-80-იან წლებს ემთხვევა, თუმცა მაშინაც ბევრი აქტიური კრიტიკოსი ჰყავდა. კერძოდ, ამერიკელი პოლიტოლოგი **ნაკამურა** ხაზს უსვამდა აღნიშნული კონცეფციის ზედმეტ სქემაზე და რეალური პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესისგან მოწვეტილობას. ეს სქემა, მისი აზრით, არ შეესაბამებოდა პოლიტიკური ცხოვრების რეალურ პრაქტიკას, სადაც ციკლური მოდელისთვის დამახასიათებელი თანამიმდევრულობა და ზედმეტი აკურატულობა, როგორც წესი, ნაკლებად გვხვდება. საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ციკლურ მოდელში ის მხოლოდ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერების მიერ პოლიტიკური რეალობის ათვისების გამარტივების მიზანს ხედავდა.

საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ციკლური მოდელის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს: ციკლური მოდელი ატარებს ხელოვნურ რაციონალურ-ევრისტიკულ ხასიათს და ვერიფიკაციას არ ექვემდებარება; ის პრობლემის გადაწყვეტის პროცესში ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლის ახსნის საშუალებას ნაკლებად იძლევა; სტადიური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილების თანამიმდევრულ „ზევიდან ქვევით“ ანუ მმართველიდან მართულისკენ მოძრაობაზე და ნაკლებად ითვალისწინებს საპირისპირ მიმართულებით მოძრაობის განხორციელების შესაძლებლობას. ასე რომ, გადაწყვეტილების გასვლისა და განხორციელების „ქვედა“ დონე, ბიუროკრატიისა და სხვა პოლიტიკურ აქტორთა მონაწილეობით, სრულიად იგნორირებულია; საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის ცნება იმ გაგებით, როგორც ის დღეს გამოიყენება, ახდენს სახელმწიფო მექანიზმის, როგორც მრავალდონიანი სტრუქტურის, იგნორირებას. პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის მრავალდონიანი სტრუქტურა, რომლის თითოეული შემადგენელი ნაწილიც ცალკეული ციკლის სახით შეიძლება წარმოდგეს, მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთექმედების საფუძვლზე ფუნქციონირებს და არა ერთიანი ციკლის სახით, როგორც ეს პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ციკლურ კონცეფციაშია აღნერილი; საჯარო პოლიტიკის ციკლურ მოდელს მმართველობითი და ანალიტიკური მოღვაწეობის ადეკვატური და ინტეგრალური აღნერა არ შეუძლია, რადგან პოლიტიკის ანალიზი მხოლოდ მის უკანასკნელ ფაზასთან – შედეგების შეფასებასთან ასოცირდება.

პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ამ და სხვა აშკარა სისუსტეებმა მკვლევართა ნაწილს მმართველობითი პროცესის ალტერნატიული მოდელების წარმოდგენისკენ უბიძგა. მათ შორის ყველაზე საინტერესოდ მიიჩნევა **ჯ. კინგდონის** პოლიტიკურ-მმართველობითი დინებების/ნაკადებისა (policy streams) და **ტეისმანის** რაუნდების (rounds model) მოდელები.

საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ციკლური მოდელის დახვეწილი ვარიაცია - დინებების მოდელი **ჯ. კინგდონმა** ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში „დღის წესრიგი, ალტერნატივები და სახელმწიფო პოლიტიკური კურსები“ (1997 წ.). ამ ნაშრომში წარმოდგენილი მოდელის თანახმად, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი, როგორც ასეთი, ხორციელდება არა ერთი, არამედ ერთმანეთის პარალელურად მოქმედი სამი ცალკეული დინების: პრობლემების, გადაწყვეტილებებისა და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი კურსის დინებებისგან. საკუთარი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად **კინგდონმა** 1976-79 წლებში ჩაატარა კვლევა ტრანსპორტისა და ჯანდაცვის სფეროებში სახელმწიფო გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების პროცესზე. 247 ადმინისტრატორის, პოლიტიკოსისა და პოლიტიკური აქტორის გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითა და გადაწყვეტილების მიღების 23 კონკრეტული შემთხვევის შესწავლის საფუძვლზე მან დაასკვნა, რომ პრობლემათა დინება-ნაკადი პოლიტიკოსებისა და ადმინისტრატორების მიერ პრობლემათა საერთო ნაკადიდან შერჩეული პრობლემების ერთობლივისგან შედგება. მისი აზრით, პრობლემათა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით დინებაში მოხვედრას უზრუნველყოფა: ინდიკატორები, რომლებიც ემსახურებიან პრობლემათა რანგისა და ხასიათის განსაზღვრას (აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოფიციალურ მოხსენებებსა და შეფასებებს), მოვლენები, რომელიც პოლიტიკურ აქტორებს აიძულებს ფოკუსირდნენ ამა თუ იმ საკითხზე (ასე მაგალითად, სტიქიური უბედურებები და სატრანსპორტო კატასტროფები) და „უკუკავშირი“, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გადაცემა „ქვევიდან ზევით“ საზოგადოებაში არსებულ მდგომარეობაზე, მიმდინარე პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა განხორციელების პროცესში დაშვებულ შეცდომებსა და გადაწყვეტილების პროცესში შექმნილ გართულებებზე.

რაც შეეხება გადაწყვეტილებათა ნაკადს, ეს ნაკადი **კინგდონს** წარმოუდგენია ე.ნ. პროტობულიონის სახით, რომელშიც ამა თუ იმ სახელმწიფო გადაწყვეტილების იდეა-ინგრედიენტები „იხარშება“. ამასთან, გადაწყვეტილებათა ზეგიერთი ვარიანტი ბულიონის ზედაპირზე ამოდის, მაშინ როცა დანარჩენი ფსკერზე ილექტება. პოლიტიკურ გარემოში, სადაც ეს ბულიონი მზადდება, მოქმედებენ პოლიტიკური მენარმეები, რომლებიც მათთვის მისაღები

და მოგების მომტანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლობირებას ეწევიან. მაგრამ იმისათვის, რომ მენარმის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილების ვარიანტი საზოგადოებისთვის მისაღები აღმოჩნდეს, ის უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა იყოს ტექნიკური თვალსაზრისით გამყარებული, არგუმენტირებული, უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებაში დომინირებულ ღირებულებებს და ითვალისწინებდეს იმ შეზღუდვებს, რაც მას განხორციელების პროცესში შეიძლება შეექმნას. ბულიონის დუღილის დროს იქმნება სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორთა მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილებებათა სხვადასხვა ვარიანტები, რომლითაც ხდება პოლიტიკური დღის წესრიგში განსახილველ ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა პაკეტის ფორმირება. **კინგდონის** მიერ გამოყოფილი უკანასკნელი დინებანაკადი – საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი კურსები იყოვა ისეთ შემადგენელ ნაწილებად როგორიცაა – ეროვნული თვითშეგნება (საზოგადოებრივი კლიმატი და საზოგადოებრივი აზრი), ორგანიზებული პოლიტიკური ძალები (კანონმდებლები, პოლიტიკური პარტიები და ზენოლის ჯგუფები), მართვა (სახელმწიფო ორგანოებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების როტაცია) და კონსენსუსის მიღწევის საშუალებები (ვაჭრობა, კომპრომისი).

კრიტიკულ მომენტებში, როცა სოციალურ სივრცეში იხსნება პრობლემების, გადაწყვეტილებებისა და საჯარო მმართველობით-პოლიტიკური კურსების გაერთიანების „შესაძლებლობების ფანჯარა“, ეს სამი ნაკადი ერთიან ნაკადში ერწყმის ერთმანეთს. სწორედ ამ დროს იქმნება პოლიტიკურ-მმართველობითი დღის წესრიგში სხვადასხვა საზოგადოებრივ პრობლემათა მოხვედრისა და სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ადეკვატური საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. **კინგდონის** აღნიშნული მოდელი, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების არასტაბილურობასა და პოლიტიკური პროცესის მონაწილეთა კონკურენციულ დამოკიდებულებას ითვალისწინებს, საკმაოდ განსხვავდება პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის კლასიკური მოდელებისგან, სადაც პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი დროში თანამიმდევრული, ფიქსირებული ნაბიჯების სახით წარმოდგება.

პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ციკლური კონცეფციის მეორე ალტერნატიულ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ შემუშავებულ „რაუნდების“ მოდელს პოლანდიელი პოლიტოლოგი **ტეისმანი** გვთავაზობს. აღნიშნული მოდელის შემუშავებამდე მეცნიერმა ჯერ სტადიური და დინებების (ნაკადური) მოდელების ძლიერი და სუსტი მხარეები გაანალიზა, რის შედეგადაც დასაკვნა, რომ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის სრულყოფილი ანალიზისთვის ინტერდისციპლინური მიდგომისა და მრავალდონიანი კვლევის წარმოებაა საჭირო. ასეთ აუცილებლობას პოლანდიელი მეცნიერი პოლიტიკის ანალიზის საკვლევი თემატიკის თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით ხსნიდა. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართულ აქტორთა სიმრავლემ და მასთან დაკავშირებულმა ბრძოლამ ალტერნატიულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შორის, მეცნიერი აიძულა პოლიტიკურ-მმართველობით პროცესი წარმოედგინა გადაწყვეტილებების მიღების რაუნდების ერთობლიობის სახით. ავტორის მტკიცებით, გადაწყვეტილების მიღების თითოეული რაუნდი პირველ რიგში ურთიერთობაა გარკვეულ გადაწყვეტილებებს შორის, რომელსაც ესა თუ ის პოლიტიკური მოთამაშები ლობირებენ. რაც შეეხება რაუნდში მონაწილეთა რაოდენობას, მათ შორის არსებულ ძალთა თანაფარდობასა და თამაშის წესებს, ისინი რაუნდიდან რაუნდამდე იცვლება, პოლიტიკური გადაწყვეტილება კი თითოეული რაუნდის ფარგლებში მუდმივ კორეეფტირებას განიცდის. ამ გაგებით, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ერთხელ და სამუდამოდ მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც კორეეფტირების საშიშროება ნაკლებად დაემუქრებოდა. გადაწყვეტილების განხორციელების პროცესშიც კი რესურსების ნაკლებობის გამო ის შესაძლებელია არაერთხელ შეიცვალოს და დაზუსტდეს. ამ კონცეფციის მიხედვით, ნებისმიერი საჯარო გადაწყვეტილება დამტკიცებისა და განხორციელების პროცესში გაივლის მრავალ „ვირტუალურ“ მდგომარეობას, რომლის საბოლოო შედეგიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე პოლიტიკურ აქტორთა შორის პოლიტიკურ რინგზე მოპოვებულ გამარჯვებაზეა დამოკიდებული.


საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ციკლური კონცეფციიის წინააღმდეგ გამოთქმული რიგი კრიტიკული შენიშვნებისა და პრეტენზიების მიუხედავად, აღნიშნული კონცეფცია კვლავ ინარჩუნებს საკმაოდ ძლიერ პოზიციებს სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში. პოლიტიკის ანალიზის ისეთი ცნობილი მკვლევრები, როგორიც ანდერსონი, ჰილი, პარსონსი და სხვები არიან, აღნიშნულ კონცეფციის ადარებენ ერთგვარ მაშველ წრეს, რომელიც პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ჰიპერკომპლექსურობის ოკეანეში წყალზე თავისუფლად ტივტივის საშუალებას იძლევა და მეცნიერებსა და პრაქტიკოს-ანალიტიკოსებს უდიდესი მოცულობის ინფორმაციასთან მუშაობის გაადვილების საშუალებას აძლევს. ამ კონცეფციის მომხრე არაერთი მეცნიერი ციკლურ მოდელს უფრო ანალიტიკური ხერხის სახით განიხილავს, ვიდრე პოლიტიკური რეალობის აღნერის საშუალებად. ტრადიციულ ვარიანტში, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის სტადიურ-ციკლური მოდელი დღეს

წარმოდგება პოლიტიკის ანალიზის განხორციელების ძირითადი სამუშაო ინსტრუმენტის სახით, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ის ნამდვილად სერიოზულად მოიკოჭლებს თავის დისტრიფული და კოგნიტური შესაძლებლობებით.

## საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი – გარემო, რომელიც პოლიტიკის ანალიზი გამოიყენება

მიუხედავად იმისა, რომ დასავლელ მეცნიერთა უმრავლესობა სოციალურ, პოლიტიკურ, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს ერთმანეთისგან არ განასხვავებს, ჩვენ იმ გარემოს უკეთ გასაცნობად, რომელშიც პოლიტიკის ანალიზი გამოიყენება, ამ პროცესებს ერთმანეთისგან განცალკევებით წარმოვადგენთ. თუკი პიცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი იულიამ დანი სოციალურ, პოლიტიკურ, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს იდენტურ ცნებებად აღიქვამს, ჩვენ მომხრე ვართ ეს პროცესები წარმოვიდგინოთ არა ერთმანეთზე დადებული შრეების, არამედ ერთმანეთში ჩაზრდილი წრეების სახით, რომელშიც ცენტრალური ელემენტის სახით გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამოდის. გასათვალისწინებელია, რომ ამ პროცესებს ჩვენ განვიხილავთ სოციალური და პოლიტიკური სისტემის ჭრილში და წარმოვადგენთ პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციური მოდელის შექსებულ ვარიანტს, რომელშიც საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი გამოდის სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ქვესისტემის სახით და მისთვის სოციალურ-პოლიტიკური სისტემა აღიქმება როგორც გარემო. ჩვენს მიერ წარმოდგენილ სქემაში ყველაზე ფართო ცნების სახით გამოდის სოციალური პროცესი, რომელშიაც პოლიტიკური, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხორციელდება. შესაბამისად, სქემაში ჯერ სოციალური, შემდეგ კი პოლიტიკური, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი და გადაწყვეტილების მიღების პროცესების წრეებია „ჩაზრდილი“. აღნიშნული სქემა, რომელიც პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციური მოდელის დაკონკრეტული ვარიანტია, ეფუძნება პოლიტიკურ სისტემაში მართვის ფუნქციის განხორციელებას, რომელიც სოციალური სფეროდან მიღებული სიგნალების გადამუშავებასა და პასუხის გაცემაში მდგომარეობს. ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად მიღებულ გადაწყვეტილებას ერთგვარი საკვანძო როლი ენიჭება საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით პროცესში.

**სქემა №3. სოციალური, პოლიტიკური და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის ფუნქციონირების მოდელი**



ამ სქემაში (იხილეთ სქემა 3.) განაპირობობის წრე დანარჩენ ორ შიდა წრესთან მიმართებაში ერთგვარი გარემოს როლს ასრულებს, რომელში აკუმულირებული პრობლემატიკის გადასაწყვეტადაც ეს უკანასკნელი ფუნქციონირებს. საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი გადაწყვეტილების მიღების პროცესთან ერთად ამ განაპირობით წრეებში არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ მომართული მექანიზმია, ერთგვარი გადამამუშავებელი მმართველობითი მანქანაა, რომელმაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების სრული გადაწყვეტა თუ არა, მათი სიმწვავის შემცირება მაინც უნდა უზრუნველყოს. ტონინბის გამოწვევა-პასუხის თეორიით თუ ვიხელმძღვანელებთ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესისთვის გამოწვევას ნარმოადგენს გარესამყაროში არსებული პრობლემები (შესვლის სიგნალები), პასუხს კი მათი გადაწყვეტა (გამოსვლის სიგნალები), გადაწყვეტის საშუალებად კი ესა თუ ის პოლიტიკური კურსი გამოდის, რომელსაც საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი მექანიზმი პრობლემის გადასაწყვეტად ჯერ ამზადებს, შემდეგ ამტკიცებს და ბოლოს ცხოვრებაში მის რეალიზაციას ახდენს. შესაბამისად, სქემა, თავისი არსით, პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სტრუქტურის მატარებელია და აქ ჩვენ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი (ზოგადად ხელისუფლება) გვაინტერესებს იმდენად რამდენადაც, გავერკვეთ საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმის მოქმედებაში.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სქემაში წარმოდგენილ პროცესებს შორის საზღვრები პირობითია, რაზეც საზღვრების წყვეტილი ხაზებით შეერთებაც მონაბეჭდს და ამ პროცესებს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითებს. თუმცა, სოციალურ, პოლიტიკურ, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს შორის არსებული საზღვრების შედარების საფუძველზე საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის წრე სხვებთან შედარებით გამოიყურება როგორც ყველაზე ჩაკეტილი. სოციალური და პოლიტიკური წრეებისგან განსხვავებით, სადაც საზოგადოებრივი პრობლემის პოლიტიკურ პრობლემად ტრანსფორმირება, როგორც ასეთი, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემის უკვე საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით პრობლემად ტრანსფორმირება კი, ნამდვილად, აწყდება რიგ წინააღმდეგობებს. სწორედ ამის გამო მივიჩნევთ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით პროცესს სხვაზე მეტად ჩაკეტილ სისტემად, რომელიც პრობლემის „გასათავისებლად“ გარკვეულ პირობებს აყენებს და თანაც არა სტანდარტულს. გასათვალისწინებელია, რომ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში არსებულ ყველა პრობლემათა გადაწყვეტით როდია დაკავებული. შესაბამისად, საზოგადოებრივი პრობლემებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ხდება საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის ჯერ ყურადღების, შემდეგ კი რეაგირების საგანი. სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში აკუმულირებულ პრობლემათა გადაწყვეტას ხელისუფლება შერჩევით ახორციელებს. სწორედ ამის გამოა, რომ საზოგადოება ხშირად ჩივის მის გარშემო არსებულ მოუგვარებელ პრობლემებზე, რომელიც მისი აზრით, მთავრობის მხრიდან დაუყოვნებლივი რეაგირებასა და გადაწყვეტას საჭიროებს. საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის მიერ პრობლემათა სწორედ ამ შერჩევითი პრინციპის გამოა, რომ არცთუ ისე ხშირად საზოგადოება ხელისუფლებას გულგრილობაში ადანაშაულებს.

## პოლიტიკური და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემაზე ურთიერთობისას

პოლიტიკური და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემების ურთიერთობიმართების დასადგენად აუცილებელია როგორც ერთი, ისე მეორის დახასიათება, რის შედეგადაც უფრო ცხადი გახდება მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

ზოგადად, სისტემა გულისხმობს ისეთი მოძრავი ნაწილებისგან შემდგარი იპიქტის არსებობას, რომლის შემადგენელი ნაწილებიც ურთიერთობიმუქმედებენ გარემოსა და გარემოცვაში. პოლიტიკური სისტემა იმ ინსტიტუტებისა და ორგანოების ერთობლიობაა, რომლებიც აყალიბებენ და ცხოვრებაში ატარებენ ამ საზოგადოებისა თუ საზოგადოების შემადგენელი ნაწილების კოლექტიურ მიზნებს. მთავრობა ან სახელმწიფო – ეს პოლიტიკური სისტემის ის ნაწილია, რომელიც საჯარო პოლიტიკური კურსის შემუშავებას უზრუნველყოფს. მთავრობის გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ძლიერდება ლეგიტიმური ძალადობით, რის გამოც მათდამი მორჩილება იძენს ერთგვარ ძალდატანებით ხასიათს. მთავრობა დაკავებულია არაერთი საქმით – სასკოლო განათლების სისტემის შექმნით დაწყებული საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფითა და ომის წარმოებით დამთავრებული. სამთავრობო მოღვაწეობის ამ სხვადასხვა ფორმების განხორციელება ხდება სპეციალიზირებული ორგანოების, სტრუქტურების –

პარლამენტის, ბიუროკრატიის, ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და სასამართლეობის მეშვეობით. ეს სტრუქტურები, თავის მხრივ, მთავრობას საკუთარი პოლიტიკური კურსის ფორმულირებისა და გატარების საშუალებას აძლევს. პოლიტიკური კურსები ასახავს მიზნებს, სპეციალიზირებული ორგანოები კი სთავაზობს საშუალებებს ამ კურსების განსახორციელებლად<sup>33</sup>.

ზოგიერთი ავტორის განცხადებით, პოლიტიკასთან მიმართებაში სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომა თავისი მეთოდოლოგიით კონსერვატიულია და უფრო იხრება სტატუს კვოს შენარჩუნებისკენ, რადგანაც აღნერს იმ ინსტიტუტთა ერთობლიობას, რომელიც მოცემული კონკრეტული დროისთვისაა დამახასიათებელი და არსებითი. თუმცა, სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომის მხარდასაჭერად უნდა ითქვას, რომ რომელიმე კონკრეტულ დროში არსებულ ინსტიტუტთა ზუსტი და ყოველმხრივი დახასიათება სულაც არ ისახავს მიზნად მათ დაცვასა და ქებას, სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომა, უბრალოდ, მათ შეცნობაში გვეხმარება. ამასთან, კარგად გვესმის სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომის დინამიური, ევოლუციური მიდგომით შევსების საჭიროებაც პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების არა მარტო არსის, არამედ ამ სისტემის ფუნქციონირების მიზეზების გასაგებად.

პოლიტიკური სისტემა არსებობს როგორც შინაგან, ისე გარე გარემოცვაში, ზეგავლენას ახდენს მასზე და ამავდროულად განიცდის მის ზემოქმედებას. სისტემა ამ გარემოცვიდან იღებს შესვლის სიგნალებს და ცდილობს მათზე ზეგავლენა მოახდინოს გამოსვლის საკუთარი სიგნალების წარმოების მეშვეობით. სისტემასა და მის გარემოცვას შორის სიგნალების ურთიერთგაცვლა შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით. მაგალითად, ის შეიძლება იყოს შედარებით მჭიდრო და ამის საპირისპიროდ, შედარებით სუსტიც. ამავე დროს, ურთიერთზეგავლენის ტიპიც შესაძლებელია საკმაოდ მერყეობდეს. აღსანიშნავია, რომ შესვლის სიგნალების ფორმირებაზე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები, რომელიც საზოგადოების პოლიტიკური მოთხოვნების ტრანსფორმირებას აპირობებს.

სისტემა-გარემოცვის მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ მეტ ყურადღებას ამახვილებს როგორც თავაც სისტემაში, ისე სისტემის შემადგენელ ნაწილებსა და მის გარემოცვას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე და ჩვენ შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით ურთიერთმოქმედი პროცესების აღნერის, შედარებისა და ახსნის საშუალებას გვაძლევს. თუკი ჩვენ გვსურს მართებულად ვიმსჯელოთ პოლიტიკურ მოვლენებზე, ჩვენ უნდა გვეონდეს პოლიტიკური სისტემის მის გარემოცვაში განხილვის შესაძლებლობა იმის გასაცნობირებლად, თუ რამდენად ზღუდავს და იმავდროულად აფართოებს ასპარეზს პოლიტიკური ალტერნატივებისთვის. ასეთი მიდგომა ნაჩეარევი და მიკერძოებული პოლიტიკური შეფასებების გამოტანისაგან გვიცავს, რადგან ცხადია, ჩვენ ნაკლებად შეიძლება ვაკრიტიკოთ სოციალური პროგრამების გატარების უარმყოფელი ქვეყანა, რომელიც სხვა ქვეყნის ექსპლუატაციაში იმყოფება და ამის გამო იძულებულია კონსერვატიულ პოლიტიკურ კურსს მისდიოს.


პოლიტიკური კურსების დიაპაზონი, რომელსაც შეიძლება პოლიტიკურმა ლიდერებმა და აქტივისტებმა მისდიონ, იზღუდება სისტემითა და მისი გარემოცვით, რაც გულისხმობს, რომ პოლიტიკური აქტორების მოქმედებები მკაცრად განსაზღვრულია ამავე სისტემის შესაძლებლობებით. თუკი პოლიტიკური სისტემის ორგანოები, რომლებიც პოლიტიკური კურსის შემუშავებით არიან დაკავებული, იღებენ კანონებს, მათ ესაჭიროებათ ადმინისტრატორები და სახელმწიფო მოხელეები, რათა ამ კანონების ცხოვრებაში რეალიზაცია მოახდინონ. ამავე დროს, მათ ესაჭიროებათ სასამართლოები, რომლებიც მიღებული კანონების დარღვევის შემთხვევაში სასჯელის ზომას განსაზღვრავდნენ.

პოლიტიკურ სისტემაში ექვსი ტიპის პოლიტიკური სტრუქტურაა – პოლიტიკური პარტიები, დაინტერესებული ჯგუფები, საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ბიუროკრატია და სასამართლოები. პოლიტიკური სისტემის ასეთი ექვსწევრიანი კლასიფიკაცია ნებისმიერი პოლიტიკური სისტემისთვისაა დამახასიათებელი. სახელმწიფოთა შორის განსხვავება სისტემის შემადგენელი ელემენტების ფუნქციურ დანიშნულებაშია, რაც თითოეულ ქვეყანაში მეტ-ნაკლები სხვაობით ნარმოვიდება. პრობლამაც სწორედ ამაში მდგომარეობს, სხვადასხვა ქვეყანაში ერთიდაიგივე სტრუქტურა შესაძლებელია განსხვავებულ ფუნქციურ დანიშნულებას ატარებდეს, იმ ორგანოდ კი, რომელიც პოლიტიკური კურსის შემუშავებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი, შესაძლებელია სულ სხვადასხვა სტრუქტურა მოგვევლინოს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და მთლიანად მინისტრთა კაბინეტი აღჭურვილია მნიშვნელოვანი ძალაუფლებით პოლიტიკური კურსის

<sup>33</sup> Алманд Г., Пауэлл Дж., Стром К., Далтон Р. Сравнительная политология сегодня. Мировой обзор, Аспект-Пресс, 2003, Перевод с английского, гл. 74

განსაზღვრის სფეროში, ჩინეთში კი ასეთ ფუნქციას კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობა ასრულებს.

#### სქემა №: 4 ალმონდის პოლიტიკური სისტემის მოდელი.



წყარო: : Comparative Politics Today: A World View / Ed. by G. Almond, G. Powell. Glenview, 1988.

სქემაზე 3 ნაჩვენებია სტრუქტურასა და მის ელემენტებს, პროცესსა და საჯარო პოლიტიკურ კურსს შორის ურთიერთმიმართება. პროცესის ფუნქციებს შორის ჩამოთვლილია აქტიურობის სხვადასხვა ფორმები, რომელიც საჭიროა პოლიტიკური კურსის შემუშავებისა და განსახორციელებლად ნაბისმიერი ტიპის პოლიტიკურ სისტემაში: ინტერესთა არტიკულაცია, ინტერესთა აგრეგაცია, პოლიტიკური კურსის შემუშავება, პოლიტიკური კურსის განხორციელება და სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანა. გ. ალმონდი და ჯ. პაუელი მათ უწოდებენ პროცესის ფუნქციებს, ვინაიდან ისინი ასრულებენ პირდაპირ და გადამწყვეტ როლს პოლიტიკური კურსის ფორმირებაში. სანამ ასეთი პოლიტიკური კურსი განისაზღვრებოდეს, ინდივიდებმა და ჯგუფებმა მთავრობასა და საზოგადოების უნდა გადაწყვიტონ, თუ რა სურთ და რის მიღებას ელიან პოლიტიკისგან, ხელისუფლებისგან. პოლიტიკური პროცესი იწყება მაშინ, როცა მითითებული ინტერესები იღებენ გამოხატულებას, რაც მათი გახმოვანებით ხორციელდება. სურათის მარცხენა ნაწილში ნაჩვენები ისრების სიმრავლე გამოსახავს ინტერესთა ამ საწყის გამოხატულებებს. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული მოთხოვნისათვის იმისათვის, რომ გახდეს მოქმედი, მაგალითად მოთხოვნა გადასახადების შემცირებასა და სოციალური უზურუნველყოფის სისტემის ფარგლებში რომელიმე შეღავათის გაზრდის თაობაზე, საჭიროა მათი გაერთიანება (აგრეგირება) პოლიტიკურ ალტერნატივებში. სწორედ ამიტომაა, რომ პროცესის ინტერესთა არტიკულაციის სტადიდან მათი აგრეგაციის

სტადიაზე გადასვლის დროს სურათის მარცხენა ნაწილში ისრეპი ერთმანეთს უახლოვდება. ანუ მოთხოვნები, რომელსაც უნარი აქვს მიიღოს საზოგადოებრივი მხარდაჭერა, ამავე დროს საჭიროებს პოლიტიკურ ალტერნატივათა შემუშავებასაც, რაც გულისხმობს ამ ინტერესთა განხორციელების სხვადასხვა ალტერნატიულ გზებს – პოლიტიკურ კურსებს, რომელსაც ესა თუ ის ინდივიდი, სოციალური ჯგუფი ან თავად ხელისუფლება წარმოადგენენ. შემდეგ ხდება ამ ალტერნატიული პოლიტიკური კურსების განხილვა. ის, ვინც მთავრობას აკონტროლებს, გამოდის ამ ალტერნატიული კურსებიდან ერთ-ერთის მხარდასაჭერად, ახორციელებს რა ამით პოლიტიკური კურსის სახელისუფლებო განსაზღვრას. პოლიტიკური კურსი, იგულისხმება, რომ უნდა იყოს დაცული და ცხოვრებაში რეალიზებული. იმ შემთხვევაში, თუკი ის ხდება სადაც ან ირლვევა, უნდა არსებობდეს ამ საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მექანიზმი. ნებისმიერი პოლიტიკური კურსი შეიძლება ერთდროულად მოქმედებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე, რაც სქემაზე პროცესის რეალიზაციის სტადიაზე რამდენიმე ისრითაა გამოსახული.

პროცესის ზემოთ აღნერილ ფუნქციებს ასრულებენ ისეთი პოლიტიკური სტრუქტურები, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები, საკანონმდებლო ორგანოები, აღმასრულებელი ორგანოები, ბიუროკრატია და სასამართლოები. სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდი ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებას: მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ პოლიტიკურ ინსტიტუტს (მაგ., საკანონმდებლო ორგანოს) შეესაბამება რომელიმე კონკრეტული ფუნქცია (მაგ., კანონების და სხვა ნორმატიული აქტების დამტკიცება), მას არ აქვს ამ ფუნქციის განხორციელებაზე მონიპოლია. მაგალითად, საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელებაში შეიძლება მონანილებას იღებდეს როგორც პრეზიდენტი და გუბერნატორები (ვეტოს უფლების საფუძველზე), ასევე უზენაესი სასამართლოები (საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მათი გაუქმების უფლების საფუძველზე).

სქემის მარჯვენა მხარეს ჩამოთვლილი ფუნქციები მიეკუთვნება პროცესის განხორციელებას - გამოსვლის სიგნალებს. გ. აღმონდი და ჯ. პაული მათ მოიხსენიებენ პოლიტიკური კურსის ფუნქციების სახელწოდებით, რომელიც საზოგადოებაზე, ეკონომიკასა და კულტურაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს<sup>34</sup>. მათ რიცხვს მიეკუთვნება ქცევის ყოველმხრივი რეგულირების სახეები, გადასახადებით თუ სხვა საშუალებებით რესურსების ამოღება და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის კეთილდღეობისა და მომსახურეობის განაწილება. მთელი ამ პოლიტიკური აქტივობის შედეგები თავის მხრივ, წარმოშობს შესვლის ახალ სიგნალებს, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ სფეროში ახალ მოთხოვნებს და აძლიერებს ან პირიქით, ასუსტებს პოლიტიკური სისტემისა და ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართ მხარდაჭერას.

აქ განხილული ფუნქციური ცნებები აღნერს აქტიურობის ფორმებს, რომელიც ხორციელდება ნებისმიერ საზოგადოებაში იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორაა მოწყობილი მისი პოლიტიკური სისტემა და რა სახის პოლიტიკურ კურსებს ანარმობს და ახორციელებს რეალურ ცხოვრებაში. ამ კატეგორიების გამოყენებით, შესაძლებელი ხდება დადგინდეს, თუ რა სახის ინსტიტუციური კომბინაციები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საჯარო (სახელმწიფოებრივი) პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

პოლიტიკურ სისტემასთან შედარებით საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის ჩვენს მიერ ნარმოადგენილი სქემა გაცილებით დეტალიზირებულია და ცდილობს უფრო მეტი ყურადღება დაუტმოს არა ზოგადად პოლიტიკური პროცესის განხორციელებას, როგორც ეს პოლიტიკური სისტემის სქემაგური მოდელის პირობებში ხორციელდება, არამედ პოლიტიკური პროცესის განხორციელების - ერთგვარ საკვანძო საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით ეტაპსა და თავად პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს. ამის გამო პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციური მოდელის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სქემაში ცენტრალური სწორედ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემაა და მასთან მიმართებაში პოლიტიკური სისტემა ერთგვარი გარემოცვის სახით აღიქმება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამავე სქემაში საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემასთან მიმართებაში პოლიტიკური სისტემა განიხილება არა განცალკევებით, არამედ სოციალურ სისტემასთან ერთად. ასეთი არჩევანი განპირობებულია იმით, რომ ჩვენს მიერ ნარმოდგენილი სქემა ატარებს პრობლემის გადაწყვეტაზე მკვეთრად ორიენტირებულ სტრუქტურას, რომელიც შეუძლებელია განხილებოდეს მხოლოდ პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში, სოციალური სისტემის გათვალისწინების გარეშე, რადგან პრობლემები, რომლის გადაწყვეტასაც საჯარო

<sup>34</sup> Алманд Г., Пауэлл Дж., Стром К., Далтон Р. Сравнительная политология сегодня. Мировой обзор, Аспект-Пресс, 2003, Перевод с английского. гл 189

პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემა ახორციელებს, საფუძველს სწორედ ამ უკანასკნელიდან იღებს.

მაშასადამე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი სქემა ემსახურება სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკის საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი მექანიზმის საშუალებით გადაწყვეტის პროცესის უფრო დეტალურ აღწერას, რომელშიც ცენტრალური ელემენტის სახით გამოდის პრობლემა, განსხვავებით პოლიტიკური სისტემისან, სადაც ამ სტატუსში ინტერესი გვევლინება. პოლიტიკურ სისტემაში ცენტრალურია ამა თუ იმ ინდივიდთა, საზოგადოებრივ ჯგუფთა ინტერესები, მაშინ როცა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში ასეთი ელემენტის სახით პრობლემა გამოდის. შესაბამისად, თუკი პოლიტიკური სისტემის მაგალითზე სახეზეა ინტერესთა არტიკულაცია, ინტერესთა აგრეგაცია და ა.შ. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სქემაში საუბარია პრობლემების არტიკულაციასა და აგრეგაციაზე. ზოგადად, თუკი პოლიტიკური სისტემა ამა თუ იმ ინდივიდებისა და ჯგუფების ინტერესთა განხორციელების ამსახველი სქემაა, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემა წარმოადგენს ამა თუ იმ ინდივიდის, უფრო ხშირად კი სოციალური ჯგუფების პრობლემათა გადაწყვეტის ამსახველ სქემას.

პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციური სქემისგან განსხვავებით, ჩვენ ერთ-მანეთისგან მკვეთრად ვმიჯნავთ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის სოციალურ და პოლიტიკურ გარემოცვას, პირველს განვიხილავთ პრობლემათა აკუმულაციისა და არტიკულაციის სისტემად, მეორეს კი – სოციალურ პრობლემათა ალტერნატიული გადაწყვეტის გენერაციად. ამასთან, პოლიტიკური სისტემა ასრულებს ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის როლს სოციალურ და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემებს შორის, ახდენს რა სოციალურ სისტემაში აკუმულირებულ პრობლემათა „ნინნანევას“ მის საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში მოხვედრის უზურნეველსაყოფად და შესაბამისად, პრობლემის გადაწყვეტის პროცესის მოქმედებაში მოსაყვანად, რაზეც ექსკლუზიურ უფლებას მხოლოდ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემა ფლობს. სოციალურ-პოლიტიკური სისტემა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემასთან მიმართებაში იმიტომაცაა გარემოცვა, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის მიმართ პოლიტიკური კურსების შემუშავებაში ცენტრალური როლი სწორედ სამთავრობო დანესებულებებს უკავიათ. მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო მოქმედებები არ უნდა წარმოვიდგინოთ მეტისმეტად ცალმხრივად მიმართულად, განსაკუთრებით დემოკრატიულ სისტემაში, სადაც მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთმოქმედება ორმხრივ ხასიათს ატარებს, უნდა ვალიაროთ, რომ პოლიტიკური კურსის ინიცირებასა და პრობლემის გადაწყვეტის შესაბამისი წინადადებების ფორმულირებაზე „ხელი“ სამთავრობო ჩინოვნიკებს, კანონმდებლებსა და შესაბამის სამსახურებს უფრო მეტად მიუწვდებათ, ვიდრე პარლამენტს გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ პარტიებს, დაინტერესებულ ჯგუფებსა და პოლიტიკური სისტემაში შემავალ სხვა არასამთავრობო სტრუქტურებს. ეს უკანასკნელი უფრო აქტიური სწორედ პრობლემის ინიცირების, გენერაციისა და აგრეგაციის ეტაპზე არიან. ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან ცხადად ჩანს, რომ ჩვენ ერთმანეთისგან ვასხვავებთ პოლიტიკური სისტემის სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებს, პირველს ვაკუთვნებთ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით, მეორეს კი საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის გარემოცვად აღქმულ პოლიტიკურ სისტემას<sup>35</sup>. შესაბამისად, პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში ხვდება, თუკი ჩვენ პოლიტიკური სისტემის ექსვენციურა კლასიფიკაციას ავიღებთ საფუძვლად, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები ბიუროკრატიასთან ერთად, ხოლო გარე პოლიტიკურ სისტემაში – პოლიტიკური პარტიები და დაინტერესებული ჯგუფები, თავისი არაერთგვაროვანი გამოხატულებით. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი კლასიფიკაცია საკმად პირობითია და სულაც არ გულისხმობს პრობლემათა არტიკულაციისა და აგრეგაციის არასამთავრობო სექტორის მიერ „პრივატიზებას“, ისევე როგორც საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით ფუნქციათა მხოლოდ სამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ მითვისებას.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენს მიერ წარმოდგენილ სქემაში სოციალურ-პოლიტიკურ, საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით და გადაწყვეტილების მიღების სისტემებს შორის ზღვარი პირობითია, მათ შორის, ურთიერთმოქმედება კი საკმაო ინტენსივობით ხასიათდება. თუმცა აქვე, მინიშნება კეთდებოდა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემასა და მის

<sup>35</sup> კლასიფიკაციის აღნიშნულ სქემას იზიარებს მრავალი დასავლელი ავტორიც. იმ ავტორებსაც კი, რომლებიც პოლიტიკური სისტემის შემადგენელ ექსვენციაში ასეთ დაყოფას წაკლებად ემხრობიან, არაფორმალურ დონეზე პოლიტიკურ სისტემაში სამთავრობო აქტორების დიფერენცირება მაინც უნდევთ. უილიამ დანი პოლიტიკურ აქტორთა კლასიფიკაციის წარმოდგენისას გვთავზობს მათ დაყოფას საჯარო და სამოქალაქო პოლიტიკურ აქტორებად.

გარემოცვად მიჩნეულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას შორის არსებული კავშირებისა და ურთიერთგაცვლის შედარებით სისუსტეზე, რაც სქემაზე საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის ამსახველი წრის არაწყვეტილი ხაზით გამოსახვაში გამოიხატა. საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემა, მართლაც, საკმაო მკაცრ დამოკიდებულებას ავლენს საზოგადოებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკუთარ თავზე აღებისა და მით უმეტეს, ამ პრობლემათა გადაწყვეტის იმ ნინადადებების გაზიარების კუთხით, რასაც გარემოცვა, კერძოდ კი, პოლიტიკური სისტემის არასამთავრობო სექტორი სთავაზობს. შესაძლებელია, ისიც კი წარმოვიდგინოთ, რომ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემა საკმაოდ ფრთხილია გარემოცვიდან მიღებულ შესვლის სიგნალებზე საპასუხო რეაქციის გამომუშავებისას, შერჩევის პროცესი კი, რომლის საფუძველზეც საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემა შემოსულ სიგნალთაგან მის გადაწყვეტის კომპეტენციაში მყოფთ არჩევს, ხშირად ნაკლებად ექვემდებარება წინასწარ გათვლებს და არცთუ ისე იშვიათად საკმაოდ მოულოდნელიცა. სოციალურ-პოლიტიკური გარემოდან შესული სიგნალების არჩევაზე, როგორც წესი, რამდენიმე ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს. თუმცა, სანამ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების სქემას გავეცნობოდეთ დეტალურად, გვინდა განვიხილოთ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის გარემოცვაში ამა თუ იმ პრობლემის „წინ წაწევის“ პროცესის განხორციელება და შევჩერდეთ პრობლემის არტიკულაციასა და აგრეგაციაზე.

**პრობლემათა არტიკულაცია – ნებისმიერ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში არსებობს განსაზღვრული მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები და სოციალური ჯგუფები გამოხატავენ თავიანთ საჭიროებასა და მოთხოვნებს მთავრობის მიმართ, მათ შორის მათვის აქტუალური პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის თაობაზე. პრობლემათა არტიკულაციის პროცესში შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა. მათ შორის ყველაზე მარტივია პრობლემის გადაწყვეტის თხოვნით რომელიმე კერძო მოქალაქის მიმართვა საკრებულოს წევრის ანდა სამთავრობო ჩინოვნიკისათვის. ამა თუ იმ პრობლემის არტიკულაციის პროცესში აუცილებელ კომპონენტად გამოდის მოქალაქეთა ჯგუფების კოლექტიური მოქმედებანი. გაცილებით უფრო კომპლექსურ საზოგადოებრივ სისტემებში ზოგჯერ ამა თუ იმ პრობლემის სამთავრობო ყურადღებამდე მისატანად საჭირო ხდება მოქალაქეთა ფორმალურ ჯგუფებში გაერთიანებაც კი. პრობლემის არტიკულაციის ამ ფორმებზე დაყრდნობით ხელისუფლებისთვის ცნობილი ხდება, თუ რომელი პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვს და ელოდება მისგან ესა თუ ის სოციალური ჯგუფი და მთლიანად საზოგადოება. პრობლემათა არტიკულაციის პროცესში მოქალაქეებმა შესაძლებელია გამოიყენონ მეთოდთა ფართო ნაკრები, ლეგალურიდან დაწყებული არტიკულაციის არალეგალური ფორმებით დამთავრებული, რათა გამოხატონ საკუთარი სურვილები, მოთხოვნები და მუდარა პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის თაობაზე. არტიკულაცია საკმაოდ ხშირად ხორციელდება ნეგატიური ფორმით, საპროტესტო აქტიებითა და პირდაპირი მოქმედების სხვა ფორმებით და ეს ყველაზე მეტად ექსკლუზიური პოლიტიკური კულტურის მატარებელი საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. მოქმედების ამგვარი მეთოდები ზემოქმედების საკმაოდ ეფექტური და ძლიერი საშუალებაა საკუთარი პრობლემატიკის მიმართ არა მარტო მთავრობის მხრიდან ყურადღების მიქცევის კუთხით, არამედ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისა და შესაბამისად, შეარდამჭერთა კატეგორიის ყოველმხრივი ზოდის უზრუნველსაყოფად. გასათვალისწინებელია, რომ არცთუ ისე იშვიათად მთავრობის წინაშე პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის თხოვნით მიმართვას თან ახლავს პრობლემის გადაწყვეტის ამა თუ იმ პოლიტიკური კურსით გადაჭრის ხედვის დაფიქსირებაც. ეს უკანასკნელი ყველაზე ხშირად მაშინ იჩენს თავს, როცა საზოგადოებრივი პრობლემების არტიკულატორის როლში პოლიტიკური სისტემის რომელიმე სტრუქტურა გამოდის, იქნება ეს რომელიმე დაინტერესებული ჯგუფი თუ პოლიტიკური პარტია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი პრობლემატიკის მიმართ პოლიტიკურ პარტიათა და დაინტერესებულ ჯგუფთა განსაკუთრებული „თბილი“ დამოკიდებულება უფრო მეტად პრობლემათა აგრეგაციის ეტაპზე ფიქსირდება.**

**პრობლემათა აგრეგაცია – პრობლემათა აგრეგაციის მეშვეობით მოქალაქეთა მიზნები და მოთხოვნები პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატივურ კურსებად ტრანსფორმირდება, რომლის განმსაზღვრელად რომელიმე პოლიტიკური პარტია, როგორც წესი ოპოზიციური, რომელიმე დაინტერესებული ჯგუფი და არცთუ იშვიათად, თავად სახელისუფლებო რომელიმე ორგანოც კი გამოდის. პოლიტიკური სისტემა ზოგადად და გარესისტემა კერძოდ, არის გახმოვანებული, არტიკულირებული საზოგადოებრივი პრობლემების და მათი მოგვარების აუცილებლობის თაობაზე საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემისათვის ინფორმაციის გადამცემი არხი. პოლიტიკური სისტემის გარე, არასახელისუფლებო სექტორში მოღვაწე აქტორები თავისი მეურვეობის ქვეშ იღებენ ზოგიერთი საზოგადოებრივი პრობლემის**

გადაწყვეტის პერსპექტივას და გამოდიან ერთგვარი „პრომოუტერების“ როლში, ამ პრობლემის სამთავრობო გადაწყვეტის, შესაბამისად კი საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში მოხვედრის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ დავახასიათეთ პოლიტიკური სისტემის გარემოცვა როგორც სოციალური და საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემების დამაკავშირებელი საშუალება. იმისათვის, რათა ეფექტურად იმოქმედონ, დაინტერესებული ჯგუფები უნდა ფლობდნენ საკმარის უნარს, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის თაობაზე საკუთარი მოთხოვნები „მიიტანონ“ პოლიტიკური კურსის შემუშავებაში მონაწილე საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის სახელისუფლებო ორგანოებამდე. ჯგუფებს შეუძლიათ თავისი მოთხოვნების წამოყენება, თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ მათი მცდელობა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემისათვის „ხმის მისაწვდომად“ წარმატებული აღმოჩნდება და შესაბამის შედეგებს გამოიღებს. სწორედ მსგავსი სირთულეების დაძლევის მიზანს ემსახურება პრობლემის გადაწყვეტის „წინანევაში“ პოლიტიკური სისტემის ისეთი სტრუქტურების ჩართვა, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები და დაინტერესებული ჯგუფები. ისინი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების აუცილებლობის თაობაზე მოთხოვნის გადასაცემად და ელიტაზე ზეგავლენის მოსახლენად იყენებენ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში შეღწევის როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ პოლიტიკურ არხებს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იმ პირებისა თუ შესაბამისი ორგანოების გამოკვეთა, რომელსაც საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში საკვანძო როლი ეკისრება. საზოგადოებაში პოლიტიკურ ელიტამდე საკუთარი მოთხოვნების გადაცემის საუკეთესო საშუალების სახით გამოდის პირადი, ნათესაური თუ მეგობრული კავშირები. უშუალო კონტაქტი – ეს პოზიციების ჩამოყალიბებისა და ინფორმაციის გადაცემის ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რომელსაც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. „ვაშინგტონში სულ უფრო მომგებიანი საქმიანობა ხდება მრჩევლის მომსახურეობა, რომელსაც პირდაპირი გასვლის საშუალება აქვს პოლიტიკურ მოღვაწეებზე. ისინი დაინტერესებულ ჯგუფებსა და ცალკეულ ინდივიდებს ეხმარებიან მათი ინტერესების, შესაბამისად კი პრობლემების გადაწყვეტის სამთავრობო დონეზე განხორციელებაში. ასეთი საქმიანობით დაკავებული არიან ყოფილი სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც თავიანთ პირად კონტაქტებს საკუთარი კლიენტ-ლობისტების ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ<sup>36</sup>. დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში შეღწევის კიდევ ერთ საკმაოდ ეფექტურ საშუალებად გვევლინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები – ტელევიზია, რადიო, გაზეთები და ჟურნალები. დაინტერესებულ ჯგუფთა მრავალი წარმომადგენელი საკუთარი პრობლემებისადმი მთავრობის ყურადღების მისაპყრობად სულ უფრო აქტიურდ ცდილობს გამოიყენოს მაღალკულიფიციური სპეციალისტები პიარის დარგში და მასმედიაში თავიანთი მოთხოვნების ადეკვატური და სასურველი გაშუქება უზრუნველყოს. ამ უკანასკნელს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ისაა, რომ არცთუ ისე იშვიათად, პრობლემის გადაწყვეტის მოთხოვნის გადაცემისას, თავად ეს მოთხოვნა მახინჯდება. მასმედიაზე როგორც პოლიტიკურ ელიტაზე ზეგავლენის განხორციელების საშუალებაზე კონტროლი კი ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს. უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ გაიზარდა: სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები თავიანთი პრობლემატიკის გასახმოვანებლად და სასურველი მიმართულებით გადასაწყვეტად საკმაოდ ხშირად მიმართავენ ინფორმაციის გადაცემის ამ არხს. მასმედიის საშუალებით გაშუქებული პრობლემატიკის, განსაკუთრებით კი ნაციონალური არხების მემკვიდრეობით გადაცემული პრობლემატიკის მიმართ ხელისუფლების მგრძნობელობა ერთი-ორად იზრდება. საქმე ისაა, რომ როცა ამა თუ იმ პრობლემატური საკითხისადმი საერთონაციონალური მასმედიის ყურადღების შემთხვევაში, იმ პირებისადმი მიმართვა, რომლებიც გადაწყვეტილებებსა და პოლიტიკური კურსის შემუშავება-განხორციელებაში უშუალო მონაწილეობას ღებულობენ, დამატებით წონას იძენს. ამ უკანასკნელებმა კარგად იციან, რომ მილიონობით ადამიანი, მათი მომავალი ამომრჩეველი, ამ პრობლემის მიმართ გაცილებით მგრძნობიარე გახდა.

საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაზე ზეგავლენისა და არსებული პრობლემებისადმი სამთავრობო ყურადღების მიქცევის კიდევ ერთი, ლეგალური საშუალება, როგორც უკვე ითქვა, პოლიტიკური პარტიებია. დიდ ბრიტანეთში, სადაც მთავრობა არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის წარმომდგენლებისგან კომპლექტდება, პარტიული ორგანიზაციის სხვადასხვა კომპონენტები, მათ შორის საპარლამენტო კომიტეტები აქტიურად გამოიყენება მოთხოვნების მინისტრთა კაბინეტისათვის გადასაცემად.

<sup>36</sup> Алманд Г., Пауэлл Дж., Стром К., Далтон Р. Сравнительная политология сегодня. Мировой обзор, Аспект-Пресс, 2003, Перевод с английского, гл. 156

საკანონმდებლო ორგანო ხშირად ის სამიზნეა, რომლისკენაც მიმართულია პრობლემის გადაწყვეტის ამა თუ იმ აღტერნატივის პრიორიტეტულობის დასაბუთების მცდელობა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანო არ შეიძლება მივიჩნიოთ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაში შეღწევის საუკეთესო არხად. საკანონმდებლო ორგანოს შედარებით სუსტი გავლენის პირობებში, პრობლემის გადაწყვეტის მოთხოვნათა მთავრობისათვის გადასაცემად გაცილებით ეფექტურ საშუალებად გვევლინება ბიუროკრატიული აპარატი. სხვადასხვა ბიუროკრატიულ დაწესებულებასთან კონტაქტის დამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როცა ბიუროკრატიას დელეგირებული აქვს ძალაუფლება პოლიტიკური კურსის შემუშავებაზე და თუკი საუბარია ისეთი ლოკალური პრობლემების გადაწყვეტაზე, რომელიც უშუალოდ მოსახლეობის მცირე ჯგუფებს ეხება. ბიუროკრატია ასეთ შემთხვევებში ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფის დახმარებას ახორციელებს ფუნქციონირების „ბიუროკრატიული ჩარჩოებიდან“ გაუსვლელად, მის ხელთარსებული ადმინისტრაციული რესურსების ყოველმხრივი გამოყენების ხარჯზე. ამავე დროს, ბიუროკრატის შეუძლია მისი დაცვის ქვეშ არსებული სოციალური ჯგუფის პრობლემის გადაწყვეტის საკითხის იმგვარად დასმა ან წარდგენა, რომ ამან გამოიწვიოს გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან სასურველი რეაქცია და კეთილგანწყობა. დიდ ბრიტანეთში სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების წინ წარევის კუთხით გამოვლინდა შემდეგი კანონზომიერება: იმ შემთხვევაში, როცა საუბარი იყო ფართო ხასიათის პრობლემებზე და შეეხებოდა კლასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფებსა თუ მომხმარებელთა გაერთიანებებს, დაინტერესებული ჯგუფები მთავრობაზე გასასვლელად იყენებდნენ, როგორც წესი, პოლიტიკურ პარტიებს. ხოლო მაშინ, როცა პრობლემა ატარებდა გაცილებით ლოკალურ ხასიათს, არ იყო დაკავშირებული სერიოზულ პოლიტიკურ კონფლიქტებთან და ეხებოდა გაცილებით ნაკლები რაოდენობის ჯგუფებსა თუ გაერთიანებებს, ისინი, როგორც წესი, მიმართავდნენ ადმინისტრაციულ ორგანოს<sup>37</sup>.

რაც შეეხება ხელისუფლებაზე ზეგავლენის არაძალადობრივ ფორმებს – თუკი ზოგიერთ ქვეყანაში საპროტესტო აქციები, გაფიცვები და არაძალადობრივი იძულების სხვა ფორმები აღიქმება საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით სისტემაზე რეაგირების ლეგიტიმურ საშუალებად, სხვა ქვეყნებში ისინი მიიჩნევა არალეგიტიმურად. საპროტესტო დემონსტრაციები საერთოდ მიიჩნევა საზოგადოების სუსტი ელემენტების ტაქტიკად, რომლებსაც ხელისუფლების ყურადღების მისაქცევად არანაირი სხვა გზა, გარდა საპროტესტოსი, არ გააჩნიათ.

ამ ეტაპზევე ხდება პრობლემის გადაწყვეტის მრავალი აღტერნატიული კურსის მოხსნა და პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ რამდენიმე აღტერნატივის დატოვება. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი პოლიტიკური აქტორები არიან აღჭურვილი და რამდენად ფლობენ რესურსებს ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად. პრობლემათა აგრეგაცია, თავისი არსით, შეიძლება შევადაროთ აუქციონს, სადაც გამოტანილი პროდუქციისთვის, ამ შემთხვევაში კი საზოგადოებრივი პრობლემებისთვის, თითოეულ პოლიტიკურ აქტორს შესყიდვის საფასურის თაობაზე საკუთარი ხედვა წინასწარვე აქვს ჩამოყალიბებული. პრობლემათა აგრეგაციის პირობებშიც თითოეული პოლიტიკური აქტორი წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის თავისებურ ხედვას, შესაბამისად მისი გადაწყვეტის ამა თუ იმ კურსს, რომელზედაც შემდეგ აუქციონი იმართება. პოლიტიკური კურსის ესა თუ ის ვარიანტი სერიოზული განხილვისა და მსჯელობის საგანი ხდება, რადგან თითოეული მათგანი საზოგადოების მნიშვნელოვანი წანილის მხარდაჭერითა უზრუნველყოფილი. სწორედ ამ მხარდაჭერის ხასიათსა და მასშტაბებზე, პრობლემის „წინ-წარწევად“ გამოყენებული საშუალებებისა და ამ საშუალებათა სიძლიერეზეა ზოგჯერ დამოკიდებული, გახდება თუ არა ესა თუ ის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ რატომ ხდება ამა თუ იმ პოლიტიკური პრობლემატიკის შერჩევა და ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის მეშვეობით მისი გადაწყვეტა, აუცილებელია არაერთი პირობის გათვალისწინება: ისტორიული განვითარების, რომელიც ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე; ქვეყნის პოლიტიკური კულტურისა და მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების პოლიტიკური სუბკულტურის; საზოგადოებრივი აზრის, რომელიც უაღრესად ცვალებადი ხასიათისაა; განვითარების დონისა და პრობლემის გადაწყვეტისთვის აუცილებელი რესურსების არსებობას და სხვა.

საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის ჩვენს მიერ შემოთავაზებული სქემით ხელმძღვანელობის უპირატესობის საჩვენებლად გთავაზობთ რამდენიმე ილუსტრაციას იმ პრობლემებთან მიმართებაში, რომლებიც 2005 წლის გაზაფხულისათვის ყველაზე მნვავე ხასიათი ჰქონდათ.

2005 წლის მარტი საკმოდ გადატვირთული აღმოჩნდა აბიტურიენტების თემატიკით,

<sup>37</sup> იქვე

რომელიც დროში ზაფხულის ციებ-ცხელებას უფრო უნდა დამთხვეოდა. თუმცა, განათლების სისტემის რეფორმირების პოლიტიკამ, რომელსაც ქვეყნის ახალი ხელისუფლება ახორციელებდა, მოვლენების ელვის სიწრაფით განვითარება განაპირობა. აბიტურიენტთა უმაღლეს სასწავლებლებში მოხვდრის ძველი სისტემის შეცვლამ და ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ, რაც განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების კურსის შემადგენელი ნაწილია, საზოგადოების გარევეული კატეგორია, აბიტურიენტები (და მათი გულშემატკივრები), რომელთა უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრაც ძველი სისტემის შენარჩუნების პირობებში უპრობლებოდ, პირდაპირი ჩარიცხვის წესით უნდა განხორციელებულიყო, დააყენა რეალური პრობლემის წინაშე: უმაღლეს სასწავლებლებთან ასოცირებული კოლეჯის მოსწავლეებს უმაღლესებში მოსახვედრად, სხვა ჩვეულებრივი აბიტურიენტების მსგავსად, ერთიანი ეროვნული ტესტირების გავლა მოუხდებოდათ. სამედიცინო კოლეჯის 32 სტუდენტმა განათლების სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას, რომელიც მათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას ავალდებულებდა, საპროტესტო აქციები და პროტესტის ისეთი უკიდურესი ფორმა დაუპირისპირა, როგორიც შიმშილობა.

სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები იდგნენ რეალური პრობლემის წინაშე, მაგრამ ეს პრობლემა კერძო ხასიათს ატარებდა, რომლის გადაწყვეტის ლეგალურ ფორმას ერთიანი ეროვნული საგამოცდო ტესტირების გავლა იყო. თუმცა, სტუდენტები და მათი გულშემატკივრები განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებისადმი დამორჩილებას არ აპირებდნენ და ხელისუფლებისგან გამონაკლისის დაშვებასა და ძველი სისტემის საფუძველზე, სამედიცინო უნივერსიტეტში პირდაპირ, უგამოცდოდ ჩარიცხვას მოითხოვდნენ. სწორედ ეს იყო პრობლემის გადაწყვეტის მათი ხედვა, თუმცა ხელისუფლება, რომელიც ეგალიტარიზმის პრინციპის დარღვევას, მაშასადამე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებისას რაიმე სახის გამონაკლისების დაშვებას ენინააღმდეგებოდა, მსგავს მოთხოვნას არ დათანხმდა და სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებს კომპრომისული გადაწყვეტილების სახით შესთავაზა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების გადავადება, რათა კოლეჯის სტუდენტებს გამოცდებისთვის მოსამზადებლად მეტი დრო ჰქონოდათ. გამოიკვეთა პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა ხედვა – ერთი თავად დაზარალებული მხარის, მეორე კი – სახელისუფლებო. თუმცა, პრობლემის გადაჭრის სხვა წინადადებებიც ჩანდა. მაგალითად, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიიჩნევდა, რომ სამედიცინო კოლეჯის მესამე კურსის სტუდენტებს მისცემოდათ ერთიანი ეროვნული გამოცდის შეღავათიანი პირობებით ჩაბარების შესაძლებლობა. კერძოდ, მათზე უნდა გავრცელებულიყო გამსვლელი ქულების მინიმუმი, ხოლო მინიმალური ბარიერის გადალახვის შემდეგ სტუდენტებს ჯამური გამსვლელი ქულის მოსაგროვებლად კოლეჯის დამამთავრებელი გამოცდა უნდა ჩაებარებინათ.

გასათვალისინებელია ისიც, რომ კოლეჯის სტუდენტთა ერთი შეხედვით კერძო პრობლემას, მას შემდეგ რაც კოლეჯის სტუდენტებმა მასობრივ საპროტესტო აქციებსა და შიმშილობას მიმართეს, საჯარო სახე მიეცა. მას შემდეგ კი, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ კოლეჯის სტუდენტთა აქციის დარბევის თაობაზე ინფორმაცია გადაიცა, კოლეჯის სტუდენტებს საზოგადოებაში არაერთი გულშემატკივარი გამოუჩნდა. ამ ილუსტრაციით ცხადად მტკიცდება კერძო პრობლემის საზოგადოებრივ პრობლემად ტრანსფორმირების არსიც.

ამავე დროს, გასათვალისინებელია კოლეჯის მოსწავლეთა გასაჭირის მიმართ პოლიტიკური პარტიების, უპირველეს ყოვლისა კი ოპოზიციური პარტიების, განსაკუთარებული „თბილი“ დამოკიდებულებაც. მათ საკუთარ თავზე აიღეს პრობლემის სწორედ სამედიცინო კოლეჯის სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე გადაჭრის აუცილებლობაზე მსჯელობა, თუმცა, რეალურად, მათ ასეთ „მზრუნველობას“ სულ სხვა ახსნა შეიძლება მოეძებნოს. გამორიცხაული არაა, ეს განპირობებული ყოფილიყო პრაგმატული მიზნით – პოლიტიკური პარტიების მიერ საკუთარ ანგარიშზე დივიდენდებისა და ქულების დაწერით. შესაბამისდ, ცხადი ხდება, რომ საზოგადოებრივი პრობლემატიკის მიმართ პოლიტიკური სისტემის არასამთავრობო აქტორთა დაინტერესება, უპირველეს ყოვლისა, კლიენტ-პატრონაჟის პრინციპზეა აგებული და არა საზოგადოებრივი პრობლემების რეალური გადაჭრის სურვილზე.

რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის მაგალითზე კარგად გამოვლინდა კერძო, კოლეჯის სტუდენტთა პრობლემატიკის საჯარო პრობლემატიკად გადაქცევის მცდელობა. ამავე დროს გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის არაერთი გზა, მათ შორის სახელისუფლოც. შესაბამისად, ასევე აქტიური ბრძოლა პრობლემის ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა შორის.

გახდება თუ არა პრობლემა საჯარო, ანუ გახდება თუ არა ის საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის დღის წესრიგის ელემენტი, შესაბამისად კი სახელისუფლებო დონეზე გადაწყვეტისა და ხელისუფლების მხრიდან რეაგირების საგანი, ეს დამოკიდებულია

მრავალ ფაქტორზე, მათ შორის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში ჩართული აქტორებისა და მათი აქტიურობის ხასიათსა და ხარისხზე. ამ გაგებით, აღსანიშნავია კოლეჯის სტუდენტთა რუსეთის საელჩოში გამოჩენა, რითაც დაფიქსირდა პრობლემის უკვე სულ სხვა პლასტში გადასვლის შესაძლებლობა.

## პოლიტიკის ანალიზი ფუნდამენტი და ემპირიული კვლევის ფონზე

საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ პოლიტიკური ანალიზის ანგლოსაქსონური და კონტინენტური ტრადიცია. პოლიტიკური ანალიზის ტექნოკრატიულ მიდგომაში იგულისხმება პოლიტიკური ანალიზის ანგლოსაქსონური, უპირველეს ყოვლისა კი ამერიკული ტრადიცია: პოლიტიკური ანალიზი ამ გაგებით აღიქმება როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზი, რომელიც მათი ოპტიმიზაციისკენაა მიმართული (*Public Policy Analysis*). პოლიტიკური ანალიზის ჰუმანიტარული მიდგომები კი უკავშირდება პოლიტიკური ანალიზის კონტინენტურ, უნინარესად ფრანგულ ტრადიციას — პოლიტიკური ანალიზი აქ განიხილება როგორც გადაწყვეტილებებისა და მოვლენების საზოგადოებრივი ანალიზი (სოციოანალიზი), რომელიც სახელისუფლებო ველში ძალთა ურთიერთობების შენარჩუნებისა და ტრანსფორმაციისკენაა მიმართული (*Political analysis*). ორივე მიდგომას აერთიანებს ის, რომ პოლიტიკური ანალიზის საკულევი პრაქტიკების სხვადასხვა მეთოდიკა „იბადება“, ერთი მხრივ, თეორიული პარადიგმებისა და ტრადიციების, მეორე მხრივ კი — დანართობისა და ტექნიკების გადაკვეთაზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წყალობით პოლიტიკურ კომენტარებს ჩვენი საზოგადოება მოკლებული ნამდვილად არაა. უფრო პირიქით. თუმცა ისიც ფაქტია, რომ კომენტარების კორიანტელში გაზომვითი შეფასებებისა და პოლიტიკის ანალიზის პროცესიული რეკომენდაციების გამოხშირვა უურნალისტური და პუბლიკისტური მსჯელობისა და კორპორაციული დაკვეთის შემსრულებელთა მანიპულაციური პათეტიკისგან ძალიან რთულია. ამ წინააღმდეგობების დასაძლევად საჭირო ხდება თავად „პოლიტიკის ანალიზის“ კატეგორიის განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში პოლიტიკური ანალიზი გამოიყენება სამი ძირითადი მნიშვნელობით: — თეორიულ-ფუნდამენტური, ინსტრუმენტულ-ემპირიული და პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობით.

თეორიულ-ფუნდამენტური განზომილებით, პოლიტიკური ანალიზი მოიცავს პოლიტიკურ სფეროს, მისი სტრუქტურისა და დინამიკის კონცეპტუალურ საბაზისო გამოკვლევებს. ამ ინტერპრეტაციით, ის ახლოს დგას ფუნდამენტურ-თეორიულ პოლიტიკურ კვლევებთან. სწორედ ამ რაცურსითაა შესრულებული დევიდ ისტონის „პოლიტიკური სტრუქტურის ანალიზი“, დალის „თანამედროვე პოლიტიკური ანალიზი“ და სხვა კლასიკური ნაშრომები.

პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტულ-ემპირიულ განზომილებაში მოიაზრება პირველადი მონაცემების შეკრება და აღწერა, მათი სისტემაში მოყვანა და დამუშავება. პოლიტიკური კვლევის მეთოდებისა და მეთოდიკების ცალკე დისციპლინის სახით ჩამოყალიბებით მოხდა პოლიტიკური ანალიზის ამ განზომილების ინსტიტუციურ დონეზე გაფორმება. ამ დისციპლინას ემპირიული პოლიტიკური ანალიზისა და პოლიტიკური მეცნიერების კვლევითი მეთოდოლოგიისა და ტექნიკის სახელით მოიხსენიებენ. პოლიტიკური ანალიზის თეორიული მიმართულებისგან განსხვავებით, სადაც ანალიტიკური ერთეულის სახით კაუზალური, ფუნქციური და სხვა სახის კავშირების ამსახველი „კონცეპტები“ გამოდის, პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტულ-ემპირიულ განზომილებაში საწყისი ერთეულის სახით „მოცემულობა“, პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ე.წ. პირველადი ინფორმაცია გამოდის. თუკი პირველ შემთხვევაში ანალიზის მთავარი მიმართულება დედუქციური მსჯელობაა, მეორე შემთხვევაში კვლევის მიმართულებას ინდუქციური განზოგადება წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ემპირიული ანალიზი როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ამოცანებს ემსახურება.

პოლიტიკური ანალიზის პრაქტიკულ-გამოყენებითი განზომილება მწყობრი და საფუძლიანი თეორიის შექმნის ნაცვლად ემსახურება კონკრეტული დამკვეთის, როგორც წესი, პოლიტიკურ აქტორთაგან რომელიმეს მიზანს, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში მდგომარეობს. პოლიტიკური ანალიზის ეს პრაქტიკულ-გამოყენებითი განზომილება, რომელსაც დასავლეთის პოლიტიკური მეცნიერება საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი ანალიზის სახელით მოიხსენიებს, ხშირ შემთხვევაში, დედუქციური და ინდუქციური მსჯელობის შერწყმას ეფუძნება, თუმცა, ამ განზომილების ფარგლებში

შექმნილ ანალიტიკურ მასალათა უმრავლესობა აზროვნების რეტროდუქციულ-საექსპერტო სტილით არის შესრულებული. თეორიტიკოსებისა და ინსტრუმენტალისტებისგან განსხვავებით, რომელთაგან პირველი პოლიტიკის აბსტრაქტული მოდელების კონსტრუირებით, მეორენი კი ემპირიული მონაცემების ოპერაციონალიზაციით არიან დაკავებული, პრაქტიკოსი ანალიტიკოსი თავის სამუშაო მოდელს აგებს თავისი არსით უნიკალური, განუმეორებელი პრობლემურ-პოლიტიკური სიტუაციის მოგვარებაზე გათვლით და, ამ მიზნით, აქტიურად იყენებს თეორეტიკოსებისა და ინსტრუმენტალისტების სამეცნიერო-კვლევით არსენალში არსებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ტექნიკებს, სესხულობს პირველისგან თეორიულ ცოდნას, ხოლო მეორისაგან — ფაქტობრივ ინფორმაციას. პოლიტიკური სფეროს ანალიზით დაკავებულ მეცნიერთა თეორეტიკოსებად, ინსტრუმენტალისტებად და პრაქტიკოსებად დაყოფა ზოგიერთ მკვლევარს აგონებს მეცნიერთა ბეკონისეულ დაყოფას ობიექტად, ჭიანჭველებად და ფუტკრებად<sup>38</sup>. ეს უკანასკნელი, პრაქტიკოს ანალიტიკოსთა მსგავსად, სოციალური პროდუქტის წარმოებით არიან დაკავებული. პრაქტიკოსის საქმიანობა უფრო პრესკრიპციულია (განერა, დაგეგმარება), მამინ როცა თეორეტიკოსის საქმიანობაში უფრო მეტად ექსპლიკატორული (ახსნა-განმარტებითი) ფუნქცია დომინირებს, ხოლო ინსტრუმენტალისტის საქმიანობაში კი დესკრიპციული (აღნერილობითი) ფუნქცია სჭარბობს. პოლიტიკური ანალიზის ძირითად განზომილებებს შორის თანაფარდობა შემდეგი სახით გამოიყურება:

პარამეტრები	განზომილება		
	ფუნდამენტური	ემპირიული	გამოყენებითი
განმსაზღვრელი ვექტორი	დედუქცია	ინდუქცია	რეტროდუქცია
ცოდნის ხასიათი	აბსტრაქტული	ფაქტობრივი	პროექტიული
მოდელირების როლი	კონცეპტუალური მეტამოდელის შემუშავება	მოდელის მახასიათებლების ოპერაციული გამოყენება	სიტუაციური მოდელების კონსტრუირება
საკვანძო კვლევითი ერთეული	კონცეპტი	მოცემულობა	პრობლემა
დომინანტური ფუნქცია	ექსპლიკატორული	დესკრიპტული	პრესკრიპტული

გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკის ანალიზში ფუნდამენტალურ და პრაქტიკულ კვლევებს შორის განსხვავების დაფიქსირება ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ რთული ხდება. საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესი ადვილად შეიძლება იქცეს როგორც თეორიული კვლევის, ისე კონცეპტუალურ დონეზე გაანალიზების საფუძველი, რის გამოც პოლიტიკური კურსების მიმართ დამოკიდებულებაც კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, მკვეთრად განსხვავებული ხდება. ჯერ კიდევ 1970 წელს ამერიკელი პოლიტოლოგის ლასუელის მიერ შემოთავაზებული განმარტების თანახმად, ფუნდამენტური მეცნიერება მიმართულია პოლიტიკური კურსის არსის ანალიზისკენ (analysis of policy), იმ დროს, როცა გამოყენებითი მეცნიერება გულისხმობს და ითვალისწინებს ანალიზს პოლიტიკური კურსისთვის და მის ფარგლებში (analysis in (for) policy). რუსი მკვლევარი დეგტიაროვი გამოყოფს ფუნდამენტური და გამოყენებითი პოლიტიკური ცოდნის სხვაობის 5 საბაზისო კრიტერიუმს: ფუნქციური დანიშნულება, ანალიტიკური მუშაობის სუბიეტის როლი, თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირი, შემცნებითი მოდვაწეობის ეტაპები (აბსტრაქტული და კონკრეტული), კვლევების სივრცით-დროითი უნივერტობა. შესაბამისად, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს შორის განსხვავება პოლიტიკურ მეცნიერებაში ასე გამოიყურება:

<sup>38</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3

კრიტიკულები	ფუნდამენტური კვლევები	გამოყენებითი კვლევები
ფუნქცია	შემეცნიებითი	გარდამქმნელი
ანალიზის სუბიექტის როლი	ობიექტური (წეიტრალური)	სუბიექტური (დაინტერესებული)
თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირი	არაპირდაპირი	უშუალო
შემეცნებითი ციკლის ფაზა	ემპირიულ მონაცემთა შეკრებასა და აღნერიდან აბსტრაქტულ-თეორიულ მოდელებამდე	აბსტრაქტულ-თეორიული მოდელებიდან მათი კონკრეტული სინთეზისკენ კონკრეტულ ტექნოლოგიებში
სივრცით-დროითი უნივერსალობა	„სუსტი“ სივრცითი ლოკალიზაცია და „სუსტი“ შეზღუდულობა დროში	„მკაცრი“ სივრცითი ლოკალიზაცია და „მკაცრი“ შეზღუდულობა დროში

დღეს, როცა არსებობს პოლიტიკის ანალიზის გამოყენების საკმაოდ დიდი პრაქტიკა, მეცნიერთა უმრავლესობა უკვე აღარ თვლის საჭიროდ პოლიტიკური ანალიზის სხვადასხვა კატეგორიების გამოყოფით ანალიზის სხვადასხვა მიზნებზე ყურადღების გამახვილებას და უბრალოდ, კვლევით ანალიზსა და პოლიტიკის ანალიზს შორის არსებულ სხვაობაზე მიუთითებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება მაგალითად, პოლონელი მეცნიერი კატარინა სტარონოვა, რომელიც ქვემოთ მოცემულ ცხრილს გვთავაზობს:

#### ცხრილი №1. კვლევითი ანალიზი პოლიტიკის ანალიზის წინააღმდეგ

კვლევითი ანალიზი	პოლიტიკის ანალიზი
მთავარი მიზანი	მთავარი მიზანი
საზოგადოებრივი ცხოვრების არსის გასაგებად შესაბამისი თეორიის კონსტრუირება	ცვლილებათა სავარაუდო შედეგების პროგნოზირება „ცვლადებში“, რომელზედაც მთავრობას შეუძლია სტატუს კვოზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა/რეაგირება/შეცვლა
<b>მიზანი - შემეცნება</b>	
<b>კლიენტი</b>	
კლიენტი განუსაზღვრელია: კლიენტის სახით გამოდის „საზოგადოებრივი ინტერესი“, „ჭეშმარიტება“ ან თავად დისციპლინით განსაზღვრული რომელიმე კატეგორია	კლიენტი წინასწარვერა განსაზღვრული: ცალკეული ან ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები რომელიმე პოლიტიკური აქტორი
<b>კლიენტთან კომუნიკაციის ნაკლებსაჭიროება</b>	
<b>ზოგადი ტიპი</b>	
ზუსტი მეთოდოლოგია თეორიების კონსტრუირებისა და ტესტირებისათვის; ხშირ შემთხვევებში რეტრო-სპექტული შეთოდოლოგია	ფორმალური მეთოდოლოგიის გამოყენება პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში; შედეგების პროგნოზირება.
<b>სტილი - ახსნა-განმარტებითი</b>	
<b>მეთოდი</b>	
ობიექტების აღწერისთვის მეცნიერული მეთოდების გამოყენება და/ან მათ შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრა	ინფორმაციის სინთეზირება ისეთი სახით, რათა მოხდეს პოლიტიკური კურსის ალტერნატივებსა და უპირატესობებში მათი შეპირისპირებით გადატანა, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ბაზისად თვისებრივი და რაოდენობრივი ტერმინების გამოყენება
<b>ანალიზის საგანი</b>	
სუბიექტურად-ორიენტირებული (მაგ., ტრანსპორტის სისტემა)	პრობლემატიურ საკითხებსა და პრობლემებზე ორიენტირებული (მაგ., ქალაქის საქმიანი ნაწილის „საცო-ბეჭებით“ გადატვირთვის პრობლემა)
<b>მონაცემთა შეკრება</b>	
ფართო აღწერილობითი ფაზა, ხშირ შემთხვევაში მიმართული საკვლევი საგნის სხვადასხვა მონაცემთა შესაკრებად (დემოგრაფია, ეკონომიკური მახასიათებლები, ინფრასტრუქტურა, გარემო პირობები და ა.შ.)	საკვლევი სტადიის აღწერა, მკაცრად ლიმიტირებული და მიმართული კონკრეტული საკითხებისკენ. მონაცემები ხშირ შემთხვევაში მიღებულია კვლევითი ანალიზის შედეგად.

ალტერნატივები	
ალტერნატიული გადაწყვეტილების ძებნა, რომელიც შეიძლება იყოს ამომწურავი, მაგრამ არსებოთი ალტერნატივები კლიენტისთვის (საზოგადოება) წარდგენამდე იგნორირებულია	იძულებითი ძებნა ალტერნატივებისა, რომლებიც ჩვეულებრივ შემდგომში კლიენტს წარედგონება საბოლოო შეფასების გასაკეთებლად
დროითი შეზღუდვები	
დროის საკმაოდ გრძელი მონაკვეთი	დროის მონაკვეთი ხშირად თანამდებობის პირთა არჩევის ვადებთან და ცვალებადობასთანაა დაკავშირებული
საბიუჯეტო შეზღუდვები	
იშვიათი შიდა საბიუჯეტო შეზღუდვები	ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენება (კლიენტების მიერ აღიარებული და შეთავაზებული)
ანალიზის პროცესი	
გეგმა, სწავლება	კონცეფცია, პოზიცია/ მოხსენება, ანგარიში, ინფორმაციული სტრატეგია ან კანონპროექტი/რეკომენდაციაკლიენტისათვის მისაღებ ფორმებში უნდა იქნეს მწიფოდებული
ზოგადი სისუსტეები	
ინფორმაციის თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში შეუსაბამოა გადაწყვეტილების მიმღებისთვის	ანალიზის შედეგების პოლიტიკური აქტორებისთვის გასაგებ ენაზე გადმოტანის დროს შექმნილი სირთულეები

წყარო: How to be a better policy advisor? Manual Supporting Reforms in Public Administration NISP Acee. გვ. 93

## პოლიტიკის ანალიზის დაფინიციაზი

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ვილდავსკი პოლიტიკურ-მართველობითი კურსის ანალიზის სფეროს მიაკუთვნებს საზოგადოებრივი პრობლემების ფორმულირებასა და მათ გადაწყვეტასთან დაკავშირებულ ნებისმიერი ხასიათის მოღვაწეობას. ა. ვილდავსკის მიერ შემოთავაზებულ დეფინიციასთან ახლოს დგას კანადელი პოლიტოლოგის ლ. პალის განსაზღვრება, რომელიც პოლიტიკის ანალიზს აფასებს, როგორც საჯარო პოლიტიკურ პრობლემათა გადაწყვეტისკენ მიმართულ ინტელექტუალურ მოღვაწეობას. სთრატეგიული უნივერსიტეტის პროფესორები ბ. პოგვუდი და ლ. განი პოლიტიკის ანალიზში ხედავენ სოციალურ მეცნიერებათა დარგს, რომელიც პრესკრიპტული ხასიათსაა და კლიენტის კონკრეტულ პრობლემათა გადაწყვეტასა და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის დაგეგმვარებაზეა კონცენტრირებული. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკის ანალიზი პრაქტიკული სუბდისციპლინის სახით განისაზღვრება, რომელიც სოციალ-ტექნოლოგიური საკითხების საფუძვლისა და მათი გადაწყვეტის მისაღები საშუალებების ძიებისკენაა მიმართული. პოლიტიკური მეცნიერების ბლეკვალის ენციკლოპედიაში პოლიტიკის ანალიზი განისაზღვრება, როგორც სოციალური ინჟინერიის ხელოვნება, რომელიც მუშავდება საჯარო პრობლემების დასაძლევად.

ცხადია, რომ აქ შემოთავაზებული არც ერთი დეფინიცია პოლიტიკის ანალიზის ფენომენს სრული სახით ვერ ასახავს. გაცილებით უფრო კომპლექსურად გამოიყურება განსაზღვრება, რომელიც პიცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ დანი გვთავაზობს. დანის ინტერ-პრეტაციით, პოლიტიკის ანალიზი ესაა პრაქტიკული და ინტელექტუალური მოღვაწეობა, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის, მეორე მხრივ კი, ამ პროცესის თაობაზე ცოდნის წარმოების, კრიტიკული შეფასებისა და გაცვლისთვის<sup>39</sup>. მისივე აზრით, პოლიტიკის ანალიზი სოციალური დისციპლინაა, რომელშიც გამოიყენება კვლევის მრავალფეროვანი მეთოდები იმისთვის, რათა ინარმოოს, კრიტიკულად შეფასდეს და გაიცვალოს პრაქტიკულ-პოლიტიკური თვალსაზრისით არსობრივი, რელევანტური ინფორმაცია.

სხვა სიტყვებით, პოლიტიკის ანალიზი აქვს როგორც დესკრიპციული, ისე ნორმატიული ასპექტები და მოიცავს საექსპერტო და სამეცნიერო-გამოიყენებით მოღვაწეობას კონკრეტული მმართველობითი ცოდნის საწარმოებლად ემპირიული ინფორმაციის შეკრებისა და შესაბამისი შეფასების საფუძველზე. თუმცა, არც ეს დეფინიცია ასახავს პოლიტიკურ-ანალიტიკური საქმიანობის ყველა ასპექტს. ამომწურავი განსაზღვრების არარსებობა განპირობებულია პოლიტიკური კვლევების ამ მიმართულების მრავლმხრივობითა და სინთეზურობით. თავის დროზე ამაზე ყურადღებას ამახვილებდნენ პოლიტიკის ანალიზის თანამდეროვე ამერიკული სკოლის ფუძემდებლები — ა. ვილდავსკი და ე. ქვეიდი, რომლებიც თავს არიდებდნენ პოლიტიკის ანალიზის სრული ფორმულირებების ჩამოყალიბებას. „ნუ დასვამთ კითხვას – რას

<sup>39</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 10

წარმოადგენს პოლიტიკის ანალიზი. უფრო მართებული იქნება დაცვათ კითხვა შემდეგი ფორმულირებით — როგორი ანალიზი უნდა ჩაატაროთ?<sup>40</sup> „ — წერდა ვილდავსკი. ე. ქვეიდის აზრით, პოლიტიკის ანალიზის საგნობრივი ჩარჩოების შემოსაზღვრა მხოლოდ იმის გადაწყვეტის შემდეგ ხდება შესაძლებელი, რაც განისაზღვრება, თუ რას არ წარმოადგენს პოლიტიკის ანალიზი. პირველ რიგში, ე. ქვეიდის აზრით, პოლიტიკის ანალიზი არ არის ზუსტი მეცნიერება, რადგან სამეცნიერო ფეშმარიტების ძიების ნაცვლად, ანალიტიკოსი დაკავებულია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირის გადაწყვეტილებათა ოპტიმალური არჩევანის უზურნველყოფა-ძიებით. გარდა ამისა, რეკომენდაციების სამეცნიერო საფუძვლების ახსნის გარეშეც კი ანალიტიკური მოღვაწეობის შედეგები, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ ეფექტურ შედეგებს იძლევა. პოლიტიკის ანალიზი, ე. ქვეიდის შენიშვნით, არაა პანაცეა ყველა პრობლემების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს, კვალიფიციური დასკვნების გაცემა სულაც არაა გადაწყვეტილების მიღებისა და საჯარო (სახელმწიფო) პოლიტიკის წარმატებით განხორციელების გარანტი. პოლიტიკის ანალიზი არ არის და არც შეიძლება იყოს ანალიტიკოსის ინტელექტუალური შეხედულებების განხორციელების საშუალება, რადგან კლიენტის წინაშე წარმოქმნილი ყველა პრობლემის მიუკერძოებლად შესაფასებლად საჭიროა ნეიტრალურობა და არავითარ შემთხვევაში წინასწარ განწყობა, რაც პოლიტიკის ანალიზი აუცილებლად იგულისხმება. პოლიტიკის ანალიზი, ე. ქვეიდის აზრით, პოლიტიკურ-მმართველობითი მეცნიერებაა, რომელიც ითვალისწინებს მულტიდისციპლინული ცოდნის ინტეგრაციულ-სინთეტიკურ გამოყენებას და ორიენტირებულია პრობლემურ-პოლიტიკური სიტუაციის მოდელირების, დიაგნოსტიკის, პროგნოზირების ზოგადი პრინციპებისა და სპეციალური მეთოდების შემუშავებასა და საჯარო გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და განხორციელებისას პრაქტიკული რეკომენდაციების ფორმულირებისაკენ.

პოლიტიკის ანალიზი, ე. ქვეიდის გამოყენებით, გამოყენებითი კვლევის უტილიზირებადი ფორმა, რომელიც მიმართულია სოციალური პრობლემების სიღრმისეული გაგებისა და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური<sup>41</sup> ვარიანტების ძიებისკენ. პოლიტიკის ანალიზის ასეთი გაგება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ავტორი კვეცს საკუთარი ინტერესის სფეროს, დაჰყავს პოლიტიკის ანალიზის გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ავტორი პოლიტიკის ანალიზის პირდაპირი შედეგის სახით წარმოიდგენს პოლიტიკოსებისთვის პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტის (როგორ წესი, წერილობითი სახით გადმოცემულის) შეთავაზებას და არა თავად ამ სოციალური პრობლემის გადაწყვეტას. ამასვე აღიარებს იუჯინ ბარდახიც, რომელიც პოლიტიკის ანალიზის შედეგის სახით განიხილავს ანალიტიკური ხასიათის მოხსენებებს, არა აქვს მნიშვნელობა იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი ფორმით გადმოცემული. მაგრამ არ უნდა დავივინულოთ, რომ აქ ე. ქვეიდი საუბრობს პოლიტიკის ანალიზზე არა ზოგადად, არამედ მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს გამოყენებულ ანალიზზე. ამიტომ ე. ქვეიდის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია, რომელიც პოლიტიკის ანალიზს პრობლემის სილრმისეული გაგებისა და მათი გადაწყვეტის საუკეთესო ვარიანტების ძიების პროცესად წარმოიდგენს, ნაკლებად შეიძლება მივიჩნიოთ მართებულად.

ანალიტიკური პროცესი პრობლემის „იდეალური“ გადაწყვეტის პროექტის განერით (ანალიტიკური მოღვაწეობის შედეგი) სულაც არ სრულდება. პრობლემაზე მუშაობის, ე.ი. პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის განხორციელების პროცესში, გადაწყვეტილების მიღების შემდეგი ეტაპები არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტიცაა. ამ გაგებით ექსპონსტანალიტიკურ პროცედურებს, როგორიც მონიტორინგი და შეფასებაა, საკმაოდ დიდი დატვირთვა ენიჭება. სახელმწიფო მართვის სისტემის განვითარება, თუნდაც შეერთებული შტატების მაგალითზე, ნათლად გვიჩვენებს, რომ XX საუკუნის პირველ ნახევარში ხელისუფლების წინაშე მდგარ პრობლემათა დასაძლევად საჭირო იდეალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავების პრაქტიკამ ვერ გაამართლა. არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის პროცესში პრობლემათა დაძლევის იდეალური მოდელის შემუშავება საკმარისი არ აღმოჩნდა პრობლემათა არათუ სრულყოფილი მოგვარებისთვის, არამედ მათი სიმწვავის მეტ-ზაკლებად შესამცირებლადაც კი. კითხვამ, რატომ ვერ მუშაობს „იდეალური“ პროგრამა, მკვლევრები მიიყვანა დასკვნამდე, რომ მეტი ყურადღება დაეთმოთ პროგრამის რეალიზაციის პროცესისათვის, ყურადღება მიექციათ იმისათვის, თუ რამდენად შეესაბამება და თანხვედრაშია ერთმანეთთან წინასწარ განერილი პროგრამა მის რეალიზაციის პროცესთან,

<sup>40</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3

<sup>41</sup> მსაზღვრელი „ოპტიმალური“ ჩვენში აღიქმება როგორც კომპრომისული ვარიანტი, სხვა ვარიენტებთან შედარებით საუკეთესო. ინგლისურ ენაში კი სიტყვა ოპტიმალური ასეთ მნიშვნელობას არ ატარებს, ოპტიმალური აქ საუკეთესოს სინონიმად გამოიყენება.

ხომ არ ხდება სტრატეგიასა და პოლიტიკური კურსის რეალიზაციას შორის განსვლა. მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემა ანალიტიკოსების მიერ პროგრამის განხორციელების პროცესზე მონიტორინგის წარმოებითა და შეფასების საშუალებით მიიღწევა. სტრატეგიასა და რეალიზაციას შორის თანხვედრის უზრუნველყოფა სწორედ ამ ანალიტიკური პროცედურების – მონიტორინგისა და შეფასების საშუალებით ხორციელდება<sup>42</sup>.

## პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიური თავისებურებები

პოლიტიკის ანალიზის არსის გასაგებად აუცილებელია მისი მეთოდოლოგიური თავისებურებებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქევევა. თავდაპირველად გავეცნოთ ამ სამეცნიერო დისციპლინის ყველაზე ზოგად მახასიათებლებს, რომელიც მას სხვა სოციალური დისციპლინებისგან განასხვავებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება: კლიენტ-პრობლემური ორიენტაცია, კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური პაზის ჰეტეროგენულობა, ნორმატიული და ემპირიული მიდგომების გაერთიანება და კვლევის დირებულებით-ნეიტრალური ხასიათი.

მოსაზღვრე სამეცნიერო დარგებისგან განსხვავებით, ტრადიციული სოციალური მეცნიერებები, როგორიცაა სოციოლოგია, ფინანსობრივი და ა.შ. მკაცრად განსაზღვრული საკვლევი ობიექტითა და საგნით გამოირჩევა, რაც პოლიტიკის ანალიზზე ნაკლებად ვრცელდება. პოლიტიკის ანალიზში ასეთი სახის სპეციალიზაცია, უბრალოდ, შეუძლებელია რამდენიმე მიზეზის გამო: ასეთი მდგომარეობა, ერთი მხრივ, გამოწვეულია საკვლევი ობიექტის მრავალმხრივობითა და მრავალგანზომილებიანობით, მეორე მხრივ კი თავად პოლიტიკის ანალიზის, როგორც პროცესის ორგანიზაციის სპეციფიკით, რომელიც კომპლექსურ პრობლემათა გადაწყვეტისთვის საფუძვლიანი კვლევის ჩატარების შესაძლებლობას არ იძლევა. პოლიტიკის ანალიზის პროცესი დროში შეზღუდულობით გამოირჩევა. მაგალითად, ისეთი კომპლექსური ხასიათის პრობლემის გადაწყვეტისას, როგორიცაა თბილისის მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, თუკი ჩვენ ვიხელ-მძღვანელებთ სოციალური მეცნიერებისთვის დამახასიათებელი საგნობრივი გაყოფით, მაშინ საქმე შესაძლებელია წლების განმავლობაშიც კი გაიწელოს. ამისათვის აუცილებელი გახდება ჩამოყალიბდეს შესაბამისი საკვლევი კოლექტივი, რომელიც ეკონომისტებისაგან, ინჟინერებისგან, სოციოლოგებისგან, ურბანისტებისგან და პოლიტოლოგებისგან დაკომპლექტდება და მოცემულ პრობლემას გაიყოფს საკვლევი სეგმენტების მიხედვით. ამასთან, მუმაობის პროცესში მათ აუცილებლად დასჭირდებათ შესაბამისი კონცეფციების, ცნებებისა და მეთოდების შეთანხმება. ეს საკმოდ რთული და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დროში განელილი პროცესია. ამისათვის კი არც საკმარისი დრო და არც შესაბამისი რესურსები არ არის გამოყოფილი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დამკვეთს სჭირდება კონკრეტული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები და არა მრავალტომიანი მონოგრაფიული ნაშრომი, ცხადი გახდება ასეთი კვლევის ჩატარების ნაკლებეფექტიანობა, რომ არაფერი ვთქვათ როგორც დროის, ისე შრომითი რესურსების, გაუმართლებელ ხარჯვაზე.

**დროსა და რესურსებში შეზღუდულობა.** პოგვუდისა და განის მიერ პოლიტიკის ანალიტიკური მეთოდი განისაზღვრება როგორც „შერეული“, რომელიც შეზღუდულია ორმაგად, ერთი მხრივ ინტერაქტურად გამოწვეული მიზეზებით (შეზღუდულობა დროში, შეზღუდულობა განხორციელების რესურსებში, ინფორმაციის ნაკლებობა და ა.შ.), რაც სიღრმისეული ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას ურყევს საფუძველს, მეორე მხრივ კი – პოლიტიკური ფაქტორების გავლენით, რაც ანალიზის „ობიექტურობის“ ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს. აქვე ბრიტანელი ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ პოლიტიკის ანალიზის, როგორც არსებული პრობლემის დაძლევის ძიებისათვის მიმდინარე კვლევის პროცესის განხორციელების პირობად გამოდის „ეკონომიკური რაციონალურობა“. სხვა სიტყვებით, ანალიტიკოსის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ ინფორმაციას, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ პირს გადაეცემა, თავად ანალიზის ჩატარების ხარჯებზე მეტი სარგებელი უნდა მოჰკონდეს. ნინააღმდეგ შემთხვევაში, ანალიზის ჩატარების აუცილებლობა აზრს კარგავს.

**კლიენტ-პრობლემური ორიენტაცია.** პოლიტიკის ანალიზს დასავლელ ავტორთა უმრავლესობა განიხილვს როგორც პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებულ ცოდნას. პოლიტიკის ანალიზის პროცესს კი პრობლემ-ცენტრისტული მოდელის სახით წარმოიდგენს. ა.ვილდავსკის მიერ შემოთავაზებული დეფინიციის თანახმად, პოლიტიკის ანალიზი აქტუალური პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტია. პოლიტიკის ანალიზის ასეთი აღქმა, თავის მხრივ,

<sup>42</sup> Wildavsky, A., Speaking Truth to Power. The Art and Craft of Policy Analysis. 11<sup>th</sup> ed. 2006. Transaction Publishers. New Brunswick (U.S.A.) and London (U.K.) გვ.79.

დაკავშირებულია საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის, როგორც საზოგადოებაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტისკენ მიმართული მოდელის სახით წარმოდგენასთან.

გარდა ამისა, პოლიტიკის ანალიზს ხშირად ახასიათებენ როგორც კლიენტზე ორიენტირებულ ინტელექტუალურ მოღვაწეობას. კლიენტის სახით აქ გადაწყვეტილების მიმღები პირი გვევლინება, რომელსაც ანალიტიკოსი ემსახურება და აწვდის საჭირო ანალიტიკურ ინფორმაციას პოლიტიკოსისასთვის არსებითი პრობლემის გადასაწყვეტად. პოლიტიკის ანალიზის კლიენტზე ორიენტირებულობას უკლებლივ ყველა მეცნიერი აღირებს, თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი<sup>43</sup> პოლიტიკის ანალიზის, როგორც საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული ცოდნის სახით ჩამოყალიბებას ემხრობა. პოლიტიკის ანალიზის **განსაზოგადოებრიობის** ნაკლებად რეალურობის პირობებში, დ. ვეიმარი და ა. ვაინინგი აყენებენ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, ანალიტიკური მოღვაწეობის შედეგად მიღებული რეკომენდაციები, რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ პირს გადაეცემა, საზოგადოებაში დომინირებულ ლირებულებებთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს და სოციალურად მისაღები უნდა იყოს. სწორედ ამაში ხედავენ ეს მეცნიერები კლიენტზე-ორიენტირებულობის ვიწრო ჩარჩოებიდან თავის დაღწევასა და პოლიტიკის ანალიზის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარებას. პოლიტიკის ანალიზის „განსაზოგადოებრიობას“ დ. ვეიმარი და ა. ვაინინგი უტოპიურ პროექტად უფრო აღირებენ, ვიდრე რეალობად. მათი აზრით, ანალიტიკოსის ეთიკაში დევს არა მარტო ორიენტირება დამკვეთზე, არამედ ისიც, რომ იგი სოციალურად გააზრებული ლირებულებების გათვალისწინებასაც უნდა ეყრდნობოდეს. ავტორების აზრით, ამას შეუძლია გამოიწვიოს ლირებულებების კონფლიქტი პოლიტიკის ანალიტიკოსში, რომლის დაძლევასაც ავტორები ანალიტიკოსის პროფესიონალიზმის ერთ-ერთ მაჩვენებლადაც კი მიიჩნევენ.

**პოლიტიკის ანალიზის ძირითადი პროდუქტი** – ეს გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის რჩევების მიცემაა. ე.ი. ანალიტიკური მოღვაწეობა ატარებს აშკარად გამოკვეთილ კლიენტზეორიენტირებულ ხასიათს. თუმცა, თუკი ერთ შემთხვევაში ასეთი ანალიტიკური პროდუქტის სახით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისათვის გადაწყვეტილების მიმღები პირის რჩევებით აღჭურვაა, სხვა შემთხვევაში ეს შესაძლებელია საზოგადოების წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა იყოს. მაშასადამე, გამოიყოფა ანალიზი გადაწყვეტილების მისაღებად და ანალიზი პრობლემის გადაწყვეტისთვის. თუმცა, ორივე შემთხვევაში, ავტორთა მუშაობის შედეგები უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო სახელმწიფო ოფიციალურ გადაწყვეტილებსა და მოთხოვნების საჭიროებას, არამედ უნდა ეფუძნებოდეს ცოდნას საზოგადოებრივი ლირებულებებისა და საჭიროებების შესახებ, უნდა იყოს აგებული სოციალურად გააზრებულ ლირებულებებზე. მათი აზრით, პოლიტიკის ანალიზის მხოლოდ ეკონომიკურ რაციონალიზმზე დაფუძნება არ შეიძლება იქცეს სოციალური და პოლიტიკური პრობლემების ჩავარდნისაგან თავის დაღწევის გარანტი, ისევე როგორც მხოლოდ სოციალური ლირებულებებისადმი დაყრდნობისა და ცალმხრივი გაზიარების შემთხვევაში.

**ეფექტურობის საპაზრო განზომილების ნაკლებ გამოსადევობა.** დ. ვეიმარი და ა. ვაინინგი აზრით, ეფექტურობის საპაზრო განზომილება პოლიტიკურ სფეროში მისი გამოყენების შემთხვევაში, ხშირად ცუდ შედეგებს იძლევა. პოლიტიკის ანალიზის რაციონალიზმების მცდელობათა წარუმატებლობა, მათი აზრით, დაკავშირებულია იმასთან, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღება სულ სხვა ლოგიკით, ვიდრე ამას ეკონომიკური რაციონალურობა ითვალისწინებს: პირველ რიგში, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური „ბაზრის“ სპეციფიკა, სადაც კონკურენციის კანონები საკმაოდ განსხვავდება ეკონომიკურისგან თუნდაც იმიტომ, რომ პოლიტიკურ პროცესში ერთ-ერთ აქტორად გვევლინება მართვის აპარატი, რომელსაც ეკუთვნის პრიორიტეტი თამაშის წესებისა და ნორმების განსაზღვრის პროცესში. მეორეც, პოლიტიკაში არჩევანის გაკეთება ყოველთვის როდი ექვემდებარება ეკონომიკურ რაციონალიზმს, რადგან, ამავე დროს, ის უნდა იყოს სოციალური თვალსაზრისითაც მისაღები. ავტორები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ყველაზე კარგ გადაწყვეტილებად, თუ როგორ გაუმჯობესდეს ვინმეს მდგომარეობა, ჩაითვლება გადაწყვეტილება, რომელიც არ გააფუჭებს სხვის მდგომარეობას. პოლიტიკის ანალიზის კიდევ ერთი თავისებურება, რაც მას ტრადიციული ეკონომიკური ანალიზისგან განასხვავებს, ისიცაა, რომ ის ხორციელდება მაღალი რისკის, ინფორმაციისა და რესურსების ნაკლებობის პირობებში. პოლიტიკის ანალიტიკოსს უფრო წაკლებად ზუსტი წარმოდგენა აქვს იმ სიკეთეებსა და კეთილდღეობებზე, რისკენაც საზოგადოება მიიღობვის, რადგან, ხშირ შემხვევაში, ამ წარმოდგენების დანახვა ზედაპირზე საკმაოდ ძნელდება. ამავე დროს, ისინი სიტუაციურ-ცვალებადია. ვაინინგისა და ვაიმარის აზრით, პოლიტიკის ანალიზის პროცესი შემდეგი თანამიმდევრული ეტაპების სახით

<sup>43</sup> უ. დანი და ე. ქვეიდი

უნდა ხორციელდებოდეს: პრობლემისა და განწყობების სტრუქტურირება (ეხება ორივეს როგორც პრობლემას, ისე საზოგადოებრივ მოლოდინებს მისი მოგვარების თაობაზე, ანალიზის შედეგი კი ორივე ფაქტორის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს); ინფორმაციის შეგროვება; ხარჯისა და სარგებელის, მოლოდინების, პოლიტიკური და ორგანიზაციული მოღვაწეობის ფაქტორების გაზომვა; დამკვეთთან კომუნიკაცია.

**კვლევის ღირებულებით-ნეიტრალური ხასიათი** – იმის გამო, რომ პოლიტიკის ანალიზი კლიენტზე ორიენტირებულია, ანალიტიკოსის მხრიდან იბიექტური კვლევის განხორციელების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზღუდება. ანალიტიკოსი ანალიზის პროცესში საზოგადოებრივი პრობლემების საუკეთესოდ გადაჭრის ძიების გზების ნაცვლად, მისი დამკვეთის ხელთარსებული რესურსების თარგზე პრობლემის გადაწყვეტის საშუალებების გამოყრას ცდილობს. სწორედ ამიტომ მრავალი მკვლევარი პოლიტიკის ანალიზის დისციპლინასთან მიმართებაში მსაზღვრელის „საჯარო“ ან „საზოგადოებრივის“ ხმარებას (Public Policy Analisys) მიუღებელადაც კი მიჩნევს. დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედი ანალიტიკოსის მოღვაწეობა, ამ გაგებით, ღირებულებითი შეფასებისგან „დაცლილი“ — აქსიოლოგიურ-ნეიტრალური ხდება, რამაც შესაძლებელია ანალიტიკოსში ინტერესთა კონფლიქტიც კი გამოიწვიოს.

პოლიტიკის ანალიზის კლიენტზეორინენტირებული მოდელის მხურვალე მხარდამჭერები, ანალიტიკოსის პროფესიონალიზმის განმსაზღვრელ ერთ-ერთ კრიტერიუმად ასეთი შინაგანი წინააღმდეგომის დროულ დაძლევას ასახელებენ. ჰოგვუდისა და განის მიერ აღწერილი ანალიტიკური ტექნიკების შერჩევა განისაზღვრება მათი მიზნით – პოლიტიკურ სფეროში ანალიზის შედეგების შემდგომი გამოყენებით, „მყიდველისათვის“ ე.ი. გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის ანალიზის შედეგების სარგებლიანობით-გამოსადევობით. ამრიგად, პოლიტიკის ანალიზი ღირებულებით-ნეიტრალური ხდება და რომელიმე პოლიტიკური რეჟიმის, მათ შორის დემოკრატიული იდეალებისგანაც შორს დგას და არა მასთან გადაჯაჭვული. პოლიტიკის ანალიტიკოსი არ ფლობს „ერთადერთი სწორი გზის“ ხედვას, მაგრამ გადაწყვეტს სიტუაციურ მართვადობას დაქვემდებარებულ მმართველობით პრობლემებს.

**კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ბაზისის ჰეტეროგენულობა.** პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიური ბაზისი საკმაოდ მრავალფეროვანია. მეთოდიკების უმრავლესობა ეფუძნება სხვა მეცნიერებების მიერ შემუშავებულ და მათგან ნასესხებ მეთოდებს. პირველ რიგში, ეს ეხება ფსიქოლოგიასა და მეცნიერული მართვის თეორიას (ტეოლორიზმი) შორის. პოლიტიკის ანალიზი, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, საკმაოდ „კოსმოპოლიტურ“ დამოკიდებულებას ავლენს სხვა მეცნიერებათა კონცეპტუალური მიდგომებისადმი, სესხულობს სხვადასხვა პრინციპებსა და მიდგომებს სოციალურ, ჰუმანიტარულ და არცთუ ისე იშვიათად, საბუნებისმეტყველო საგნებიდანაც კი. მეტნილად ეს აისწება საკვლევი ობიექტის კომპლექსური ბუნებით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ერთდროულად რამდენიმე საგნის ჭრილში განხილვას საჭიროებს. უილიამ დანის მართებული შენიშვნით, პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგია იქმნება მრავალი სხვა დისციპლინის ელემენტებისგან: პოლიტიკური მეცნიერების, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის სხვადასხვა დარგებისგან<sup>44</sup>. ასე მაგალითად, ისტორის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების თეორიამ საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლისა და ანალიტიკური მოღვაწეობის წრიულ მოდელებს. პოლიტიკის ანალიზის თანამედროვე სამეცნიერო აპარატის ფორმირება განხორციელდა სისტემური თეორიის საფუძველზე. პოლიტიკის ანალიზს ფილოსოფიისგან აღებული აქვს „პრობლემის გადაწყვეტის“ ეპისტემოლოგიური კონცეფცია (ჟ.დოუი). ხარჯსარგებლისა და ხარჯეფექტიანობის ანალიზი ნასესხები და გადმოღებულია ეკონომიკური მეცნიერებიდან, ისეთი საექსპერტო ტექნიკები კი როგორიც სინექტიკა, დელფოსის სისტემა, მეტაგეგმა და სხვებია, შემუშავდა ფსიქოლოგების მიერ, ივენთანალიზი პოლიტიკის ანალიზში შემოიტანეს პოლიტიკოსებმა, სოციოლოგიიდან რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების თითქმის მთელი არსენალი (ინტერვიუ, კონტენტანალიზი, საანკვეტო გამოკითხვა) იქნა გადმოღებული, სამხედრო მეცნიერებიდან – ოპერაციის კვლევისა და ქსელური დაგეგმარების მეთოდები. როგორც ვხედავთ, პოლიტიკის ანალიტიკოსს მეთოდოლოგიური არჩევანის ფართო შესაძლებლობები ეშლება წინ.

პოლიტიკურ-მმართველობითი ცოდნის დისციპლინათაშორისი საფუძვლების თაობაზე დეტალურ განმარტებებს გვთავაზობს დრორი, რომელიც გამოყოფს 23 სამეცნიერო დისციპლინას, რომელიც მისი აზრით, პოლიტიკური მართვის საფუძველია. ამ დისციპლინებს დრორი 4 ძირითად ჯგუფებად ყოფს:

1. ტრადიციული (ისტორია, სამართალი);
2. სოციალური მეცნიერებები (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერება);

<sup>44</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 18

3. ახალი დისციპლინათაშორისი დარგები (მენეჯმენტი, სისტემური ანალიზი, კონფლიქტებისა და კომუნიკაციების კვლევა);

4. ე.ნ. აბსტრაქტული მეცნიერებები (ლოგიკა, სემანტიკა, სტატისტიკა)<sup>45</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიური ბაზისი ძირითადად პოლიტიკურ მეცნიერებაზე, ეკონომიკაზე და სხვა სოციალურ მეცნიერებებსა და დისციპლინებზეა აგებული, პოლიტიკის ანალიზში ნასესხებმა მეთოდოლოგიებმა, მეთოდებმა და ტექნიკებმა ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადა. მოხდა პოლიტიკურ სფეროში მათი ადაპტაცია, რის შედეგადაც მათმა დიდმა ნაწილმა შეიძინა სპეციფიკური, მხოლოდ ამ დისციპლინისთვის დამახასიათებელი ნიშნები. რიგ შემთხვევებში, მეთოდოლოგიურ პროტოტიპებსა და პოლიტიკის ანალიზის პროცესში აპრობირებულ მათ „მემკვიდრეებს“ შორის განსხვავება იმდენად არსებითია, რომ ზოგიერთი მეცნიერი მათი დეტალური განმარტების საჭიროებაზეც კი საუბრობს. არაერთი მეცნიერის დასკვნების თანახმად, პოლიტიკის ანალიზის დღევანდელი მეთოდოლოგიური არსენალი იმდენად სპეციფიკურია და იმდენად დაშორებული თავის საწყისებს, რომ მათი გამოყენება სხვა დისციპლინისთვის უკვე ვეღარ ხერხდება.

**ინსტრუმენტული მულტიპლიციზმი.** უილიამ დანი პოლიტიკის ანალიზის თანამედროვე მეთოდოლოგიას განსაზღვრავს კრიტიკული მულტიპლიციზმის სახელით, რომლის განხორციელების საშუალებადაც ტრიანგულაციის პრინციპს მიიჩნევს<sup>46</sup>. ამ პრინციპის საფუძველზე, პოლიტიკის ანალიზით დაკავებული მეცნიერები, საკვლევი ობიექტის შესწავლის პროცესში მრავალრიცხოვან მეთოდოლოგიებსა და ინსტრუმენტებს უნდა იყენებდნენ. ანალიტიკოსმა სწორედ ინსტრუმენტული მულტიპლიციზმის დახმარებით შეიძლება გაართვას თავი საჯარო პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პრობლემების მზარდ კომპლექსურობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის თანდათანობით გართულებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის ანალიზისთვის დამახასიათებელია მულტიდისციპლინური ლექსიკური აპარატი, რაც დისციპლინის სპეციფიკურობის გათვალისწინების ფონზე გასაკვირი არაა. პოლიტიკის ანალიზის წინაპირობად ე. ქვეიდი ასახელებს მიკროეკონომიკას, გადაწყვეტილებების მიღების თეორიას, ორგანიზაციულ თეორიას, სწორხაზოვან პროგრამირებას, სტატისტიკას. დისციპლინათა ეს ნაკრები, რომელსაც ავტორი პოლიტიკის ანალიზის პირველწყაროდ ასახელებს, განსაზღვრავს, ე. ქვეიდის აზრით, პოლიტიკის ანალიზის განხორციელების დროს გამოყენებულ შესაძლო ნაკრებს<sup>47</sup>. პოლიტიკის ანალიზში გამოყენებულ მეთოდების, მეთოდიკებისა და ტექნიკების უმრავლესობა მეტად სპეციფიკური და შემოქმედებითი ხასიათისაა. მათმა უმეტესობამ აპრობაცია თავდაპირველად სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში გაიარა. უფრო მეტიც, დღეს პოლიტიკის ანალიზის კატეგორიული აპარატი სწორედ ამ მეცნიერების საფუძველზეა აგებული. პოლიტიკურ სფეროში გადაწერგვის შემდეგ მათ საერთო საპროგნოზო პრობლემის გადაჭრაში დამხმარე როლი დაეკისრათ. უ. დანის აზრით, პოლიტიკის ანალიზის თეორია და პრაქტიკა უნდა განვასხვავოთ იმ დისციპლინებისგან, რომლის წიაღშიც პოლიტიკის ანალიზი ჩაისახა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ანალიზი, როგორც ასეთი, ეფუძნება პოლიტიკურ მეცნიერებას, ეკონომიკას და სოციალური მეცნიერების სხვა დისციპლინებსა და დარგებს, ის ამავე დროს ახდენს მათ ტრანსფორმირებას ახალი მულტიდისციპლინური მიდგომის სახით. ამ გაგებით, უილიამ დანი თავის წიგნში „შესავალი პოლიტიკის ანალიზში“ საუბრობს ამ მულტიდისციპლინური დარგის კონცეფციებისა და მეთოდების არაორდინალურ, საკუთარი პროტოტიპებისგან განსხვავებულ ხასიათზე<sup>48</sup>.

**ემპირიული და ნორმატიული მიღვმების გაერთიანება.** ანალიტიკოსის მოღვაწეობა პრობლემურ-პოლიტიკური სიტუაციის ანალიზით, პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტების შემუშავებით, მათი პროგნოზირებითა და რეალიზებულ პოლიტიკურ კურსებზე მონიტორინგის ნარმოებითა და შეფასებით როდი ამონიურება. მის უმთავრეს საქმიანობას, უფრო მეტიც, მთელი მისი ანალიტიკური მოღვაწეობის ძირითად პროდუქტს დამკვეთის რეკომენდაციებით აღჭურვა და პრობლემასთან მიმართებაში მისი მომავალი მოქმედების გეგმის დასახვა წარმოადგენს. შესაბამისად, ანალიტიკოსი თავის მოღვაწეობაში აერთიანებს ემპირიულ და ნორმატიულ მიდგომებს. ემპირიულ მიდგომას იყენებს პრობლემურ-პოლიტიკური სიტუაციის დიაგნოსტიკისთვის, ნორმატიკულს კი მომავალი მოქმედებების ჩამონათვალთა განერისას, რაც, როგორც წესი, რეკომენდაციაში აისახება.

**მეთოდოლოგიური უნიკალურობა –** ცალსახა პასუხი კითხვაზე, გამოიყენება თუ არა ესა თუ ის მეთოდი პოლიტიკის ანალიზის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, თუ მხოლოდ ამა თუ

<sup>45</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3.

<sup>46</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 22

<sup>47</sup> Quade, Edward S. *Analysis for Public Decisions*. 2nd edition. North Holland, 1982. გვ.58.

<sup>48</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 29

იმ ეტაპისთვისაა დამახასიათებელი, ჯერ კიდევ არ არსებობს. უ. დანი თავის წიგნში „შესავალი საჯარო პოლიტიკის ანალიზში“ წარმოადგენს პოლიტიკის ანალიზის მეთოდებს, მეთოდიკებსა და ტექნიკებს, რომლებიც პოლიტიკის ანალიზის ცალკეული პროცედურების (პროცედურების სტრუქტურირება, პროგნოზირება, რეკომენდაცია, მონიტორინგი და შეფასება) მიხედვითაა დაჯგუფებული. დანის მოდელში თითოეული მეთოდი, შესაბამისი მეთოდიკებითა და ტექნიკებით, გამოიჩინება თავისი სპეციფიკურობით, რაც იმას გულისხმობს, რომ პოლიტიკის ანალიზის ერთი ფაზისთვის გამოყენებული მეთოდი მეორესათვის ნაკლებ გამოსადეგია. შესაბამისად, დანის ინფორმაციულ-პროცესუალურ მოდელში ესა თუ ის მეთოდოლოგიური ელემენტი უნიკალურ ხასიათს ატარებს. თუმცა, დანის მეთოდოლოგიურ უნიკალურობას ყველა ავტორი არ იზიარებს და პოლიტიკის ანალიზის და პოლიტიკის ანალიზის მეთოდთა გამოყენების მრავალმხრივობაზე საუბრობს. აქვე აუცილებელია ყურადღების შეჩერება იმაზეც, დღეს თუ რა მეთოდოლოგიურ საკითხებზე მსჯელობენ პოლიტიკის ანალიზის სპეციალისტები. ყველაზე აქტუალურია მსჯელობა პოლიტიკის ანალიზთან მიმართებაში თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის გამოყენების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. ამ დისკუსიების შინაარსი მეტნილად განისაზღვრება, ერთი მხრივ, რაოდენობრივი (პოზიტივისტური მიდგომის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო ობიექტურობის პრინციპს) და ზუსტი, ძირითადად თვისებრივი კვლევის მეთოდების მომხრეთა და, მეორე მხრივ, პოსტპოზიტივისტური ე.ნ. ქიუმეთოდოლოგიების მომხრეთა შორის წინააღმდეგობით. ეს უკანასკნელი საკუთარ კვლევას აგებენ ღირებულებით კრიტიკიზმზე, უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ სუბიექტურ ფაქტორებს და მათემატიკურ მეთოდებთან ერთად ხარიხობრივი მეთოდების გამოყენების აუცილებლობაზე მსჯელობენ. მათ შორის მიმიდნარე ცხარე დისკუსიის მიუხედავად დღეისათვის დომინირებს პოზიტივისტური მიდგომა. როგორც ამერიკელი პოლიტოლოგი დ. დერნინგი აღნიშნავს, შეიქმნა რეალური უფსკრული პოსტპოზიტივიზმის თეორეტიკოსებსა და იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც პოლიტიკურ-ანალიტიკურ კვლევებს უპირატესად სოციალური პოზიტივიზმის მეთოდების საფუძველზე ანარმოებენ<sup>49</sup>. სწორედ ეს უკანასკნელი არიან დაკავებული სახელმძღვანელოების შექმნით, კითხულობენ კურსებს სტუდენტებისთვის, რომლებიც აპირებენ ანალიტიკოსებად ჩამოყალიბებას; სწორედ ისინი განსაზღვრავენ ანალიტიკოსის მუშაობის სტანდარტულ ნორმებს. ასეთ პირობებში, დარნინგს პოლიტიკის ანალიზის, როგორც კვლევის პროცესის უმეტესწილად პოზიტივისტური მეთოდოლოგიისათვის დაქვემდებარება სულაც არ მიაჩინა გასაკვირვად, უფრო პირიქით.

პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიურ საკითხებზე მსჯელობის გარდა, აქტუალურია კითხვა — პოლიტიკის ანალიზი ესაა მეცნიერული კვლევა თუ ლოგიკური შემეცნება, რომელიც გაცილებით უფრო ფართოა და პოლიტიკის ანალიზის წარმოების ზოგად ჩარჩოებსა და მოდელებს ეხება. ამ საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი პოლიტიკის ანალიზს აღიქვამენ, როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებულ მეცნიერულ კვლევას, მეორენი კი პოლიტიკის ანალიზს სხვაგვარინტერპრეტაციას ანიჭებენ და წარმოიდგენენ არარაოდენობრივი პროცედურების ერთობლივიად, რომელიც გადასაწყვეტი პრობლემის სილრმისეული შესწავლისა და შემეცნების საშუალებას იძლევა. ამ უკანასკნელი ბანაკის ყველაზე აქტიური წარმომადგენელია პოლიტიკის ანალიზის ცნობილი სპეციალისტი უილიამ დანი, რომელიც პოლიტიკის ანალიზს ლოგიკური შემეცნების პროცესად აღიქვამს და მასში გადამწყვეტ მნიშვნელობას კრიტიკულ აზროვნებასა და შეფასებას აკისრებს. პოლიტიკის ანალიზის სპეციფიკურ მახასიათებლებზე საუბრისას შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ის გარემო, რომელშიც პოლიტიკის ანალიზი გამოიყენება და ანალიტიკოსისგან პრობლემის გადაწყვეტის გზების რაც შეიძლება მოკლე დროში მოძიებას მოითხოვს, ე.ნ. „სრულყოფილი“ ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას არ იძლევა. ამიტომ, პოლიტიკის ანალიზის მკვლევართა უმრავლესობა სრულყოფილი ანალიზის წარმოების იდეალიზირებული წარმოდგენისგან შორს დგას და ე.ნ. „დაფაზე განერილ პოლიტიკის ანალიზს“ ანსხვავებს რეალურ ცხოვრებაში მისი გამოყენებისგან. კ. პეტრონი და დ. სავიცკი ახალგაზრდა, დამწყებ ანალიტიკოსებს აფრთხილებენ, რომ გათავისუფლდნენ ილუზიისგან, რომ არსებობს აბსოლუტურად კორექტული, რაციონალური და სრულყოფილი ანალიზი<sup>50</sup>.

მაშასადამე, პოლიტიკის ანალიზი არის დისციპლინათშორისი, კომპლექსური და პრობლემაზე ორიენტირებული ცოდნა, რომელიც ნაკლებად მიეკუთვნება ზუსტ მათემატიკურ დათვლებზე დაფუძნებულ ფორმალიზებულ დისციპლინათა კატეგორიას და აგებულია საკვლევი ობიექტის, პრობლემის ლოგიკურ შემეცნებასა და მისი გადაწყვეტის გზების ძიებაზე, რაც ანალიტიკოსისაგან კრეატივიზმსა და ინტუიციას მოითხოვს. პოლიტიკის ანალიზს

<sup>49</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3.

<sup>50</sup> Patton Carl, Sawicki David S., Basic Methods of Policy Analysis and Planning, 2/E, , 1993, გვ. 3.

ერთგვარი დუალისტური ბუნება ახასიათებს, რადგანაც არის როგორც ანალიზის პროცესი, ისე ამავე პროცესის რეზულტატი. საგნის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. რიგი მეცნიერები (დანი, ქვეიდი) პოლიტიკის ანალიზს უფრო მეტად საზოგადოებრივ ფუნქციას ანიჭებენ, მაშინ როცა სხვა ავტორები საგნის კლიენტზეორიენტირებულობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ამ უკანასკნელთა აზრით, პოლიტიკის ანალიზი პირველ რიგში ორიენტირებული უნდა იყოს მომხმარებელზე ანუ გადაწყვეტილების მიმღებ პირზე, რომელსაც ანალიტიკოსი ემსახურება. თუმცა, ის ავტორებიც, კი რომლებიც პოლიტიკის ანალიზის კლიენტზე ორიენტაციის თაობაზე საუბრობენ, ვერ გაექცევიან იმ რეალობას, რომ ანალიტიკოსის დასკვნები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საზოგადოებაში აღიარებულ ღირებულებებსა და ფასეულობებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დასკვნებს საზოგადოებრივი მხარდაჭერა არ ექნება. შესაბამისად, ანალიტიკოსის დასკვნები სოციალურადაც მისაღები უნდა იყოს.

ახლა დროა ისეთ ცნებებშიც გავერკვეთ როგორიცაა მეთოდოლოგია და მეთოდიკა უკვე პოლიტიკის გამოყენებით პოლიტიკურ კვლევასთან მიმართებაში. კატეგორია „პოლიტიკური ანალიზის მეთოდოლოგია“ მიანიშნებს გამოყენებითი კვლევის მეტათეორიულ დონეზე, რომელიც ფართო გაგებით მოიცავს, ერთი მხრივ, მიდგომებისა და მოდელების ერთობლიობას, მეორე მხრივ კი - მათი გამოყენების გზებსა და საშუალებებს. სხვა სიტყვებით, ის მოიცავს სტანდარტებსა და პროცედურებს საერთო პრინციპებისა და მიდგომების ასარჩევად ტიპურ პრობლემათა რაციონალური კვლევისა და პრაქტიკული ამოცანის ეფექტურად გადასაწყვეტად<sup>51</sup>. ასე მაგალითად, ორგანიზაციული დიაგნოსტიკის მეთოდოლოგიის შემუშავებისას, ხშირად გამოიყენება ნეონისტიტუციონალიზმი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფო სტრუქტურის „შიდა გარემოს“ შეფასების ფართო შესაძლებლობებს იძლევა, ეხმარება „გარე გარემოს“ და ემყარება სისტემურ მიდგომას. შემდეგ უკვე ხდება ამ მიდგომებისთვის ადეკვატური მეთოდების შერჩევა - ნორმატიული დოკუმენტების ანალიზი (ნეონისტიტუციონალიზმი) და საექსპერტო მეთოდი სვოთ-ანალიზი (SWOT-analysis) (სისტემური მიდგომა). ამგვარად, ანალიტიკური მოღვაწეობის მეთოდოლოგია პასუხიმგებელია პოლიტიკური პროცესის გამოყენებითი კვლევის აღმოჩენის შემუშავებაზე.

პოლიტიკის ანალიზის მეთოდები, თავის მხრივ, იგულისხმება ანალიტიკური მოღვაწეობის ტიპური ინსტრუმენტი და ხერხი, რომელიც პრაქტიკულ-პოლიტიკური თვალსაზრისით რელევანტური, აქტუალური ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავების საფუძველს იძლევა. საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის კვლევისას გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ფარავს და ავსებს. ასე მაგალითად, წინასაარჩევნო პროცესის პროგნოზირებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრენდული მეთოდი, დელფონის საექსპერტო შეფასება ან სცენარული კონსტრუირება. თეორეტიკოსებისგან განსხვავებით, ინსტრუმენტალისტები, კვლევის ანალიზის მეთოდთა შერჩევისას გამოდიან არა მარტო მოცემულ ამოცანათა გადაწყვეტის ადეკვატურობიდან და მეთოდოლოგიური მიდგომიდან, არამედ ითვალისწინებენ არსებულ რესურსებსაც - დრო, ფინანსები, და სხვა. ამასთან, ფინანსებს, ხშირ შემთხვევაში, გადამზყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. და ბოლოს, ანალიტიკური მუშაობის მეთოდოლოგიური დონე ორიენტირებულია კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისთვის მეთოდებისა და პროცედურების კომბინირებაზე, ასევე მათი გამოყენების თანამიმდევრულობასა და ურთიერთკავშირზე. ე.ო. კვლევითი ოპერაციებისა და ეტაპების სისტემის შემუშავებაზე. თავისი არსით, ლაპარაკია საერთო მეთოდოლოგიური არსენალის მატერიალიზებაზე (პრინციპების, მიდგომების, კრიტერიუმების სახით, რომელსაც ცალკეული მეთოდები და მეთოდიკები შეესაბამება) გამოიყენებითი კვლევის კონკრეტულ სქემაში, სადაც სხვადასხვა ეტაპებზე და მეთოდების სხვადასხვა კომბინირებისას ხორცილდება ოპერაციები პოლიტიკურად რელევანტური ინფორმაციის გადამუშავებისა და წარმოებისთვის. გამოყენებითი პოლიტიკური ანალიზის ზემოთაღნიშნული სამი ცნების გარდა ხშირად ისეთი ტერმინები გვხვდება როგორიცაა პროგრამა და ტექნიკა. პირველ შემთხვევაში, როგორც წესი, მხედველობაში აქვთ რომელიმე პოლიტიკური ობიექტის კვლევის ცაკლეული (ზოგჯერ უნიკალური) შემთხვევა. რა თქმა უნდა, კონკრეტულ გამოყენებით კვლევებში პროგრამები, როგორც წესი, ამ ობიექტისთვის დამახასიათებელი ტიპური ანალიზის მეთოდოლოგია და მეთოდებია, მაგრამ მათ საფუძველად შეიძლება ედოს ასევე ორიგინალური მეთოლოგია, ანდა სხვადასხვა მეთოდიკების კომბინაცია. წებისმიერ შემთხვევაში, პროგრამა ყოველთვის დაკავშირებულია კვლევითი ამოცანების წინაშე მდგარ სპეციფიკასთან, რომელიც ყოველთვის ხასიათდება უნიკალური მახასიათებლებით, რომელიც განპირობებულია კონკრეტული დროით და ადგილით, ანალიზის სუბიექტითა და ობიექტით.

რაც შეეხება ტექნიკებს, მათში მოიაზრება დეტალური და სპეციალიზირებული პროცედურები

<sup>51</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 14

და ოპერაციები, რომელიც ხსნის ანალიზის ამა თუ იმ მეთოდების გამოყენების საშუალებებს. ე.წ. ერთგვარი მეთოდების გამოყენებისას, მაგალითად, დროითი რიგების (time-series analysis) ანალიზის გამოყენებისას, შეუძლებელია თავი ავარიდოთ კორელაციური და რეგრესიული ხერხების გამოყენებას, ხარჯსარგებელის ანალიტიკური მეთოდის პოტენციური შესაძლებლობების გამოსაყენებლად აუცილებლად დაგვჭირდება ისეთი სპეციფიკური პროცედურების დახმარება, როგორიცაა ხარჯებისა და სარგებლის გადათვლა მათ მიმდინარე ღირებულებასთან მიმართებაში და კონკრეტული სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციიდან შიდა უკუგების ფსონების კალკულაცია<sup>52</sup>. სხვა სიტყვებით, იქმნება ერთგვარი „მატრიოშკა“, მეთოდოლოგიური მიდგომები უზრუნველყოფილია ტიპური მეთოდიკების ერთობლიობით, რომლის ასამოქმედებლადაც, თავის მხრივ, საჭიროა ბევრი წმინდა ტექნიკური ინსტრუმენტის გამოყენება<sup>53</sup>.

## პოლიტიკის ანალიზის კლასიფიკაციის საფუძვლები

პოლიტიკის ანალიზის შიდა სტრუქტურის დასახასიათებლად სხვადასხვა სახის კრიტერიუმები გამოყენება. ყველაზე ხშირად პოლიტიკის ანალიზის კლასიფიკაციის საფუძვლად პოლიტიკურ-ანალიტიკური მოღვაწეობის ფაზები და სტადიები გამოყოფა, თუმცა ასევე ხშირია პოლიტიკის ანალიზის საკვლევი სფეროებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტარიის მიხედვით დაყოფაც. პირველი მიდგომის მომხრეები, როგორც წესი, პოლიტიკური ანალიზის შემდეგ მიმართულებებს გამოყოფენ: პრობლემურ-პოლიტიკური სიტუაციის მოდელირება და სტრუქტურირება, მონაცემთა შეგროვება და დესკრიფიციული ანალიზი, სიტუაციური დიაგნოსტიკა, პოლიტიკური განვითარების ტენდენციების პროგნოზირება, პოლიტიკური მოღვაწეობის რეზულტატების შეფასება. აქვე გვხვდება კლასიფიკაციის სხვა ვარა ანტებიც. ასე მაგალითად, უ. დანი პოლიტიკის ანალიზის ხუთ ფუნქციონურ-პროცედურულ ტიპზე (პრობლემის სტრუქტურირება, სიტუაციის პროგნოზირება, რეკომენდაციების შემუშავება, აქციების მონიტორინგი და მათი რეზულტატების შეფასება) საუბრობს, ჰოგვუდი და განი კი პოლიტიკის ანალიზის დისკიპლინას სამი ძირითადი ფაზის: პოლიტიკური პროცესის შესვლის, შინაარსისა და გამოსვლის კვლევის – მიხედვით აჯგუფებენ. ამ მიდგომების გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება პოლიტიკის ანალიზის ისეთ დამოუკიდებელ სუბდისციპლინებზე საუბარი, როგორიცაა პრობლემის განსაზღვრა (problem definition), პოლიტიკური პროგნოზირება (policy forecasting), გადაწყვეტილებების ანალიზი (decision analysis), პოლიტიკის შედეგების ანალიზი (impact analysis), ასევე პოლიტიკური დაგეგმარება (policy planning). კლასიფიკაციის მეორე მიდგომაზე დეტალურადაა საუბარი პოლიტიკურ-მმართველობითი კვლევების ენციკლოპედიაში, სადაც პოლიტიკის ანალიზი საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროების მიხედვით კლასიფიცირდება: პოლიტიკურ-ინსტიტუციური (მიდა, თავდაცვითი), ეკონომიკური (საგადასახადო, აგრარული და საბიუჯეტო პოლიტიკა), სოციალური (სიღარიბე, დამნაშავეობა, განათლება) და სამეცნიერო-ტექნიკური (ტექნოლოგიები, ენერგეტიკა). კიდევ უფრო ფართო ხასიათის დაყოფას გვთავაზობენ ამერიკელი მეცნიერები მანქენი და რიჩი, რომლებიც პოლიტიკის ანალიზის დამოუკიდებელ ტიპს აკუთვნებენ მიზეზ-კავშირებით ანალიზს, ქცევის, ინსტიტუტების, პროცესებისა და პროგრამების ანალიზს. გასათვალისწინებელია, რომ დღეისათვის პოლიტიკის ანალიზისგან ხდება საგარეო-პოლიტიკური ანალიზის, საბიუჯეტო, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სამხედრო და ელექტრორალური ანალიზის ცალკე სუბდისციპლინების სახით გამოყოფა. მესამე მიდგომის ფარგლებში პოლიტიკის ანალიზის შიდა სტრუქტურა კლასიფიცირდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებაში დომინირებული ამა თუ იმ მეთოდოლოგიური სკოლების მიხედვით (სისტემური, რაციონალური არჩევანის, ნეოინსტიტუციური, ბიპევიორისტული) ან საკულევი მეთოდების (ივენთ-ანალიზი, რისკანალიზი, პოლიტიკური მარკეტინგი, შეფასებითი კვლევები) მიხედვით. კლასიფიკაციის საფუძვლად ამ ბოლო დროს გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდიკებიც. კლასიფიკაციის ამ სიმრავლეში ყველაზე საინტერესოდ გამოიყერება უილიამ დანის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგია, რომელშიც პოლიტიკის ანალიზის პერსპექტიულ-განერითი (გადაწყვეტილების მიღების წინარე), რეტროსპექტული (გადაწყვეტილების მიღების შემდგომი) და ინტეგრალური ტიპები გამოიყოფა. ამ უკანასკნელის ფარგლებში ხდება პოლიტიკური პროცესის წარსულის, ანტყოფა და მომავალი მდგომარეობის ანალიზის გაერთიანება. პოლიტიკის ანალიზის ინტეგრარულ ფორმას მეცნიერი ყველაზე პროდუქტიულად მიიჩნევს, რადგან იგი პერსპექტიული და რეტროსპექტიული ანალიზის ყველა ძლიერი მხარის გაერთიანების საშუალებას იძლევა<sup>54</sup>.

<sup>52</sup> იქვე


<sup>53</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3.

<sup>54</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 36

## პოლიტიკის ანალიზი როგორც პროცესი

XX საუკუნის შუა ხანებში ცაკლე სამეცნიერო დისკიპლინის სახით ჩამოყალიბებისთანავე, პოლიტიკის ანალიზში არაერთი პარადიგმა შეიქმნა, თუმცა დღეს მათ შორის ყველაზე მეტი პოპულარობით პოლიტიკის ანალიზის ციკლური პარადიგმა სარგებლობს. ამ კონცეფციის მიხედვით, ანალიტიკური პროცესი კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ციკლური პროცესია, რომელიც ამ მიზნისაკენ მიმართული თანამიმდევრული ანალიტიკური პროცედურებისგან შედგება. შესაბამისად, პოლიტიკის ანალიზის პროცესი, თავისი არსით, პრობლემურ-ცენტრისტულია. დღეს, პოლიტიკის ანალიზის განხორციელების არაერთი მოდელი არსებობს, თუმცა მათ შორის რამე პრინციპული სხვაობა ნაკლებად შეინიშნება. მსგავსი სიტუაცია განპირობებულია იმით, რომ თითოეულ მოდელს საფუძვლად უდევს პრობლემის გადაწყვეტის ჩვენს მიერ ქვევით მოტანილი რაციონალური მოდელი.

### სქემა №5. პრობლემის გადაწყვეტის რაციონალური მოდელი



წყარო: Patton Carl, Sawicki David S., Basic Methods of Policy Analysis and Planning, 2/E, , 1993 გვ. 476

პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის (Policy Cycle) კონცეფცია ეფუძნება მმართველობითი პროცესის ფაზების ანალიზს. მას საფუძვლად კი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების მოდელები უდევს. მის ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი მიმართულებები:

- გადაწყვეტილების მიღების პროექტების ფორმულირებისა და არჩევის პროცესის კვლევა (policy formulation)
- მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება (policy implementation)
- შედეგების კვლევა და მიღებული რეზულტატების შეფასება (evaluation of impacts)


პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის კონცეფციისთვის დამახასიათებელია მეთოდოლოგიური ეკლექტურობა და ცოდნის სუსტი ორგანიზებულობა. ის იმყოფება დიფუზიის (ნელსონი), ამორფულობის (ჰერი), სრული ფრაგმენტულობის (კატლი) მდგომარეობაში<sup>55</sup>.

ჩვენს მიერ ქვევით მოცემული სქემაზე გამოსახულია პოლიტიკის ანალიზის ალტერნატიული მოდელები, რომელსაც სხვადასხვა ავტორები გვთავაზობენ. პოლიტიკის ანალიზის ამ მოდელებს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, პოლიტიკის ანალიზის, როგორც პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ცოდნის სახით აღქმა მაინც შენარჩუნებულია. ამასთანავე, თითოეულ მათგანში ცხადად იკვეთება პრობლემის გადაწყვეტის რაციონალური მოდელის გავლენაც. მიუხედავად იმისა, რომ კ. პეტონი და დ. სავიცკი პოლიტიკის ანალიზის

<sup>55</sup> Дегтярев А.А. 2003. Политический анализ как прикладная дисциплина: предметное поле и направления развития – Полис, №3.

დღოსა და რესურსებში შეზღუდულობიდან გამომდინარე, პრობლემის გადაწყვეტის ამ მოდელის დაცვის ალბათობის სიმცირეზე მიუთითებენ, პოლიტიკის ანალიზის თავიანთი მოდელის წარმოდგენისას რაციონალური მოდელის გავლენისგან თავის დაღწევას მინც ვერ გაურბიან. ქვევით წარმოდგენილ ანალიტიკურ მოდელებს შორის განსხვავება პოლიტიკის ანალიზის თითოეული მოდელის ფუნქციურ დანიშნულებაში მდგომარეობს. პოლიტიკის ანალიზის ქვემოთ მოცემული მოდელების კლასიფიკაციაც სავსებით ადვილად შეიძლება განხორციელდეს პრინციპის – გადაწყვეტისთვის/გადაწყვეტილებისთვის საფუძველზე.

## **სქემა №6. პოლიტიკის ანალიზის ალტერნატიული მოდელები**



არადანიშნულებისამებრ, იმ სიტუაციაში გამოიყენება, სადაც ეს სულაც არაა საჭირო<sup>56</sup>.

პოლიტიკის ანალიტიკური პროცესის ეტაპები, ე. ქვეიდის მიხედვით, შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ანალიტიკური პროცესის დაწყება (მიზანი, პირობები, ალტერნატივები, მოდელი, მეთოდიკები – თვისებრივი და რაოდენობრივი); ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება, შეფასება და ექსპერიმენტი (გამოდის, რომ ეთანხმება პატონსა და სავიცკის, რომლებიც შეფასების ესქ-ანტე (ex-ante) და ექს-პოსტ (ex-post) სახეებსა და მეთოდიკებს გამოყოფენ. ესაა, ფაქტიურად, ექს-ანტე შეფასება (ex-ante evaluation); დაგეგმვა (პროგნოზირება); გადაწყვეტილების მიღება; რეალიზაცია; აქვე ავტორი სტუდენტებს აფრთხილებს, რომ მუშაობა, რომელიც თითოეული ამ ნაბიჯის თანამიმდევრულობით იქნებოდა განხორციელებული, რეალურ პოლიტიკურ-მმართველობით პრაქტიკაში ნაკლებად არის შესაძლებელი<sup>57</sup>. პოლიტიკურ-მმართველობით ცხოვრებაში ხშირია ამ ეტაპების თანამიმდევრობის რღვევა, ერთმანეთზე გადადება და იდეალური მოდელიდან სხვა სახის განსვლები. მსგავსი სიტუაცია შეიძლება გამოწვეული იყოს თეორიული კვლევის კონცეპტუალური მოდელის არასწორი შერჩევით, ანალიზის პროცესში დაშვებული შეცდომებით, ისევე როგორც მონაცემების მიმართ დაუდევრობის გამოჩენით, ანდა სულ უბრალოდ, ანალიტიკური გადაწყვეტილების არსის დამკვეთისათვის ახსნის შეუძლებლობით.

## პოლიტიკის ანალიზის ინფორმაციულ-პროცესუალური მოდელი უ.დანის მიხედვით

პოლიტიკის ანალიზის სხვადასხვა მოდელების გაცნობის შემდეგ, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დეტალურად შევჩერდეთ პოლიტიკის ანალიზის ინფორმაციულ-პროცესუალურ მოდელზე, რომელსაც უილიამ დანი გვთავაზობს. დანი პოლიტიკის ანალიზს განსაზღვრავს როგორც მულტიდისცილინური კვლევის პროცესს, გამიზნულს პოლიტიკური კურსების შემეცნებისა და გაუმჯობესებისთვის გამოსადეგი ინფორმაციის წარმოების, კრიტიკული შეფასებისა და გაცვლისათვის, რომელიც ერთმანეთის თანამიმდევრული პროცედურების მეშვეობით ხორციელდება<sup>58</sup>. წიგნის „შესავალი საჯარო პოლიტიკის ანალიზში“ რიგით მესამე გამოცემაში, რომელიც 2004 წელს გამოვიდა, უილიამ დანი ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული დისციპლინის პრაქტიკულ-გამოყენებით ხასიათსა და დისციპლინის ისეთ მახასიათებელზე, როგორიცაა პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სტრუქტურა. დანის სახელმძღვანელოს ამოსავალია იდეა, რომ პოლიტიკის ანალიზს საფუძველად უნდა დაედოს პრობლემის განსაზღვრის პროცესი. ე.ი. ანალიზი, დანის ინტერპრეტაციით, იღებს აშკარად გამოკვეთილ პრობლემურ-ცენტრისტულ (problem-centered) ფორმას. პოლიტიკის ანალიზის საკვლევი ველისა და ამოცანების განსაზღვრისას უილიამ დანი ხაზს უსვამს (და ეს იდეა მკაფიოდ გასდევს მთელ წიგნს), რომ პოლიტიკის ანალიზი თავისი მიზნებით, ამოცანებითა და მეთოდებით მჭიდროდაა დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესთან და მიმართულია როგორც თავად პროცესის, ისე მისი რეზულტატების სრულყოფა-დახვენისაკენ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუკი გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესება პოლიტიკის ანალიზის პერსპექტიული პროცედურების დახმარებით ხორციელდება, პროცესის რეზულტატების მაქსიმალიზაცია პოლიტიკის ანალიზის რეტროსპექტული პროცედურების დახმარებით ხდება შესაძლებელი. ზოგადად, დანის მიერ პოლიტიკის ანალიზი მოიაზრება როგორც პოლიტიკურ-მმართველობით პროცესში „დახერგილი“ ინტელექტუალური მოღვაწეობა.

პოლიტიკის ანალიზი, დანის განმარტებით, არის დისციპლინა, რომლის კვლევის ობიექტიც პრობლემათა გადაჭრის გზებისა ძიებაა. სოციალური პროფესიები, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფია, ქცევითი და სოციალურ მეცნიერებათა ძირითადი აღმოჩენები, სხვადასხვა თეორიები და მეთოდები — ის წყაროებია, რომელთაც პოლიტიკის ანალიზი ეყრდნობა. „ყველა სხვა კომპლექსური დისციპლინის მსგავსად, პოლიტიკის ანალიზის მრავალგვარი განსაზღვრება არსებობს“ — აცხადებს ავტორი და აყალიბებს დისციპლინის საკუთარ დეფინიციას. ამ განსაზღვრების თანახმად, პოლიტიკის ანალიზი არის დისციპ-

<sup>56</sup> Quade, Edward S. Analysis for Public Decisions. 2nd edition. North Holland, 1982. გვ.89


<sup>57</sup> იქვე

<sup>58</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 20

ლინათშორისი კვლევის პროცესი, რომლის მიზანიც ინფორმაციის მოპოვება, შეჯერება და კრიტიკულად შეფასებაა და რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს პოლიტიკის არსის სწორად გაგებასა და შემდგომ განვითარებას<sup>59</sup>.

თავის ნიგნში დანი გამოყოფს პოლიტიკოსებისთვის აქტუალური ინფორმაციის 5 ტიპს. თითოეულ ამ ტიპს, დანის აღნიშვნით, თავისუფლად შეიძლება ეწოდოს კომპონენტები, რომლებიც გვაწვდიან პრობლემის გადაწყვეტის ამა თუ იმ ეტაპისთვის ინფორმაციას პოლიტიკის არსის შესახებ. ეს კომპონენტები სრულფასოვნად ასახავს პოლიტიკის პრობლემატიკას, პოლიტიკის წარმოებას (გატარების გზებს), სწორ მიმართულებებს, რთულ სიტუაციებში პრობლემის მოსალოდნელი (სავარაუდო) გადაწყვეტილების ძიებას და მათზე დაკვირვებას. ინფორმაციის აღნიშნული ხუთი ტიპი სრულყოფილადაა წარმოდგენილი ქვემოთ მოცემულ სქემაზე და გამოისახება ოთვუთხედების მეშვეობით.

#### სქემა №7. პოლიტიკის ანალიზის ინფორმაციულ-პროცესუალური მოდელი



წყარო: William N. Dunn, *Public Policy Analysis: An Introduction*, 3rd ed., Prentice Hall, 2004.გვ. 476

პოლიტიკის პრობლემატიკა, თავისი არსით, პრობლემის მოგვარების ჯერ კიდევ განუხორციელებელი შესაძლებლობაა, რომლის გაუმჯობესებაც, რა თქმა უნდა, პრობლემის სწორი ამოცნობის შემთხვევაში, რიგი საზოგადოებრივი ღონისძიებების გატარებით ხდება შესაძლებელი. პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების ცოდნა (მაგალითად, უმაღლესდამთავრებულთა დიდი რაოდენობა როგორც უმუშევრობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი), ისევე როგორც საზოგადოებაში არსებული ღირებულებების ცოდნა, რომლის უზრუნველყოფამაც, შესაძლებელია, პრობლემის გადაჭრის საშუალებებზე გაგვიყვანოს. ამ გაებით, ღირებულებების ცოდნამ შეიძლება შეასრულოს

<sup>59</sup> იქვე

ერთგვარი ორიენტირის როლი პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას. სწორედ ასეთი ორმაგი მიდგომით და ამგვარი ინფორმაციის მოძიებით შესაძლებელი გახდება აღნიშნული პრობლემის გადაჭრა. იმდენად რამდენადაც სათანადო გადაწყვეტილების ძიება პრობლემის სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული, პოლიტიკური პრობლემატიკის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვებას უდიდესი როლი ეკისრება პოლიტიკური ანალიზის პროცესში. დანის აზრით, აუცილებელია პრობლემების სწორი ფორმულირების შემუშავება, ვინაიდან მცდარმა ინფორმაციამ შესაძლებელია ფატალურ შედეგამდეც კი მიგვიყვანოს, კერძოდ, განაპირობოს პრობლემის არასწორი ფორმულირება და პრობლემის გადაჭრის მთელი დანარჩენი პროცესის არასწორი მიმართულებით წარმართოს. უილიამ დანი იან მიტროფისა და თომას ფითერიგმანის კვალდაკვალ პრობლემის არასწორ ფორმულირებას, „მესამე სახის“ შეცდომის სახელით მოიხსენიებს<sup>60</sup>.

სავარაუდო პოლიტიკური კურსის კვლევა წარმოდგენას გვიქმნის და გვაწვდის ინფორმაციას იმ შედეგებზეც, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის სავარაუდო გზების პრაქტიკული რეალიზაციის პირობებში მოსალოდნელი. ამასთანავე, სავარაუდო პოლიტიკური კურსის შედეგების განსაზღვრის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ პირობების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობას, რომელიც პრობლემის სიმწვავის ზრდაზე მოქმედებს. ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის სავარაუდო შედეგების განსაზღვრა ადვილი არაა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოლიტიკური გარემო სწრაფად ცვალებადია, ისევე როგორც ის ღირებულებები, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკურ აქტორთა ქცევას განსაზღვრავს. სწორედ ამიტომ სავარაუდო პოლიტიკური შედეგების განსაზღვრის პროცესში ანალიტიკოსებს უნდა შეეძლოთ არა მარტო იმ შედეგების განსაზღვრა, რომელიც დღევანდელი მოცემულობითაა მოსალოდნელი, არამედ უნდა შეეძლოთ განჭვრიტონ ის სავარაუდო შედეგები, რომლის განსაზღვრის საშუალებასაც დღევანდელი მოცემულობა არ იძლევა, შესაბამისად შეძლონ იმ შედეგების იდენტიფიცირება, რაც არსებული სიტუაციის შეცვლის პირობებში მოსალოდნელი. ასეთი სახის ინფორმაციის შექმნა კი ანალიტიკოსისგან მოითხოვს როგორც საკვლევი პრობლემატიკის სილომისეულ ცოდნას, ისე შესაბამის ინტუიციასა და გარკვეული გამოცდილების ფლობას.

უპირატესი პოლიტიკური კურსი პრობლემის პოტენციური გადაწყვეტის საშუალებაა. პრობლემის გადაწყვეტის უპირატესი პოლიტიკური კურსის არჩევა ხორციელდება სავარაუდო პოლიტიკური კურსების შედეგების თაობაზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთანავე, პრობლემის მოგვარების უპირატესი კურსის შერჩევისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე ღირებულებითი კატეგორიებით მსჯელობასაც: ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის შეფასება არა მარტო ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე ხდება, არამედ მისი ღირებულების, სარგებლის განსაზღვრისა და შეფასების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეკომენდაციების საფუძველს წარმოადგენს როგორც ფაქტობრივი, ასევე ფასეულობათა ერთგვარი ერთიანობა (პრეამბულა). ცალსახად მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით, დანის განცხადებით, შეუძლებელია უპირატესი პოლიტიკური კურსის განსაზღვრა.

პოლიტიკური კურსის ფიქსირებული შედეგები უპირატესი პოლიტიკური კურსის რეალიზაციის ახლანდელი ან წარსულში მიღებული შედეგია. არცთუ იშვიათად გაურკვეველია მიღწეული შედეგი რეალიზებული პოლიტიკური კურსის რეალიზაციისთან არანაირი კავშირი არ აქვს და მის შედეგად არ აღიქმება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რეალიზებული პოლიტიკური კურსის შედეგების წინასწარ სრულფასოვნად დადგენა და განსაზღვრა ძნელია. ზოგიერთი მათგანი პოსტფაქტუმ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მოულოდნელადაც კი იჩენს თავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია პოლიტიკური კურსის მოქმედების შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვება როგორც უშუალოდ განხორციელების, ისე განხორციელების შემდგომ პროცესზე დაკვირვების შედეგად.

პოლიტიკური კურსის შესრულება რეალურად ერთგვარი საზომი ერთეულია, რომლითაც რეალიზებული პოლიტიკური კურსის წარმატება დგინდება. ეს კი განხორციელებული პოლიტიკური კურსის ფიქსირებული შედეგების საზოგადოებრივ ღირებულებებთან, პოლიტიკური კურსის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობა-შეუსაბამობის დადგენის საფუძველზეა შესაძლებელი. მაშასადამე, პოლიტიკური კურსის შესრულება არის სფერო, რომელიც მნიშვნელოვნად ეყრდნობა რეალიზებული პოლიტიკური კურსის შედეგებზე მონიტორინგსა და შეფასებებს. ეს უკანასკნელი მას ანვდის სრულყოფილ ცოდნას არსებულ ფასეულობებთან, მიზნებთან და მისწრაფებებთან კურსის თანხვედრის შესახებ.

რეალურად, პრობლემების სრულყოფილად გადაწყვეტა ძალზედ იშვიათად ხდება.

<sup>60</sup> იქვე

პრობლემები უმეტესწილად კვლავ პრობლემად რჩება. ყველაზე ხშირია პრობლემის გადაწყვეტის პროცესის ხელახალი დაწყება, პრობლემური სიტუაციის გადასაწყვეტად პრობლემის თავიდან ფორმულირება ან სულაც „გადაწყვეტლობა“. იმისთვის, რომ დადგინდეს ესა თუ ის პრობლემა მოგვარდა, საჭიროებს თავიდან გადაწყვეტას თუ უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტლად, საკმარისი არაა მხოლოდ განხორციელებული პოლიტიკური კურსის ფიქსირებული შედეგების ცოდნა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე ვიცოდეთ რამდენად შეესაბამება გატარებული პოლიტიკური კურსის შედეგები საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებს და რამდენად ემსახურება იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომელმაც თავის დროზე პრობლემის სიმწვავის ზრდაზე იქნია გავლენა. მაშასადამე, უცილებელია არსებობდეს შეჯერებული ინფორმაცია, როგორც დაკვირვების შედეგად მიღებულ რეზულტატებზე, ასევე პრობლემათა წარმომშობი მიზეზების შემცირების თაობაზე. ამავე დროს, პოლიტიკის განხორციელების შესახებ ცოდნა მყარ საფუძველს ქმნის პოლიტიკური კურსის სავარაუდო შედეგების პროგნოზირებისთვის.

## პოლიტიკურ-საინფორმაციო ტრანსფორმაციი

პოლიტიკისათვის აქტუალური ხუთივე ტიპის ინფორმაცია ურთიერთდამოკიდებულია (იხ. სქემა 8). ისრები, რომლებიც კომპონენტთა თითოეულ წყვილს აკავშირებს ერთმანეთთან, ასახავს ცვლილებებს, რომელსაც ერთი ტიპის ინფორმაცია მეორე ფაზაზე გადასვლის პროცესში უკვე სხვა ტიპის ინფორმაციის საწარმოებლად განიცდის. ასეთი კავშირების არსებობის შედეგად, ნებისმიერ ეტაპზე არსებული ინფორმაცია მთლიანად დამოკიდებული ხდება მის წინა ეტაპებზე არსებულ ინფორმაციაზე. მაგალითად, პოლიტიკური კურსის შესრულების ეტაპზე მოპოვებული ინფორმაცია ძირეულად გამომდინარებს მისი წინა ეტაპის, კერძოდ კი, პოლიტიკური კურსის ფიქსირებული შედეგების ეტაპზე წარმოებული ინფორმაციისგან. ასეთ ურთიერთდამოკიდებულებებს, რა თქმა უნდა, თავისი ობიექტური მიზეზი აქვს. კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რამდენად ოპტიმალურად ხდება პოლიტიკური მიზნების მიღწევა, შესაძლებელია დადგინდეს თუ რამდენად უტყუარია ამ პოლიტიკური გადაწყვეტილების შესახებ არსებული ინფორმაცია. სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე იგება სხვა დანარჩენ ინფორმაციულ კომპონენტებს შორის ურთიერთობაც.

პოლიტიკის პრობლემის შესახებ არსებული ინფორმაცია განსაკუთრებული შემთხვევაა. პოლიტიკის პრობლემების თაობაზე ინფორმაციის წარმოება უმნიშვნელოვანესი სფეროა იმდენად, რამდენადაც გავლენას ახდენს ყველა დანარჩენ ოთხ საინფორმაციო კომპონენტზე, თუმცა, ამასთანავე, თავადაც განიცდის მათი მხრიდან ზემოქმედებას. ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების მიზეზი კი გამომდინარებს იქიდან, რომ პოლიტიკის პრობლემატიკის შესახებ ინფორმაცია თავის თავში მოიცავს სხვა დანარჩენი საინფორმაციო კომპონენტებისთვის დამახასიათებელ ინფორმაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკის წებისმიერი პრობლემა, თავის მხრივ, გულისხმობს ინფორმაციას ერთი ან ერთზე მეტი მოძღვნო კომპონენტის შესახებ: უპირატესი პოლიტიკური კურსები, ერთი მხრივ, მოსალოდნელი და, მეორე მხრივ, რეალიზებული პოლიტიკური კურსების შედეგები და ის ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური კურსის შესრულების ხარისხს. აღსანიშნავია, რომ ყველა პრობლემა თავის თავში მოიცავს რამდენიმე პრობლემატურ ელემენტს, შესაბამისად, გამორიცხავს ყველა დანარჩენს. თავის მხრივ ელემენტები, რომელთაც მოიცავს ან გამორიცხავს ესა თუ ის პრობლემატიკა, გავლენას ახდენს იმ კრიტერიუმების დადგენაზე თუ რომელი პოლიტიკური კურსი იქნეს მიჩნეული უპირატესად (პრივილიგირებულად) ამ ეტაპზე, რომელი შედეგები უნდა გახდეს კვლევის საგანი, რომელი ღირებულები იქნეს აღიარებული ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის შესრულების ხარისხის დასადგენად, და ბოლოს, თუ რომელ პროგნოზირებად პოლიტიკურ კურსს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. პოლიტიკის ანალიზის ყველაზე დიდი და ხშირად ფატალური შეცდომა გადასაჭრელი პრობლემატიკის არასწორი შერჩევაა, რაც იწვევს პოლიტიკის ანალიზის როგორც პროცესის და განეული ინტელექტუალური შრომის გაუფასურებას.

## პოლიტიკურ-ანალიტიკური მეთოდები

ინფორმაციის ცნობილი ხუთი ტიპი, რომელიც უ. დანის მიერ შემოთავაზებულ სქემაში (იხ. სქემა 7) კვადრატების საშუალებითაა გამოსახული, ყალიბდება და ტრანსფორმირდება პოლიტიკის ანალიზისათვის დამახასიათებელი მეთოდების მეშვეობით, რომელიც სქემაზე ოვალებით არის გამოსახული. აღნიშნული მეთოდები ფართოდ გამოიყენება როგორც სოციალურ მეცნიერებათა და პროფესიათა, აგრეთვე ჰუმანიტარულ სფეროებში არსებული პრობლემების გადაჭრისას. ესენია: აღწერა, პროგნოზი, შეფასება, პრესკრიფცია (განერა) და

განსაზღვრა-დეფინიცია. ყველა ეს მეთოდი გულისხმობს სწორი გადაწყვეტილების მიღებას შემდგომ საკითხებთან მიმართებაში: მისაღებია თუ არა ესა თუ ის ახსნა-განმარტება, უარსაყოფია თუ მხარდასაჭერი ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის მართებულობა, პრობლემის გადაწყვეტის რომელი კურსი უნდა იქნას უარყოფილი და რომელი მიღებული, საჭიროა დავეთანხმოთ თუ უარვყოთ ესა თუ ის წინასწარმეტყველება, მოვახდინოთ პრობლემის განსაზღვრა რომელიმე ერთი და არა მეორე ფორმულირებით.

პოლიტიკის ანალიზის პროცესში აღნიშნულ პროცედურებს შეესაბამება შემდეგი ტერმინოლოგია: მონიტორინგი, პროგნოზი, შეფასება, რეკომენდაცია და პრობლემის სტრუქტურირება.

• **მონიტორინგი** (აღნერა) ახორციელებს რეალიზებული პოლიტიკური კურსის ფიქსირებული შედეგების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას;

• **პროგნოზი** (წინასწარ ხედვა) ახორციელებს პოლიტიკური კურსის სავარაუდო შედეგების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას;

• **შეფასება** (შეფასება) ახორციელებს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების შეფასების პროცესში ანუ ახდენს პოლიტიკური კურსის ფიქსირებული და სავარაუდო შედეგების ღირებულებით საზღვრების დადგენას;

• **რეკომენდაცია** (პრესკრიფცია-განერა-რჩევა) ახორციელებს პრივილეგირებული (უპირატესი) პოლიტიკური კურსის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას;

• **პრობლემების სტრუქტურირება** (განსაზღვრა-დეფინიცია) გვაწვდის ინფორმაციას გადასაჭრელი პრობლემის სწორად განსაზღვრის შესახებ და პასუხობს კითხვას, თუ რა პრობლემა, უფრო კონკრეტულად კი რა ფორმულირებით, მოითხოვს გადაწყვეტას.

ამ უკანასკნელს სხვაგვარად მეტამეთოდსაც უწოდებდნენ „მეთოდების მეთოდი“, ვინაიდან ეს არის მეთოდი სხვა მეთოდების შესახებ. პრობლემის სტრუქტურულად განხილვისას, ანალიტიკოსები ხელმძღვანელობენ რთული და პრობლემატური სიტუაციებით, რომელიც მთლიანად გაუღენილია სიძნელეებით. ასეთი პრობლემატური სიტუაციები არ წარმოადგენს პრობლემას, არამედ უკანასკნელი თავადაა პრობლემური სიტუაციების გამოხატულება. პრობლემის აღმოჩენა გარესამყაროში არსებულ მოვლენებზე გამუდმებული დაკვირვების შედეგად ხდება შესაძლებელი, ამიტომაა, რომ უილიამ დანი პრობლემატური სიტუაციის შესწავლას პრობლემის სწორი სტრუქტურირებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ერთი და იგივე პრობლემატური სიტუაცია შეიძლება სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბდეს, აცხადებს დანი და მაგალითისთვის მოყავს მთლიან შიდა პროდუქტში ეროვნული თავდაცვითი ხარჯების პროცენტული მაჩვენებლების მზარდი დინამიკის ამსახველი ცხრილი. აღნიშნული მონაცემები განსხვავებული ინტერესის მქონე ანალიტიკოსებმა შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიძეა: ერთი მხრივ, როგორც ეროვნული უსაფრთხოების გაუმჯობესება, როცა ბიუჯეტის დიდი ნაწილი მობილიზდება თავდაცვაზე, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც სოციალური კეთილდღეობის გაუარესება, როცა სოციალურ მომსახურეობაზე ბიუჯეტის მეტად მცირე ნაწილი იხარჯება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემის სტრუქტურირება მთლიანად განაპირობებს სხვა მეთოდების საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის შექმნას, ინტერპრეტაციასა და გამოსახვას. სწორედ ეს მეთოდია მთავარი პოლიტიკის ანალიზის პროცესში. პოლიტიკურ-ანალიტიკური მეთოდები ერთმანეთზეა დამოკიდებული, რის გამოც ერთი მეთოდის ცალკე, მისი წინამორბედი მეთოდოლოგიის განხილვის გარეშე გამოყენება, უბრალოდ, შეუძლებელი ხდება. შეიძლება რეალიზებული პოლიტიკური კურსის შედეგების მონიტორინგი განხორციელდეს პოლიტიკური კურსის სავარაუდო შედეგების პროგნოზირების გარეშე, მაგრამ პროგნოზირება მონიტორინგის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, ანალიტიკოსებმა პოლიტიკური კურსის ფიქსირებული შედეგების მონიტორინგი შეიძლება განხორციელონ მათი შეფასების გარეშე, თუმცა შეფასების მოხიტორინგის გარეშე განხორციელება წარმოუდგენელია. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სწორი პოლიტიკური კურსის არჩევა ანალიტიკოსებისაგან უპირველესად მონიტორინგის, შეფასებისა და პროგნოზირების განხორციელებას მოითხოვს. ნებისმიერი პოლიტიკური არჩევანის საფუძველს წარმოადგენს ფაქტობრივი და ფასეულობათა პრეამბულა.

პოლიტიკურ-საინფორმაციო კომპონენტების (ოთკუთხედები), ტრანსფორმაციებისა (ისრები) და პოლიტიკურ-ანალიტიკური მეთოდების (ოვალები) სრული სქემა წარმოადგენს პოლიტიკის ანალიზის განხორციელების დიაგრამას, რომელიც ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სხვადასხვა პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი დისციპლინისა და პროფესიების ერთგვარ ჩარჩოდ.

## პოლიტიკის ანალიზის პროცესი პ. პეტრისა და დ. სავიცავის მიხედვით<sup>61</sup>

პოლიტიკის ანალიზის უილიამ დანის მიერ შემოთავაზებული ინფორმაციულ-პროცესუალური მოდელის გარდა აღნიშულ სახელმძღვანელოში გთავაზობთ კ. პეტონისა და დ. სავიცავის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიულ მოდელს, რომელსაც თავად ავტორები „სწრაფ პოლიტიკის ანალიზს“ უწოდებენ. აღნიშულ სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილში მოცემული რეკომენდაციებიც სწორედ ამ ავტორების მიერ შემოთავაზებულ მოდელს ეყრდნობა. რეკომენდაციებს პრაქტიკული დატვირთვა აქვს და თქვენში პოლიტიკის ანალიზის განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების კენაა მიმართული.

პოლიტიკის ანალიზის განხორციელების სწორედ პეტონისა და სავიცავისეულ მოდელზე დეტალური შეჩერება განპირობებულია რამდენიმე მიზეზით: პირველ რიგში თავად ამ მოდელის სპეციფიკით, რომელიც სწორედ დამწყები ანალიტიკოსებისათვისაა გათვლილი; მეორეც, მოდელის სიმარტივით როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსის თვალსაზრისითაც, რაც უაღრესად მოსახერხდელს ხდის მისი ხელმძღვანელობით პოლიტიკის ანალიზის განხორციელებას. მოდელის სიამარტივე ოდნავადაც არ ამცირებს პეტონისა და სავიცავის მოდელის ღირებულებას, უფრო პირიქით. ის სრულიად აკმაყოფილებს პოლიტიკის ანალიტიკოსებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი „ახალბედებათან“ მიმართებაში.

პეტონისა და სავიცავის მოდელი ექვსაფეხურიანია და შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- პრობლემის დაზუსტება, განსაზღვრა და დეტალიზირება;
- კრიტერიუმის დადგენა;
- ალტერნატიული პოლიტიკური კურსების იდენტიფიცირება;
- ალტერნატიული პოლიტიკური კურსების შეფასება;
- ატერნატიულ პოლიტიკურ კურსების შედარება;
- პოლიტიკური კურსის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, კ. პეტონის და დ. სავიცავის მოდელისთვის განმსაზღვრელი ალტერნატივებია. სწორედ ალტერნატივების შერჩევას, შეფასებასა და მათ შორის შედარებას ხმარდება, მათი აზრით, ყველაზე მეტი დრო პოლიტიკის ანალიზისას. ანალიტიკოსის პროფესიონალიზმიც იმით იზომება, თუ რამდენად მოახერხებს ანალიტიკოსი რელევანტური ალტერატივების მოძიებას, მათი შედეგების სწორად გამოთვლასა და ამის საფუძველზე ალტერნატივებს შორის გრადაციის დადგენას. თუმცა, კ. პეტონისა და დ. სავიცავისთვის გარდა ამისა განმსაზღვრელია ისიც, თუ რამდენად მოკლე დროში მოახეხებს ანალიტიკოსი მის ნინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა ანუ ფლობს თუ არა იგი შესაბამისად, სახელწოდება „სწრაფი პოლიტიკის ანალიზი“, რომელიც ამ მოდელთან მიმართებაში ხშირად გამოიყენება, შემთხვევითი არაა.

## პროპლემის დაზუსტება<sup>62</sup>, გასაზღვრა და დეტალიზირება

### პრობლემის განმარტება

ანალიზის განხორციელებამდე პოლიტიკის ანალიტიკოსის უპირველესი ამოცანაა დაადგინოს პრობლემის არსებობის ფაქტი, განსაზღვროს, არსებობს თუ არა სათანადო პოტენციალი აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად და ბოლოს, დააზუსტოს, ხელენიფება თუ არა მის კლიენტს მოცემული პრობლემის გადაწყვეტა ანუ ფლობს თუ არა იგი შესაბამის ბერკეტებსა და ძალაუფლებას. მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების არსებობის

<sup>61</sup> Carl Patton, David S. Sawicki, Basic Methods of Policy Analysis and Planning, 2/E, , 1993

<sup>62</sup> პრობლემის განსაზღვრაში აუცილებლად იგულისხმება მისი დაზუსტება. უფრო მეტიც, ამის აღსანიშნავად კ. პეტონი და დ. სავიცავი იყენებენ ტერმინს „ვერიფიკაცია“. ამის მაგალითად დანის სახელმძღვანელოში მოყვანილია ილუსტრაცია XX საუკუნის 50-იანი წლების ისტორიიდან. იმ პერიოდში ფერადყანიანი აბიტურიენტები აქტიურად აპოტესტებდნენ ერთანი ეროვნული გამოცდების ტესტირების სისტემას და აცხადებდნენ, რომ ფერადყანიანებისა და თეორეკანიანებისათვის განკუთვნილი ტესტირების ნიმუშები განხვავდებოდა სირთულის თვალსაზრისით. ფერადყანიანთა აზრით, მათვის განკუთვნილი ტესტირების ნიმუშები გაცილებით რთული იყო, რაც განაპირობებდა კიდეც თეორეკანიანებთან შედარებით ფერადყანიანთა უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის ხაკლებ შანსს. ფერადყანიანთა განცხადებით, პრობლემა არათანაბარი სირთულის ტესტებში მდგომარეობდა, მაშინ როცა ანალიტიკოსების მიერ პრობლემის შესწავლის და დეტალური ანალიზის შედეგად გაიკვა, რომ პრობლემა ტესტირების ნიმუშებს შორის არსებულ სხვაობაში კი არა (ტესტირების ნიმუში სირთულის თვალსაზრისით აბსოლუტურად იდენტური აღმინდა), ფერადყანიანთა საგანმანათლებლო სისტემებს შორის არსებულ მცველ სხვაობაში მდგომარეობდა. შესაბამისად, მოხდა პრობლემის ფერადყანიანისეული ფორმულირების ვერიფიკაცია, რის შედეგადაც პრობლემის გადაწყვეტა სწორი მიმართულებით წავიდა.

პირობებში, შეიძლება პოლიტიკის ანალიზის განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანალიტიკოსის მიერ განეული მოღვაწეობა, როგორც კ. პეტონი და დ. სავიცკი გვაფრთხილებენ, ფუჭი აღმოჩნდება<sup>63</sup>.

პრობლემის განსაზღვრისას შეიძლება მრავალმა სირთულემ იჩინოს თავი. არსებობს რამდენიმე საფრთხე, რომელიც ანალიტიკოსის წინაშე პრობლემის განსაზღვრის პროცესში წამოიჭრება. კერძოდ, ანალიტიკური მოღვაწეობის ამ ეტაპზე ყოველთვის არსებობს საფრთხე:

1. უპირობოდ და ყოველგვარი ვერიფიკაციის გარეშე დაეთანხმოთ პრობლემის იმ განსაზღვრებას, რომელსაც კლიენტი გთავაზობთ<sup>64</sup>;
2. „თვალი გაგექცეთ“ პრობლემის მხოლოდ მარტივი და ყველასათვის ცხადი მახასიათებლებისკენ და ამასობაში ყურადღების მიღმა დაგრჩეთ პრობლემის რეალური არსი, მისი განმსაზღვრელი რეალური მიზეზები;
3. გქონდეთ მცდარი შეხედულება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი პრობლემა საჭიროებს საჯარო გადაწყვეტას;
4. ერთმანეთში აგერიოთ პრობლემის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გადაწყვეტა;
5. ერთმანეთისგან ნაკლებად ანსხვავებდეთ კოლექტიურ და ინდივიდუალურ ფასეულობებს.

საჯარო პოლიტიკა საჭირო არაა	საჯარო პოლიტიკა აუცილებელია
იდივიდუალური პრობლემები ფართოდ გავრცელებული პრობლემები რელევანტური (ფარდობითი, ვითარებითი) პრობლემები	სოციალური პრობლემები სერიოზული მნიშვნელობის პრობლემები აბსოლუტური პრობლემები

### პრობლემური განცხადების ჩამოყალიბება

პრობლემური განცხადების ჩამოყალიბებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

1. პრობლემის საფუძვლიანი გააზრება;
2. პრობლემის მასშტაბურობისა და საზღვრების დადგენა;
3. პრობლემის ფაქტობრივი საფუძვლის განსაზღვრა;
4. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიზნებისა და საშუალებების სქემის შედგენა;
5. ძირითადი პოლიტიკური აქტორების ვინაობის განსაზღვრა;
6. პირველადი დანახარჯებისა და შემოსავლების დადგენა;
7. პრობლემური განცხადების (მტკიცებულების) გადახედვა.

### პრობლემის ძირითადი ასპექტების გამოანგარიშება

პოლიტიკის ანალიტიკოსის უპირველესი ამოცანაა დაადგინოს პრობლემის სტრუქტურა და ეძიოს პოტენციური გადაწყვეტილებები, რისთვისაც საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. დაახლოებით რამდენი ადამიანი ფიგურირებს პრობლემის ირგვლივ?
2. რა ხარჯებთანაა დაკავშირებული მომსახურეობის ცალკეული ასპექტების გადაწყვეტა?
3. მოსახლეობის რა რაოდენობაზე შეიძლება იყოს გათვლილი მომსახურეობა?
4. რა რაოდენობის თანხის გამოყოფაა აღნიშნული პრობლემის მოვარებისათვის ნავა-რაუდევი?
5. გაჩნდება თუ არა კადრების გაზრდის აუცილებლობა?
6. იქონიებს თუ არა აღნიშნული ცვლილებები გავლენას ბიუჯეტზე ან საგადასახადო სისტემაზე?
7. რა ტენდეციებით ხასიათდება აღნიშნული სფერო?
8. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს პრობლემის რეაგირების გარეშე დატოვებას?

მაგალითისათვის ავილოთ იმუნიზაციის პრობლემა საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში და აღნიშნული პარამეტრებით დავადგინოთ რა შედეგს გამოიღებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ნახევრისათვის იმუნიზაციის შეწყვეტა. თავდაპირველად საჭიროა ამ რეგიონში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობის დადგენა და განსაზღვრა იმისა:

<sup>63</sup> Patton Carl, Sawicki David S., Basic Methods of Policy Analysis and Planning, 2/E, , 1993, გვ.79

<sup>64</sup> ამავე საფრთხეზე მსჯელობს იუჯინ ბარდახიც თავის წიგნში “პრაქტიკული გზამკვლევი პოლიტიკის ანალიზში: რვასაფეხურიანი მიდგომა პრობლემის ეფექტიანი მოვარებისთვის”. აქ განსაკუთრებული ხაზგასმა კეთდება იმაზე, რომ ანალიტიკოსი არ უნდა მოექცეს მის მიერ გადასაწყვეტი პრობლემის შესახებ არსებული, პირველ რიგში კი კლიენტისაგან მომდინარე, რიტორიკის გავლენის ქვეშ. “ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენი ამოცანაა ამ რიტორიკაზე უფრო ღრმად ჩასწოდეთ პრობლემის არსს და ისე ჩამოყალიბოთ იგი...”.

1. თუ რა სახის იმუნიზაციაა საჭირო ამ ასაკში?
2. რა არის თითოეული მათვანის ღირებულება?
3. ბავშვების რა რაოდენობას შეიძლება ჩაუტარდეს იმუნიზაცია რეალურად?
4. რა თანხა შეიძლება დავხარჯოთ რეალურად?
5. შეიძლება თუ არა უფრო მეტი დაფინანსების მიღება ადგილობრივი მთავრობისგან?
6. საკმარისი იქნება თუ არა პროგრამაში ჩართული პერსონალის გაფართოება?
7. კერძო სექტორი უხელმძღვანელებს საჭირო პროცედურების განხორციელებას თუ სახელმწიფო?

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, იმის დადგენა, თუ რა გავლენას იქონიებს განხორციელებული ნაბიჯები ბიუჯეტსა და საგადასახადო დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს აღნიშნულ ტერიტორიაზე პრობლემური ტენდენციების დინამიკა (ძლიერდება თუ სუსტდება?) და ბოლოს, რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს პრობლემისადმი ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ. საჭირო ინფორმაცია შეიძლება მოვიპოვოთ სხვადასხვა წყეროებიდან:

1. აღნიშნული პრობლემის შესახებ არსებული საინფორმაციო და რეფერირებადი ნაშრომებიდან;
2. ექსპერტისგან და მათ მიერ გამოქვეყნებული საექსპერტო დასკვნებიდან;
3. უახლოეს წარსულში ჩატარებული გამოკვლევების ან საკითხის სწრაფი შესწავლის საფუძველზე მიღებული შედეგებიდან;
4. სათანადო ცოდნის შეფასების, ანლოგიების მიხედვით მსჯელობის, მიახლოებითი გამოანგარიშებების, განზოგადებისა და ტრიანგულაციის საფუძველზე.

### **სწრაფი გადაწყვეტილების ანალიზი**

სწრაფი გადაწყვეტილების ანალიზი არის გადაწყვეტილების სტრუქტურული ჩამოყალიბების ერთ-ერთი სახე, რომელსაც „გადაწყვეტილების ხეს“ უწოდებენ. გადაწყვეტილების ხე გადაწყვეტილების დიაგრამული გამოსახულებაა. ასეთი ცხრილი ერთგვარი იარაღია პოლიტიკის ანალიტიკოსებისათვის პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტილებების ლოგიკური გამოსახვისა და მათ შორის საუკეთესოს არჩევისათვის.

### **პოლიტიკის ანალიზი**

პოლიტიკის ანალიტიკოსები აცნობიერებენ, რომ საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის პოლიტიკის ანალიზის განხორციელებისას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ პოლიტიკურ ფენომენს. არსებობს პოლიტიკური ფაქტორების მთელი წყება, რომელსაც შეუძლია პოტენციური ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკის ანალიზზე და ამის დამადასტურებელი მრავალი კონკრეტული მაგალითიც შეიძლება დასახელდეს. ეს გარემოება პოლიტიკურ ფაქტორებს ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორიც პოლიტიკის ანალიზზე ზეგავლენის მქონე სხვა ეკონომიკური თუ ადმინისტრაციული ხასიათის მქონე ფაქტორებს აქვს.

პრობლემების განსაზღვრისას ანალიტიკოსმა შეიძლება გამოყოს მთელი რიგი სადისკუსიო საკითხების სია და დაადგინოს პოტენციური პოლიტიკური აქტორების რაოდენობა, რომელთაც გარკვეული პოზიცია უკავიათ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასეთი სქემის მაგალითია, სადაც გარკვეული ჯგუფები აფიქსირებენ საკუთარ დადებით და უარყოფით პოზიციებს თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული ცხრილი წარმოადგენს იმ პრობლემებს, რაც შეიძლება წარმოიშვას მართვის მონმობის მიღების დასაშვები ასაკის თვრამეტ წლამდე გაზრდით. აქვე აღნიშნულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულება პრობლემასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხებისადმი.

ჯგუფები	მოზარდებში ავტო-საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და ზიანის მიყენების შესაძლებლობის შემცირება	სირთულეების შექმნა მოზარდებისთვის, რომლებიც სწავლასთან ერთად მუშაობენ	სოჯახო ავტო-დაზღვევის ხარჯების შემცირება
ორგანიზაცია „დედები ნასვამი მდლოლების წინააღმდეგ“ (M.A.D.D.)	+	?	?
მშობლები/ამომრჩევლები	+	-	+
სადაზღვევო სააგენტოები და ლობი	+	-	-

## **პირველადი პოლიტიკის ანალიზი**

ცალკეულ საკითხთა აღნიშნული ცხრილის შედგენა ერთგვარი წინაპირობაა პოლიტიკის ანალიზის წარმოების საჭიროების განსასაზღვრელად. მასში სრულყოფილადაა აღწერილი პრობლემების რაობა, მასთან დაკავშირებული საკითხები და პოლიტიკური ჯგუფების დამოკიდებულება მათ მიმართ, აგრეთვე პოლიტიკის ანალიზის შესაძლებლობა.

საწყის ეტაპზე პოლიტიკის ანალიზი კონცენტრირებულია ძირითადი რეკომენდაციების განსაზღვრაზე. იგულისხმება შედარებით მოკლე ვადაში შესრულებული წმინდა ტექნიკური ანალიზი, რომელიც, თავის მხრივ, არის ღრმა, კომპლექსური და დეტალური პოლიტიკის ანალიზის საფუძველი.

კვლევითი (ფუნდამენტური) ანალიზი უფრო ტრადიციულ პროექტებს ეხება. მასში ასევე თავმოყრილია მთელი რიგი პოლიტიკური ალტერნატივები კონკრეტული საინფორმაციო ბაზის შესაქმნელად. სწორედ აღნიშნულ მონაცემებს უნდა დაეფუძნოს სათანადო რეკომენდაციები. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პოლიტიკის ანალიტიკოსი ყოველთვის შეზღუდულია დროში და საჭირო რესურსების სიმცირეს განიცდის. ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ პოლიტიკის ანალიტიკოსებს ხშირად მუშაობა უხდებათ დილეტანტებთან, რაც საკმაოდ ართულებს სწრაფი, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.

მაშასადამე, პრობლემის არსის განსაზღვრისა და დეტალური აღწერისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ასპექტები:

1. პრობლემის მნიშვნელობის დადგენა;
2. პრობლემის მასშტაბურობისა და საზღვრების დადგენა;
3. პრობლემის გადაწყვეტის პროცესში გაჩენილი ახალი შესაძლებლობების, საფრთხეებისა და ცვლილებებიდან გამომდინარე, პრობლემის განსაზღვრის ეტაპობრივი გადახედვა;
4. ყველა იმ მასალის გამორიცხვა, რომელიც არ ეხმაურება პრობლემას და მასთან მიმართებაში არაა დეკვატურად გამოიყურება;
5. პრობლემის ირგვლივ არსებული შეხედულებებისა და მისი საწყისი ფორმულირებების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება;
6. სათქმელის მონაცემებითა და ფაქტობრივი მასალით გამოხატვა და არგუმენტირება.

დიდი მნიშვნელობა აქვს საჭირო ინფორმაციის და შესაბამისი მონაცემების მოპოვებას მსგავსი პრობლემური სიტუაციებისა და მათი გადაწყვეტის შესახებ; ცხადად უნდა წარმოჩინდეს ჩვენი მიზნები და ალევეთილი იქნეს ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანების დასახვა; ფოკუსში უნდა მოქეცეს მხოლოდ ძირითადი ფაქტორები. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოლიტიკის ანალიზის სპეციალისტი მუდმივად უსვამდეს საკუთარ თავს კითხვებს პრობლემის თაობაზე: რამდენად არსებითა, მნიშვნელოვანი, და რაც მთავარია, გადაჭრადი პრობლემა? მოქმედება თუ არა მას ანალოგი თუ თავისი არსით უნიკალურია? ანალიტიკოსმა დაკვირვებისას დეტალურად უნდა შეისწავლოს საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც აღნიშნული პრობლემა ეხება და რომელიც მის გადაწყვეტაში სასიცოცხლოდაა დაინტერესებული. ანალიტიკოსის დაკვირვების არეალში ექცევა პრობლემის გადაწყვეტაში ჩართულ აქტორთა ძალის განსაზღვრა და მათი მიზნების დადგენაც. ანალიზის ამ პირველ, მოსამზადებელ ეტაპზევე უნდა მოხდეს პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელი რესურსების მოკლე დროში განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს პრობლემის აღმოფხვრას.

## **პრობლემის ფორმულირება, კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია ფორმულირება – რა რეკომენდაციები შეიძლება გავიზიაროთ ფორმულირებასთან დაკაშირებით:**

1. პრობლემის ყველა ფაქტორი როდი მიიღება მხედველობაში. ანალიტიკოსი, პრობლემის ფორმულირებისას, ცდილობს ისეთი ფაქტორების გამოძენას, რაზედაც პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით შესაძლებელია რამე სახის რეაგირება. 2. ანალიტიკოსის მიერ გამოყოფილი ფაქტორებიდან საჭიროა ისეთების არჩევა, რომელზედაც კლიენტს გავლენის შესაძლებლობა ექნება. 3. ანალიტიკოსი უნდა ცდილობდეს არა თავისი, არამედ კლიენტის პრობლემების გადაჭრა-გადაწყვეტას. 4. კლიენტი, ხშირ შემთხვევაში, ყურადღებას აქცევს პრობლემის სიმპტომებს და არა თავად პრობლემას, ამიტომ საჭიროა პრობლემის სწორი განსაზღვრა და კლიენტის რიტორიკისგან მისი დიფერენცირება.

**პრობლემის კონცეპტუალიზაცია – მისი არსი ფორმულირებული პრობლემის კონცეპტუალურ დისკურსში ჩანერა და შესაბამისობაში მოყვანაა, იმ თეორიის მონახვაა, რომლის ჩარჩოებშიც ეს კონკრეტული მაგალითი თავსდება. ეს რეკომენდაციები კი პრობლემის კონცეპტუალიზაციაში გვეხმარება:**

1. აქ გამართლებულია ანალიზის პროცესში კონცეპტუალური მიდგომების სესხება. 2. შეეცადეთ, არ გაერთოთ ორიგინალური თეორიებით, რადგან ამ პროცესში შესაძლებელია

შეეჯახოთ ურთიერთსაწინააღმდეგო რეზულტატებს. ამ შემთხვევაში ყველაზე იოლი გამოსავალია მათი იგნორირება, საჭიროა ყველა წინააღმდეგობის შესახებ ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩააყენოთ და მათ ამის შესახებ აცნობოთ. 3. არსებობს ემპირიული მოხაცემების ძიების სხვადასხვა საშუალებები, საძიებო კვლევები. შესაძლებელია გამოიყენოთ წყაროების განსაზღვრისთვის საჭირო კვლევები. 4. კონცეპტუალიზაციის შედეგია თეორიული მდგომარეობა, რომელიც ყველაზე ზოგადი, აბსტრაქტული სამეცნიერო მსჯელობაა პრობლემის თაობაზე.

**პრობლემის ოპერაციონალიზაცია** – ოპერაციონალიზაციის მიზანია სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემათა გაზომვა-შესწავლა-შეფასების მეშვეობით მოხდინოს ნათლად გამოხატული, მკაფიო ფორმულირებების ჩამოყალიბება. ესაა თეორიის პრაქტიკაში გადატანის პროცესი, საერთო კატეგორიების გაზომვით ცვლადებში გადაყვანა. ცვლადი – სუბიექტის ემპირიულად დაკვირვებადი მახასიათებელია, რომელმაც შესაძლებელია მიიღოს ან რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ერთზე მეტი მნიშვნელობა. ასხვავებენ დამოკიდებულ, დამოკიდებელ და შუალედურ ცვლადს.

ოპერაციონალიზაციის მაგალითებია –

თეორია – ცნება ა დაკავშირებულია ცნება ბ-სთან

ჰიპოთეზა – ცვლადი ა დაკავშირებულია ცვლად ბ-სთან

სამუშაო ჰიპოთეზა – მაჩვენებელი ა დაკავშირებულია მაჩვენებელ ბ-სთან.

ცვლადი ჩვენ წარმოგვიდგენია სკალის სახით, რაც მდგომარეობს ცვლადის მაჩვენებლად გადაკეთებაში<sup>65</sup>.

რაოდენობრივი მეთოდების გათვალისწინება პოლიტიკის ანალიზში ასევე მნიშვნელოვანია. გამოიყოფა სტატისტიკური პროცედურები ერთ და ორგანზომილებიან გაზომვისთვის. რაც შეეხება თვისებრივ მეთოდებს, მათ შორის პოლიტიკის ანალიზისთვის აღსანიშნავია: პატარა აღნიშვნი, ფაქტორული ანალიზი, დროითი რიგების ანალიზი. განსაკუთრებული ხაზგასმით აღსანიშნავია ივენტ-ანალიზის მეთოდი: მოვლენების სტრუქტურირება, კოდირებითი ფორმები.

## ანალიზის კრიტერიუმების დადგენა

### კრიტერიუმის არსი

პოლიტიკის პრობლემის იდენტიფიკაციის შემდეგ ხდება კონკრეტული მიზნობრივი განაცხადის შემუშავება. სწორედ ამ მიზნების მიღწევას ემსახურება არჩეული პოლიტიკური აღტერნატივაც. მიზნები, თავის მხრივ, წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის ფართო, ფორმალურ, მდგრად, გრძელვადიან პერსპექტივას, პრობლემის სასურველი მდგომარეობის აღწერას. მაგალითად, ავილოთ მდინარეების საკითხის შესწავლა. მიზანში იგულისმხება მათი უსაფრთხოება, სისუფთავე და სარგებლივიანობა.

აღნიშნული მიზნები, მარტივ ენაზე, კონკრეტული გეგმის ცალკეულ კომპონენტებადაც შეიძლება წარმოვადგინოთ. ეს შედარებით უფრო კონკრეტული, აუცილებელი ნაბიჯების ერთობლიობასა სასურველი შედეგების მისაღწევად, რომელსაც ამოცანები ეწოდება.

ზემოხსენებულ ამოცანებში თავმოყრილია მთელი ინფორმაცია აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობისა და კონკრეტული შეზღუდვების თაობაზე. მას თან ერთვის აღნიშნულ მონაცემთა დროში მკაცრად განვირობით გრაფიკიც. მდინარეების დასუფთავების შესახებ ზევით მოტანილი შემთხვევის მაგალითზე ამოცანის სახით გამოდის მდინარე რიონის წყალში ბანაობისა და თევზაობის უზრუნველყოფა.

კრიტერიუმი ამოცანების შეფასების საზომი პარამეტრია. კრიტერიუმები გამოიყენება პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე არსებულ აღტერნატივებს შორის გრადაციის დასადგენად, იმის გასარკევად, თუ რომელია ყველაზე მეტად მიახლოებული პრობლემის გადაწყვეტის სასურველ მდგომარეობას და წარმოადგენს მისი მიღწევის საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმები კონკრეტული საზომი ერთეულია, რის მიხედვითაც ხორციელდება წარმოდგენილი პოლიტიკის აღტერნატივების შედარება და ანალიზი.

ამ შემთხვევაში მდინარის წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად შეიძლება შემდეგი კრიტერიუმებით სარგებლობა:

**ეფექტურობა** - მასში იგულისხმება, თუ რამდენად შეუწყობს ხელს ესა თუ ის აღტერნატივა წყლის ხარისხის გაუმჯობესებას;

**ლირებულება** - ამ კრიტერიუმით ხდება დანახარჯების ოდენობის განსაზღვრა, რომელიც

<sup>65</sup> მაჩვენებელი ესაა მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვუფარდებთ ცვლადს

საჭიროა ამა თუ იმ ალტერნატივის განხორციელებისათვის ანუ ამ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რა ელირება აღნიშნული პროცედურა;

**ტექნიკური მხარე** – ამ კრიტერიუმით ხდება იმის დადგენა, არსებობს თუ არა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა და ცოდნა მოცემული ალტერნატივის განსახორციელებლად;  
**პოლიტიკური ფაქტორი** – ამ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, პოლიტიკურად რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ ალტერნატივის განხორციელება.

გადა ამისა, მნიშვნელოვანია თითოეული კრიტერიუმი დაზუსტდეს კონკრეტული საზომი ერთეულის საფუძველზე, რომელიც მოცემულ კრიტერიუმს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მეტად შეესაბამება. ეს ალტერნატივებს შორის საუკეთესოს შერჩევას აიოლებს.

მაგალითად, მდინარის საკითხის შესწავლისას თითოეული კრიტერიუმი შესაძლებელია შემდეგი საზომი ერთეულების საფუძველზე დაკონკრეტდეს:

1. **ეფექტურობა** – ერთი ლიტრი წყლიდან საშუალოდ რა რაოდენობის მომწამვლელი ნივთიერების განმენდა იქნება შესაძლებელი;
2. **ღირებულება** – რა თანხა იქნება აუცილებელი პოლიტიკის ალტერნატივის განსახორციელებლად;
3. **ტექნიკური შესაძლებლობა** – გვაქვს თუ არა ალტერნატივისათვის აუცილებელი აღჭურვილობა და გვყავს თუ არა კომპეტენტური მუშახელი.
4. **პოლიტიკური ფაქტორი** – ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიანიჭებს უპირატესობას მოცემულ ალტერნატივეს, თუ ადგილობრივ მოსახლეობაში ჩავატარებთ გამოკითხვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კრიტერიუმების განსაზღვრა და მათი საზომი ერთეულების დაზუსტება საკმაოდ რთულდება სწორედ იმის გამო, რომ ბევრი პრობლემური მტკიცებულება (განაცხადი) თავისი არსით ბუნდოვანი და გაურკვეველია, გარდა ამისა, შეიძლება ის შეიცავდეს წინააღმდეგობრივ მიზნებსაც. ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვნად ართულებს სათანადო კრიტერიუმების განსაზღვრას.

ასევე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ისეთ პრობლემას, როგორიცაა კრიტერიუმებს შორის თანაფარდობის დადგენის სირთულე. თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემა დაბინძურებული მდინარეებია, ხოლო მიზანი - მათი გასუფთავება, მაშინ ისმის კითხვა: რა შეიძლება იყოს ამა თუ იმ ალტერნატივის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი? ღირებულება, ეფექტურობა თუ გამჭირვალობა? რომელია მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი? თუ სამივეს თანაბარი როლი ეკისრება?

ამავე დროს, დასადგენია ისიც, თუ რა იგულისხმება მდინარის დასუფთავებაში. მავნე ნივთიერებებისგან მდინარის ასი პროცენტით გასუფთავება, ცხადია, შეუძლებელია. ამიტომ, განსასაზღვრელია და ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანი ის, თუ რომელი სტანდარტებით ვიხელმძღვანელებთ მისაღები კრიტერიუმების დადგენისას, სახელმწიფო თუ ადგილობრივით. როგორ გავზომავთ სისუფთავის დონეს?

### **სტაბილურობა და სიმტკიცე**

საჭირო კრიტერიუმები და მათი გამოთვლები უნდა იყოს აუცილებლად გამჭირვალე. მათი გამოთვლა უნდა ხდებოდეს ყველასათვის ცხადად და მარტივად. მნიშვნელობა არ აქვს თუ ვინ ატარებს საჭირო პროცედურებს. გამოთვლების შედეგები უნდა იყოს აუცილებლად იდენტური, იმ შემთხვევაშიც კი თუ ჩატარდა განმეორებითი გამოთვლა. შედეგები უცვლელი უნდა დარჩეს.

კრიტერიუმები და გამოთვლები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ანალიზის ობიექტს. მაგალითად, თუ შემოთავაზებული ალტერნატივის მიზანია ქალაქების ინვესტირების სტრატეგიის შეცვლა, მაშინ გამოთვლების ობიექტი უნდა იყოს თვით ქალაქები და არა ცალკეული ინდივიდები. ზუსტად უნდა დავადგინოთ, თუ ვინ არის გამოსაკვლევი ობიექტი: ქალაქის მთელი მოსახლეობა, თუ ცალკეული ოჯახები; ქვეყნის მთელი მოსახლეობა თუ ცალკეული ტერიტორიების მცხოვრებნი და ა.შ.

### **კრიტერიუმების მიუკერძოებლობა (თანასწორობის, სამართლიანობის კრიტერიუმი)**

ქმედითობა (ეფექტიანობა) და ეფექტურობა ტექნიკური და ეკონომიკური საკითხებია, მაშინ როდესაც **მიუკერძოებლობა**—**თანასწორობა** წმინდა საზოგადოებრივი საკითხია. სწორედ მიუკერძოებლობა ცხადყოფს თუ რა სიკეთე და ზიანი შეიძლება მოუტანოს საზოგადოებას მოცემულმა პოლიტიკურმა ალტერნატივამ, ვინ დააფინანსებს აღნიშნულ პროცესს და როგორ მოხდება თანხების მოძიება. შემოთავაზებულმა პოლიტიკის ალტერნატივამ შესაძლოა გავლენა იქონიოს თვით კრიტერიუმების მიუკერძოებლობის განსაზღვრაზეც. თუმცა, იმის უნივერსალური, ოპტიმალური და ზუსტი ფორმა, თუ როგორ უნდა განხორცილდეს აღნიშნული პროცესი, არ არსებობს. ეს სფერო ყოველთვის წინააღმდეგობებით იყო აღსავსე და ახლაც

წმინდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებად აღიქმება.

თუმცა, მიუკერძოებლობას გააჩინია თავისი ძირითადი მიმართულებანი. კერძოდ, იგი გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას და გულისხმობს ერთნაირ პოზიციებს საზოგადოების ყველა წევრისთვის, ერთნაირ მომსახურეობას და შესაბამისად, განსხვავებულს არათანაბარ პოზიციაში მყოფთათვის. გამოიყოფა მიუკერძოებლობის (თანასწორობის) სხვადასხვა ტიპი:

1. **პორიზონტალური მიუკერძოებლობა**, რომელშიც იგულისხმება საჭირო დანახარჯებისა და სარგებლიანობის თანასწორი გადანაწილება თანაბარ პოზიციაში მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;
2. **ვერტიკალური მიუკერძოებლობის** საგანია საჭირო თანხებისა და სარგებლიანობის არათანაბარ მდგომარეობაში მყოფ სოციალურ ჯგუფებს შორის გადანაწილება;
3. **თაობათაშორისი მიუკერძოებლობა** არეგულირებს შემოსავლებისა და ხარჯების სწორ გადანაწილებას დროის სხვადასხვა პერიოდებს შორის, რათა ახალგაზრდა თაობას არ მოუხდეს უფრო მეტი ხარჯის გაცემა და ნაკლები სარგებლის მიღება წინა თაობასთან შედარებით, ან პირიქით.

სოციალური ჯგუფების იდენტიფიკაცია ხდება შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით: საცხოვრებელი ადგილი, შემოსავლები, მოქალაქეობა, რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობა, სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო სტაჟი, კრიმინალური წარსული, ნარკოტიკებისადმი მიღრეცილება და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მოუკერძოებლობის ზოგადი შეფასებისთვის აუცილებელია შემდეგი პრობლემების გათვალისწინება: რის მიხედვით უნდა მოხდეს მოსახლეობის სუბ-ჯგუფებად დაყოფა; როგორ უნდა განისაზღვროს მათი სტატუსი - უნდა მივიღოთ თუ არა ამ შემთხვევაში მხედველობაში ისტორიული კრიტერიუმები, უნდა ვიმოქმედოთ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით თუ ძირითადად საკითხის სასურველი მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ; ასეთივე სადისკუსიო თემად რჩება ზოგადად ისეთი საკითხები, როგორიცაა მოგებისა და სარგებლის არსი, საზოგადოებაში არსებულ საჭიროებათა ხარისხი და გადახდისუნარიანობა.

### ტექნიკური კრიტერიუმები

პოლიტიკის შემოთავაზებების (წინადადებების) შეფასების ძირითად კრიტერიუმად ეფექტურობა გამოიყენება. სწორედ პოლიტიკის მიმართულების ეფექტურობაა ის ძირითადი საზომი, რომელიც განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის ეფექტურიანობას. მაგალითისათვის, შეიძლება განვიხილოთ ავტოავარიების ამჟამინდელი დონე მოზარდებში. თუ ანალიტიკოსის მიზანია აღნიშნული დონის შემცირება, მან უნდა უსათუოდ დაადგინოს, თუ რამდენად ეფექტური იქნება პოლიტიკის ესა თუ ის ალტერნატივე დასახული მიზნის მისაღწევად.

მეორე კრიტერიუმია არსებული ალტერნატივის განხორციელების ტექნიკური შესაძლებლობა. ამაში იგულისხმება სათანადო ტექნოლოგიის არსებობა, ან ყოველ შემთხვევაში, მსგავსი პერსპექტივის გაჩენის ალბათობა ალტერნატივის განხორციელების ეტაპზე მაინც. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ეს ტექნიკური შესაძლებლობა მაქსიმალურად ხელმისაწვდომიც უნდა იყოს. ავტოავარიების შესამცირებლად საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი ალტერნატივა არის სპეციალური სუნთქვის მაკონტროლებელი აპარატის დამოწაურება, რომელიც აფიქსირებს ალკოჰოლის სუნს მდლოლის მხრიდან და ბლოკავს ავტომობილის დაძვრას. თუმცა, იმის გამო, რომ ეს ტექნოლოგია საკმაოდ ძვირადღირებულია და ხშირად მიუწვდომელი მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, ამ ალტერნატივის განხორციელება ვერ ხერხდება<sup>66</sup>.

კიდევ ერთ ტექნიკურ კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს ალტერნატივის საფუძვლიანობა და დამაჯერებლობა. მაგალითად, შეგვიძლია ავილოთ განათლების სფერო. ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით, უნდა დადგინდეს, თუ რამდენად შესაძლებელია ტესტირების ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავდა ცოდნის დონეს როგორც ერთენოვანი, ისე ორენოვანი განათლების პროგრამის მონაწილე სტუდენტებში.

### პოლიტიკური კრიტერიუმები

პოლიტიკის ანალიტიკოსმა პოლიტიკის წარმოდგენილი ალტერნატივების შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკური კრიტერიუმებიც. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკის ანალიზზე დაკვეთა სწორედ პოლიტიკოსებისგან მოდის. შესაბამისად, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, საჭიროა ალტერნატივა უნდა სარგებლობდეს მდლავრი პოლიტიკური მხარდაჭერითაც.

<sup>66</sup> Dunn William N., 2004. *Public Policy Analysis: An Introduction*. 3<sup>rd</sup>. Ed. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice-Hall. გვ. 95

ალტერნატივის პოლიტიკურ მიზანშეწონილობაში იგულისხმება მისაღებია თუ არა ესა თუ ის ალტერნატივა სოციალური ჯგუფისათვის განურჩევლად იმისა, იქნება ეს ადმინისტრატორი, რიგითი მოქალაქე, კანონმდებელი თუ სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი. არცთუ იშვიათად სწორედ პოლიტიკური მიზანშეწონილობა განსაზღვრავს საბოლოოდ ამა თუ იმ ალტერნატივის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებას.

ალტერნატივის პოლიტიკური მიზანშეწონილობის დასადგენად გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

1. მისაღებია თუ არა ის პოლიტიკოსებისთვის, იმ ფოკუს-ჯგუფისთვის რომლისკენაცაა ის მიმართული, ფართო საზოგადოებისთვის, ამომრჩევლებისთვის დ.ა.შ.;
2. შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი ალტერნატივა ფართო საზოგადოებისა და საკანონმდებლო თუ საზოგადოებრივი გაერთიანებების ფასეულობებს;
3. შეესაბამება თუ არა მოცემული ალტერნატივა არსებულ კანონმდებლობას და საჭიროა თუ არა მის განსახორციელებლად არსებული საკანონდებლო ბაზის შეცვლა ან ახალი საკანონმდებლო ინიციატივების გატარება;
4. პასუხობს თუ არა წარმოდგენილი ალტერნატივა საზოგადოების ან ცალკეული ჯგუფების ინტერესებს.

### **ადმინისტრაციული კრიტერიუმები**

საჯარო პოლიტიკური კურსი, ძირითადად, საჯარო სამსახურის სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სააგენტოების მიერ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ალტერნატივებს შორის შედარებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად ხშირად გამოიყენება ადმინისტრაციული ოპერატიულობის ხარისხი და სირთულე. ამაში იგულისხმება ის, თუ რამდენად მარტივია ადმინისტრაციული საქმიანობის წარმართვის თვალსაზრისით ესა თუ ის ალტერნატივა და რა დროს დაიკავებს მისი განხორციელება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს:

- **ავტორიტეტულობა** – აქვს თუ არა შესაბამის სააგენტოს/სამსახურს სათანადო ავტორიტეტი/ძალაუფლება პოლიტიკის წარმოდგენილი ალტერნატივის განსახორციელებლად;
- **უფლებამოსილების გადაცემა** – აქვთ თუ არა სააგენტოს/სამსახურის ხელმძღვანელობას, მის სათანადო კადრს გადაცემული შესაბამისი უფლებამოსილება ამ ალტერნატივის პრაქტიკაში გასატარებლად;
- **შესაძლებლობა** – ფლობს თუ არა სააგენტო/სამსახური პოლიტიკის წარმოდგენილი შემოთავაზების განსახორციელებლად სათანადო შტატებს, გამოცდილებას, ფინანსებსა და ექსპერტიზას;
- **მხარდაჭერა** – სარგებლობს თუ არა სააგენტო/სამსახური წარმოდგენილი პოლიტიკის განხორციელებისათვის სათანადო მხარდაჭერით.

### **შეფასების კრიტერიუმების დადგენა**

მაშასადამე, აღნიშნული კრიტერიუმების შეფასებისას მნიშვნელოვანია:

- განვსაზღვროთ ძირითადი პოლიტიკურ-მმართველობითი მიზნები, რა ამოსავალი უნდა გახდეს ალტერნატივების შეფასებისას და როგორ უნდა გაიზომოს თითოეული მათგანი;
- ამოვიცნოთ ის კრიტერიუმები, რომელიც პრობლემისათვის ცენტრალურია და დაინტერესებული მხარეებისა და აქტორებისთვის რელევანტური შეიძლება აღმოჩნდეს;
- ერთმანეთისგან განვასხვავოთ მიზნები, ღირებულებები და ამოცანები;
- განვსაზღვროთ სასურველი და არასასურველი შედეგები;
- დავადგინოთ თანაბარია თუ არა კრიტერიუმები მნიშვნელობის მიხედვით და რა წესები შეიძლება გამოვიყენოთ ალტერნატივების შედარებისას.

უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ალტერნატივების შეფასება, შემდეგია: ადმინისტრაციული საქმის წარმოებისა და ოპერატიულობის ხარისხი და სირთულე, ხარჯიანობა და სარგებლიანობა, ეფექტურობა, მიუკერძოებლობა-სამართლიანობა-თანასწორობა, კანონიერება, პოლიტიკური მიზანშეწონილობა.

## ალტერნატივების იდენტიფიკაცია და შემუშავება

ალტერნატივების იდენტიფიკაცია და შემუშავება  
პოლიტიკური ალტერნატივების შემუშავებამდე აუცილებელია მოხდეს:

1. პოლიტიკური სწორი იდენტიფიკაცია;

2. ალტერნატივების შეფასებისათვის საჭირო შესაფერისი კრიტიკულების დადგენა.

თავდაპირველად პოლიტიკის ანალიტიკოსი ირჩევს ძალზედ მრავალ ალტერნატივებს, თუმცა, საბოლოო ჯამში, მათი რიცხვი ალტერნატივების დასაშვებ რაოდენობაზე (ოთხიდან შეიძლება) დაიყვანება. მათ შორის მოიაზრება როგორც არსებული მდგომარების უცვლელად შენარჩუნება – ე.წ. „სტატუს კვო“, ასევე ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავებული ალტერნატივებიც. ალტერნატივების შემუშავებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს გარემოებების რადიკალურად შეცვლის შემთხვევაში.

შესაბამისი ალტერნატივების შერჩევისათვის ყველაზე ხშირად შემდეგი კრიტიკულები გამოიყენება:

**ლირებულება** – ხელმისაწვდომია თუ არა აღნიშნული ალტერნატივა;

**საიმედოობა** – რამდენად წარმატებულად განხორციელდება ალტერნატივა;

**სტაბილურობა** – იმუშავებს თუ არა ის გარემოებების შეცვლის შემთხვევაში;

**ქმედითობა** – შეინარჩუნებს თუ არა ალტერნატივა ქმედითუნარიანობას ცალკეული კომპონენტის ჩავარდის შემთხვევაში;

**მოქნილობა** – რამდენად მოქნილია აღნიშნული ალტერნატივა, ანუ შეიძლება თუ არა მისი საშუალებით კიდევ სხვა მიზნის მიღწევა;

**რისკ-ფაქტორი** – რამდენად აქვს ალტერნატივას გამართლების შანსი ანუ სარისკო იქნება თუ არა მისი განხორციელება;

**კომუნიკაბელურობა** – რამდენად გასაგებია აღნიშნული ალტერნატივა;

**შესაბამისობა** – რამდენად შეესაბამება ალტერნატივა პრობლემას;

**სიმარტივე** – რამდენად ადვილად განხორციელებადია აღნიშნული ალტერნატივა;

**თავსებადობა** – შეესაბამება თუ არა ალტერნატივა არსებულ სამართლებრივ ნორმებსა და პროცედურებს;

**ანულირება/რევერსიფიკაცია** – შეიძლება თუ არა არჩეული ალტერნატივის წარუმატებლობის შემთხვევაში უმტკიცვნეულოდ დაბრუნება საწყის მდგომარეობაში;

**მდგრადობა** – რამდენად შეინარჩუნებს აღნიშნული ალტერნატივა მომავალში წარმატებულ პოზიციას უკვე სხვა სიტუაციებთან მიმართებაში.

### ალტერნატივების წყაროები

1. სტატუს კვო ანუ უმოქმედო ალტერნატივა – გულისხმობს არა უმოქმედობას, არამედ პრობლემის გადაწყვეტის მიმდინარე მცდელობებისა და ძალისხმევის მომავალში უცვლელად გაგრძელებას. მსგავსი ალტერნატივის ჩართვა პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო ალტერნატივის ძიების პროცესში აუცილებელია, რათა გამოიკვეთოს ის, თუ რამდენად იცვლება არსებული მდგომარეობა სხვა ალტერნატივების განხორციელების შემთხვევაში. სტატუს კვოს ჩართვა ალტერნატივებს შორის ერთგვარი საზომი ერთეულია სხვა ალტერნატივის ეფექტურობის გამოსავლენად და ალტერნატივებს შორის გრადაციის დასაფიქსირებლად. ამ შემთხვევაში ხორციელდება ე.წ. პირველი დონის საბაზისო ანალიზი, რომლის ძირითად ობიექტს წარმოადგენს: მიმდინარე ბალანსის დადგენა, პროექტის მიზნობრიობისა და მოქმედების შესაბამისობის გამოკვეთა, არსებულ სამოქმედო ეტაპებს შორის კავშირების დადგენა და მიღებული გადაწყვეტილებების ოპტიმალურობის დამტკიცება. ამავე დროს, კიდევ ერთხელ მოწმდება ის, თუ რამდენად დიდია ახალ მოქმედებათა განხორციელების საჭიროება;

2. ალტერნატივების წყარო შეიძლება იყოს მსგავსი პრობლემის გადაჭრის შედეგად წარსულში მიღებული გამოცდილება; გამოკვლევები; ექსპერტების მოსაზრებები; კანონები; საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები; ახალი ტექნიკოლოგიები და სხვა;

3. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა შეხედულების, მათ შორის ოპოზიციური აზრების გათვალისწინებაც, რაც შეიძლება ამოსავალი წერტილი გახდეს ალტერნატივების შემუშავებისას;

4. წარსულის იდეალური გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ნორმებს;

5. თავდაპირველად აუცილებელია ზოგადად არსებული ყველა ალტერნატივის თავმოყრა და შემდგომ მათ შორის შედარებით უფრო ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა;

6. კიდევ ერთი წყაროა ამ საკითხის გადაწყვეტაში ჩართულ პარლამენტის წევრებს, დაინტერესებულ ჯგუფებსა და მოსახლეობაში ტელეფონის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის

საშუალებით მოპოვებული სწრაფი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები; საზოგადოებასთან გამართული შესვედრების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია; სხვადასხვა გამოცემების სარედაქციო სტატიების ანალიზი და სხვა;

7. ალტერნატივების წყაროდ გამოიყენება, აგრეთვე პროფესიული და აკადემიური ურნალები; სამთავრობო ანგარიშები; საკონფერენციო მასალები და ჩანაწერები; ინტერნეტ-მასალები და სხვა.

8. მსოფლიოში არსებული გამოცდილების შესწავლა ე.ნ. კერძო შემთხვევების ანალიზის (CASE-STUDY-ის) მეშვეობით (თუ რატომ იყო არჩეული კონკრეტული ალტერნატივა გარკვეულ პრობლემებთან მიმართებაში; რა შედეგი გამოიღო მისმა განხორციელებამ; იყო თუ არა სხვა ალტერნატივები განხილული; იმუშავა თუ არა აღნიშნულმა ალტერნატივამ შედეგიანად და რა სახის ცვილებები მოჰყვა მის პრაქტიკულ განხორციელებას);

9. მუდმივად უნდა ხდებოდეს ინფორმაციის შეგროვება და კლასიფიკაცია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემულ მომენტში პრობლემა არ არსებობს. რეგულარულად უნდა მოვიძიოთ საინტერესო პოლიტიკური ალტერნატივები კლიენტებისგან, ადვოკატებისგან, მედიისგან, დაინტერესებული ჯგუფებისგან და სხვა, რათა შევძლოთ, საჭიროების შემთხვევაში, მათი გამოყენება კონკრეტული პოლიტიკური ალტერნატივის წყაროდ;

9. ტიპოლოგიის დადგენაც ერთგვარი წყაროა და პასუხობს შემდეგ კითხვებს: რა გავლენა შეიძლება იქნიოს ამა თუ იმ პოლიტიკურმა ალტერნატივამ საზოგადოებაზე და როგორი იქნება თითოეული სოციალური ჯგუფის რეაქცია წარმოდგენილი ალტერნატივის მიმართ. სწორედ ამ ასპექტების გათვალისწინებით ხდება სათანადო ალტერნატივების მიღება;

11. ანალოგიების გამოყენება: როგორც ცნობილია, ახალი პრობლემები ყოველთვის ძველი პრობლემების ანალოგიურია და შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი მოგვარება არსებული გამოცდილების გათვალისწინებით მოხდეს.

არსებობს რამდენიმე სახის ანალოგია<sup>67</sup>. კერძოდ,

პირადი ანალოგიის შემთხვევაში ანალიტიკოსი პრობლემას აანალიზებს არა განყენებულად, არამედ წარმოიდგენს, თითქოს აღნიშნული პრობლემა უშუალოდ ეხება მას. პრობლემის იდენტიფიცირებისა და ალტერნატივების შემუშავების პროცესი ამ შემთხვევაში განსხვავებულია და პირად გამოცდილებას ემყარება;

პირდაპირი ანალოგიისას უნდა დავადგინოთ სხვა პრობლემების გადაწყვეტის მართლებულობა კონკრეტულად ჩვენი პრობლემისათვის;

სიმბოლური ანალოგიის დროს საჭიროა უპირატესობა მიენიჭოს ესთეტიკურ გადაწყვეტილებას და არა ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე დახვენილს;

წარმოსახვითი ანალოგიის გამოყენებისას ფანტაზიის დახმარებით უნდა შევიმუშავოთ იდეალური გადაწყვეტილება და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ მის პრაქტიკაში დენერგვას.

12. აზრთა ურთიერთგაზიარება ე.ნ. „ტვინის შტურმი-ჭყლეტა“ შეიძლება განხორციელდეს ზეპირი, წერითი ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ამგვარ აზრთა ურთიერთგაზიარება ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება. პირველი ესაა იდეების ჩამოყალიბების ეტაპი, რომელიც შემოთავაზებული იდეების შეფასების გარეშე ხორციელდება. მეორეა სწორედ შეფასების ეტაპი, რაც გულისხმობს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას პირველ ეტაპზე შემოთავაზებულ ალტერნატივებზე.

13. შესაძლო მანიპულაცია – იგულისხმება მიმდინარე პოლიტიკურ აქტივობაზე დაყრდნობით პოლიტიკური ალტერნატივების შემუშავება, რომელიც შესაძლო ალტერნატივათა მთელი სპექტრის შეზღუდვისა და მანიპულაციის შედეგად მიიღება.

14. არსებული გადაწყვეტილებების მოდიფიცირება:

ზრდა: საჭიროა პოლიტიკის ანალიტიკოსმა იზრუნოს არსებული საინფორმაციო წყაროების ეტაპობრივ ზრდაზე, განვითარებასა და ახალი კომპონენტებითა და რესურსებით გამდიდრებაზე;

შემცირება: ამაში იგულისხმება საწინააღმდეგო ქმედება, როცა გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებელი ხდება ანალიტიკოსის ხელთ არსებული მასალების შეკვეცა, არჩეული მიმართულების საფუძველზე დავინიშნობა;

ჩანაცვლება – თქვენს მიერ შემუშავებულ გადაწყვეტილებებში ყოველთვის უნდა არსებობდეს შესაძლებლობა ახალი კომპონენტების დასამატებლად, მიღებული ახალი ინფორმაციის საფუძველზე მის შესაცვლელად, მასში ჩართული სპონსორებისა და ლოკაციის ადგილის მოდიფიცირებისათვის;

<sup>67</sup> პარდას შემოაქვს გონივრული მიგნებების ანალოგია და წარმოადგენს საჯარო პრობლემების ტიპური გადაწყვეტის მოდელებს, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კარგად დავიწყებული “ახალი” პრობლემების მოსაგვარებლად.

კომბინირება – გადაწყვეტილება ასევე უნდა იძლეოდეს სხვადასხვა მიღების გაერთიანებისა და ცალკეული ერთეულებისა და სპონსორების კომბინაციის შესაძლებლობას;

მოქმედების არეალი – გამოყენებული უნდა იქნეს ერთი და, თუ საჭირო გახდა, მრავალი არეალი აუცილებლობის შემთხვევაში მისი შეკვეცის ან გაფართოების უფლებით, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს ან როგორც დროებითი, ან როგორც მუდმივი გადაწყვეტილება;

ტემპი – იგულისხმება საჭიროებისამებრ აჩქარება, დაგვიანება, დაყოვნება, გადაწყვეტილების გრძელ და მოკლე ვადაში შემუშავება, დროის საჭიროებისამებრ განაწილება.

დაფინანსება – მხედველობაშია ფინანსური უზრუნველყოფა, შემოსავლები, გადასახადები, სუბსიდირება, ვაუჩერიზაცია, კონტრაქტები.

ორგანიზაცია – ამაში მოიაზრება ორგანიზაციის ფორმა: ცენტრალური ან დეცენტრალიზებული, სავალდებულო ან ნებაყოფლობითი, დარეგულირება, აკრძალვა, გაძლიერება, ინფორმირება და სხვა მსგავსი ფაქტორები;

გადაწყვეტილების ფორმა – შესაძლებელია შეგვხვდეს ინდივიდუალური, საორგანიზაციო, საკონსულტაციო, დამაკავშირებელი, არჩეული გადაწყვეტილება.

გავლენის ჯგუფები – შესაძლებელია შეგვხვდეს შუამავლები, გადამხდელები, მომხმარებლები და სხვა.

რისკ-ფაქტორის დერეგულირება – მხედველობაშია გარანტიებისა და დაზღვევის სისტემა, ასევე სირთულების დარეგულირების სხვადასხვა ფორმები.

### საფრთხეები

პოლიტიკის ანალიზის ნებისმიერ ეტაპზე შეცდომების დაშვებისგან დაზღვეული არ ვართ. ალტერნატიული პოლიტიკური კურსების იდენტიფიკაციისა და შემუშავების პროცესში კი ყველაზე ხშირად დაშვებულ შეცდომათა შორის შეიძლება დასახელდეს:

- პრობლემის გადაწყვეტის წარსული გამოცდილებისათვის ზედმეტად დიდი მნიშვნელობის მინიჭება;
- პრობლემის გადაწყვეტის შესახებ არსებული მნიშვნელოვანი იდეებისა და შეხედულებების უურადღების მიღმა დატოვება<sup>68</sup>;
- პრობლემის განსაზღვრების შესახებ მსჯელობის დროზე ადრე შეწყვეტა და დახურვა;
- რომელიმე ალტერნატივისთვის უპირატესობის მინიჭება ყველა დანარჩენის სათანადოდ განხილვამდე;
- ახალი შემოთავაზებული იდეების უსაფუძვლოდ გაკრიტიკება;
- ზოგიერთი ალტერნატივის დროზე ადრე გამორიცხვა;
- გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, უარყოფილი ალტერნატივების ხელახლა განხილვაზე უარის თქმა.

### ალტერნატიული პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და შემუშავება

მაშასადამე, პოლიტიკის ალტერნატიული კურსების იდენტიფიცირებისა და შემუშავების პროცესში საჭირო ხდება:

- არჩევანის ფართო სპექტრის განსაზღვრა;
- სტატუს კვოს, იგივე უმოქმდო ალტერნატივის განხილვა;
- ექსპერტებთან კონსულტაციების წარმოება;
- აზრთა ურთიერთგაზიარების, დელფონისა და სცენარების წერის მეთოდების გამოყენება;
- აუცილებლობის შემთხვევაში პრობლემის განსაზღვრების ხელახლა გადასინჯვა.

## ალტერნატიული პოლიტიკური კურსების შეფასება

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რომელი პოლიტიკური ალტერნატივა უნდა იქნეს არჩეული. ამ ამოცანის გადასაჭრელად პოლიტიკის ანალიტიკოსი თანმიმდევრობით განიხილავს უკლებრივ ყველა პოლიტიკურ ალტერნატივას წინასწარშემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. მაგალითად, ჩვენ უკვე დავადგინეთ რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი კრიტერიუმები: ღირებულება,

<sup>68</sup> სწორედ ამიტომ კ. პეტონი და დ. სავიცკი მომავალ ანალიტიკოსებს აფრთხილებენ მაქსიმალურად გულისხმიერად მოეციდონ ასეთი სახის ინფორმაციას და დააფიქსირონ და ჩაიწერონ ეს ინფორმაცია

მიუკერძოებლობა-თანასწორობა-სამართლიანობა, ეფექტურობა და პოლიტიკური მიზანშენონილობა.

თითოეული კრიტერიუმის მნიშვნელობა და მათთან დაკავშირებული გამოთვლები ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ. მაგალითად, ეფექტურობის დადგენა მოზარდებში ავტოავარიების რაოდენობის შემცირების დონით ხდება შესაძლებელი. აღნიშნულ დონეს, ისევე როგორც, ზოგადად, ავტოავარიების რაოდენობას, საავტომობილო დეპარტამენტი ადგენს.

შესაბამისად, უნდა ავილოთ თითოეული ალტერნატივა და ჩვენს მიერ წინასწარშე-მუშავებული კრიტერიუმების მიხედვით განვსაზღვროთ, თუ რაში გამოიხატება ამ კონკრეტული ალტერნატივის ეფექტურობა; რა თანხები დასჭირდება მის განხორციელებას; პოლიტიკურად რამდენად მისაღები იქნება ამ ალტერნატივის რეალიზაცია; რამდენად უზრუნველყოფს აღნიშნული ალტერნატივა საზოგადოებაში სამართლიანობისა და თანასწორობის მიღწევას. აღნიშნული პროცესი მეორდება სხვა, მათ შორის ე.ნ. უმოქმედო, ალტერნატივასთან მიმართებაში.

მაგრამ ისმის კითხვა, რის საფუძველზე შეიძლება თითოეული ამ პარამეტრის მიხედვით ალტერნატივის შესახებ მსგავსი ინფორმაციის მოპოვება? პასუხი მარტივია ალტერნატივების ეფექტურობის დადგენა ხდება პროგნოზირების შედეგად მიღებული რეზულტატების საშუალებით.

### პროგნოზირება

პროგნოზირების ობიექტს განსაზღვრავს წარმოდგენილი პოლიტიკური ალტერნატივის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკის ანალიტიკოსის მიზანია თინეიჯერების მიერ ჩადენილი ავტოავარიების რაოდენობის შემცირება, მაშინ პროგნოზირებამ უნდა დაადგინოს თინეიჯერ მძღოლებში ავტოსაგზაო შემთხვევების დონე, პირველ რიგში, იმ ვარაუდთან მიმართებაში, როცა არაფერი გაკეთდება (უმოქმედო ალტერნატივა), შემდეგ კი — სხვა ალტერნატივებით გათვალისწინებული ვარაუდების პრაქტიკული რეალიზაციის შემთხვევაში.

არსებობს პროგნოზირების არაერთი მეთოდი, დაწყებული მარტივი სტერეოტიპულიდან და რთული — სტატისტიკური ფორმულებით დამთავრებული.

პროგნოზირებისას ინტუიცია ეყრდნობა ტექნიკურ მეთოდებს, როგორიცაა დელფოსის მეთოდი, სცენარების წერა და შესრულებადობის შეფასება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პროცესი უნდა განხორციელდეს კომპეტენტური პირების მიერ, რათა მიღებული იქნეს ლოგიკური პროგნოზი.

პროგნოზირების თეორიული მოდელები მნიშვნელოვან ცვლადებს და მათ შორის არსებული კავშირების ხასიათს განსაზღვრავს. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც ცნობილია ცვლადები, უკვე იოლდება პროგნოზირება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი რომელიმე ცვლადი განიცდის ცვლილებას. აღნიშნული მეთოდები შემუშავებულია გარკვეულ ინფორმაციაზე, გამოცდილებაზე, ექსპერტების რჩევებზე დაყრდნობით.

პროგნოზირებისას კონსტრუირებული მოდელი წარმოადგენს სიტუაციის გასაღებს და ფოკუსირებულია პრობლემის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პროგნოზირების მეთოდები გვეხმარება დეტალურად გავერკვიოთ წებისმიერი წარმოდგენილი ალტერნატივის პრობლემების ძირითად ფაქტორებსა და მათ ურთიერთმიმართებაში. ისინი წარმოაჩენენ, აგრეთვე შესაძლო შედეგებსაც.

მოდელები შეიძლება განისაზღვროს სიტყვიერი ფორმით, დანომვრის პრინციპით ან ფიზიკური გაზომვებით (მაგ., არქიტექტურული მეთოდით).

ექსტრაპოლაციის (განზოგადების) მეთოდი გამოიყენება წარსული გამოცდილების საფუძველზე მომავლის პროგნოზირებისათვის, თუმცა მხოლოდ იმ სიტუაციებთან მიმართებაში, რომელიც სტაბილურობით გამოიჩინა. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ არიზონას შტატი, სადაც მოსახლეების რაოდენობა ყოველ 10 წელიწადში 50%-ით იზრდება. აქ შეიძლება გამოვიყენოთ წარსულში მოსახლეების ზრდის მაჩვენებელი გრაფიკი, რათა წინასწარ გამოვთვალით მომავალი ზრდის პროცენტი.

ექსტრაპოლაციის მეთოდი გამოიყენება ძირითადი ანალიზის ჩატარების პროცესში, რათა ცნობილი გახდეს სტატუს კვოს შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები. აღნიშნული მეთოდი შედარებით იაფი და მარტივია. მისი გამოყენება წებისმიერ სიტუაციაშია შესაძლებელი. საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ცვლილებების შესახებ არსებული გამოთვლები.

ექსტრაპოლაცია მოითხოვს კრიტერიუმების, გამოთვლებისა და საზომის ზუსტ განსაზღვრას. ის ნაკლებად გამოიყენება ახალი პრობლემების, საკითხების ან პოლიტიკური დაბრკოლებების გადასალახავად, როდესაც არ არსებობს აღნიშნული საკითხების წარსული გამოცდილების შესახებ ინფორმაციას.

რეგრესიის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ლაინერული (სწორხაზოვანი) რეგრესია (Linear regression), რომლის ყველაზე ცნობილი ტიპია - ჩვეულებრივი მცირე კვადრატული რეგრესია (ordinary least squares regression). სწორხაზოვანი რეგრესია სარგებლობს არსებული მონაცემებით, რათა ამოხსნას ერთგვარი განტოლება,  $x$  და  $y$  ცვლადებით.

### რეგრესიული განტოლების ელემენტები

რეგრესიული განტოლება გამოხატება ასეთი ფორმით:  $\mathbf{Y} = \mathbf{a} + \mathbf{bX} + \mathbf{e}$ . მასში:

**Y** – დამოკიდებული ცვლადია, რომელშიც იგულისხმება ის, რაც მოსალოდნელია ან რისი ახსნაც შესაძლებელია;

**a** = **Alpha** მუდმივაა, რომელიც  $Y$ -ს მხოლოდ იმ შემთხვევაში უტოლდება, როცა  $X$  უდრის 0;

**b** = **Beta**,  $X$ -ის კოეფიციენტია, იგი გამოხატავს რეგრესის ხაზის ცვლილებებს და გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება  $Y$ -ის მნიშვნელობა  $X$ -ის ცვლილების შემთხვევაში.

**X** = დამოუკიდებელი ცვლადი ( $X$ ); მასში იგულისხმება ის, რაც მოსალოდნელია  $Y$ -ის შეცვლის ხარისხით.

**e** = ცდომილების კოეფიციენტია; მასში იგულისხმება  $Y$ -ის ღირებულების პროგნოზირებისას დაშვებული ცდომილების ხარისხი<sup>69</sup>.

მაგალითად, აღნიშნული რეგრესიული განტოლების საშუალებით ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია კონკრეტულ ტერიტორიაზე მოსახლეობის ზრდის დონის განსაზღვრა მომავლისათვის, თუ ვიცით ზრდის ახლანდელი დინამიკა.

წელი	ახლანდელი მოსახლების რაოდენობა	ზრდის სავარაუდო მაჩვენებელი
1910	15000000	
1920	18000000	
1930	21000000	
1940	24000000	
1950	27000000	
1960	30000000	
1970	33000000	
1980	36000000	
1990	39000000	
2000		42000000
2010		45000000

თუკი მონაცემები ისეთი სწორხაზოვანი არაა და ორ ცვლადს შორის ურთიერთმიმართება არაა ისეთი პროპორციული, როგორც ეს ზევით მოტანილი ცხრილის შემთხვევაში, მარტივი სწორხაზოვანი რეგრესია ყოვლად უადგილო იქნება მომავლის ექსტრაპოლაციისათვის. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ლოგარითმები და სრულიად სხვა სახის რეგრესიული განტოლებები.

### ეკონომიკური ანალიზი

ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი – ხარჯსარგებლის ანალიზი ეფუძნება სავარაუდო პოლიტიკური ალტერნატივების გრძელვადიანი ხარჯებისა და სარგებლის რაოდენობის ანალიზს. ამის საფუძველზე მიღებულ კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით პოლიტიკის ანალიტიკოსს შეუძლია გამოიანგარიშოს ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულება (Net Present Value - NPV), ხარჯსარგებლის ურთიერთმიმართების კოეფიციენტი (Cost-Benefit Ratio) და უკუგების შიდა კოეფიციენტი (International Rate of Return - IRR).

<sup>69</sup> რეგრესიის განტოლებათა უმრავლესობაში იგი გამოტოვებულია

## რისკ-ფაქტორის ანალიზი

გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკოსთა უმრავლესობა ცდილობს გამორიცხოს რისკის ფაქტორი და ირჩევს ისეთ ალტერნატივას, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს შესაძლო დანაკარგებს. თუმცა, ავიწყდებათ, რომ ასეთი ალტერნატივა ბევრად ვერც წარმატების შესაძლებლობას ზრდის.

ალტერნატივებს შორის არჩევანის დროს მნიშვნელოვანია სწრაფი გადაწყვეტილების ანალიზი. ამ გზით შესაძლებელია ალტერნატივების და მათი შედეგების ვიზუალურად წარმოდგენა.

სწრაფი გადაწყვეტილების ანალიზი გამოყოფს შესაძლებელი ალტერნატივების ძირითად ასპექტებს და ხელს უწყობს პოლიტიკის ანალიტიკოსს შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში. ამგვარი ანალიზი სასარგებლო ფონს ქმნის მიღებული გადაწყვეტილებისადმი სათანადო დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის საზოგადოებაში, ეხმარება ანალიტიკოსს რისკის ფაქტორებისადმი საკუთარი მიდგომის შეცვლასა და მოსალოდნელი გამოსავლის ძიებაში.

სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია შემდეგი საფეხურების გავლა:

- 1) ანალიზის სტრუქტურული იდენტიფიკაცია (პრობლემა, ალტერნატივები, თანადო გამოსავალები);
- 2) დიაგრამის კონსტრუირება;
- 3) თითოეული ალტერნატივის შესაძლო შედეგების პროგნოზი;
- 4) თითოეული შედეგის მიღების შესაძლებლობის შეფასება;
- 5) თითოეული შედეგის ღირებულების გამოვლა.

მაგალითად, განვიხილოთ გადასახადების შემცირების პრობლემა რომელიმე ქალაქში. უნდა გავთვალით ხელს შეუწყობს თუ არა იგი ეკონომიკის განვითარებას. ამ შემთხვევაში გვაქვს ორი მარტივი ალტერნატივა ან შევამციროთ გადასახადები, ან უცვლელად დავტოვოთ ისინი.

თითოეულ ამ ალტერნატივას გააჩნია შესაბამისი შედეგი: პირველ შემთხვევაში ესაა ეკონომიკური განვითარება, მეორე შემთხვევაში კი — სიტუაციის უცვლელად დატოვება (ეკონომიკური განვითარება ამ ალტერნატივის შემთხვევაში მოსალოდნელი არაა).

სავარაუდო შედეგები	სიტუაციის უცვლელი დატოვება	გადასახადების შემცირება
	განვითრების ჩამორჩენის დონე	განვითრების ჩამორჩენის დონე
საკუთრების გადასახადის შეცვლა	+ 100მლ 0	+900მლ 0
შემცირების ფასი	0 0	-600მლ - 200მლ
დამატებითი სამოქალაქო მომსახურების ფასი	- 25მლ 0	-100მლ 0
სუფთა ღირებულება	+ 75მლ 0	+200მლ -200მლ
შედეგის მიღების შესაძლებლობა	p=0.3 p=0.7	p=0.6 P=0.4
ალტერნატივების მოსალოდნელი ღირებულება	0.3 75მლ 0.7 0მლ 22.5მლ 0მლ	0.6 200მლ= 0.4-200მლ 120მლ =-80მლ

სწრაფი გადაწყვეტილების ანალიზისას ასევე მნიშვნელოვანია ვერკვეოდეთ:

- რა სახის ცოდნა იქნა გამოყენებული შედეგებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად;
- გამოყენებული იქნა თუ არა ფასდაკლების დონე;
- რა ვადებზე იყო საუბარი;
- რა თანხა დაიხარჯა;
- რა მდენად იქონია გავლენა ამ ციფრებმა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;
- რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს ალტერნატივების ღირებულება თანაბარად წარმოდგენილი.

არსებობს უამრავი სტრატეგია ანალიზთან დაკავშირებული უზუსტობის დასადგენად:

- 1) შევიცადოთ და გადავდოთ გადაწყვეტილების მიღება მდგომარეობის სრულყოფილი

- სურათის მიღებამდე;
- 2) შევადგინოთ უზუსტობის დასადგენად საჭირო ინფორმაციის მიღების სქემა;
  - 3) შევაგროვოთ საჭირო ინფორმაცია უზუსტობის შესამცირებლად;
  - 4) შევიმუშაოთ იმ ღირებულებათა სია, რომელსაც გაურკვევლობა ყველაზე მეტად ახასიათებს;
  - 5) მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომლის შეცვლაც მომავალში მარტივი იქნება;
  - 6) შევარჩიოთ ისეთი სტრატეგია, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს დანაკარგებს;
  - 7) ჩავატაროთ სიღრმისეული კვლევები საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

### **პოლიტიკური ანალიზი**

ხშირად დამკვეთისათვის ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებისას მნიშვნელობას იძენს მხოლოდ ერთი კრიტერიუმი – პოლიტიკური მიზანშენონილობა. სწორედ ამ კრიტერიუმის საფუძველზე ხდება ხოლმე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაც. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ამ კრიტერიუმის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება ყოვლად დაუშვებელია, პოლიტიკური ანალიზი პოლიტიკის ანალიტიკოსს საბოლოო დასკვნებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციას აწვდის. კერძოდ, მისი დახმარებით განისაზღვრება:

- 1) ალტერნატივაში ჩართული და გავლენის მქონე მონაწილე სუბიექტი – ხალხი, სოციალური ჯგუფი და ორგანიზაციები;
- 2) საზოგადოებაში ამ ალტერნატივის თაობაზე არსებული შეხედულებები და ის მოტივაცია, რომელიც თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა საკითხზე შეიძლება შეთანხმების მიღწევა მოლაპარაკების საშუალებით და რაზე არა;
- 3) არსებული რესურსების განსაზღვრა – ძალისხმევა, გავლენა, ფინანსები, საჭირო კადრები, საზოგადო ფასეულობები და სხვა;
- 4) ეფექტურობის განსაზღვრა – იგულისხმება რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარის განსაზღვრა;
- 5) მხარეების გამოკვეთა – ესაა დღის წესრიგის განსაზღვრა, შესაძლებლობების „ფანჯრის“ საზღვრების დადგენა და მიღებულ გადაწყვეტილებათა პოლიტიკური შედეგების გაანგარიშება.

პოლიტიკის შესაძლებლობების ანალიზი, თითოეული პოლიტიკის ალტერნატივის კვლევის საშუალებით ახდენს მათი ეფექტურობის დადგენას მოცემული პოლიტიკის რეალობაში. იგი ადგენს, თუ რომელი მონაწილე სუბიექტი ითამაშებს დადებით და რომელი უარყოფით როლს (მხარეს დაუჭერს ანდა წინააღმდეგი იქნება) შესაბამის სიტუაციაში; რა რესურსების გამოყენება შეუძლიათ მათ მოცემულ სიტუაციაში, რა საკითხზე შეიძლება წარმოიშვას მოცემულ ჯგუფებსა და სუბიექტებს შორის კამათი და რომელ მათგანს მიენიჭება უპირატესობა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ვეტოს უფლებაც.

### **ალტერნატივების განხორციელების ანალიზი**

სწორი პოლიტიკის ანალიზის არჩევის შემთხვევაშიც მისი განხორციელების დროს შეიძლება წარმოიშვას გარკვეული წინააღმდეგობები. ანალიზის განხორციელებისას პოლიტიკის ანალიტიკოსმა მხედველობაში უნდა მიიღოს ალტერნატივის როგორც დამაბრკოლებელი, ისე ხელის შემწყობი ფაქტორებიც. ასეთია:

- 1) რამდენად დიდია ალტერნატივის განხორციელებაში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობა;
- 2) ალტერნატივის განხორციელება მოიცავს ერთჯერად მოქმედებას თუ შედგება მოქმედებათა სერიისგან;
- 3) შესაბამისად, მის განხორციელებას დასჭირდება ერთჯერადი ინსტრუქტირება თუ მრავალჯერადი;
- 4) რამდენად დიდია კონსენსუსი აღნიშნული ალტერნატივების გარშემო;
- 5) რა ზომის ცვლილებებია აუცილებელი მიზნის მისაღწევად;
- 6) რამდენად შეიძლება პოლიტიკური ალტერნატივის დამტკიცების ფაზაზე წარმოშობილმა კონფლიქტმა ხელი შეუშალოს მას განხორციელების ეტაპზე;
- 7) შეიძლება თუ არა თამაშის თეორიის გამოყენება სავარაუდო შედეგების მოდელის კონსტრუირებისათვის;
- 8) არსებობს თუ არა საჭირო რესურსები, როგორიცაა ადმინისტრაციული ნება, სათანადო კომპეტენცია, გამოცდილება, ავტორიტეტი და პერსონალი აღნიშნული ალტერნატივის რეალიზაციისთვის.

## **ალტერნატიული პოლიტიკის კურსების შეფასება**

ალტერნატიული პოლიტიკური კურსების შეფასებისას საჭიროა:

- 1) სათანადო მეთოდის ამორჩევა და სწორად განხორციელება;
- 2) თითოეული პოლიტიკური ალტერნატივის მოსალოდნელი შედეგების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება;
- 3) იმის გარკვევა, თუ რამდენად ეთანხმება პროგნოზირებული შედეგები პრობლემის გადაწყვეტის სასურველ მიზნებს;
- 4) შეუსაბამო ალტერნატივების გამორიცხვა;

## **ალტერნატიული პოლიტიკური კურსების შედარება**

### **გადაწყვეტილების მიღების ნესები**

ის, თუ საბოლოოდ რომელი პოლიტიკური კურსის მიხედვით გადაწყვდება პრობლემა, დამოკიდეული სულაც არ არის ალტერნატიული პოლიტიკური კურსების შედარების ამა თუ იმ მეთოდზე. პოლიტიკის ანალიზი, რა თქმა უნდა, სრულად წარმოგვიდგენს თითოეული ალტერნატივის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს, მაგრამ საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად საჭიროა გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე წესის ცოდნა.

ალტერნატიული პოლიტიკური კურსებიდან საუკეთესოს არჩევის პროცესში მრავალი პრობლემა იჩენს თავს. კერძოდ:

- 1) საზოგადოებრივ სექტორში არსებულ პრობლემათა უმრავლესობა მრავალნახოვანია, რის გამოც მათი გადაწყვეტისკენ მიმართულ პოლიტიკურ კურსებს არა ერთი, არამედ რამდენიმე, მათ შორის ურთიერთსაპირისპირ მიზანი გააჩნია. ეს ყოველივე საკმაოდ ართულებს პოლიტიკის ალტერნატივებს შორის არჩევანს;
  - 2) ასეთივე მრავალფეროვნებით გამოირჩევა ალტერნატივების შეფასების კრიტერიუმებიც. ყველაზე დიდი პრობლემა კი ამ მრავალრიცხოვან კრიტერიუმებს შორის თანაფარდობის განსაზღვრაა. ისმის კითხვა, რა უფრო მნიშვნელოვანია საბოლოო არჩევანის გაკეთებისას – ვიხელმძღვანელოთ უფრო ტექნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული კრიტერიუმებით? რომელია მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი?;
  - 3) ასეთივე მნიშვნელოვან პრობლემას ვაწყდებით მაშინ, როცა ვერ ხერხდება თითოეული კრიტერიუმის რაოდენობრივ ერთეულებში, მაგ., ლარებში, გადაყვანა;
  - 4) არ არსებობს არც იმის წესი, თუ რა უფრო პრიორიტეტულია არჩევანის გაკეთებისას – ხარჯსარგებლის ურთიერთმიმართების კოეფიციენტით, წმინდა მიმდინარე ლირებულებით თუ უკუგების შიდა კოეფიციენტით ხელმძღვანელობა;
  - 5) პრობლემაა ისიც, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ხდება წინასწარ იმაზე შეთანხმება, თუ რა წესების გამოყენებით განხორციელდება გადაწყვეტილების მიღება;
  - 6) მაშინაც კი, როდესაც ცალკეული გადაწყვეტილებების კრიტერიუმები შემუშავებულია, შესაძლებელია საჭირო გახდეს მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა.
- პოლიტიკის ანალიტიკოსი ყოველთვის მზად უნდა იყოს სხვადასხვა გადაწყვეტილების კრიტერიუმების საშუალებით პოლიტიკის ალტერნატივის შეფასებისათვის. არსებობს მრავალი განსხვავებული მეთოდი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

### **წყვილადი შედარების მეთოდი**

აღნიშნული მეთოდის განმარტებისათვის შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთი ქალაქის დასუფთავების საკითხი. თუ არსებობს ქალაქის დასუფთავების ხუთი ალტერნატივა, მათ შორის ყველაზე ოპტიმალურის ასარჩევად ანალიტიკოსი თავდაპირველად ერთმანეთს ადარებს პირველ და მეორე ალტერნატივას (პირველ წყვილს). მომდევნო ეტაპზე უკვე ერთმანეთს უნდა დავუპირისპიროთ ზემოაღნიშნული წყვილის შედარების საფუძველზე გამოკვეთილი ყველაზე მისაღები ალტერნატივა და თანმიმდევრობით მესამე ადგილას მდგომი ალტერნატივა. ამ შედარების საფუძველზე გამოვლენილი ალტერნატივა კი მომდევნო ეტაპზე შევადაროთ რიგით მეოთხესთან და ასე მივიდეთ საუკეთესო ალტერნატივამდე. საბოლოო ვარიანტი იქნება სწორედ საუკეთესო ალტერნატივა მოცემულ სიტუაციაში პრობლემის გადასაჭრელად.

აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს მარტივ ეტაპობრივ შედარებას, რაც საკმაოდ ადვილი გასაკეთებელია. თუმცა, ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს ალტერნატივების განხილვის თანმიმდევრობა, რადგან თანმიმდევრობაში ცვლილების შეტანას, როგორც წესი, თან სდევს საბოლოო გადაწყვეტილების შეცვლაც.

## **დაკმაყოფილება**

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას თავდაპირველად ანალიტიკოსმა უნდა აირჩიოს ყველა ის ალტერნატივა, რომელიც საჭირო კრიტერიუმების მინიმალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. აღნიშნული მინიმუმი თანდათანობით იზრდება და შესაბამისად გამოირიცხება ყველა ის ალტერნატიული მიმართულება, რომელიც არ პასუხობს საჭირო მოთხოვნებს. ეს პროცესი გრძელდება მანამდე, ვიდრე საბოლოოდ არ მივიღებთ ყველაზე დამაკმაყოფილებელ ალტერნატივას.

იმისათვის, რომ რეალურად წარმოგიდგინოთ ზემოაღნიშნული პროცესი, განვიხილოთ სტუდენტების საერთო საცხოვრებლის პარკინგის პრობლემა. ცნობილია, რომ აღნიშნული საკითხის მოსაცვარებლად გვაქვს 6 ალტერნატივა და 3 შეფასების კრიტერიუმი: სუფთა შემოსავალი, გაყიდული საშვების რაოდენობა და აღნიშნული საკითხისადმი სტუდენტების დამოკიდებულება. ანალიზის პირველ ეტაპზე მინიმალური მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მისაღები ალტერნატივები შემდეგია: 50 000 აშშ დოლარი წლიური შემოსავალი, გაყიდული საშვების რაოდენობის 10%-იანი ზრდა და ბოლოს ის, რომ სტუდენტების 50%-ისათვის მიანც უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი ეს ალტერნატივა. ჩვენს ხელთ არსებული ალტერნატივებიდან ორი არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მინიმუმს, მაშასადამე ისინი იმთავითვე უნდა გამოირიცხოს.

შედარების მომდევნო ეტაპზე უკვე უნდა გავზარდოთ კრიტერიუმების დონე: შემოსავლის რაოდენობა 75000 აშშ დოლარამდე, გაყიდული საშვების რაოდენობის ზრდა ავნიოთ 20 %-მდე, ხოლო ბოლო კრიტერიუმი გავზარდოთ 65 პროცენტამდე. თუ აღნიშნული ასპექტების საფუძველზე ერთმანეთს შევადარებთ დარჩენილ 4 ალტერნატივას, აღმოჩნდება, რომ ამჯერად კიდევ 2 ალტერნატივა არ აკმაყოფილებს მისაღებ მინიმუმს. მაშასადამე, ისინი ავტომატურად უნდა გამოირიცხოს. საბოლოოდ კიდევ ერთხელ ვზრდით კრიტერიუმების მისაღებ მინიმუმს: შემოსავალს 400000-მდე, პარკინგს 25%-მდე, ხოლო კმაყოფილი სტუდენტების რიცხვს 75%-მდე. შესაბამისად, დარჩენილი ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე სრულად დაკმაყოფილებს აღნიშნული მოთხოვნებს, ჩაითვლება ოპტიმალურ გადაწყვეტილებად.

## **დახარისხების მეთოდი**

დახარისხების მეთოდი გულისხმობს თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი შედეგების დადებითი და უარყოფითი მხარეების დახარისხებას. შეფასების პირველ ეტაპზე გამოირიცხება ყველა ის ალტერნატივა, რომელიც არ აკმაყოფილებს კრიტერიუმების მოთხოვნებს და ღებულობს უარყოფით შეფასებას. მსგავსი გადარჩევის საფუძველზე პოლიტიკის ანალიტიკოსს განსახილველად რჩება ყველა ის ალტერნატივა, რომელსაც მიღებული აქვს დადებითი შეფასება.

დარჩენილი ალტერნატივებიდან საუკეთესოს არჩევის პროცესი მომდევნო ეტაპზე ხორცილდება ზემოთ აღნერილი წყვილების შედარების მეთოდის გამოყენებით.

## **ლექსიკოგრაფიული თანმიმდევრობის მეთოდი**

აღნიშნული მეთოდის მიხედვით ანალიტიკოსი მოვალეა სრულყოფილად შეისწავლოს ის ალტერნატივები, რომლებიც ძირეულად აკმაყოფილებენ ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმის მოთხოვნებს. ყველა ეს ალტერნატივა განიხილება როგორც თანაბარი მნიშვნელობის მქონე. შემდგომ ეტაპზე უკვე უნდა მოხდეს რიგით მეორე ადგილზე მდგომი კრიტერიუმის მიხედვით ამ ალტერნატივების შეფასება. შეფასების მესამე ეტაპზე განსახილველად რჩება მხოლოდ ის ალტერნატივები, რომლებიც ყველზე მეტად აკმაყოფილებენ მეორე კრიტერიუმს და ასე გრძელდება მანამ, სანამ ბოლოს ხელთ არ გვექნება ერთი ყველაზე მისაღები ალტერნატივა.

მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ ქალაქის მიმდებარე ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების საკითხი. დავუშვათ, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაცვარებლად ჩვენ გაგვაჩინია 5 შესაძლო ალტერნატივა და შეფასების სამი კრიტერიუმი: 1) შემოსავლების ზრდა, 2) დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და 3) მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. არსებული ალტერნატივებიდან მხოლოდ 3 აკმაყოფილებს სრულყოფილად ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს, კერძოდ, დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნის მოთხოვნას. სწორედ აღნიშნული სამი ალტერნატივა უნდა შევადაროთ ერთმანეთს მომდევნო ეტაპზე-აღმოჩნდა, რომ აქედან მხოლოდ ორი მათგანი პასუხობს მნიშვნელობით მეორე ადგილზე მყოფ კრიტერიუმს — მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. საბოლოოდ, ამ ორი ალტერნატივიდან მხოლოდ ერთი აკმაყოფილებს რიგით მესამე მნიშვნელობის კრიტერიუმის მოთხოვნებს, კერძოდ, შემოსავლების ზრდას. სწორედ ის აღმოჩნდება საუკეთესო ალტერნატივა.

შედარების მოცემული მეთოდი საკმაოდ მარტივია, თუმცა აუცილებელია წინასწარვე განისაზღვროს და შეთანხმებული იყოს კრიტერიუმების უპირატესობა, რაც არცთუ ისე ადვილი საქმეა. თანაბარი მნიშვნელოის მქონე კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, მსგავსი მეთოდის გამოყენება შეუძლებელია.

### **არადომინირებული ალტერნატივები**

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მეთოდი ეფუძნება რანჟირების ტექნიკას. ამ მეთოდის მიხედვით, ისევე როგორც შედარების ნებისმიერ მეთოდში უკლებლივ ყველა ალტერნატივა ფასდება არსებული კრიტერიუმის მიხედვით, თუმცა შეინიშნება მნიშვნელოვანი სიახლეც - ხდება კრიტერიუმთან მიმართებაში ალტერნატივების რანჟირება. ყველა ის ალტერნატივა, რომელიც ერთი კრიტერიუმის მიხედვით მაინც იღებს უმაღლეს შეფასებას, რჩება, ხოლო დანარჩენი ვარდება განსახილველ ალტერნატივათა სიიდან. ამის შემდეგ ანალიზის მეორე ეტაპზე რჩება მხოლოდ ის ალტერნატივები, რომელთაც ერთი კრიტერიუმის მიხედვით მაინც მინიჭებული აქვთ უმაღლესი შეფასება (პირველი რანგი). ესენია არადომინირებული ალტერნატივები, რომლებიც სხვა ალტერნატივებს მხოლოდ ერთი კრიტერიუმით თუ უსწრებენ წინ. მომდევნო ეტაპზე ამ არადომინირებული ალტერნატივებიდან საუკეთესოს გადარჩევის პროცესი უკვე სხვა მეთოდების გამოყენებით ხორციელდება.

	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3
ალტერნატივა A	4	5	6
ალტერნატივა B	2	1	3
ალტერნატივა C	3	4	1
ალტერნატივა D	1	3	2
ალტერნატივა E	6	6	3
ალტერნატივა F	5	2	4

მოცემული ცხრილი ცხადყოფს, რომ b, c და d ალტერნატივები ყველაზე სრულყოფილად აკმაყოფილებს 1, 2, და 3 კრიტერიუმებს. B ალტერნატივა დომინირებს მე-2 კრიტერიუმის, c ალტერნატივა — მე-3, D კი — 1 კრიტერიუმის მიხედვით. ასე რომ სწორედ აღნიშნულ ალტერნატივებს მიენიჭება უპირატესობა ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისას.

მსგავსი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, დაზღვეული არ ვართ ანალიზის შედეგად მივიღოთ თანაბარი მნიშვნელობის ალტერნატივები, რომელთა შორის გრადაციის დასადგენად საჭირო ხდება დამატებითი კრიტერიუმების შემოტანა.

### **ეკვივალენტური ალტერნატივები**

ორი ალტერნატივის შედარებისას, როდესაც ერთ-ერთი მათგანი მაინც იზომება რაოდენობრივი ერთეულით, გამოიყენება ეკვივალენტური მეთოდი. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა ერთეულების გამოყენებაც დოლარის კურსთან მიმართებაში, რათა A და B ალტერნატივები შევადაროთ ერთმანეთს.

დავუშვათ, რომ თქვენ შემოგთავაზეს ორი სამუშაო ადგილი. აღნიშნული ალტერნატივების შედარებისას იყენებთ ხუთ კრიტერიუმს: ხელფასი (იზომება დოლარებით); კლიმატი (საშუალოდ რამდენ მზიან დღეს იმუშავებთ წელიწადში); სამსახურსა და საცხოვრებელ ადგილს შორის არსებული მანძილის დასაფარად აუცილებელი დრო (იზომება წუთებში); სამუშაოს ტიპი (საინტერესოა თუ არა იგი თქვენთვის) და დაწინაურების პერსპექტივა (მაღალი ან დაბალი).

	ხელფასის რაოდენობა	კლიმატი	სამსახურსა და საცხოვრებელს შორის მანძილის დასაფარი დრო	სამსახურის ტიპი	დაწინაურების პერსპექტივა
ალტერნატივა (სამსახური) A	36.000 \$	240 დღე	20 წთ	საინტერესო	მაღალი
ალტერნატივა (სამსახური) B	42.000 \$	200 დღე	30 წთ	უინტერესო	დაბალი

აღნიშნული ორი ალტერნატივის შედარება ხდება არა მხოლოდ ხელფასის მიხედვით. აუცილებელია დავადგინოთ რომელ სამსახურს მიანიჭებდით უპირატესობას სხვა კრიტერიუმების

შეცვლის შემთხვევაში. მაგალითად, 42 000 დოლარიანი ხელფასიდან რა რაოდენობას დათმობდით, იმ შემთხვევაში, თუ კლიმატის კრიტერიუმით გათვალისწინებული დღეების რაოდენობა 40 დღით გაიზრდება (40 დღის ღირებულება 1600 დოლარი). თუ თქვენ თანახმა ხართ ჩამოგაჭრან აღნიშნული თანხა დღეების სანაცვლოდ, შესაბამისად შეიცვლება ცხრილის მონაცემებიც.

	ხელფასის რაოდენობა	კლიმატი	სამსახურსა და საცხოვრებელს შორის მანძილის დასაფარი დრო	სამსახურის ტიპი	დაწინაურების პერსპექტივა
ალტერნატივა (სამსახური) A	36.000 \$	240 დღე	20 წთ	საინტერესო	მაღალი
ალტერნატივა (სამსახური) B	40.000 \$	240 დღე	30 წთ	უინტერესო	დაბალი

ამჯერად განვიხილოთ მომდევნო კრიტერიუმის შეცვლის შემთხვევა. კერძოდ, რა თანხას დათმობთ იმ შემთხვევაში, თუ შეგიქმნიან უკეთეს პირობებს სამსახურიდან სახლში (და პირიქით) მისასვლელად და დრო შემცირდება 10 წუთით. შემცირებისათვის საჭირო თანხა 1000 დოლარს უტოლდება. თუ აღნიშნული პირობა თქვენთვის მისაღებია, მაშინ შესაბამისად შეიცვლება წინა სქემაც.

	ხელფასის რაოდენობა	კლიმატი	სამსახურსა და საცხოვრებელს შორის მანძილის დასაფარი დრო	სამსახურის ტიპი	დაწინაურების პერსპექტივა
ალტერნატივა (სამსახური) A	36.000 \$	240 დღე	20 წთ	საინტერესო	მაღალი
ალტერნატივა (სამსახური) B	39.000 \$	240 დღე	20 წთ	უინტერესო	დაბალი

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ უფრო საინტერესო სამსახურის მიღება და თანახმა ხართ ამისთვის დამატებით 1400 დოლარი დათმოთ, შესაბამისად შეიცვლება მონაცემებიც:

	ხელფასის რაოდენობა	კლიმატი	სამსახურსა და საცხოვრებელს შორის მანძილის დასაფარი დრო	სამსახურის ტიპი	დაწინაურების პერსპექტივა
ალტერნატივა (სამსახური) A	36.000 \$	240 დღე	30 წთ	საინტერესო	მაღალი
ალტერნატივა (სამსახური) B	38.000 \$	240 დღე	20 წთ	საინტერესო	დაბალი

მომდევნო ცხრილი გვიჩვენებს ხელფასის რაოდენობას B ალტერნატივის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ დანინაურების უფრო მეტი პერსპექტივის სანაცვლოდ კიდევ დათმობთ 2500 დოლარს აღნიშნული ხელფასიდან.

	ხელფასის რაოდენობა	კლიმატი	სამსახურსა და საცხოვრებელს შორის მანძილის დასაფარი დრო	სამსახურის ტიპი	დაწინაურების პერსპექტივა
ალტერნატივა (სამსახური) A	36.000 \$	240 დღე	30 წთ	საინტერესო	მაღალი
ალტერნატივა (სამსახური) B	35.000 \$	240 დღე	20 წთ	უინტერესო	მაღალი

ცხრილში ჩვენს მიერ შეტანილი ცვლილებების შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე ალტერნატივა გათანაბრდა სხვადასხვა კრიტერიუმებთან მიმართებაში. თუმცა, ხელფასის მიხედვით

ალტერნატივამ უპირატესობა მოიპოვა. ასე რომ, საბოლოოდ, ის აღმოჩნდება თქვენთვის მისაღები სამსახური.

შედარების ასეთი მეთოდი საქმაოდ რთულია, რადგან მრავალი ეტაპისგან შედგება. ამასთანავე, იგი ხელსაყრელია ისეთ სიტუაციებში, სადაც გადაწყვეტილებას იღებს არა რომელიმე ჯგუფი, არამედ ცალკეული ინდივიდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს პიროვნული უპირატესობების და პრობლემების უმნიშვნელოვანესი ასპექტების წარმოჩენას.

### **გადაწყვეტილების გაზომვის კრიტერიუმები**

როდესაც არსებობს გადაწყვეტილების მრავალი კრიტერიუმი, მათი შეფასებისა და „წონის“ სისტემა უდიდეს როლს თამამობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ მეთოდს, რომელსაც დეტალურად ვქვით მიმოვიხილავთ, ზოგჯერ „კრიტერიუმების წონის მნიშნველობის“ სახელითაც მოიხსენიებენ.

კრიტერიუმების წონის დადგენის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ერთ-ერთი მაგალითია გრანტების პრობლემის მოგვარების საკითხი. მაგალითად, შეერთებული შტატის ადმინისტრაცია ადგენს გრანტების დარიგების კონკრეტულ გეგმას. აღნიშნული გრანტები განკუთვნილია ასაკოვანი ადამიანების საზოგადოებრივი მომსახურების ხარჯების დასაფარავად. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი კრიტერიუმებია: ასაკს მიღწეული ადამიანების რიცხვი; გრანტის მიღების ვადა და თაღლითობის კონტროლის მექანიზმები.

სწორედ ამ კრიტერიუმებით იზომება თითოეული ალტერნატივა და ფიქსირდება მიღებული ანგარიშები.

1. ასაკს მიღწეული: 5 = 80%-100%; 4 = 60%-80%; 3 = 40%-60%; 2 = 20%-40%, 1 = 0%-20%
2. გრანტის მიღების ვადა: 5 = 0-5 დღე; 4 = 6-10 დღე; 3 = 11-15 დღე; 2 = 16-20 დღე; 1 = 21 ან მეტი დღე.
3. თაღლითობის კონტროლის დონე: 5 = ძალიან მკაცრი; 4 = სათანადო მკაცრი; 3 = საშუალოდ მკაცრი; 2 = სუსტი; 1 = ძალიან სუსტი.

ალმრიცხველი სუბიექტები	ასაკოვანთა რაოდენობა	გრანტის მიღების ვადა	თაღლითობის კონტროლი
ალტერნატივა A	5	4	3
ალტერნატივა B	4	4	4
ალტერნატივა C	4	3	3
ალტერნატივა C	2	3	5

გადაწყვეტილების კრიტერიუმების წონა (დონე) შემუშავებულია ანალიტიკოსების მიერ და შესაბამისი ასაკის პირთა რაოდენობა განისაზღვრება 50%-ით, გრანტების მეტი ზრდა – 30%-ით, ხოლო თაღლითობის კონტროლი – 20%-ით.

კრიტერიუმების მიღებული ანგარიში შემდეგ მრავლდება თითოეული კრიტერიუმის მნიშვნელობის წონაზე და ასე მიღება საბოლოო ანგარიში.

ალმრიცხველი სუბიექტები	ასაკოვანთა რაოდენობა	გრანტის მიღების ვადა	თაღლითობის კონტროლი	საბოლოო ანგარიში
ალტერნატივა A	$5 \times 5 = 2.5$	$4 \times 3 = 1.2$	$3 \times 2 = 0.6$	4.3
ალტერნატივა B	$4 \times 5 = 2.0$	$4 \times 3 = 1.2$	$4 \times 2 = 0.8$	4.4
ალტერნატივა C	$4 \times 5 = 2.0$	$3 \times 3 = 0.9$	$3 \times 2 = 0.6$	3.5
ალტერნატივა C	$2 \times 5 = 1.0$	$3 \times 3 = 0.9$	$5 \times 2 = 1.0$	2.9

ის ალტერნატივა, რომელიც მაღალ კოეფიციენტს მოიპოვებს ასაკს მიღწეულთა რაოდენობის დადგენაში (ალტერნატივა A) დააგროვებს ყველაზე დიდ საბოლოო ანგარიშს, ხოლო ალტერნატივა, რომელსაც კარგი მაჩვენებელი ექნება თაღლითობის კონტროლის მხრივ, თუმცა არ ექნება სათანადო მიღწევა ასაკისა და ვადების განსაზღვრაში, მიღებს ყველაზე დაბალ მაჩვენებელს, როგორც ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაშია.

აღნიშნული მეთოდის უპირატესობა საუკეთესო გადაწყვეტილების მარტივი და ზუსტი განსაზღვრაა. ასეთ შემთხვევაში ალტერნატივებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა ხდება არა ურთიერთგამიჯნულად, არამედ ერთობლიობაში. თუმცა, ამ მეთოდს გააჩნია თავისი


უარყოფითი მხარეც, რადგან ბევრი კრიტერიუმი არ იზომება რაოდენობრივად. ეს გარკვეულ შეუსაბამობებს წარმოშობს.

### **ფერადი მატრიცა (ანგარიშფაქტურა)**

მატრიცაში (ანგარიშის ცხრილში) ასახულია თითოეული ალტერნატივის ცალკეული კრიტერიუმებით შეფასების ერთეულები, იქნება ეს წარუმატებლობის დონის შემცირება, პოლიტიკური მიზანშენონილობა, ადმინისტრაციული შესაძლებლობები, ეფექტურობა თუ სხვა.

აღნიშნული ცხრილი ხელს უწყობს დამკვირვებელს ანალიზის შედეგების კომპლექსურად აღქმაში და მონაცემების შეჯამებაში. ის, ყოველგვარი რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებისა და კრიტერიუმებს შორის რანჟირების მეთოდის გამოყენების გარეშე, სწორ გადაწყვეტილებამდე მისვლის საუკეთესო საშუალებაა. მაგალითად, განვიხილოთ პარკინგის საკითხი.

	საშვების ფასის შემცირება	პარკინგის კონტროლის გაძლიერება	საგანმანათლებლო კამპანია
ლირებულება უნივერსიტეტისთვის	უფრო მეტი სტუდენტი ყიდულობს საშვას. არ არის დანაკარგისა და მოგების ცდომილების საფრთხე	მაღალი ფასი პრაქტიკაში დასანერგად	საშუალო ფასი რესურსებისათვის
პარკინგის პრობლემის გადაჭრა	25 %-ით ამცირებს არალეგალურ პარკინგს	40 %-ით ამცირებს არალეგალურ პარკინგს	10 %-ით ამცირებს არალეგალურ პარკინგს
სტუდენტების დამოკიდებულება	აბსოლუტურად მისაღებია	აბსოლუტურად მიუღებელია	მისაღებია საშუალოდ
საზოგადოების დამოკიდებულება	საშუალოდ მისაღებია	აბსოლუტურად მისაღებია	მიუღებელია



### **ალტერნატიული პოლიტიკურ კურსების შედარება**

მაშასადამე, ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებისას უნდა მოხდეს:

- შედარების ფორმატის განსაზღვრა
- თითოეული ალტერნატივის ძლიერი და სუსტი მხარეების ჩვენება
- თითოეული ალტერნატივის განვითარების საუკეთესო და უარესი სცენარის განხილვა
- ანგარიშების, სიების, ცხრილების, სცენარების და არგუმენტაციების გამოყენება

### **პოლიტიკური კურსის განხორციელების ანალიზი**

#### **სრულყოფილი პოლიტიკის ანალიზი**

სრულყოფილი პოლიტიკის ანალიზი ხშირად ხორციელდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1. პრობლემის განსაზღვრა;
2. ალტერნატივების შემუშავება;
3. ალტერნატივების ანალიზი;
4. პოლიტიკური კურსის დამტკიცება;
5. არჩეული ალტერნატიული კურსის განხორციელება;
6. პოლიტიკური კურსის შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ანალიზში პირველ სამ ეტაპს განსაკუთრებული

ყურადღება ექცევა, მომდევნო სამი ეტაპიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ზოგადად, ყველა აღნიშნული ეტაპი თანაბრად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, სრულყოფილი პოლიტიკის ანალიზი გულისხმობს პოლიტიკური კურსის განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებასაც.

პოლიტიკის ანალიტიკოსმა შეიძლება შეადგინოს პოლიტიკური კურსის განხორციელების კონკრეტული გეგმა, შესაბამისი ალტერნატივის მიხედვით. აღნიშნულ გეგმას ექნება შემდეგი სახე:

1. პრობლემასთან დაკავშირებული მხარეებისა და მათი ინტერესების შესწავლა;
2. საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება;
3. ბარიერებისა და ხელშემწყობი ფაქტორების აღნუსხვა;
4. მისაღები დროის ლიმიტის დადგენა.

პოლიტიკური კურსის განხორციელების ანალიზი გულისხმობს ცალკეული ალტერნატივისათვის საჭირო სცენარების შემუშავებას და სავარაუდო შედეგების ძიებას. ეს შესაძლებელია აიგოს საუკეთესო და უარესი სცენარების განერის მეთოდის გამოყენებით, სადაც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს „მოსალოდნელი შედეგები“

პოლიტიკის ანალიტიკოსის მთავარი მოვალეობაა არსებული პოლიტიკური კურსის განხორციელებაზე სისტემური დაკვირვება; პოტენციური პრობლემების განსაზღვრა და ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც მინიმუმადე შეამცირებს დანაკარგებს და თავიდან აგვაცილებს კატასტროფულ შედეგებს.

## პოლიტიკური პროცესის მონიტორინგი

პოლიტიკური მხარდაჭერა გულისხმობს შემუშავებული პროგრამის ან პოლიტიკური კურსის განხორციელების უზრუნველყოფას ნინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, პოლიტიკური მონიტორინგი კი ამ გეგმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებაა.

პოლიტიკური კურსის განხორციელების მონიტორინგისათვის აუცილებელია გარკვეული საინფორმაციო ბაზის შექმნა, რასაც ხელს უწყობს პოლიტიკური

კურსის სათანადო განხორციელება. საინფორმაციო ბაზად შეიძლება ჩაითვალოს „ჩანაწერები“, დოკუმენტაციები, რეიტინგული მონაცემები, ტესტირებისა და დაკვირვების შედეგები, აგრეთვე ----- მტკიცებულებები.

## პოლიტიკური კურსის შეფასება

პოლიტიკური კურსის შეფასება ეს საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ბოლო ეტაპია. შეფასების ეტაპზე უნდა მოხდეს ღრმა და ფართო მნიშვნელობის შემდეგი საკითხების დაზუსტება. კერძოდ:

1. უნდა განისაზღვროს, რამდენად სწორად მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება და საერთოდ, სწორი პრობლემა შეირჩა თუ არა გადასაწყვეტად;
2. უნდა დადგინდეს, გათვალისწინებულ იქნა თუ არა პრობლემის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი;
3. ხომ არა მნიშვნელოვანი მონაცემები უგულებელყოფილი ანალიზის დროს და რამდენად იქონია ამან გავლენა ანალიზზე;
4. მოხდა თუ არა რეკომენდაციების სათანადო განხორციელება;
5. მოჰყენა თუ არა პოლიტიკური კურსის განხორციელებას სათანადო შედეგები?
6. საჭიროა თუ არა მოდიფიკაციის, შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა და რისი გათვალისწინებაა საჭირო სამომავლოდ.

ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის შეფასებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით პოლიტიკური კურსის ჩავარდნებზე მსჯელობას. პრაქტიკაში გვხვდება ორი სახის ჩავარდნა: თეორიული და პროგრამული. თეორიული წარუმატებლობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა პოლიტიკური კურსი ხორციელდება, მაგრამ არ მოაქვს სათანადო შედეგი, პრობლემის მოგვარების არასწორი კურსის შერჩევის გამო. ამის მაგალითია ძალადობის დონის შემცირების მიზნით სკოლებში უნიფორმების შემოღება. აღნიშნულმა მცდელობამ არ გაამართლა, რადგან ძალადობის დონე არანაირად არ შეიცვალა. ამ შემთხვევაში პოლიტიკური კურსი (იგულისხმება უნიფორმების შემოღება) კი განხორციელდა, მაგრამ უშედეგოდ. აქედან გამომდინარე, თეორია თითქოს არასწორი ჩატარების სტილი ხელს უწყობს ძალადობის წარმოშობას, არასწორია და სკოლაში აღნიშნული პრობლემის მიზეზი სრულიად სხვა მიმართულებით უნდა ვეძებოთ. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს სწორი პოლიტიკური კურსის განსაზღვრას.

თეორიულისგან განსხვავებით, პროგრამულ წარუმატებლობაში იგულისხმება, რომ პოლიტიკური კურსი სწორად იქნა შერჩეული, თუმცა სასურველი შედეგის მიღება მაინც ვერ მოხერხდა, განხორციელების ეტაპზე დაშვებული შეცდომების გამო. სწორედ ამის გამო,

პროგრამულ წარუმატებლობას ბევრი იმპლიმენტაციურ (განხორციელების ეტაპზე დაშვებულ) წარუმატებლობას უწოდებს. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული კურსი სათანადოდ არ იქნა განხორციელებული. მაგალითად, ასეთი შედეგი შეიძლება მივიღოთ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში უნიფორმებს შემოვიღებთ, მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობა იგნორირებას გაუკეთებს მას. შესაბამისად, უცვლელი დარჩება ძალადობის დონე. ერთ-ერთი, რაც ყველასათვის ცხადი გახდება აღნიშნული პროცესის შემდეგ, ესაა, რომ მოსწავლეები იგნორირებას უკეთებენ უნიფორმებს.

### **ფორმატიული შეფასება**

მონიტორინგის პროცესის ეფექტურობის შემთხვევაში, საკმაოდ ადვილია იმის გარკვევა, განხორცილდა თუ არა პოლიტიკური მიმართულება გეგმის მიხედვით. ასეთი პოლიტიკური მონიტორინგი ცნობილია როგორც ფორმატიული შეფასება. მისი მიზანია პოლიტიკური კურსის განხორციელების ანალიზი შესაძლო კორექტივების შეტანის უფლებით.

### **შემაჯამებელი შეფასება**

პროგრამის შემაჯამებელი შეფასება ხორციელდება მისი სრულად განხორციელების შემდეგ. მისი მიზანია დაადგინოს გაამართლა თუ არა პროგრამამ დასახული მიზნის მიღწევაში და თუ არა, რა იყო ამის მიზეზი.

ამგვარი შეფასება შეიძლება არც ისე პოპულარული აღმოჩნდეს მრავალი მიზეზის გამო:

1. პროგრამა მეტად წინააღმდეგობრივია;
2. მისი წარმატებულად/წარუმატებლად გამოცხადება მთლიანად პოლიტიკურ ინტერესებზე დამოკიდებული;
3. არსებობს მნიშვნელოვანი სირთულეები პროგრამის შესაფასებლად. მათ შორის სათანადო გამოცდილებისა და კადრების ნეკლებობა.
4. ხშირად შეუძლებელია საჭირო ძალისხმევის გაერთიანება;
5. პროგრამის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი გარეგანი ფაქტორები.

შემაჯამებელი შეფასება სასარგებლობა თუ:

1. მისაღებია პოლიტიკოსებისთვის, ადმინისტრატორებისა და სხვა მონაწილე მხარეებისთვის;
2. თავიდანვე ხდებოდა პროგრამაზე დაკვირვება;
3. არსებობს წინასწარგათვლილი მიზნები;
4. გვაქვს სათანადო საინფორმაციო ბაზა;
5. შეფასების მეთოდები სათანადოდ დამაჯერებელია;
6. პროგრამა სტაბილურობით გამოირჩევა;
7. პროგრამის შეფასებაში ჩართულია პროგრამაში მონაწილე კადრები;
8. მიღწეული შედეგები ფართოდაა ხელმისაწვდომი.

### **შეფასების დიზაინი**

პოლიტიკური კურსის შეფასებისას ფართოდ გამოიყენება სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები. მიუხედავად იმისა, რომ არაპრაქტიკულია ლაბორატორიული ექსპერიმენტის დროს აპრობირებული კვლევების პოლიტიკური შეფასებისათვის გამოყენება, კვლევის წარმოების იგივე პრინციპით განისაზღვრება პოლიტიკური კურსის შეფასების დაგეგმვა და განხორციელება.

### **წინასწარი და შემდგომი შეფასება (Before-and-After Evaluation)**

პოლიტიკური კურსი ფასდება მისი განხორციელების შედეგად მიღებული ცვლილებების მიხედვით. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია თავიდანვე გამოირჩეოს ყოველგვარი უარყოფითი ფაქტორის გავლენა მიღებულ შედეგებზე.

### **შეფასება ფოკუს-ჯგუფის გათვალისწინებითა და გათვალისწინების გარეშე (With-and-Without Evaluation )**

ამ შემთხვევაში პოლიტიკური კურსის შეფასება იგება პოლიტიკური კურსის განხორციელების შედეგად ფოკუს-ჯგუფში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე, რომელიც უფარდდება აღნიშნული კურსის გარეშე დარჩენილი მოსახლეობის მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს.

**განხორციელების შემდგომი შეფასება (After-only Evaluation):** თავისი არსით საკმაოდ ახლოსაა წარადგინებული და შემდგომი შეფასების მეთოდთან, რადგან ამ შემთხვევაშიც შეფასებისას ფოკუსირება კეთდება პოლიტიკური კურსის განხორციელების შემდეგ მიღწეულ შედეგებზე,

რომელიც უფარდება პოლიტიკური კურსის განხორციელებამდე არსებულ სიტუაციას. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ამ დროს მხედველობაში მიიღება შედეგზე ყველანაირი სახის ზეგავლენა, რასაც წარადგინება და შემდგომი შეფასების მეთოდი გამორიცხავს.

**დროის რიგის შეფასება (Time-series Evaluation):** შეფასება ხორციელდება პოლიტიკური კურსის განხორციელების შედეგად მიღებული ცვლილებების საფუძველზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში გრძელვადიანი პერსპექტივით.

### პოლიტიკური კურსის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

შესაბამისად, პოლიტიკური კურსის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭიროა:

1. შემუშავდეს პოლიტიკური კურსის განხორციელების გეგმა;
2. შეიქმნას მონიტორინგის სისტემა და პოლიტიკური კურსის შეფასების სავარაუდო სქემა;
3. პოლიტიკური კურსის ზუსტად განხორციელება;
4. პოლიტიკური კურსით განერილი შედეგების მიღება.

## რა ადგილი უძირავს ანალიტიკოსს პოლიტიკურ-მართველობით პროცესში

საინტერესოა სხვადასხვა ავტორთა დამოკიდებულება იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა ადგილი უკავია ანალიტიკოსს პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის განხორციელებაში. მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ავტორთა სურვილები და მეორე მხრივ, რეალური სიტუაცია. ისევე როგორც უილიამ დანის სახელმძღვანელოში, ედვარდ ქეიდის მონოგრაფიაშიც „ანალიზი საჯარო გადაწყვეტილებისათვის“ ქცენტი კეთდება მინიშნებაზე, რომ პოლიტიკის ანალიტიკოსი, როგორც ასეთი, უნდა მოქმედებდეს საზოგადოებრივი ინტერესების სახელით, უნდა მუშაობდეს იმ სიკეთეების გამოვლენისა და შერჩევისთვის, რომელიც საზოგადოებრივ მოთხოვნებს ყველაზე მეტად ეთანხმება და ეხმაურება, ახორციელებდეს მოღვაწეობას ამ სიკეთეების მისაღწევად საჭირო საუკეთესო გზების შესარჩევად და ახდენდეს მათი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პროცედურების წინასწარ გათვლას. ე. ქვეიდის აზრით, ამოცანები, რომელთაც პოლიტიკის ანალიზის სპეციალისტი გადაწყვეტს, მდგომარეობს რეალური საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და მითითებაში. თუმცა, ასეთი დამოკიდებულება მაინც სურვილის დონეზე რჩება და პრაქტიკულად ნაკლებად ხორციელდება.

განისა და პოვუდის აზრით, ანალიზი ორიენტირებული უნდა იყოს მხოლოდ „მომხმარებელზე“, რომლის როლშიც გადაწყვეტილების მიმღები პირი გვევლინება. მაშასადამე, კვლევის შედეგების გამოყენება ხდება რეალურ და არა თეორიულ-აბსტრაქციულ პოლიტიკურ სამყაროში. აქედან გამომდინარე, ინგლისელი ავტორების ნაშრომის მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღები პირი, რომელსაც ემსახურება ანალიტიკოსი, პოლიტიკურ-მმართველობით პროცესის ცენტრალური ფიგურა გამოდის. შესაბამისად, თავად პოლიტიკის ანალიზის სპეციალისტი ამ სქემაში მეორეხარისხოვან როლს იძენს. მის მიერ შესრულებული ანალიტიკური სამუშაოს შედეგების გამოყენების საზღვრები და ალბათობა კი გადაწყვეტილების მიმღების პირების (პოლიტ-ფუნქციონერების) უტილიტარულ მიზნებსა და ამოცანებზე დამოკიდებული და არა საზოგადოებრივ ინტერესებზე.

ანალიტიკოსის მეორეხარისხოვანი როლს საჯარო პოლიტიკურ-მმართველობით პროცესში მრავალი ავტორი ეთანხმება და აქ მეცნიერთა მსჯელობა შედარებით ერთგვაროვანია. მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმად, როგორც თავად ანალიტიკური მოღვაწეობა, ისე ამ ანალიტიკური მოღვაწეობის შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია პოლიტიკური მიზანშენონილობითაა შეზღუდული. ყველაზე პრობლემატურ საკითხს ანალიტიკოსებსა და პრაქტიკოს-პოლიტიკოსებს შორის კავშირის სისუსტე წარმოადგენს, რაც ანალიტიკური დასკვნების უტილიზაციაზე ხელისშემშლელად მოქმედებს. გასათვალისწინებელია პოლიტიკის ანალიზის სრულყოფილი განხორციელების გზაზე წარმოქმნილი ისეთი პრობლემები, როგორიცაა არასაკმარისი ინფორმაცია და როგორც დროის, ისე შრომითი რესურსების დეფიციტი, რის გამოც იზღუდება სრულყოფილი ანალიზის განხორციელების შესაძლებლობა.

დ. ვაიმერი და ა. ვაინინგი წიგნში „პოლიტიკის ანალიზი: კონცეფციები და პრაქტიკები“ პოლიტიკის ანალიზის მოღვაწეობის სფეროდ მიიჩნევენ როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკური კურსის განსაზღვრასა და

ცხოვრებაში მის პრაქტიკულ რეალიზაციაში მონაწილეობენ<sup>70</sup>.

## პოლიტიკის ანალიზი როგორც კომუნიკაცია

ჯ.პოკოვას თანახმად, „პოლიტიკური მოღვაწეობა თავისი არსით ლინგვისტური ხასიათისაა და ხორციელდება გარკვეული ენობრივი და ცნებითი აპარატის მეშვეობით“, რომელიც პოლიტიკის სუბიექტის ხელში არა მარტო ინფორმაციის მიწოდების, არამედ მანიპულაციის საშუალებაც ხდება. ენობრივი ფორმა არის ინფორმაციის გადაცემისა და დამახინჯების იარაღი, ჰერმენევტიკა კი ამ დამახინჯების, დაფარულის გამოვლენის საშუალება.

ბევრი ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ანალიტიკოსები არ შეიძლება შემოისაზღვრონ პრობლემის მხოლოდ სამეცნიერო ნარმოდგენით. მათ მიერ შესრულებული სამუშაოს, ანალიტიკური საქმიანობის პროდუქტის მომხმარებელია ხელისუფლება და ამიტომაც, ანალიტიკური მუშაობის შედეგი უნდა „გადაითარგმნოს“, გადატანილ იქნეს ხელისუფლების ენაზე, რიტორიკაზე, რათა გამოინვიოს მისი დაინტერესება. აუცილებელია იმის გათავისება, რომ ხელისუფლების დაინტერესება – ეს ანალიტიკური პროდუქტის იმანებული კომპონენტია, მისი მახასიათებელია, რომელიც პროდუქტის მოხმარებას და ცხოვრებაში მის პრაქტიკულ რეალიზაციას უწყობს ხელს. სხვა სიტყვებით, „პროდუქტი“ თავის თავში უნდა აერთიანებდეს ორ სხვადასხვა ფუნქციას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ორ სოციალურ გაერთიანებას, ორ სუბjულტურას და აქ მნიშვნელოვანია არა იმდენად ამ ორი ფუნქციის შეთავსების საკითხი, რამდენადაც ამ ორი ფუნქციის ურთიერთმოქმედება ერთიანი ენის - კოდირების საფუძველზე. ენის, იგივე კომუნიკაციის პრობლემა პოლიტიკის ანალიზში ახლა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და ყველაზე აქტუალური ხდება. უთანასწორობის დაძლევისა და ნაყოფიერი გაცვლის მდგრამარებაში გადასვლის შანსი, რომელიც პოლიტიკისთვის საერთო ჯამში საკმაოდ სასარგებლოა, აქვს მხოლოდ სისტემას, სადაც არსებობს კავშირი ისეთ ელემენტებს შორის, როგორიცაა ხელისუფლება, რეფლექსური ელიტა და ფუნქციონალური ელიტა.

პოლიტიკის ანალიზი ესაა საწყისი და არა დასასრული იმ აუცილებელი სამუშაოსი, რომელიც პოლიტიკის გასაუმჯობესებლად ხორცილდება. აი რატომ განსაზღვრავს მას უ. დანი როგორც პოლიტიკურ-რელევანტური ინფორმაციის არა მარტო ნარმოებისა და შეფასების, არამედ კომუნიკაციის (გაცვლის) საშუალებად. პოლიტიკის ანალიზი, როგორც პროცესი, გამართლებულია მისი განხორციელების პროცესში ნარმოებული და შეფასებული მასალის პრაქტიკული რეალიზაციით, რეალურ ცხოვრებაში უტილიზაციით. სწორედ ესაა პოლიტიკის ანალიზის განსხვავება კვლევითი ანალიზისგან. პოლიტიკის ანალიზი, როგორც ასეთი, ანარმოებს და კრიტიკულად აფასებს ანალიტიკურ პროდუქტიას, რომელიც იგულისხმება, რომ რეალურად მოხმარებადი გახდება. ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს, რომ პოლიტიკის ანალიზის შესრულების ხარისხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და ამაში დარწმუნებულიც უნდა ვიყოთ. მაგრამ, პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის რეალობა ცხადს ხდის, რომ ხარისხიანი ანალიზი ყოველთვის როდია გამოყენებული, უტილიზირებული და ყოველთვის როდი ხდება მისი პრაქტიკაში რეალიზება. ამის მიზეზად უ. დანი ასახელებს ანალიზის შედეგად ნარმოებულ პროდუქტიასა და პრაქტიკოსი პოლიტიკოსების მიერ მის გამოყენებას შორის არსებულ შეუსაბამობას, რომელსაც ის ანალიტიკოსებსა და პოლიტიკოსებს შორის კომუნიკაციის სისუსტით ხსნის.

## პოლიტიკურ-მმართველობითი კომუნიკაციის პროცესი


პოლიტიკურ-რელევანტური ინფორმაციის კომუნიკაციას წარმოადგენენ ოთხსაფეხურიანი პროცესის სახით, რომელიც მოიცავს პოლიტიკის ანალიზს, ანალიზის შედეგად წარმოებულ ანალიტიკურ მასალას (იგივე პროდუქტიას), ინტერაქციას (ურთიერთმოქმედებას) და ბოლოს, ცოდნის გამოყენებას. ჩვენს მიერ ქვევით მოტანილი სქემა, რომელიც უ. დანს ეკუთვნის, გვიჩვენებს, რომ პოლიტიკის ანალიზის ინიციატივა საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ხორციელდება, პოლიტიკური აქტორების მხრიდან ანალიტიკურ ინფორმაციასა და რჩევაზე დაკვეთის საფუძველზე. პოლიტიკურ აქტორთა მოთხოვნების საპასუხოდ, ანალიტიკოსები ანარმოებენ და კრიტიკულად აფასებენ

<sup>70</sup> აქ უკვე პოლიტიკის ანალიზის უფრო ფართო ხედვაა, მასში შედის არასახელმწიფო სექტორიც, რომელიც მონაწილეობასა და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკური კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაზე (David Weimer, Aidan R. Vining, Policy Analysis: Concepts and Practice, 4/E)

ინფორმაციას პოლიტიკის პრობლემებზე, პოლიტიკის მომავალზე, პოლიტიკის მოქმედებებზე, პოლიტიკის შედეგებსა და პოლიტიკის შესრულებაზე. ასეთი სახის კომუნიკაციის განსახორციელებლად პოლიტიკის ანალიტიკოსები ქმნიან სხვადასხვა სახის დოკუმენტებს, როგორიცაა: მემორანდუმი, ანგარიშები, მოხსენებები მიმღინარე საკითხებზე – მოკლე შეჯამებები, დამატებები თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაციით და საინფორმაციო რელიზები. ამ დოკუმენტების არსი და შინაარსი ზოგჯერ გადმოიცემა ზეპირი მოხსენებების, გასაუბრებების, კონფერენციების, შეხვედრების, ბრიფინგებისა და მოსმენების სახითაც. ამგვარი ანალიტიკური დოკუმენტებისა და ზეპირი პრეზენტაციების მიზანია ანალიტიკოსის მიერ წარმოებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობის ზრდა-ამაღლება.

სქემაზე წყვეტილი ხაზით გამოსახული ისარი მიუთითებს, რომ ანალიტიკოსის გავლენა ცოდნის გამოყენების შესაძლებლობებზე სულაც არაა პირდაპირი. სწორედ ეს განასხვავებს ანალიტიკოსს კომუნიკაციის სხვა დანარჩენ ელემენტებთან არსებული ისეთი კავშირისაგან, რომელიც უშუალოდ, ყოველგვარი „უცხო პირების“ დახმარება-ჩარევის გარეშე ხორციელდება. ამ სქემაზე წყვეტილი ხაზით გამოსახული ისარი მიუთითებს, რომ ანალიტიკოსთა გავლენა ცოდნის გამოყენების შესაძლებლობაზე სულაც არაა პირდაპირი. სწორედ ეს განასხვავებს ანალიტიკოსს კომუნიკაციის სხვა დანარჩენ ელემენტებთან არსებული კავშირისაგან, რომელიც უშუალოდ, ყოველგვარი „გარეშე პირების“ დახმარებისა და ჩარევის გარეშე ხორციელდება. სწორედ ამ პირდაპირ კავშირზე მიუთითებს სქემაზე გამოსახული უწყვეტი ხაზით შეერთებული ისრებიც, რომელიც მიანიშნებს ანალიტიკოსების პირდაპირ ზეგავლენაზე ზუსტი და სანდო ხასიათის დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი ანალიტიკური მოღვაწეობის პროცესში აღნევენ და მისი საშუალებით იღებენ. ანალიტიკოსებს ასეთივე პირდაპირი გავლენა აქვთ პოლიტიკური დოკუმენტებისა და ზეპირი მოხსენებების ფორმაზე, შინაარსსა და მიზანშენონილობაზე.

#### სქემა №8. პოლიტიკურ-მმართველობითი კომინიკაციის პროცესი



წყარო: William N. Dunn, *Public Policy Analysis: An Introduction*, 3rd ed., Prentice Hall, 2004.გვ. 431

## პოლიტიკის ანალიზი საქართველოში

